პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 68. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58
ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— გაიხსნა ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობა.
— კრიზისი გერმანიის რკინის მრეწველობაში.
— რემედასის ინგლისური სექციის დემონსტრაცია.
— პოლონეთის პარლამენტის არჩევნები დანიშნულია 4 მარტისათვის.
— მენშევიკ წერეთელის გასტროლები შვეციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 7 დეკემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 277 (2022)

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობა

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში

ამხ. ი. სტალინის მოხსენება

მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავება და საბჭოთ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ჩვენი ქვეყანა, ამხანაგებო, სცხოვრობს და ვითარდება კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში. მისი საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო მის შინაგან ძალებზე, არამედ ამ კაპიტალისტური გარემოცვის მდგომარეობაზედაც, იმ კაპიტალისტურ ქვეყნების მდგომარეობაზე, რომლებიც მდებარეობენ ჩვენ გარშემო, მათ ძალასა და სისუსტეზე, მთელ მსოფლიოს ჩაგრულ კლასების ძალასა და სისუსტეზე, ამ კლასების რევოლიუციონურ მოძრაობის ძალასა და სისუსტეზე. მე უკვე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი რევოლიუცია არის დაჩაგრულ კლასთა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის ნაწილი. აი, ამიტომ ვამბობ მე, რომ ცეკას ანგარიში უნდა დაიწყოს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებიდან, კაპიტალისტურ ქვეყნებისა და რევოლიუციონურ მოძრაობის მდგომარეობის დახასიათებიდან ყველა ქვეყნებში.

პირველი საკითხია—წარმოებისა და ვაჭრობის მდგომარეობა უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ძირითადი ფაქტი ამ დარგში, ამხანაგებო, მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალისტური ქვეყნების წარმოებამ ამ ორ წელში, საანგარიშო პერიოდში, გადააჭარბა ომის წინა დროის ნორმებს, გაუსწრო ომის წინა დროის დონეს. აი რამოდენიმე ცნობები ამის შესახებ: თუჯის მსოფლიო პროდუქციის ინდექსი: 1925 წ. ომის წინა დროის—97,6 პროც. 1926 წ. უკვე 100,0 პროც., 1927 წლისათვის კი სრული ცნობები არ არის, მაგრამ არის ცნობები პირველ ნახევარ წლიწადისათვის, რომლებიც მოწმობს თუჯის წარმოების შემდგომ ზრდას. ფოლადის მსოფლიო პროდუქციის ინდექსი: 1925 წ. ომის წინა დროის 118,5 პროც., 1926 წ.—122,6 პროც. ქვანახშირის მსოფლიო წარმოების ინდექსი: 1925 წ. 97,9 პროც., 1926 წ. რამოდენიმედ დაეცა—უდრის 96,8 პროც. აქ, როგორც სჩანს, თავი იჩინა ინგლისის გაფიცვის გავლენამ. ბამბის მსოფლიო მოხმარება 1925-26 წ. ომის წინა დროის—108,1 პროც., 1926-27 წ. 112 ნახევარი პროც. ხორბლეულის მსოფლიო მოსავალი 1925 წელში ომის წინა დროის 107,2 პროც., 1926 წ. 110 ნახევარი პროც. და 1927 წ. 112,3 პროც.. ამნაირად, პატარა ნაბიჯებით მიიწევს წინ მსოფლიო წარმოების საერთო ინდექსი და სჭარბობს ომის წინა დროის დონეს. მაგრამ სამაგიეროდ არის ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნები რომლებიც კი არ მიდიან, არამედ გარბიან წინ და უკან ტოვებენ ომის წინა დროის დონეს, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და ნაწილობრივ იაპონია. ცნობები ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების შესახებ: დამამუშავებელ მრეწველობის ზრდა 1925 წელში შეადგენს 148 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით, 1926 წ. 152 პროც. სამთოს მრეწველობის ზრდა 1925 წელში ომის წინა დროის 143 პროც., 1926 წელში კი—154 პროც. მსოფლიო ვაჭრობა ისე სწრაფად არ მიდის, როგორც წარმოება. ჩვეულებრივად ის ჩამორჩება წარმოებას, მაგრამ მან მაინც მიაღწია ომის წინა დროის ნორმას. საგარეო საქონლის ბრუნვის ინდექსი მთელს მსოფლიოში და უმთავრეს ქვეყნებში 1925 წელს უდრის 98,1 პროცენტს, ცალკე ქვეყნებში კი: ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1925 წელს 134,3 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით, 1926 წელში კი 143 პროც.; საფრანგეთში—98,2 პრ. და 99,2 პროც.; გერმანიაში 74,8 პროც. და 73,0 პროც.; იაპონიაში 176,9 პროც. და 170,1 პროც. საერთოდ და მთლიანად მსოფლიო ვაჭრობამ უკვე მიაღწია ომის წინა დროის ნორმას, ზოგიერთ ქვეყნებში კი, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკასა და იაპონიაში, უკვე გადააჭარბა ომის წინა დროის ნორმებს.

და, დასასრულ, მესამე რიგი ფაქტებისა, რომლებიც ამტკიცებენ კაპიტალისტურ მრეწველობის ტეხნიკურ პროგრესსა და რაციონალიზაციას, ახალ დარგების შექმნას და მრეწველობის ტრესტებად გაერთიანების გაძლიერებას კარტელებად გაერთიანების გაძლიერებას საერთაშორისო მასშტაბით. ეს ფაქტები, მე მგონია, ყველასათვის არის ცნობილი. ამიტომ მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ ამის შესახებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ, კაპიტალმა დიდ წარმატებას მიაღწია არა მარტო პროდუქციის ზრდის ხაზით, ისე როგორც ვაჭრობის ხაზითაც, არამედ წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესების დარგშიაც, ტეხნიკურ პროგრესის დარგში და წარმოების რაციონალიზაციის დარგშიაც; ყოველივე ამან კი გამოიწვია უდიდეს ტრესტების შემდგომი ზრდა და ახალ მძლავრ მონოპოლისტურ კარტელების მოწყობა.

აი ის ფაქტები, ამხანაგებო, რომლებიც უნდა აღინიშნოს და რომლებიდანაც უნდა გამოვდიოდეთ. მოასწავებს თუ არა ყოველივე ეს, რომ ამით კაპიტალიზმის სტაბილიზაცია გახდა მკვიდრი და ურყევი. რა თქმა უნდა, არა. ჯერ კიდევ მე-14 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კაპიტალიზმმა შეიძლება მიაღწიოს ომის წინა დროის დონეს, შეიძლება გადააჭარბოს ამ ომის წინა დროის დონეს, შეიძლება რაციონალიზაცია ჩაატაროს თავის წარმოებაში, მაგრამ რომ ეს კიდევ არ ნიშნავს, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ამით გახდება მკვიდრი, რომ კაპიტალიზმს შეუძლია დაიბრუნოს თავისი ყოფილი, ომის წინა დროის სიმტკიცე. პირიქით, თვით სტაბილიზაციიდან, იქიდან, რომ წარმოება იზრდება, იქიდან, რომ ვაჭრობა იზრდება, იქიდან, რომ ტეხნიკური პროგრესი და საწარმოო შესაძლებლობანი იზრდება, იმ დროს, როდესაც მსოფლიო ბაზარი, ამ ბაზრის ფარგლები და ცალკე იმპერიალისტურ ჯგუფების გავლენის სფეროები რჩება მეტად თუ ნაკლებად სტაბილური,—სწორედ აქედან წარმოიშობა მსოფლიო კაპიტალიზმის უღრმესად ღრმა, უღრესად მწვავე კრიზისი, რომელიც გამოიწვევს ახალ ომებს, რომელიც საფრთხეს უმზადებს რაიმე სტაბილიზაციის არსებობას. ნაწილობრივი სტაბილიზაციიდან გამომდინარეობს კაპიტალიზმის კრიზისის გაძლიერება, კრიზისის ზრდა შლის სტაბილიზაციას—ასეთია კაპიტალიზმის განვითარების დიალექტიკა მიმდინარე ისტორიულ მომენტში. მსოფლიოში კაპიტალიზმის წარმოებისა და ვაჭრობის ამ ზრდას ყველაზე უფრო ახასიათებს ის ფაქტი, რომ განვითარება უთანაბროდ მიმდინარეობს.

განვითარება ისე კი არ ხდება, რომ კაპიტალისტური ქვეყნები წინ მიიწევდნენ ერთი-ერთმანეთის მიყოლებით, მწყობრად და თანაბრად, ერთი-ერთმანეთისთვის ხელის შეუშლელად და ერთი-ერთმანეთის წაუქცევლად, არამედ, პირიქით,—ეს განვითარება ხდება ზოგიერთ ქვეყნების განდევნისა და დაცემის და მეორეთა დაწინაურებისა და აღორძინების გზით, კონტინენტებისა და ქვეყნების სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის გზით ბაზარზე პირველობისათვის. საეკონომიო ცენტრი ევროპიდან გადადის ამერიკაში, ატლანტის ოკეანიდან დიდ ოკეანეში. მით ძლიერდება ამერიკისა და აზიის ხვედრითი წონა მსოფლიო საქონლის ბრუნვაში ევროპის ხარჯზე. რამოდენიმე ციფრები: თუ ევროპის მონაწილეობა მსოფლიო საგარეო ვაჭრობაში 1913 წელში შეადგენდა 66,5 პროცენტს, ამერიკის მონაწილეობა 21,2 პროცენტს, აზიის მონაწილეობა 12,3 პროც.; 1925 წელში ევროპის მონაწილეობა დაეცა 50 პროცენტამდე, ამერიკის მონაწილეობა გაიზარდა 26,6 პროცენტამდე და აზიის მონაწილეობა გაიზარდა 16 პროცენტამდე. სწრაფი წინსვლის გზაზე მდგომ კაპიტალიზმის ქვეყნების გვერდით (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები და ნაწილობრივ იაპონია) ჩვენ ვხედავთ სამეურნეო დაცემის ქვეყნებსაც (ინგლისი). ზრდის გზაზე მყოფ კაპიტალისტურ გერმანიის და აღორძინების გზაზე მყოფ უკანასკნელ წლებში დაწინაურებულ ქვეყნების გვერდით (კანადა, ავსტრალია, არგენტინა, ჩინეთი და ინდოეთი) ჩვენ ვხედავთ სტაბილიზაციის პროცესში მყოფ კაპიტალიზმის ქვეყნებს (საფრანგეთი, იტალია). იზრდება პრეტენდენტების რაოდენობა გასაღების ბაზრებზე, იზრდება საწარმოო შესაძლებლობანი, იზრდება მიწოდება, ბაზრების სიდიდე და გავლენის სფეროების საზღვრები კი რჩება მეტად თუ ნაკლებად სტაბილური.

ასეთია თანამედროვე კაპიტალიზმის ზრდის პროცესში მყოფ შეურიგებელ წინააღმდეგობათა საფუძველი. ეს წინააღმდეგობა საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასა და ბაზრების შედარებით სტაბილიზაციას შორის საფუძვლად დაედო იმ ფაქტს, რომ ბაზრების პრობლემა ამჟამად წარმოადგენს კაპიტალიზმის ძირითად პრობლემას. გასაღების ბაზრების პრობლემის გამწვავება და საერთოდ საგარეო ბაზრების პრობლემის გამწვავება, განსაკუთრებით კაპიტალის გასატან ბაზრების პრობლემის გამწვავება,—ასეთია კაპიტალიზმის ეხლანდელი მდგომარეობა. ამით აიხსნება, რომ ქარხნებისა და ფაბრიკების საკმაოდ დაუტვირთველობა ჩვეულებრივ მოვლენად ხდება. საბაჟო დაბრკოლებათა გაძლიერება მხოლოდ ნავთს ასხამს ცეცხლზე. კაპიტალიზმი შევიწროებულად გრძნობს თავს თანამედროვე ბაზრებისა და გავლენის სფეროების ფარგლებში.

ბაზრების პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის ცდებმა ვერ გამოიღო და არც შეეძლო გამოეღო რაიმე შედეგები. ბანკირების ცნობილი დეკლარაცია 1926 წელში ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, როგორც ცნობილია, დამარცხებით დამთავრდა. აგრეთვე დამარცხებით დამთავრდა ერთა ლიგის ეკონომიური კონფერენცია 1927 წ., რომელიც მიზნად ისახავდა კაპიტალისტურ ქვეყნების „ეკონომიურ ინტერესების გაერთიანებას". ბაზრის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის გზა კაპიტალიზმისათვის დახშულია. კაპიტალიზმს რჩება ერთად-ერთი „გამოსავალი"—კოლონიებისა და გავლენის სფეროების ახალი განაწილება ძალით, სამხედრო შეტაკებათა საშუალებით, ახალი იმპერიალისტურ ომების საშუალებით. სტაბილიზაციიდან წარმოიშობა კაპიტალიზმის კრიზისის ზრდა.

კაპიტალიზმის საერთაშორისო პოლიტიკა და ახალი იმპერიალისტ. ომების მზადება

ამასთან დაკავშირებით, მსოფლიოსი და გავლენის სფეროთა ხელახალი დანაწილების საკითხი, რაც საგარეო ბაზრების საფუძველს წარმოადგენს, მსოფლიო კაპიტალიზმის პოლიტიკაში ახლა ძირითად საკითხად არის გადაქცეული. მე უკვე ვთქვი, რომ უკვე მოძველდა კოლონიებისა და გავლენის სფეროთა ახლანდელი განაწილება, რომელიც უკანასკნელ იმპერიალისტურ ომს მოჰყვა. ეს განაწილება ახლა აღარ აკმაყოფილებს არც ჩრდილოეთ ამერიკას, რომელიც სამხრეთ-ამერიკას აღარ სჯერდება და ცდილობს ფეხი მოიკიდოს აზიაში (პირველ ყოვლისა ჩინეთში), აღარც ინგლისს, რომელსაც ხელიდან ეცლება დომინიონები და აღმოსავლეთის მთელი რიგი ბაზრები, აღარც იაპონიას, რომელსაც წარა-მარა „ხელს უშლიან" ჩინეთში ინგლისი და ამერიკა, არ აკმაყოფილებს აღარც იტალიასა და საფრანგეთს, რომელთაც აუარებელი „სადაო საგნები" აქვთ, როგორც დუნაის მხრის ქვეყნებში, ისე ხმელთაშუა ზღვაზე, მით უმეტეს არ აკმაყოფილებს გერმანიას, რომელიც ჯერ ისევ უკოლონიებოდ არის დატოვებული. აქედან მომდინარეობს „საერთო" მისწრაფება ბაზრებისა და ნედლი მასალის წყაროების ხელახალი დანაწილებისაკენ. არ არის საჭირო მტკიცება იმის, რომ აზიის ბაზრები და მათკენ მიმავალი გზები ბრძოლის მთავარ სარბიელს წარმოადგენენ. ეს გარემოება ქმნის მთელ რიგ ძირითად პრობლემებს, რომლებიც ახალი შეტაკებების ნამდვილ წყაროებს წარმოადგენენ. აქედანვე წარმოსდგება ეგრედწოდებული წყნარ ოკეანეს პრობლემა (ამერიკის, იაპონიის და ინგლისის ანტაგონიზმი), როგორც სათავე ბრძოლისა აზიაში და მისკენ მიმავალ გზებზე პირველობისათვის. აქედან—ხმელთაშუა ზღვის პრობლემა (ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ანტაგონიზმი), როგორც სათავე ბრძოლისა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე უპირატესობისათვის, როგორც სათავე ბრძოლისა აღმოსავლეთისაკენ მიმავალ უმოკლეს გზებისათვის. აქედან—ნავთის პრობლემის გამწვავება (ინგლისისა და ამერიკის ანტაგონიზმი), რადგან რომ უნავთოდ შეუძლებელია, ხოლო ვისაც უპირატესობა აქვს ნავთის საქმეში, მას მომავალ ომში გამარჯვების შანსებიც აქვს. ინგლისურ პრესაში ახლახან გამოქვეყნდა ჩემბერლენის „უკანასკნელი" გეგმა ხმელთაშუა ზღვის პრობლემის „მოწესრიგების" შესახებ. ამ გეგმის ხანამდვილისათვის მე პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებ. მაგრამ, რომ პრესაში ჩემბერლენის გეგმის დაბეჭდვა სიმპტომს წარმოადგენს, ამაში იჭვი არავის უნდა ეპარებოდეს. ეს გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ სირიის „მანდატი" საფრანგეთის ხელიდან იტალიის ხელში გადადის. ტანჟერი გადაეცემა საფრანგეთს, სამაგიეროდ ესპანეთი ფინანსიურ კომპენსაციას მიიღებს, გერმანიას უბრუნდება კამერუნი, იტალია ვალდებულებას კისრულობს თავი დაანებოს ბალკანეთზე „მოუსვენრობას" და სხვ. ყველაფერი ეს ხდება საბჭოეთთან ბრძოლის დროშის ქვეშ. ცნობილია, რომ ახლა არც ერთი საძაგლობა ისე არ კეთდება, რომ საბჭოები ბინძურ საქმეში არ ჩარიონ. მაგრამ, რაში მდგომარეობს ამ გეგმის ნამდვილი აზრი. გეგმის აზრს შეადგენს ის, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია სირიიდან გამოაძევონ. სირია ძველთაგანვე ალაყაფის კარს წარმოადგენდა აღმოსავლეთისაკენ, მესოპოტამიისა და ეგვიპტისაკენ. სირიიდან შეიძლება ზიანი მიაყენო ინგლისს სუეცის არხის რაიონშიც, მესოპოტამიის რაიონშიც. და აი, ალბად, ჩემბერლენს სურს ბოლო მოუღოს ასეთს არასასიამოვნო გარემოებას. თქმა არ უნდა, რომ ამ გეგმის მოთავსება პრესაში შემთხვევით არ აიხსნება. ამ ფაქტის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ის ნათლად ახასიათებს იმ კინკლაობას, იმ კონფლიქტებს და სამხედრო შეტაკებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ეგრედწოდებულ დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობიდან.

რაც შეეხება ნავთის პრობლემის ახლანდელ მდგომარეობას და მის გარშემო ბრძოლას, ამის შესახებ ძალიან მჭერმეტყველურად ლაპარაკობს თავის ოქტომბრის ნომერში ცნობილი ამერიკული ჟურნალი „უორლდს უორკი": „მეტად რეალური საფრთხე მოელის მშვიდობიანობას და ანგლო-საქსურ ერების ურთიერთ გაგებას. სამინისტრო მით უფრო მეტად დაუჭერს მხარს ამერიკელ საქმიან პირებს, რაც უფრო მეტად გაიზრდება ამის საფრთხე. თუ ბრიტანეთის მთავრობა მხარს დაუჭერს ბრიტანეთის ნავთის მრეწველობას მაშინ ადრე თუ გვიან ამერიკის მთავრობაც ასევე მოიქცევა ამერიკელ ნავთის მრეწველთა მიმართ. ბრძოლა ისე ვერ გადაიქცევა მთავრობათა ბრძოლად, რომ ომის საფრთხე მეტის-მეტად არ გაიზარდოს. იჭვები შეუძლებელია: საქმე შეეხება სახელმწიფოთა ახალი კოალიციების ორგანიზაციას, რომ მომზადდეს ახალი ომები საგარეო ბაზრებისათვის, ნედლი მასალის წარმოებისათვის, მათკენ მიმავალი გზებისათვის".

იყო თუ არა ცდა, რომ „მშვიდობიანად მოწესრიგებულიყო" თანდათან, მომწიფებული სამხედრო კონფლიქტები საანგარიშო პერიოდში? დიახ, იყო, უფრო მეტი იყო, ვიდრე მოველოდით. მაგრამ ამ ცდებმა არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. პირიქით, ეს ცდები მხოლოდ ნიღაბი გამოდგა სახელმწიფოებისათვის, რომ მათ მოსამზადებელი მუშაობა ეწარმოებიათ ახალი ომებისათვის, ის გამოდგა ნიღაბი, რომელსაც თავის მიზნად აქვს მუშებისა და გლეხების მოტყუება. ავიღოთ ერთა ლიგა, რომელიც ცრუ ბურჟუაზიული პრესის და არა ნაკლებ ცრუ სოციალ-დემოკრატიული პრესის აზრით მშვიდობიანობის იარაღს წარმოადგენს. რა მოიტანა ერთა ლიგის ლაყბობამ მშვიდობიანობის, განიარაღების და შეიარაღების შემცირების შესახებ? კარგი არაფერი, გარდა მასების მოტყუებისა, გარდა ახალ-ახალ შეიარაღებისა, გარდა თანდათან მომწიფებულ კონფლიქტების ახალი გამწვავებისა. განა შემთხვევით მოვლენად ჩაითვლება ის ფაქტი, რომ სამი წელიწადია, რაც ერთა ლიგა ლაყბობს მშვიდობიანობისა და განიარაღების შესახებ და სამი წელიწადია ამ ცრუ ლაყბობას მხარს უჭერს ეგრედწოდებული მე-2 ინტერნაციონალი, „ერები" კი შეიარაღებას განაგრძობენ, აფართოებენ ძველ კონფლიქტებს სახელმწიფოთა შორის, ახალ-ახალ კონფლიქტებს ჰქმნიან და ამგვარად ძირს უთხრიან მშვიდობიანობის საქმეს. რას ადასტურებს საზღვაო შეიარაღებათა შესამცირებლად მოწვეული სამთა (ინგლისი, ამერიკა, იაპონია) კონფერენციის ჩაფლავება, თუ არ იმას, რომ წყნარ ოკეანის პრობლემა ახალი იმპერიალისტური ომების სათავეს წარმოადგენს, რომ სახელმწიფოებს არც განიარაღება სურთ, და არც შეიარაღების შემცირება.

რა გააკეთა ერთა ლიგამ იმისათვის, რომ გაეანქარწყლოს ეს საფრთხე? ან ავიღოთ, მაგალითად, საბჭოთა დელეგაციის ახლანდელი გამოსვლა ჟენევაში ნამდვილ (და არა დეკლარატიულ) განიარაღების საკითხის გარშემო. რითი უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ლიტვინოვის პირდაპირმა და პატიოსანმა დეკლარაციამ სრული განიარაღების შესახებ ერთა ლიგას თავზარი დასცა, ერთა ლიგისათვის „სრულიად მოულოდნელი" გამოდგა. განა ეს ფაქტი იმას არ ადასტურებს, რომ ერთა ლიგა მშვიდობიანობისა და განიარაღების ორგანო კი არ არის, არამედ ახალი შეიარაღებათა დამალვის, ახალი ომების მომზადების იარაღია. სინდისით მოვაჭრე ბურჟუაზიული პრესა ყველა ქვეყნისა, იაპონიიდან მოკიდებული ინგლისამდე, საფრანგეთიდან—ამერიკამდე, გაჰყვირის რაც ძალი და ღონე აქვს, რომ საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ გულწრფელნი არ არიან. თუ ასეა, რატომ არ სურთ შეამოწმონ საბჭოთა წინადადების გულწრფელობა, რატომ პრაქტიკულად არ უნდა შეუდგნენ ეხლავე განიარაღებას, თუნდაც შეიარაღების სერიოზულ შემცირებას. რამ შეუშალა ხელი? ან, ავიღოთ, მაგალითად, კაპიტალისტური სახელმწიფოების „მეგობრობის ხელშეკრულებათა" ახლანდელი სისტემა—საფრანგეთის ხელშეკრულება სამხრეთ-სლავიასთან, იტალიის ხელშეკრულება ალბანეთთან, პილსუდსკის მიერ შეთავაზებული მეგობრობის ხელშეკრულება პოლონეთსა და ლიტვას შორის, ლოკარნოს სისტემა, ლოკარნოს სული. რა არის ყველაფერი ეს თუ არა სისტემა ახალი ომებისა და ძალთა დაჯგუფება მომავალ ომებისათვის? ან, მაგალითად, ავიღოთ შემდეგი ფაქტები: 1913 წლიდან 1927 წლამდე საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების და იაპონიის არმიათა რიცხვმა 1.833.000-დან 2.262.000-დე იმატა. იმავე პერიოდში ამავე ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები გაიზარდა 2.345 მილიონ ოქროს მანეთიდან 3.948 მილიონამდე, აეროპლანების რიცხვი ამ ხუთ ქვეყანაში 1923 წლიდან 1927 წლამდე 2.655-დან 4.340-დე გაიზარდა; ამ ხუთი სახელმწიფოს კრეისერების ტონაჟი 1922 წელს 744.000 ტონას შეადგენდა, 1926 წელს კი 864.000 ტონას.

სამხედრო-ქიმიური საქმის მდგომარეობას ახასიათებს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო-ქიმიური უწყების უფროსის გენერალ ფრეისის შემდეგი განცხადება. „450 კილოგრამიანი წონის ერთი ჰაერო-ქიმიური ყუმბარა, რომელიც ლიუზიტით არის გატენილი, უდაბნოდ გადააქცევს ნიუ-იორკის ათს უბანს, ხოლო 50 აეროპლანიდან ჩამოყრილი 100 ტონა ლიუზიტი მთელ ნიუ-იორკს უდაბნოდ გადააქცევს ერთი კვირით მაინც".

სხვა რას ადასტურებს ყველა ეს ფაქტები, თუ არა იმას, რომ ახალი ომების მზადება თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანება წინ.

ასეთია ბურჟუაზიული სახელმწიფოების საერთოდ, მეტადრე ერთა ლიგის, კერძოდ კი კაპიტალის წინაშე სოციალ-დემოკრატიული ლაქიების „სამშვიდობო" და „განიარაღების პოლიტიკის" შედეგი. წინად შეიარაღების ზრდას იმით ამართლებდენ, რომ გერმანია თავიდან ფეხამდე შეიარაღებული არისო. ახლა ეს საბუთი თავის-თავად იხსნება. განა ცხადი არ არის, რომ შეიარაღების ზრდას იწვევს სახელმწიფოთა შორის ახალი იმპერიალისტური ომების აუცილებლობა, რომ ომის სული ლოკარნოს სულის მთავარ შინაარსს შეადგენს. მე მგონია, რომ ახლანდელი „მშვიდობიანი ურთიერთობა" შეგვიძლია შევადაროთ ძველს გაცვეთილს პერანგს, რომლის ნაფლეთები შეკერილია წვრილი ძაფით. საკმარისია ცოტაოდენი ძალა დაატანოთ თქვენ თავს, გამოსწიოთ ეს ძაფი და რომელსამე ადგილას გასწყვიტოთ, რომ მთელი პერანგი დაიშალოს რომ ნაფლეთების გარდა არაფერი დარჩეს. საკმარისია შეაჯანჯღაროთ ახლანდელი „მშვიდობიანი" ურთიერთობა სადმე—ალბანეთში, ლიტვაში, ჩინეთში ან ჩრდილოეთ აფრიკაში, რომ ნანგრევებად იქცეს მთელი ეს „სამშვიდობო ურთიერთობის შენობა". ასეთ მდგომარეობაში იყო საქმე უკანასკნელი იმპერიალისტური ომის წინ, როდესაც სარაევოს მკვლელობამ ომი გამოიწვია. ასეთ მდგომარეობაშია საქმე ახლაც. სტაბილიზაციას თან სდევს ახალი იმპერიალისტური ომების აუცილებლობა.

მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება

ომის საწარმოებლად საკმაო არ არის შეიარაღებათა ზრდა, საკმაო არ არის ახალი კოალიციების მოწყობა. ამისათვის აუცილებელია აგრეთვე ზურგის კამაგრება კაპიტალისტურ ქვეყნებში. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია სერიოზული ომის წარმოება, თუ მან წინასწარ არ გაამაგრა თავისი საკუთარი ზურგი, არ ალაგმა „თავისი" მუშები და არ ალაგმა „თავისი" კოლონიები აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიული მთავრობების თანდათანობითი გაფაშისტების პოლიტიკა. შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საფრანგეთში ეხლა ბატონობს მემარჯვენე ბლოკი, ინგლისში ხიკსის, დეტერდინგის და ურკვარტის ბლოკი, გერმანიაში—ბურჟუაზიული ბლოკი, იაპონიაში სამხედრო პარტია, იტალიაში და პოლონეთში—ფაშისტური მთავრობები. აქედან—იერიშები მუშათა კლასის წინააღმდეგ, კანონი პროფკავშირთა შესახებ ინგლისში, კანონი ერის შეიარაღების შესახებ საფრანგეთში რვა საათის სამუშაო დღის ლიკვიდაცია მთელ რიგ ქვეყნებში, ბურჟუაზიის შეტევა ყველგან პროლეტარიატის წინააღმდეგ. აქედან—გაძლიერებული რეპრესიები კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების, მიმართ და იმპერიალისტური ჯარების შემადგენლობის გაძლიერება ამ ქვეყნებში, რომელთა (ჯარების) რაოდენობა ერთ მილიონამდე აღწევს; ამასთანავე მათგან 700 ათასზე მეტი დაბანაკებულია ბრიტანეთის „გავლენის სფეროებსა" და „სამფლობელოებში". ძნელი არ არის იმის გაგება, რომ გაფაშისტებული მთავრობების ეს მხეცური რეპრესიები არ შეიძლება უპასუხოდ დარჩენილიყო ჩაგრული ერების მხრივ კოლონიებში და მუშათა კლასის მხრივ მეტროპოლიებში. ისეთ ფაქტებს, როგორიცაა რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა ჩინეთში; ინდონეზიაში და ინდოეთში, არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნეს მსოფლიო იმპერიალიზმის ბედისათვის. თქვენ თვითონ განსაჯეთ. მთელი დედა-მიწის 1.905 მილიონი მოსახლეობიდან კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში სცხოვრობს 1.134 მილიონი,—143 მილიონი სცხოვრობს საბჭოთა კავშირში, 264 მილიონი ისეთ ქვეყნებში; რომლებიც არც კოლონიებს მიეკუთვნება და არც იმპერიალისტურ სახელმწიფოების ჯგუფს და მხოლოდ 368 მილიონი სცხოვრობს მსხვილი კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელნიც ჩაგრავენ კოლონიებს და ნახევარ კოლონიებს. ცხადია, რომ კოლონიალური ქვეყნების რევოლიუციონური გამოფხიზლება მოასწავებს მსოფლიო იმპერიალიზმის აღსასრულს. იმ ფაქტს, რომ ჩინეთის რევოლიუციამ ჯერ კიდევ არ გამოიწვია პირდაპირი გამარჯვება იმპერიალიზმზე; არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეს რევოლიუციის პერსპექტივებისათვის. დიდი სახალხო რევოლიუციების საბოლოო გამარჯვება საერთოდ არასოდეს არ ხდება პირველი გამოსვლისთანავე ეს რევოლიუციები იზრდება და მტკიცდება გამარჯვებების და დამარცხებების გზით. ასე იყო ყველგან და მათ შორის რუსეთშიაც. ასევე იქნება ჩინეთში. ჩინეთის რევოლიუციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგი არის ის ფაქტი, რომ მან რამოდენიმე ასეული მილიონი ჩაგრული და გაუვლეფილი გამოაფხიზლა და აამოძრავა, გამოაშკარავა გენერალთა ხროვის კონტრ-რევოლიუციონური ბუნება, ჩამოხადა ნიღაბი კონტრრევოლიუციის მსახურ გომინდანელებს, გაამტკიცა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი ფართო მასებში; რევოლიუციონური მოძრაობა აიყვანა მაღალ საფეხურზე, საბჭოების შექმნის საფეხურზე; ახალი იმედები გააღვიძა ინდოეთის; ინდონეზიის და სხვ. ქვეყნების მრავალი მილიონიან ჩაგრულ კლასებში. მხოლოდ ბრმებს და სულმოკლეებს შეუძლიათ შეიტანონ ეჭვი იმაში; რომ ჩინეთის მუშები და გლეხები მიდიან ახალი რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების გზით. რაც შეეხება ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას, ჩვენ აქაც გვაქვს მუშათა ფართო მასების გამემარცხენებისა და რევოლიუციონური გამოცოცხლების აშკარა ნიშნები. ისეთი ფაქტები, როგორიცაა, ინგლისის მუშათა საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვა, მუშათა რევოლიუციონური გამოსვლა ვენაში; რევოლიუციონური დემონსტრაციები საფრანგეთში და გერმანიაში საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის გამო, გერმანიის და პოლონეთის კომპარტიების გამარჯვება არჩევნებში; მუშათა მოძრაობის აშკარა დიფერენციაცია ინგლისში; რის გამო მუშები მიდიან მარცხნივ, ხოლო ბელადები —მარჯვნივ, აშკარა სოციალ-იმპერიალიზმისაკენ მეორე ინტერნაციონალის გადაგვარება იმპერიალისტური ერთა ლიგის. პირდაპირ დამატებად, სოციალ-დემოკრატიული პარტიების ავტორიტეტის დაცემა მუშათა კლასის ფართო მასებში, კომინტერნისა და მისი სექციების გავლენისა და ავტორიტეტის განუწყვეტელი ზრდა ყველა ქვეყნების პროლეტარებს შორის, საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის ზრდა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ კლასებს შორის, „საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი", და სხ.,—ყველა ეს ფაქტები უდავოდ მოწმობენ რომ ევროპა რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების ახალ პერიოდში გადადის; თუ ასეთმა ფაქტმა; როგორიც იყო საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა: გამოიწვია მუშათა კლასის დემონსტრაციები, ეს უდავოდ მოწმობს; რომ მუშათა კლასის წიაღში დაგროვდა რევოლიუციონური ენერგია, რომელიც ეძებს საბაბს და მიზეზს; ხანდახან; გარეგანი შეხედვით; სრულიად უმნიშვნელო შემთხვევას; რომ აღმოხეთქოს და თავზე დაატყდეს კაპიტალისტურ რეჟიმს. ჩვენ ვცხოვრობთ ახალი რევოლიუც. მოძრაობის გაძლიერების ხანაში, როგორც კოლონიებში ისე მეტროპოლიებში. სტაბილიზაციის ნიადაგზე იზრდება ახალი რევოლიუციონური მოძრაობა.

ამგვარად ჩვენ გვაქვს ყველა ნიშნები იმისა, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი განიცდის მეტად ღრმა კრიზისს და სულ უფრო და უფრო მეტად ეთხრება ძირი მის სიმტკიცეს. თუ ომის შემდგომი—1920-21 წლის დროებითი კრიზისი თავისი ქაოსით სახელმწიფოების შიგნით და კავშირის გაწყვეტით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, შეიძლება ჩაითვალოს აღმოფხვრილად, რის გამოც დადგა კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდი, სამაგიეროდ კაპიტალიზმის ძირითადი კრიზისი, რომელიც დაიწყო ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებით და საბჭოთა კავშირის მოწყვეტით მსოფლიო კაპიტალისტური სისტემიდან, არამც თუ არ აღმოფხვრილა, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ძირს უთხრის მსოფლიო კაპიტალიზმის არსებობის საფუძვლებს. სტაბილიზაციამ არა თუ არ შეუშალა ხელი ამ ძირითადი კრიზისის განვითარებას, არამედ პირიქით, შექმნა ნიადაგი მისი შემდგომი განვითარებისათვის. ბაზრებისათვის ბრძოლის გაძლიერება, მსოფლიოს და გავლენის სფეროების ხელმეორედ განაწილების აუცილებლობა, ბურჟუაზიული პაციფიზმისა და ერთა ლიგის კრახი, გააფთრებული მუშაობა ახალი კოალიციების შესაქმნელად ახალ ომების შესაძლებლობის გამო, შეიარაღებათა თავბრუდამხვევი ზრდა, მხეცური რეპრესიები მუშათა კლასისა და კოლონიალური ქვეყნების მიმართ, რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა კოლონიებსა და ევროპაში, კომინტერნის ავტორიტეტის ზრდა მთელ მსოფლიოში, და დაბოლოს, საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცება და მისი ავტორიტეტის გაძლიერება ევროპის მუშებსა და კოლონიების მშრომელ მასებს შორის,—ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომელთაც არ შეუძლია, არ შეარყიონ მსოფლიო კაპიტალიზმის საფუძვლები.

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია სულ უფრო და უფრო დამპალი და მერყევი ხდება. თუ ორი წლის წინედ შეიძლებოდა და უნდა გველაპარაკა რევოლიუციონური ტალღის უკუქცევაზე ევროპაში, ეხლა ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ევროპა აშკარად შედის ახალი რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების სტადიაში. მე უკვე არაფერს ვამბობ კოლონიალურ ქვეყნებზე, სადაც იმპერიალისტების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კატასტროფიული ხდება.

დაიმსხვრა კაპიტალისტების გეგმები, რომელნიც იმედს ამყარებდენ იმაზე, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი „მოთვინიერდებოდა", „მორჯულდებოდა" და გადაგვარდებოდა კაპიტალისტურ სახელმწიფოდ, რომ თითქოს დაეცემოდა მისი ავტორიტეტი ევროპის მუშებსა და კოლონიების მშრომელ მასებში. საბჭოთა კავშირი იზრდება,—იზრდება სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა.

მისი გავლენა მთელი მსოფლიოს მუშებსა და თვით საბჭოთა კავშირის არსებობა, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის არსებობა არის მსოფლიო იმპერიალიზმის გახრწნის, მისი სიმტკიცის შერყევის ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი როგორც ევროპაში, ისე კოლონიებში. საბჭოთა კავშირი აშკარად ხდება ევროპის მუშათა კლასისა და კოლონიების ჩაგრული ერების დროშათ. იმ მიზნით, რომ გზა გაუკაფონ მომავალ იმპერიალისტურ ომებს, რაც შეიძლება შეავიწროვონ „საკუთარი" მუშათა კლასი და ალაგმონ „საკუთარი" კოლონიები კაპიტალისტური ზურგის გასამაგრებლად, საჭიროა უპირველეს ყოვლისა ალაგმვა საბჭოთა კავშირის—რევოლიუციის კერისა და რევოლიუციონური მოძრაობის გამავრცელებელი ქვეყნის, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს გამსაღებელ ბაზარს კაპიტალისტური ქვეყნებისათვის.—აქედან ინტერვენციონისტული ტენდენციების გამოცოცხლება იმპერიალისტებს შორის, საბჭოთა კავშირის იზოლაციის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის გარემოცვის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირთან ომის პირობების მომზადების პოლიტიკა. ინტერვენციონისტული ტენდენციების გაძლიერება იმპერიალისტების ბანაკში და ომის საფრთხე (საბჭოთა კავშირის მიმართ) ეხლანდელი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. კაპიტალიზმის კრიზისის გაძლიერების პირობებში ყველაზე უფრო მეტად დაზარალებული და ყველაზე უფრო მეტი საფრთხის ქვეშმყოფი არის ინგლისის ბურჟუაზია. მან იკისრა ინიციატივა ინტერვენციონისტული ტენდენციების გაძლიერების საქმეში ცხადია, რომ საბჭოთა მუშების მიერ დახმარების აღმოჩენა ინგლისის მემაღაროებისათვის, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის თანაგრძნობა ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობისადმი, იყო ცეცხლზე ნავთის დასხმა. ყველა ამ პირობებმა გამოიწვია ინგლისის მიერ ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან და ურთიერთობის გამწვავება მთელ რიგ სახელმწიფოებთან.

ორი ტენდენციის ბრძოლა კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაში, —ბრძოლა სამხედრო აგრესიის ტენდენციისა (უპირველეს ყოვლისა ინგლისი) და მშვიდობიანი ურთიერთობის გაგრძელების ტენდენციისა (მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური ქვეყნები) ამჟამად არის ძირითადი ფაქტორი ჩვენი საგარეო ურთიერთობის სისტემაში.

ფაქტები, რომელნიც მოწმობენ მშვიდობიანი ურთიერთობის ტენდენციას საანგარიშო პერიოდში, შემდეგია: ხელშეკრულება ოსმალეთთან თავდაუსხმელობის შესახებ, საგარანტიო ხელშეკრულება გერმანიასთან, საბაჟო შეთანხმება საბერძნეთთან, შეთანხმება გერმანიასთან კრედიტების შესახებ, ცნობა ურუგვაის მიერ, საგარანტიო ხელშეკრულება ავღანისტანთან, საგარანტიო ხელშეკრულება ლიტვასთან, წინასწარი ხელისმოწერა საგარანტიო ხელშეკრულებაზე ლატვიასთან, სავაჭრო ხელშეკრულება ოსმალეთთან, კონფლიქტის მოწესრიგება შვეიცარიასთან, ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ სპარსეთთან, ურთიერთობის გაუმჯობესება იაპონიასთან, ეკონომიური კავშირის გაძლიერება ამერიკასთან და იტალიასთან.

ფაქტები, რომელნიც მოწმობენ სამხედრო აგრესიის ტენდენციას საანგარიშო პერიოდში, არის ინგლისის ნოტა გაფიცული მემაღაროებისათვის დახმარების აღმოჩენის გამო, თავდასხმა პეკინში, ტიანძინში და შანხაიში, თავდასხმა არკოსზე, ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან ინგლისის მიერ, ვოიკოვის მოკვლა, ინგლისის მიერ დაქირავებული აგენტების ტერორისტული აქტები საბჭ. კავშ, ურთიერთობის გამწვავება საფრანგეთთან რაკოვსკის გამოწვევის საკითხის გამო. თუ 2 წლის წინეთ შეიძლებოდა და უნდა გველაპარაკა ერთგვარი წონასწორობისა და „მშვიდობიანად ცხოვრების" პერიოდზე საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ეხლა ჩვენ გვაქვს ყოველგვარი საფუძველი ვამტკიცოთ, რომ „მშვიდობიანად ცხოვრების" პერიოდი თავდება და ის მაგივრად იწყება იმპერიალისტური თავდასხმებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მზადების პერიოდი. ინგლისის ცდა შექმნა მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჯერ-ჯერობით მარცხით დამთავრდა. ამის მიზეზია: ინტერესთა წინააღმდეგობა იმპერიალისტების ბანაკში, ზოგიერთი ქვეყნების დაინტერესება ეკონომიური კავშირის დამყარებით საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა, ევროპის მუშათა კლასის წინააღმდეგობა, იმპერიალისტების შიში, რომ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამ არ გამოიწვიოს რევოლიუცია მათ ქვეყნებში. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ინგლისი ხელს აიღებს თავის მუშაობაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად, რომ იგი ვერ შესძლებს ასეთი ფრონტის შექმნას. ომის საფრთხე ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ცდები ამ მხრივ ჯერ-ჯერობით მარცხით დამთავრდა. აქედან ამოცანა—გათვალისწინებულ იქნას წინააღმდეგობანი იმპერიალისტების ბანაკში, ომი რამე „წაუგდოთ", რათა გაჭიანურდეს, გადაიდოს ომის დაწყების დრო და მივიღოთ ყოველგვარი ზომები მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვისათვის. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ბევრი რამ ჩვენი მშენებლობის საქმეში დამოკიდებულია იმაზე, შევსძლებთ თუ არა გადავაჭიანუროთ კაპიტალისტურ მსოფლიოსთან დრო ომის დაწყებისა, რომელიც აუცილებელია, მაგრამ რომელიც შეიძლება გადადებულ იქნას ან იმ მომენტამდე, სანამ არ მომწიფდება პროლეტარული რევოლიუცია ევროპაში, ან იმ მომენტამდე, სანამ სავსებით არ მომწიფდება კოლონიალური რევოლიუციები, ან დაბოლოს იმ მომენტამდე, სანამ კაპიტალისტები ერთმანეთს არ წაეჩხუბებიან კოლონიების განაწილების გამო. ამიტომ მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება კაპიტალისტურ ქვეყნებთან, აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს ჩვენთვის. კაპიტალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ დაშვებულია ორი მოწინააღმდეგე სისტემის არსებობა. პრაქტიკამ სავსებით გაამართლა იგი.

ზოგჯერ დაბრკოლებას წარმოადგენს კრედიტებისა და ვალების საკითხი. ჩვენი პოლიტიკა აქ ნათელია. ეს პოლიტიკა კონკრეტულად გამოიხატება ფორმულაში: „იძლევი—მოგცემ". იძლევი კრედიტებს ჩვენი მრეწველობის განაყოფიერებისათვის,—მიიღებ ომამდე არსებული ვალების განსაზღვრულ ნაწილს, რომელსაც ჩვენ ვსთვლით კრედიტების დამატებით პროცენტად. არ მოგვცემ სესხს, ვერც ვალის ნაწილს მიიღებ. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენ ერთგვარი მიღწევები გვაქვს სამრეწველო კრედიტების მიღების საკითხში. მე ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს არა მარტო გერმანია, არამედ აგრეთვე ამერიკა და ინგლისი. რაშია აქ საიდუმლოება? საიდუმლოება იმაშია, რომ ჩვენი ქვეყანა უდიდეს ბაზარს წარმოადგენს მოწყობილობათა შემოსატანად, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებს ესაჭიროება სწორედ ამგვარი პროდუქტების გასაღება.

საბოლოო შედეგათ ჩვენ გვაქვს: პირველი—წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტური გარემოცვის შიგნით, მსოფლიოს ახალი განაწილების აუცილებლობა ომის გზით, კაპიტალისტურ მსოფლიოს ერთი ნაწილის ინტერვენციონისტული ტენდენციები—ინგლისის მეთაურობით და ის კაპიტალისტური მსოფლიოს მეორე ნაწილს არ სურს ჩაერიოს საბჭოთა კავშირთან ომის საქმეში და ამ ნაწილს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია საეკონომიო ურთიერთობის განმტკიცება ჩვენთან, არსებობს ბრძოლა ამ ორ ტენდენციის შორის და საბჭოთა კავშირს აქვს ერთგვარი შესაძლებლობა ისარგებლოს ამ წინააღმდეგობებით მშვიდობიანობის დასაცავად. მეორე ჩვენ გვაქვს სტაბილიზაციის დაშლა, კოლონიალურ-რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა, ახალი რევოლიუციონური მოძრაობის ზრდის ნიშნები ევროპაში, კომინტერნისა და მისი სექციების ავტორიტეტის ზრდა მთელ მსოფლიოში, ევროპის მუშათა შირისადმი, საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდა ქვეყნის შიგნით, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ავტორიტეტის გამტკიცება მთელი მსოფლიოს ჩაგრულ კლასებს შორის. აქედან პარტიის ამოცანები: 1) საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის ხაზით: ბრძოლა კომუნისტური პარტიების განვითარებისათვის მთელ მსოფლიოში, ბრძოლა რევოლიუციონური პროფკავშირებისა და მუშათა ფრონტის განმტკიცებისათვის კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, ბრძოლა მეგობრობის განსამტკიცებლად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს შორის. ბრძოლა კავშირის გასაძლიერებლად საბჭოთა კავშირის მუშებისა და კოლონიალური ქვეყნების განმანთავისუფლებელი მოძრაობის შორის. 2) საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ხაზით: ბრძოლა ახალი იმპერიალისტური ომების მზადებისათვის, ბრძოლა ინგლისის ინტერვენციონისტულ ტენდენციებთან, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, მშვიდობიანობის პოლიტიკა და მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება კაპიტალისტურ ქვეყნებთან, ჩვენი საქონლის ბრუნვის გაფართოება, დაახლოება ეგრედ-წოდებულ „სუსტ" „არასრულუფლებიან" სახელმწიფოებთან, რომელნიც გაბატონებული იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩაგვრას და ექსპლოატაციას განიცდიან.

ამხ. ი. სტალინი

სოციალისტურ მშენებლობის მიღწევები და საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა

სახალხო მეურნეობის ზრდა

ნება მიბოძეთ ამხანაგებო, გადავიდე ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობაზე და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მიღწევებზე, საკითხზე პროლეტარიატის დიქტატურის, მისი განვითარებისა და განმტკიცების შესახებ.

პარტიის მე-14 ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს გასძღოლოდა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეს შემდეგი ძირითადი ამოცანების თვალსაზრისით: ჯერ-ერთი, რომ ჩვენი პოლიტიკა უნდა ყოფილიყო მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების შესაფერი მთლიანად, მეორე—პარტიის პოლიტიკას ხელი უნდა შეეწყო ინდუსტრიის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის და იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო ინდუსტრიის ხელმძღვანელი როლი მთელ სახალხო მეურნეობაში. მესამე—სახალხო მეურნეობის განვითარების მსვლელობაში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორისა და მეურნეობის სოციალისტური ფორმების ხვედრითი წონის სულ უფრო და უფრო ზრდა კერძო კაპიტალისტურ სექტორის ხარჯზე, მეოთხე—მთელი ჩვენი მეურნეობა მთლიანად: ინდუსტრიის ახალ დარგების მოწყობა, ნედლეულის განსაზღვრულ დარგების განვითარება და სხვ. უნდა წარმართულიყო იმ ხაზით, რომ საერთო განვითარებას უზრუნველეყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, რომ ჩვენი ქვეყანა არ გადაქცეულიყო მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დამატებათ, მეხუთე—პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა კლასისა და გლეხთა მასების ბლოკი და მუშათა კლასის ხელმძღვანელობა ამ ბლოკში უნდა გაძლიერებულიყო, მეექვსე—მუშათა კლასისა და აგრეთვე სოფლის ღარიბ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა შეუწყვეტლად უნდა გაზრდილიყო. რა გააკეთა ამ ამოცანების ასრულების მხრივ ჩვენმა პარტიამ და ცენტრალურმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში? პირველი საკითხი—სახალხო მეურნეობის განვითარება მთლიანად. მე აქ მომყავს რამოდენიმე ძირითადი ციფრი სახალხო მეურნეობის ზრდის შესახებ მთლიანად, და კერძოთ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის შესახებ საანგარიშო პერიოდში. ვღებულობ ამ ციფრებს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებიდან. მე მხედველობაში მაქვს სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები 1927—28 წლისათვის და ხუთწლიან გეგმის პროექტი.

მთელი სახალხო მეურნეობის ზრდა ორი წლის განმავლობაში: თუ 1924—25 წელში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია სახელმწიფო საგეგმო კომისიის ახალი გამოანგარიშებით შეადგენდა ომის წინა დროის 87,3 პროცენტს, მთელი მრეწველობის პროდუქცია კი შეადგენდა ომის წინ ადროის 63,7 პროცენტს, ამჟამად, ორი წლის შემდეგ, 1926—27 წელში სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენს უკვე 108,3 პროცენტს, მრეწველობის პროდუქცია კი 100,9 პროცენტს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრებით ნავარაუდევია სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემდგომი ზრდა ომის წინადროის 111,8 პროცენტამდე, მრეწველობის კი—114,4 პროცენტამდე.

სავაჭ.-საშუამავლო ბრუნვის ზრდა ჩვენს ქვეყანაში ორი წლის განმავლობაში: თუ 1924—25 წლის ბრუნვის სიდიდეს მივიღებთ 100-ად (14.613 მილიონი ჩერვონოული მანეთი), 1926—27 წელში ადგილი აქვს ზრდას 97 პროცენტით (28.775 მილიონ მან.), 1927—28 წლისათვის კი ნავარაუდევია შემდგომი ზრდა 116 პროცენტამდე (33.440 მილიონი მან.).

ჩვენი საკრედიტო სისტემის განვითარება ორი წლის განმავლობაში: თუ მივიღებთ ყველა ჩვენ საკრედიტო დაწესებულებათა ნაკრებ ბალანსებს 1925 წლის ოქტომბრის 1-სთვის 100-ად (5.343 ჩერვ. მანეთი), 1927 წლის ივლისის 1-სათვის ადგილი აქვს ზრდას 53 პროცენტით (8175 მილ. მან.). საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ 1927—28 წელში ადგილი ექნება ჩვენი ნაციონალიზაციაქმნილი საკრედიტო სისტემის შემდგომ ზრდას.

რკინის გზის ტრანსპორტის განვითარება ორი წლის განმავლობაში: თუ 1924—25 წელში მთელი ჩვენი რკინის გზების ქსელის ტვირთბრუნვა უდრიდა ომის წინა დროის 63,1 პროცენტს, ამჟამად, 1926—27 წელში ჩვენ გვაქვს 99,1 პროც., 1927—28 წელში კი გვექნება 111,6 პროც. მე უკვე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი რკინისგზების ქსელი გაიზარდა 74,4 ათას კილომეტრამდე, რაც შეადგენს ზრდას ომის წინა დროის დონესთან შედარებით, 1917 წელთან შედარებით კი—8,9 პროც.

სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა ორი წლის განმავლობაში: თუ ნაკრები ბიუჯეტი (მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი პლიუს ადგილობრივი ბიუჯეტები) 1925—26 წელში შეადგენდა 72,4 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით (5024 მილიონი მანეთი), ამჟამად, 1927—28 წელში, ნაკრებმა ბიუჯეტმა უნდა შეადგინოს ომის წინა დროის 110—112 პროცენტი (7 მილიარდ მანეთზე მეტი). ორი წლის განმავლობაში ზრდა უდრის 41,5 პროც.

საგარეო ვაჭრობის ზრდა ორი წლის განმავლობაში: თუ 1924-25 წელს საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1282 მილიონ მანეთს შეადგენდა, ე. ი. ომის წინადროსთან შედარებით 27 პროც., ახლა, 1926-27 წელს საერთო ბრუნვა უდრის 1483 მილიონ მანეთს, ე. ი. 33,6 პროც. ომის წინადროსთან შედარებით; 1927-1928 წელს კი საერთო ბრუნვა ნავარაუდევია 1626 მილიონ მანეთად, ე. ი. 37,9 პროც. ომის წინადროსთან შედარებით.

საგარეო ვაჭრობის განვითარების შენელებული ტემპის მიზეზებია: ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჩვენს საგარეო ვაჭრობას ხშირად დაბრკოლებებს უქმნიან, რაც ზოგჯერ ფარულ ბლოკადად იქცევა ხოლმე. მეორე—ის ფაქტი, რომ ჩვენ ვერ ვივაჭრებთ ბურჟუაზიული ფორმულის მიხედვით: „ჩვენ კუჭს არ გავაძღობთ, გატანით კი გავიტანთო". აქ პლიუსს წარმოადგენს 1926-1927 წლის საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსი 57 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს პირველი წელიწადია 1923-1924 წლის შემდეგ, როცა საგარეო ვაჭრობის ბალანსი პლიუსით გამოიხატება.

ორი წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ მთელი ნაციონალური შემოსავლის საერთო ზრდის შემდეგი სურათი: თუ ვიანგარიშებთ, რომ 1924-1925 წელს საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი 15.589 მილიონ მანეთს (ჩერვონცის) შეადგენდა, მაშინ 1925-26 წელს ჩვენ გვქონდა 20.252 მილიონი მანეთი, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში 29,9 პროც. იმატა, ხოლო 1926-1927 წელს—22.560 მილიონი მანეთი, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში 11,4 პროც. იმატა. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების მიხედვით 1927-1928 წელს ჩვენ გვექნება 24.208 მილიონი მანეთი. ე. ი. 7,3 პროც. ზრდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შეერთებული შტატების ნაციონალური შემოსავლის საშუალო წლიური ზრდა 3—4 პროც. არ აღემატება (მხოლოდ ერთხელ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, შეერთებულ შტატებს ჰქონდათ ნაციონალური შემოსავლის ზრდის 7 პროც.) თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სხვა ქვეყნების, მაგალითად, ინგლისისა და გერმანიის ნაციონალური შემოსავლის ყოველწლიური ზრდა არ აღემატება 1—3 პროც., მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი უკანასკნელი წლების განმავლობაში სარეკორდოა ევროპისა და ამერიკის მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

დასკვნა: ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა სწრაფის ტემპით იზრდება. პარტიის ამოცანაა: ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარება წარმოების ყველა დარგში კვლავ წინ წავწიოთ.

ჩვენ მივდივართ სოციალიზმის გზით

ჩვენში სახალხო მეურნეობის განვითარება ბრმად კი არ სწარმოებს, ეს ზრდა არ ხდება პროდუქციის უბრალო რიცხვობრივი ზრდის წესით, არამედ ხდება გარკვეული, სასტიკად განსაზღვრული მიმართულებით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში გადამწყვეტ ფაქტორს ორი ძირითადი გარემოება წარმოადგენს:

უპირველესად ყოვლისა, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება სწარმოებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ნიშნის ქვეშ, მრეწველობის როლის ზრდის ნიშნის ქვეშ სასოფლო-მეურნეობის დარგში. შემდეგ, სახალხო მეურნეობის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარება სწარმოებს მეურნეობის სოცალისტური ფორმების ხვედრითი წონის და მბრძანებელი როლის გაძლიერების მიმართულებით, როგორც წარმოების დარგში, ისე საქონლის ტრიალის დარგშიაც. ეს განვითარება სწარმოებს კერძო საქონლის კაპიტალისტური სექტორის ხარჯზე.

ციფრები სახალხო მეურნეობის სისტემაში (ტრანსპორტის და ელექტროფიკაციის გამოკლებით) მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდის შესახებ: თუ მრეწველობის პროდუქციის საერთო ჯამი 1924-25 წ. ომის წინადროინდელ ფასებით შეადგენდა მთელი სახალხო მეურნეობის 32,4 პროცენტს, სასოფლო-მეურნეობა კი—67,5 პროცენტს, 1926-27 წ. მრეწველობის წილი გაიზარდა 38 პროც.-მდე, ესეც მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის წილი დაეცა 62 პროც.-მდე, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი უნდა იქნეს შემცირებული 59,8 პროცენტამდე.

ციფრები იარაღის წარმოების და საწარმოო საშუალებათა დამზადების ხვედრითი წონას ზრდის შესახებ, რაც წარმოადგენს ინდუსტრიის ძირითად ღერძს მთელ მრეწველობასთან შედარებით ორი წლის განმავლობაში: 1924-25 წ. წარმოების საშუალებათა წილია 34,1 პროც. 1926-27 წ.—37,6 პროც. 1927-28 წ .განზრახულია ეს ციფრი აყვანილი იქნეს 38,6 პროც.-დე.

ციფრები საწარმოო საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონის ზრდის შესახებ სახელმწიფო მსხვილ მრეწველობაში ორი წლის განმავლობაში: 1924-25 წ.—42 პროც., 1926-27 წ.—34 პროც., ხოლო 1927-28 წ. განზრახულია აყვანილი იქნეს 44,9 პროცენტამდე.

რაც შეეხება მრეწველობის საქონლის პროდუქციას და მის ხვედრითი წონას საქონლის მთელ მასაში, მრეწველობის წილი ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 1924-25 წ. 53,1 პროცენტიდან 1926-27 წ. 59,5 პროცენტამდე, 1927-28 წელს-კი უნდა მიაღწიოს 60,7 პროც., მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის საქონლის პროდუქციის წილი 1924-25 წელს შეადგენდა 46,9 პროც., 1926-27 წ. შემცირდა 40,5 პროც.-მდე, 1927-28 წელს-კი უნდა შემცირდეს 39,3 პროც.მდე.

დასკვნა: ჩვენი ქვეყანა ხდება ინდუსტრიალურ ქვეყნათ.

პარტიის ამოცანები: ყველა ზომებით ხელი უნდა შეეწყოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

ციფრები მეურნეობის სოციალისტური ფორმების ხვედრითი წონისა და ხელმძღვანელი როლის ზრდის შესახებ კერძო საქონლის და კაპიტალისტურ სექტორების ხარჯზე 2 წლის განმავლობაში. მაშინ როდესაც სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორისათვის გადადებული კაპიტალური თანხები (სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობა, ტრანსპორტი და ელექტროფიკაცია) იზრდებოდა 1924-25 წ. 1231 მილ. მანეთიდან 1926-27 წლის 2.683 მილ. მანეთამდე, ხოლო 1927-28 წელს უნდა დაიხარჯოს 3.456 მილ. მანეთი, რაც შეადგენს 43,8 პროც.—1924-25 წ. და 65,3 პროც.—1927-28 წ.—სახალხო მეურნეობის არა განსაზოგადოებულ სექტორის კაპიტალური ხარჯი თანდათან ეცემოდა შედარებით და უმნიშვნელოთ იზრდებოდა მხოლოდ აბსოლიუტურ ციფრებში—1924-5 წ. 1577 მილ. მან. 1927-28 წ.—1717 მილ. მანეთი, ე. ი. ამ სექტორის ხვედრითი წონა 56,2 პროც.-დან 1924-25 წ. შემცირდა 34,7 პროც.-მდე 1927-28 წ.

იმ დროს, როცა მრეწველობის განსაზოგადოებული სექტორის საერთო პროდუქცია 81 პროცენტიდან 1924-25 წ. გაიზარდა 86 პროცენტამდე მთელს მრეწველობაში 1926-27 წ., ხოლო 1927-28 წ. უნდა გაიზარდოს 86,9 პროცენტამდე, მრეწველობის არა განსაზოგადოებული სექტორის როლი წლიდან-წლამდე ეცემოდა—მთელი მრეწველობის პროდუქციის 19 პროცენტიდან 1924-25 წ.—14 პროცენტამდე 1926-27 წელში, ხოლო 1927-28 წელში უნდა შემცირდეს 13 პროცენტამდე. რაც შეეხება კერძო კაპიტალის როლს მსხვილ (საცენზო) მრეწველობაში,—ის ეცემა არა მარტო შედარებით (3,9 პროც. 1924-25 წელში და 2,4 პროც. 1926-27 წ.), არამედ აბსოლიუტურადაც (169 მი-

საქართველოს

ლიონი ომისწინადროინდელი მანეთი 1924-25 წ. და 165 მილიონი ომისწინადროის მანეთი 1926-27 წ.)

კერძო კაპიტალისტური ელემენტების ასეთივე შევიწროვება გვაქვს ქვეყნის საქონლის ბრუნვის დარგშიაც. იმ დროს, როცა განსაზოგადოებული სექტორის წილი მთელ სავაჭრო საშუამავლო ბრუნვაში 1924—25 წელში შეადგენდა 72,6 პროც., საბითუმო ვაჭრობაში—90 პროც., საცალო ვაჭრობაში—57,3 პროც., 1926-27 წელში განსაზოგადებული სექტორის ხვედრითი წონა მთელ ბრუნვაში გაიზარდა 81,9 პროცენტამდე, საბითუმო ვაჭრობაში—94,9 პროცენტამდე, საცალო ვაჭრობაში—67,4 პროც.-დე; კერძო სექტორის წილი კი ამავე ხნის განმავლობაში მთელ ვაჭრობა-საშუამავლო ბრუნვაში 27,4 პროცენტიდან დაეცა 18,1 პროცენტამდე, საბითუმო ვაჭრობაში 9,4 პროცენტიდან—5,1 პროცენტამდე, საცალო ვაჭრობაში 42,7 პროცენტიდან—32,6 პროც.-დე; ამასთანავე 1927-28 წელში მოსალოდნელია კერძო სექტორის ხვედრითი წონის შემდგომი შემცირება ყოველგვარი სახის ვაჭრობაში.

დასკვნა: ჩვენი ქვეყანა, ავიწროვებს და სდევნის სახალხო მეურნეობიდან კაპიტალისტური ელემენტებს და წინ მიდის სოციალიზმისაკენ გაბედულად და სწრაფად. ეს ფაქტი ფარდას ხდის ჩვენს წინაშე საკითხს: ვინ—ვის

ეს საკითხი დააყენა ლენინმა 1921 წ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ. შევძლებთ თუ არა ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის დაკავშირებას გლეხურ მეურნეობასთან, კერძო ვაჭრისა და კერძო კაპიტალისტის განდევნას და ვაჭრობის შესწავლას, თუ კერძო კაპიტალი დაგვძლევს ჩვენ, ჩამოაგდებს რა განხეთქილებას პროლეტარიატსა და გლეხობას შორის.—აი, როგორ იდგა საკითხი.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ დარგში ჩვენ გვაქვს უკვე უმთავრესი და გადამჭრელი მიღწევები. ამის უარყოფა მხოლოდ ბრმებს ან ჭკუაზე გადამცდართ შეუძლია. მაგრამ ეხლა საკითხი—ვინ—ვის, უკვე სხვა ხასიათს ღებულობს. ეხლა ეს საკითხი ვაჭრობის დარგიდან გადადის წარმოების დარგში, შინამრეწველობის დარგში და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, სადაც კერძო კაპიტალს აქვს თავისი ხვედრითი წონა და საიდანაც საჭიროა მისი სისტემატიური განდევნა.

პარტიის ამოცანას წარმოადგენს: ჩვენი სოციალისტური მბრძანებელი მაღლობების გაფართოება და განმტკიცება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში როგორც ქალაქად, ისე სოფლად სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების განადგურებაზე კურსის აღებით. ნაციონალიზაციაქმნილი მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ზრდა, მრეწველობის რომელიც ქვეყნის მთელ მრეწველობის 77 პროცენტზე მეტს შეადგენს.

თუ 1925-26 წ. მსხვილი ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობის პროდუქციის მატება (ომის წინადროის მანეთებში) წინა წელთან შედარებით შეადგენდა 42,2 პროც., 1926-27 წ. 18,2 პროც., ხოლო 1927-28 წელში შეადგენს 15,8 პროც.,—სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი მნიშვნელოვნად შემცირებული წინასწარი გეგმის მიხედვით პროდუქციის მატება 5 წლის განმავლობაში შეადგენს 76,7 პროც. პროდუქციის საშუალო-არითმეტიკული 15 პროც. ყოველწლიური მატებით და 1931—32 წ. სამრეწველო პროდუქციის ორჯერ გადიდებით ომის წინადროის პროდუქციასთან შედარებით. თუ ავიღებთ ქვეყნის მთელი მრეწველობის, როგორც მსხვილ (სახელმწიფო და კერძო) ისე წვრილ მრეწველობის საერთო პროდუქციას,—მაშინ პროდუქციის ყოველწლიური საშუალო—არითმეტიკული მატება, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, შეადგენს დაახლოვებით 12 პროც., რაც 1931—32 წ. მოგვცემს მთელი სამრეწველო პროდუქციის თითქმის 70 პროც. ზრდას ომის წინადროის დონესთან შედარებით.

მთელი სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა ამერიკაში ხუთი წლის განმავლობაში — 1890—1895 წლებში—შეადგენს 8,2 პროც., 1900—1905 წლებში—2,6 პროც., 1905—1910 წლებში—3,6 პროც. რუსეთში ათი წლის განმავლობაში—1895—1905 წლებში—საშუალო წლიური ზრდა შეადგენს—10,7 პროც., რვა წლის განმავლობაში 1905—1913 წლებში—5,1 პრ. ჩვენი სოციალისტური მრეწველობის პროდუქციის და აგრეთვე მთელი მრეწველობის პროდუქციის ყოველ წლიური ზრდის პროცენტი არის სარეკორდო პროცენტი, რომელიც არ შეიძლება ექნეს არც ერთ მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყანას მთელს მსოფლიოში,და ეს მიუხედავად იმისა, რომ როგორც ამერიკის მრეწველობა, ისე განსაკუთრებით რუსეთის ომის ხანამდე არსებული მრეწველობა მეტად ძლიერ ნაყოფიერდებოდა უცხ. კაპიტალის მძლავრ შემოჭრით, მაშინ როდესაც ჩვენი ნაციონალიზაცია-ქმნილი მრეწველობა იძულებული იყო დაეყრდნობოდა საკუთარი კაპიტალის დაგროვებას. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაციონალიზაცია-ქმნილი მრეწველობა უკვე შევიდა რეკონსტრუქციის პერიოდში, როცა ძველი ქარხნების ახალ ნიადაგზე მოწყობას და ახალი ქარხნების შენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სამრეწველო პროდუქციის ზრდისათვის. ჩვენი მრეწველობა საზოგადოდ და ჩვენი სოციალისტური მრეწველობა კერძოდ დაეწია და წინ უსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნების მრეწველობის განვითარებას. რით აიხსნება ჩვენი მსხვილი მრეწველობის ასეთი არაჩვეულებრივი განვითარების ტემპი? ეს აიხსნება პირველი იმით, რომ ის არის ნაციონალიზაცია-ქმნილი მრეწველობა რის გამოც იგი თავისუფალია კაპიტალისტური ჯგუფების ანგარებით ანტისაზოგადოებრივი ინტერესებისაგან და საშუალება აქვს განვითარდეს მთლიანად საზოგადოების ინტერესების თვალსაზრისით. მეორე იმით, რომ ის არის ყველაზე უფრო მსხვილი, ყველაზე უფრო კონცენტრაცია-ქმნილი მრეწველობა მსოფლიოში არსებულ ყველა მრეწველობათა შორის, რის გამოც მას აქვს ყველა საშუალებანი დაამარცხოს კერძო კაპიტალისტური მრეწველობა, მესამე, იმით, რომ სახელმწიფოს, რომელსაც ხელში უჭირავს ნაციონალიზაცია-ქმნილი ტრანსპორტი, ნაციონალიზაცია-ქმნილი კრედიტი, ნაციონალიზაცია-ქმნილი საგარეო ვაჭრობა და საერთო სახელმწიფო ბიუჯეტი, აქვს ყველა საშუალებანი გეგმიანი წესით უხელმძღვანელოს ნაციონალიზაცია-ქმნილ მრეწველობას, როგორც ერთ მთლიან სამრეწველო მეურნეობას, რაიც უდიდეს უპირატესობას იძლეოდა ყოველგვარი სხვა მრეწველობის წინაშე, რაიც მრავალჯერ უფრო აჩქარებს მისი განვითარების ტემპს. მეოთხე, იმით, რომ ნაციონალიზაცია-ქმნილ მრეწველობას, როგორც ყველაზე მსხვილს, ყველაზე უფრო ძლიერ მრეწველობას, აქვს ყველა საშუალებანი გაატაროს თვითღირებულების შეურყევლად შემცირების, გასაცემი ფასების დაკლების. თავისი პროდუქციის გაიაფების პოლიტიკა, რითაც აფართოებს ბაზარს თავისი პროდუქციისათვის, ადიდებს საშინაო ბაზრის ტევადობას, ქმნის მუდმივ წყაროს მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. მეხუთე, იმით, რომ ნაციონალიზაცია-ქმნილ მრეწველობას, მრავალი მიზეზის გამო, სხვათა შორის ფასების დაკლების პოლიტიკის მეოხებით, შეუძლია განვითარდეს ისეთ პირობებში, როცა სწარმოებს თანდათანობითი დაახლოვება ქალაქსა და სოფელს შორის, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, წინააღმდეგ კაპიტალისტური მრეწველობისა, რომელიც ვითარდება ისეთ პირობებში, როცა იზრდება მტრობა ბურჟუაზიულ ქალაქსა, რომელიც სწოვნის წვენს, ყვლეფავს გლეხობას, და გაღატაკების გზაზე შემდგარ სოფელს შორის. დაბოლოს, იმით, რომ ნაციონალიზაცია-ქმნილი მრეწველობა ემყარება მუშათა კლასს, როგორც მთელი ჩვენი განვითარების ჰეგემონს, რის გამოც მას აქვს საშუალება ძალიან ადვილად განავითაროს ტექნიკა საერთოდ და შრომის ნაყოფიერება კერძოდ, და გამოიყენოს მრეწველობისა და მეურნეობის რაციონალიზაცია, მას აქვს ამის საშუალება იმიტომ, რომ დახმარებას უწევს მუშათა კლასის ფართო მასები, როგორი დახმარებაც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მრეწველობის კაპიტალისტური სისტემის დროს. ყოველივე ამას უდავოდ მოწმობს ჩვენი ტექნიკის სწრაფი ზრდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მრეწველობის ახალი დარგების განვითარება (მანქანათშენება, დაზგების შენება, ავტომშენებლობა, ქიმია და სხ.). ყოველივე ამას მოწმობს წარმოების რაციონალიზაცია, რომელიც ტარდება ისეთ პირობებში, როცა მცირდება სამუშაო დღე (შვიდი საათის სამუშაო დღე), განუწყვეტლივ იზრდება მუშათა კლასის ნივთიერი და კულტურული მდგომარეობა, რაიც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დროს. ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების არაჩვეულებრივი ტემპი აშკარად და უდავოდ ამტკიცებს წარმოების საბჭოთა სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ლენინი მართალი იყო, როცა ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაპყრობამდე, ამბობდა, რომ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ შეგვიძლია დავეწიოთ და უნდა „დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს ეკონომიურადაც და უნდა გაუსწროთ კიდეც მათ“-ო.

პარტიის ამოცანაა: განამტკიცოს სოციალისტური მრეწველობის განვითარების მიღწეული ტემპი და გააძლიეროს ის უახლოეს მომავალში ხელსაყრელ პირობების შესაქმნელად იმისათვის, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

სადაა სოფლისათვის გამოსავალი

სოფლად, პირიქით, ჩვენ გვაქვს პროდუქციის შედარებით ნელი ზრდა. თუ 1925-26 წ. საერთო პროდუქციის ზრდა (ომის წინადროის მანეთებში) წინა წელთან შედარებით შეადგენდა 19,2 პროც., 1926-27 წ.—4,1 პროც. და 1927-28 წ. კი უნდა შეადგენს 3,2 პროც.. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიან გეგმის მნიშვნელოვნად შემცირებულ ვარიანტში პროდუქციის ზრდა ხუთი წლის განმავლობაში უნდა გამოიხატოს 24 პროცენტით, პროდუქციის ყოველწლიური საშუალო-არითმეტიკული ზრდა 4,8 პროც., და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა 1931-32 წელში უნდა გამოიხატოს 28-30 პროცენტით ომის წინადროის პროდუქციასთან შედარებით. ეს არის საშ.-საშ. პროდუქციის მეტად თუ ნაკლებად გვარიანი ყოველწლიური ზრდა, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს არც სარეკორდოდ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, და არც საკმაოდ იმისათვის, რომ დაიცვას შემდეგისათვის საჭირო წონასწორობა სოფლის მეურნეობისა და ჩვენს ნაციონალიზაცია-ქმნილ მრეწველობის შორის. ჩრდ.-ამ. შეერთებულ შტატებში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა 1890—1900 წ. ათწლეულში უდრიდა 9,3 პროც., 1900—1910 წ. ათწლეულში—3,1 პროც., 1910—1920 წ. ათწლეულში 1,4 პროც. ომის წინადროის რუსეთში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა 1900—1911 წ. ათწლეულში უდრიდა 3,2-დან 3,5-დე პროცენტს მართალია, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა 1926-27—1931-32 წ. ხუთწლეულში უნდა გამოხატოს 4,8 პროც., და, როგორც ხედავთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის პროცენტი საბჭოთა პირობებში მეტია ამ პროდუქციის ზრდასთან შედარებით კაპიტალისტურ რუსეთის პერიოდში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინ, როდესაც ნაციონალიზაცია ქმნილ მრეწველობის საერთო პროდუქცია 1931-32 წელში გაიზრდება თითქმის ორჯერ მრეწველობის ომის წინადროის პროდუქციასთან შედარებით, და მთელი მრეწველობის პროდუქცია კი 1931-32 წელში გადააჭარბებს ომის წინადროის დონეს დაახლოვებით 70 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია იმავე დროს გადააჭარბებს ომის წინადროის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მხოლოდ 28-30 პროცენტით, ე. ი. მესამედზე ნაკლებით, ამის გამო ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ დამაკმაყოფილებლად

რით აიხსნება სოფლის მეურნეობის განვითარების ასეთი ნელი ტემპი ჩვენი ნაციონალიზაცია-ქმნილი მრეწველობის განვითარების ტემპთან შედარებით? ეს აიხსნება როგორც ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მეტის - მეტი ჩამორჩენილობით და სოფლის კულტურულ მდგომარეობის მეტის - მეტად დაბალი დონით, ისე განსაკუთრებით იმით, რომ ჩვენს დაქსაქსულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არ მოეპოვება ის უპირატესობანი, რომლებიც აქვს ჩვენს მსხვილ გაერთიანებულ ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობას. სასოფლო - სამეურნეო წარმოება უწინარეს ყოვლისა არ არის ნაციონალიზაციაქმნილი და გაერთიანებული, ის დაქსაქსულია და დაფანტული ნაჭერ - ნაჭერად. ის არ სწარმოებს გეგმიანობის წესით და უმთავრესად ემორჩილება წვრილი წარმოების სტიქიას. ის არ არის გაერთიანებული და განმტკიცებული კოლექტივიზაციის ხაზით, რის გამოც ჯერ კიდევ წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს ექსპლოატაციისათვის კულაკურ ელემენტების მხრივ. ეს გარემოება უსპობს დაქსაქსულ სოფლის მეურნეობას გაერთიანებულ და გეგმიანობის წესით წარმოებულ მსხვილ წარმოების კოლოსალურ უპირატესობებს, რომლებიც აქვს ჩვენ ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობას.

სად არის გამოსავალი სოფლის მეურნეობისათვის? შესაძლებელია ეს გამოსავალი იყოს საერთოდ ჩვენი მრეწველობის და კერძოდ ჩვენი ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობის განვითარების ტემპის შენელება. არავითარ შემთხვევაში. ეს იქნებოდა უგულოდ რეაქციონური და არა პროლეტარული უტოპია. (ხმები: „მართალია“). ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობა უნდა განვითარდეს დაჩქარებული ტემპით, ამაშია გარანტია ჩვენი წინმსვლელობისა სოციალიზმისაკენ. ამაშია იმის გარანტია, რომ ინდუსტრიალიზაციაქმნილი იქნება თვით სოფლის მეურნეობაც.

სად არის გამოსავალი? გამოსავალი მდგომარეობს წვრილ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ გაერთიანებულ მეურნეობისაკენ გადასვლაში მიწის საზოგადოებრივ, კოლექტიურ დამუშავების საფუძველზე ახალი უმაღლეს ტექნიკის ბაზისზე, გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ წვრილ და უწვრილესი გლეხური მეურნეობანი თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ, არა იძულებით, არამედ მაგალითის მიცემით და დაჯერებით გაერთიანდენ მსხვილ მეურნეობებში მიწის საზოგადოებრივი ამხანაგური კოლექტიური დამუშავების საფუძველზე სასოფლო-სამეურნ. მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენებით, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მიზნით მეცნიერული ხერხების გამოყენებით. სხვა გამოსავალი არ არსებობს. უამისოდ ჩვენი სასოფლო მეურნეობა ვერ დაეწევა და ვერც გაუსწრებს სასოფლო სამეურნეო მხრით უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს (კანადა და სხვ.). ყველა ჩვენი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სასოფლო - მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და სოფლის სოციალისტური ელემენტების განვითარებისაკენ, ღონისძიებანი, რომლებსაც მივმართავთ გლეხურ მეურნეობათა კოოპერატიული განვითარების კალაპოტში მოსაქცევად და სოფელზე სახელმწიფოს გეგმიანი ზეგავლენის მოსახდენად როგორც საქონლის მიწოდებისა და გასაღების, ისე წარმოების მხრით ყველა ეს ღონისძიებანი, მართალია, გადამჭრელი ხასიათისაა, მაგრამ მაინც წარმოადგენენ მოსამზადებელ ღონისძიებებს სასოფლო - მეურნეობის კოლექტივიზმის საფუძველზე გადასაყვანად.

რა გააკეთა პარტიამ ამ მიმართულებით ორი წლის განმავლობაში? გაკეთებულია საკმაოდ ბევრი რამ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ყველაფერი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. რაც შეეხება სასოფლო - მეურნეობასთან დამოკიდებულებას, ასე ვსთქვათ, გარედან, სასოფლო - მეურნეობისათვის საჭირო საქონლის მიწოდებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების მხრით, ჩვენ გვაქვს შემდეგი მიღწევები: სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია ამჟამად აერთიანებს დაახლოებით ყველა გლეხურ - მეურნეობათა ერთ მესამედს. სამომხმარებლო კოოპერაციამ სოფლის მომარაგება 25,6 პროცენტიდან 1924—25 წ. გაადიდა 50,8 პროცენტამდე. 1926—27 წ. კოოპერატიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გასაღება 55,7 პროცენტიდან 1924 25 წელში გაადიდეს 63 პროცენტამდე, 1926 27 წელში. რაც შეეხება სასოფლო - მეურნეობაში სახელმწიფო გეგმიანობის შეტანას, ასე ვთქვათ, შიგნიდან სასოფლო - სამეურნეო წარმოების ხაზით, უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ ძალიან ცოტა რამ გავაკეთეთ. საკმარისია აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ამჟამად იძლევიან მთელი სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის 2 პროც. ცოტა მეტს და საქონლის პროდუქციის 7 პროც. ცოტა მეტს. მიზეზები აქ, რა თქმა უნდა, ბევრია, როგორც ობიექტიური, ისე სუბიექტიური. საქმისადმი არასწორი მიდგომა, ამ საქმისადმი არა საკმაო ყურადღება ჩვენი მუშაკების მხრით, გლეხობის კონსერვატიზმი და ჩამორჩენილობა, საშუალებათა ნაკლებობა გლეხების გადაყვანისათვის მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე და სხვა. აქ კი საჭიროა დიდი საშუალებები. ლენინი ამბობდა მე-10 ყრილობაზე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ფონდები, რომლებიც საჭიროა სოფლის მეურნეობის დასაქვემდებარებლად სახელმწიფოთ ან კოლექტიურ ხელმძღვანელობისათვის. მე ვფიქრობ, რომ ეს ფონდები ახლა ჩვენ გვექნება და ისინი თანდათან უნდა გაიზარდოს. ამ დროის კი იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების გარეშე მათი გადაყვანის გარეშე მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე, შეუძლებელია რამოდენიმედ დაწინაურდეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და მაშინიზაცია. შეუძლებელია საქმის ისე დაყენება, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა თავის განვითარების ტემპით დაეწიოს კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგალითად, კანადას, ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი სოფლის მუშაკების ყურადღება მივაპყროთ ამ მნიშვნელოვან საქმეზე. მე ვფიქრობ, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებთან არსებულმა გასაქირავებელმა პუნქტებმა უნდა ითამაშოს ამ საქმეში უდიდესი როლი. აი ერთ - ერთი იმის მაგალითი, თუ ზოგჯერ როგორ ეხმარებიან საბჭოთა მეურნეობები გლეხობას მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე გადასასვლელად, რაც უაღრესად ხელსაყრელია გლეხობისათვის. მე მხედველობაში მაქვს ის დახმარება, რომელიც აღმოუჩინა უკრაინის საბჭოთა მეურნეობის გაერთიანებამ ოდესის რაიონის გლეხებს ტრაქტორების მიწოდებით, და ამ გლეხების სამადლობელი წერილი, რომელიც დაბეჭდილი იყო ამას წინად „იზვესტია“-ში.

ნება მომეცით წავიკითხო წერილის ტექსტი (ხმები: „გთხოვთ“).

„ჩვენ, შევჩენკოს, კრასინის, კალინინის სახელობის ხუტორები — „ჩერვონა ზირკა“ და „ვისხოდიაშჩეე სოლნცე“ ულრმეს მადლობას უძღვნით საბჭოთა ხელისუფლებას იმ უდიდესი დახმარებისათვის, რომელიც მან აღმოგვიჩინა ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეში. ჩვენ უმრავლესობა ვართ ღარიბები, რომელთაც უცხენოდ და უინვენტაროდ არ შეგვეძლო დაგვემუშავებია ჩვენთვის გამოყოფილი მიწის ნაჭერი და იძულებული ვიყავით მიწა იჯარით მგვეცა კულაკებისათვის. მოსავალი ძალიან ცუდი გამოვიდა, ვინაიდან როგორც ცნობილია, მოიჯარადრე კარგად არ დამუშავებს სხვის მიწას. იმ მცირე კრედიტებს, რომლებსაც ვიღებდით სახელმწიფოსაგან, ჩვენ ვხარჯავდით და ყოველ წლობით უფრო და უფრო ვღატაკდებოდით. წელს ჩვენთან ჩამოვიდა უკრაინის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების წარმომადგენელი და წინადადება მოგვცა ფულადი კრედიტების ნაცვლად ტრაქტორებით დაგვემუშავებდა მიწას. ყველა გადასახლებულები, გარდა ცალკე კულაკებისა, დასთანხმდენ, თუმცა ნაკლებად სჯეროდათ, რომ მუშაობა რიგიანად იქნებოდა შესრულებული. ჩვენდა სასიხარულოდ და კულაკების სამწუხაროდ ტრაქტორებმა მშვენივრად გადახნეს მიწა, გასწმინდეს მთელი ველი და დასთესეს წმინდა ხარისხის ხორბალი. ეხლა კულაკები ვეღარ დასცინიან ტრაქტორების რაზმის მუშაობას. წელს, ჩვენს რაიონში გლეხობამ უწვიმობის გამო თითქმის ვერ დასთესა შემოდგომის პური, და იმ მიწებში, სადაც დაითესა, ჯერ კიდევ არ ამოსულა; ხოლო ჩვენი — გადასახლებულების ველზე მწვანედ ბიბინებს მრავალი ასეული დესეტინა ჯეჯილი, როგორიც არ არის არც ერთ ყველაზე უმდიდრეს გერმანელთა კოლონიებში. შემოდგომის ხორბლის დათესვის გარდა ტრაქტორებმა მოხნეს მთელი მიწა, საზაფხულო პურის დასათესად. ეხლა ჩვენ არ გვაქვს არც ერთი დესეტინა მიწა რომელიც გამოუყენებელი ან იჯარით გაცემული იყოს. ჩვენში არ არის არც ერთი გლეხი, რომელსაც არ ქონდეს რამდენიმე დესეტინა დამუშავებული მიწა. ტრაქტორების იმ მუშაობის შემდეგ, რომელიც ჩვენ ვიხილეთ, ჩვენ აღარ გვინდა გვქონდეს წვრილი მეურნეობა, და გადავწყვიტეთ მოვაწყოთ საზოგადოებრივი სატრაქტორო მეურნეობა, რომელშიაც აღარ იქნება ცალკე ნათესი მიწების პატარა ნაჭრები. ამ სატრაქტორო მეურნეობის მოწყობა ჩვენში იკისრა ტარას შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელთანაც დავსდეთ ხელშეკრულება“.

(„იზვესტია“ № 267, 1927 წლის 22 ნოემბრის ნომერი).

რაც შეიძლება მეტი უნდა იყოს ასეთი მაგალითები და მაშინ შეიძლება ამ საქმის წინ წაწევა. პარტიის ამოცანაა: გააფართოვოს საგლეხო მეურნეობათა შეკავშირება კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ, საქონლის გასაღებისა და მიწოდების ხაზით, სოფლად ჩვენი მშენებლობის მორიგ პრაქტიკულ ამოცანად უნდა დაისვას დაქსაქსულ გლეხთა მეურნეობათა თანდათანობითი გადაყვანა გაერთიანებულ მსხვილ მეურნეობათა, მიწის საზოგადოებრივ, კოლექტიური დამუშავების ნიადაგზე, მიწათმოქმედების მაშინიზაციის, ინტენსიფიკაციის საფუძველზე იმ ანგარიშით, რომ განვითარების ასეთი გზა არის უმნიშვნელოვანესი საშუალება სასოფლო - მეურნეობის განვითარების ტემპის აჩქარებისათვის და კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისათვის სოფლად. ასეთია საერთოდ მიღწევათა შედეგები სამეურნეო მშენებლობის დარგში.

უარყოფითი მხარეები უნდა ავიცილოთ

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ დარგში ყველაფერი რიგზე გვაქვს. არა, ჩვენ ბევრი რამ არ გვაქვს რიგზე. ჩვენ, მაგალითად, გვაქვს საქონლის ნაკლებობის ელემენტები. ეს მინუსია ჩვენს მეურნეობაში. მაგრამ ეს მინუსი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აუცილებელია. ის ფაქტი, რომ ჩვენ საწარმოო იარაღების და საშუალებების წარმოებას ვავითარებთ უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მსუბუქ ინდუსტრიას, ეს ფაქტი თავის თავად წინასწარ განსაზღვრავს, რომ ჩვენ საქონლის ნაკლებობის ელემენტები გვექნება უახლოესი წლების განმავლობაშიაც. მაგრამ ჩვენ სხვანაირად არ შეგვიძლია მოვიქცეთ, თუ ჩვენ გვინდა წავსწიოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. არის ხალხი, როგორც მაგალითად, ჩვენი ოპოზიცია, რომელიც მასალებს თავისი იდეოლოგიისათვის იღებს სპეკულიანტურ კუდებში, გაიძახის საქონლის ნაკლებობაზე, და ამასთანავე მოითხოვს „ზეინდუსტრიალიზაციას“. მაგრამ ეს სისულელეა, ამხანაგებო. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ უვიცებს. ჩვენ არ შეგვიძლია შევკვეცოთ და არ უნდა შევკვეცოთ მძიმე ინდუსტრია მსუბუქი ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარების გულისათვის. თვით მსუბუქი ინდუსტრიაც არ შეიძლება საკმაოდ განვავითაროთ, თუ არ დაჩქარდა მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპი. შეიძლება დამზადებული საქონლის შემოტანის გადიდება და ამგვარად საქონლის ნაკლებობის მოსპობა, რასაც ერთ დროს მოითხოვდა ოპოზიცია. მაგრამ ეს სისულელეა, რომელზედაც უარი უნდა ეთქვა ოპოზიციას. სხვა საკითხია რამდენად მოხერხებულად ვაწარმოებთ ჩვენ საქონლის ნაკლებობასთან ბრძოლას, რაც სავსებით შესაძლოა ჩვენ პირობებში და რასაც ყოველთვის მოითხოვდა პარტია. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ სფეროში არ არის ჩვენში ყველაფერი რიგზე. გარდა ამისა არის ასეთი ფაქტი, რომ კაპიტალისტების საკმაო რიცხვი მოიპოება როგორც მრეწველობის სფეროში, ისე ვაჭრობის სფეროში. ამ ელემენტების ხვედრითი წონა არც ისე უმნიშვნელოა, როგორც ეს ზოგიერთ ამხანაგებს აქვთ წარმოდგენილი. ესეც მინუსათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი მეურნეობის ბალანსში, ამას წინად მე წავიკითხე ლარინის ყოველ მხრივ საინტერესო წიგნი „კერძო კაპიტალი საბჭოთა კავშირში“. მე ურჩევ ამხანაგებს წაიკითხონ ეს წიგნი. თქვენ ამ წიგნში დაინახავთ, თუ როგორ მოხერხებულად ეფარება კაპიტალისტი სამრეწველო კოოპერაციის დროშას, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის დროშას, ამა თუ იმ სავაჭრო ორგანოების დროშას. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ შევზღუდოთ, შევამციროთ და განვდევნოთ დაბოლოს კაპიტალისტური ელემენტები სახალხო მეურნეობის სფეროდან. ვფიქრობ, რომ არა. მე ვიცი, მაგალითად, რომ შინამრეწველობის სფეროში საერთოდ და ტყავის და საფეიქრო შინამრეწველობაში კერძოდ, არიან საკმაოდ ბევრი ახალი მილიონერები, რომელნიც იმონებენ წვრილ მრეწველებს და საერთოდ წვრილ მწარმოებლებს. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ ეკონომიური ზომებით განვდევნოთ ეს ექსპლოატატორული ელემენტები შინამრეწველობიდან, შევაკავშიროთ შინამრეწველნი კოოპერაციასთან ან სახელმწიფო ორგანოებთან? აშკარაა, რომ ამ სფეროში არ კეთდება ყველაფერი, რის გაკეთებაც შეიძლება. მაშინ, როცა ამ საკითხს ჩვენთვის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ კულაკების ერთგვარ ზრდას სოფლად. ეს უნდა ჩაითვალოს მინუსად ჩვენი მეურნეობის ბალანსში. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისთვის, რომ შევზღუდოთ და გავამარტოოთ ეკონომიურად კულაკობა? ვფიქრობ, რომ არა. არ არიან მართალნი ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კულაკს ბოლო უნდა მოუღოთ ადმინისტრატიულ ზომების საშუალებით, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საშუალებით. ეს საშუალება ადვილია, მაგრამ არ მოგვცემს იმ შედეგს, რომელიც საჭიროა ჩვენთვის. კულაკი უნდა დავსძლიოთ ეკონომიური ღონისძიებებით რევოლიუციონურ კანონიერების საფუძველზე. რევოლიუციონური კანონიერება კი ცალიერი ფრაზა როდია. ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ კულაკის წინააღმდეგ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგიერთი საჭირო ადმინისტრატიული ზომები. მაგრამ ადმინისტრატიულ ზომებმა არ უნდა დაიჭირონ ეკონომიურ ხასიათის ღონისძიებათა ადგილი. ჩვენს კოოპერატიულ ორგანოების პრაქტიკაში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული ხაზის გამრუდებას კულაკობასთან ბრძოლის სფეროში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ასეთი ფაქტი, როგორც მრეწველობის თვითღირებულების და სამრეწველო საქონლის საგასაცემო ფასების დაკლების მეტად ნელი ტემპი, განსაკუთრებით ქალაქის საქონლის საცალო ფასების დაკლების ნელი ტემპი. ესეც მინუსია ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ბალანსში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აქ ჩვენ ვაწყდებით დიდ წინააღმდეგობას როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ, ისე პარტიულ აპარატის მხრივ. ჩვენს ამხანაგებს, როგორც სჩანს, არ ესმით, რომ სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების პოლიტიკა არის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი ჩვენი მრეწველობის გასაუმჯობესებლად, ბაზრის გასაფართოებლად და იმ წყაროს გასაძლიერებლად, რომლის ბაზისზე უნდა განვითარდეს ჩვენი ინდუსტრია. აშკარაა, რომ მხოლოდ დაუზოგველი ბრძოლის გზით აპარატის ამ უმოძრაობასთან, აპარატის ამ წინააღმდეგობასთან ფასების დაკლების პოლიტიკის გატარების საქმეში, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ აღნიშნულ მინუსის მოსპობას. დაბოლოს, ჩვენ გვაქვს ისეთი მინუსები, როგორც არაყი ბიუჯეტში, საგარეო ვაჭრობის განვითარების მეტად ნელი ტემპი და რეზერვების ნაკლებობა. ვფიქრობ, რომ შეიძლება დავიწყოთ არაყის წარმოების თანდათანობით შეკვეცა და ისეთი წყაროების გაფართოება, როგორიცაა რადიო და კინო. და მართლაც, რატომ არ უნდა ავიღოთ ხელში ეს უმნიშვნელოვანესი საშუალებანი და არ ჩავაყენოთ ამ საქმეში ნამდვილი გამოცდილი ბოლშევიკები, რომლებიც წარმატებით გააფართოებენ საქმეს, რაც საშუალებას მოგვცემს შევკვეცოთ, დაბოლოს, არაყის წარმოება. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, მე ვფიქრობ, რომ მთელი რიგი სიძნელენი, რომლებიც ჩვენ გვაქვს მეურნეობის სფეროში, აიხსნება ექსპორტის ნაკლებობით.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ წინ წავაწიოთ ექსპორტის საქმე? ვფიქრობ, რომ შეგვიძლია. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ რაც შეიძლება გავაფართოვოთ ექსპორტი? ვფიქრობ, რომ არა. იგივე უნდა ითქვას რეზერვების შესახებ. არ არიან მართალნი ის ამხანაგები, რომელნიც ხან წინდაუხედაობით და ხან კიდევ საქმის უცოდინარობის გამო ამბობენ, რომ ჩვენ არა გვაქვს რეზერვი. არა, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ცოტაოდენი რეზერვი. ჩვენი სახელმწიფოს ყველა ორგანოები, დაწყებული სამაზრო და საგუბერნიო და გათავებული საოლქო და ცენტრალურ ორგანოებით ცდილობენ შემოინახონ ცოტა რამ შავი დღისათვის. მაგრამ ეს რეზერვები ცოტაა. ეს უნდა ვაღიაროთ. ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავადიდოთ რეზერვები რამდენათაც შესაძლოა, თუ გინდ ზოგიერთ მიმდინარე მოთხოვნილებათა შემცირების გზით. ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ნაკლოვანებანი. რომელთაც უნდა მივაქციოთ ყურადღება და რომელნიც უნდა აღმოვფხვრათ ყოველ მიზეზს გარეშე, რათა მოგვეცეს უფრო ჩქარი ტემპით წინსვლის შესაძლებლობა.

ეხლა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო საკითხებიდან გადავიდეთ საკითხებზე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება

მუშათა კლასი

ციფრები მუშათა კლასისა და საერთოდ დაქირავებულ შრომის პირთა რაოდენობის ზრდის შესახებ. დაქირავებულ შრომის პირები (უმუშევართა გარდა) 1924—25 წელში იყო 8.215,000 1926—27 წ. 10,346,000 ზრდა უდრის 25 პროცენტს. აქედან ფიზიკურ შრომის პირები იყო, სასოფლო - სამეურნეო და სეზონურ მუშების ჩათვლით, 1924—25 წ.—5.448.000, 1926—27 წ.—7,060.000. ზრდა უდრის 29,6 პრ. აქედან მსხვილი მრეწველობის მუშები იყო 1924—25 წ. 1 794 000, 1926—27 წ.—2.388,000 ზრდა უდრის 33 პროცენტს.

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა. დაქირავებულ შრომის პირთა წილი ნაციონალურ შემოსავალში 1924—25 წ. შეადგენდა 24,1 პროც., 1926—27 წელში კი ეს მონაწილეობა გაიზარდა 29.4 პროცენტამდე, რაც აჭარბებს ნაციონალურ შემოსავალში დაქირავებულ შრომის პირთა წილის ომის წინადროის ნორმებს 30 პროცენტით, მაშინ, როდესაც სხვა სოციალურ ჯგუფების, მათ შორის ბურჟუაზიის წილი ნაციონალურ შემოსავალში ამ პერიოდში შემცირდა (მაგალითად, ბურჟუაზიის წილი 5,5 პროცენტიდან დაეცა 4,8 პროცენტამდე). მუშათა რეალური სამუშაო ხელფასი მთელ. სახელმწიფო მრეწველობაში ანარიცხების გარეშე 1924—25 წელში შეადგენდა 25,18 მოსკოვის პირობით მანეთს თვეში, 1926—27 წ.—32,14 მანეთს, რაც იძლევა ზრდას ორი წლის განმავლობაში 27.6 პროცენტით და 5,4 პროცენტით სჭარბობს ომის წინა დროის დონეს ანარიცხებით (სოცდაზღვევა, კულტურული საჭიროებანი, კომუნალური შეღავათები და სხვა), სამუშაო ხელფასი 1924—25 წელში შეადგენდა ომის წინადროის 101,5 პროცენტს, 1926 — 27 წ.—128,4 პროცენტს, სოციალური დაზღვევის ფონდები, რომლებიც 1924—25 წელში შეადგენდა 461 მილიონ მანეთს, 1926—27 წ. გაიზარდა 852 მილიონამდე, ე. ი. 85 პროცენტით, რამაც შესაძლებელი გახადა დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში 513,000 კაცის გატარება, 460,000 უმუშევართათვის და 700.000 პენსიონერთათვის (შრომისა და სამოქალაქო ომის ინვალიდები) დახმარების მიცემა და ავადმყოფ მუშებისათვის სრული ხელფასის მიცემა ავადმყოფობის განმავლობაში, ხარჯები მუშათა საბინაო მშენებლობაზე ორი წლის წინად, 1924—25 წელში, შეადგენდა 132 მილიონზე მეტს, 1925—26 წ.—230 მილიონზე მეტს, 1926—27 წ.—282 მილიონს, 1927—28 წელში კი შეადგენს 819 მილიონზე მეტს, 50 მილიონის ჩათვლით, რომელიც გადადებულია ცეკის მანიფესტით.

სულ გასულ სამი წლის განმავლობაში მუშათა საბინაო მშენებლობაზე, ინდივიდუალურის გარდა, დახარჯულია მრეწველობის, ტრანსპორტის, აღმასკომების და კოოპერაციის ხაზით 644,7 მილიონი მანეთი, 1927—28 წლისათვის გადადებულ თანხების ჩათვლით კი 1.086 მილიონი მანეთი. ამ თანხებმა სამი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახადა 4.594.000 კვადრატ. მეტრ საბინაო სივრცის აგება და 207.000 მუშის დაკმაყოფილება, ოჯახებთან ერთად კი 900,000-მდე კაცის.

საკითხი უმუშევრობის შესახებ. მე უნდა ვსთქვა, რომ აქ უთანხმოება არსებობს საკავშირო პროფსაბჭოსა და შრომის სახალხო კომისარიატს შორის. მე ვღებულობ შრომის სახალხო კომისარიატის ციფრებს, ვინაიდან ისინი ეხება ნამდვილ უმუშევარ ელემენტებს, რომლებიც დაკავშირებული არიან შრომის ბირჟებთან.

შრომის სახალხო კომისარიატის ცნობებით უმუშევართა რიცხვი 950.000-დან გაიზარდა 1.048,000-მდე. აქედან ინდუსტრიალური მუშებია — 16,5 პროც., ინტელიგენტურ შრომის და უკვალიფიკაციო მუშები კი — 74 პროც. ამრიგად ჩვენი უმუშევრობის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოფლის ჭარბი მოსახლეობა და მხოლოდ მეორე ხარისხოვან წყაროს—ჩვენი მრეწველობის რამოდენიმედ შეუსებლობა ინდუსტრიალურ მუშების განსაზღვრული მინიმალური შემადგენლობით. ჯამი: მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის უეჭველი გაუმჯობესება მთლიანად. პარტიის ამოცანაა: განაგრძოს ხაზი მუშათა კლასის მატერიალური და კულტურულ მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და მუშათა კლასის სამუშაო ხელფასის შემდგომი ზრდისათვის.

გლეხობა

მე ვფიქრობ, რომ გლეხობის დიფერენციაციის საკითხის შესახებ საჭირო არ იქნება ციფრების მოყვანა, ვინაიდან ჩემი მოხსენება უისოდაც გაჭიანურდა, ციფრები კი ყველასათვის ცნობილია. უეჭველია, რომ დიფერენციაცია პროლეტარული დიქტატურის პირობებში არ შეიძლება გაუთანაბროთ დიფერენციაციას კაპიტალისტურ წყობილების დროს: კაპიტალიზმის დროს იზრდება უკიდურესობანი, ღარიბი გლეხობა და კულაკობა, საშუალო შეძლების გლეხობა კი სუსტდება, ჩვენში, პირიქით, იზრდება საშუალო შეძლების გლეხობა, ვინაიდან ღარიბ გლეხობის განსაზღვრული ნაწილი გადადის საშუალო გლეხობაში, აგრეთვე იზრდება კულაკი, ღარიბი გლეხობა კი მცირდება. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურად, როგორც იყო, ისევ რჩება საშუალო გლეხი. მასთან ბლოკს ღარიბ გლეხზე დაყრდნობით აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მთელი ჩვენი აღმშენებლობის ბედისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

სოფლის მატერიალური მდგომარეობის საერთო ჯამი

ჩვენ გვაქვს ციფრები გლეხურ მოსახლეობის შემოსავლის ზრდის შესახებ. გლეხურ მოსახლეობის შემოსავალი ორი წლის წინად, 1924—25 წელში უდრიდა—3.548.000,000 მანეთს, 1925—26 წელში ეს შემოსავალი გაიზარდა 4.792.000.000 მანეთამდე, ე. ი. 35,1 პროცენტით, ამავე დროს კი გლეხური მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა 2,38 პროცენტით. ეს იმის უდაო მაჩვენებელია, რომ სოფლად ხდება მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაუმჯობესდა გლეხობის ნივთიერი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონებში. ცნობილია, რომ ამ წლების განმავლობაში ზოგან ცუდი მოსავალი იყო 1924 წლის ცუდი მოსავლის შედეგები ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღმოფხვრილი. აქედან—სახელმწიფო დახმარება მშრომელ გლეხობას საზოგადოდ და ღარიბ გლეხობას კერძოდ. სახელმწიფოს დახმარება მშრომელ გლეხობისათვის 1925 წელში უდრიდა 373 მილიონი მან., 1926 წელში—373 მილიონ მან. და 1927 წელში —427 მილიონ მანეთს. სპეციალური დახმარება ღარიბ გლეხობას 1925-26 წლის განმავლობაში: ულარიბეს მეურნეობათათვის დასახმარებლად თანხების გადადების ხაზით—38 მილიონი მან., ღარიბ მეურნეობათა საგადასახადო შეღავათისათვის—44 მილიონი მან., ულარიბეს მეურნეობათა დასაზღვევი შეღავათებისათვის 9 მილ. მან., სულ 91 მილიონი მანეთი. სპეციალური დახმარება ღარიბ გლეხობას1926-27 წელში. ულარიბეს მეურნეობათათვის დახმარების აღმოსაჩენად—39 მილიონი მან., საგადასახადო შეღავათისათვის—52 მილიონი მან., დასაზღვევი შეღავათისათვის—9 მილიონი მანეთი. ამის შედეგია: გლეხობის ძირითადი მასების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

პარტიის ამოცანები: განაგრძოს ხაზი გლეხობის ძირითად მასების და უპირველეს ყოვლისა მთელი ღარიბი გლეხობის ნივთიერი და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განამტკიცოს მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, ასწიოს მუშათა კლასის და მისი პარტიის ავტორიტეტი სოფლად.

ახალი ბურჟუაზია და ინტელიგენცია

„ახალი ბურჟუაზიის დამახასიათებელია ის, რომ მას, წინააღმდეგ მუშათა კლასისა და გლეხობისა. არ აქვს საფუძველი კმაყოფილი იყოს საბჭოთა ხელისუფლებით. მისი უკმაყოფილება არ არის შემთხვევითი რამ. ამ უკმაყოფილებას თავისი ფესვები აქვს ცხოვრებაში. მე თქვენ გელაპარაკეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდაზე, ჩვენი მრეწველობის ზრდაზე, სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდაზე, კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონის დაცემაზე, ბაზრიდან კერძო ვაჭრების განდევნაზე. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენი მრეწველობა, ჩვენი სავაჭრო ორგანოები იზრდება, ათი ათასობით წვრილი და საშუალო კაპიტალისტები კოტრდებიან.

რამდენი წვრილი და საშუალო დუქანი დაიკეტა ამ წლების განმავლობაში? ათასობით. რამდენი მრეწველი გაპროლეტარდა? ათასობით. რამდენი მოსამსახურე ელემენტი განთავისუფლდა ჩვენი სახელმწიფო აპარატის შტატების შემოკლების დროს? ასეული ათასობით. ჩვენი მრეწველობის, ჩვენი სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოების წინ-წაწევა, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება და გაუმჯობესება პლიუსით მუშათა კლასისათვის, პლიუსით გლეხობის ძირითადი მასებისათვის, მაგრამ მინუსით ახალი ბურჟუაზიისათვის. მინუსით საშუალო ფენებისათვის საერთოდ და საშუალო ფენებისათვის ქალაქში განსაკუთრებით. განა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ ფენებში იზრდება უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ცხადია, რომ არ უნდა გაგვიკვირდეს. აქედან—კონტრრევოლიუციონური განწყობილება ამ ფენებში. აქედან—„სმენოვეხოველთა“ იდეოლოგია, როგორც სამოდო საქონელი ახალი ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბაზარზე.

შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ყველა მოსამსახურე ელემენტები, მთელი ინტელიგენცია განიცდის უკმაყოფილებას, ბუზღუნის მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. უკმაყოფილების ზრდასთან ერთად ახალი ბურჟუაზიის წიაღში, ჩვენ გვაქვს დიფერენციაციის ფაქტი ინტელიგენციაში, „სმენოვეხოველებისაგან“ ჩამოშორების ფაქტი, ასობით და ათასობით მშრომელი ინტელიგენციის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადასვლის ფაქტი. ეს საგულისხმო ფაქტია, რომელიც უნდა აღინიშნოს. ამის დამწყებია ტექნიკური ინტელიგენცია, ვინაიდან იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოების პროცესთან და ამიტომ არ შეუძლია არ დაინახოს, რომ ბოლშევიკებს ჩვენი ქვეყნის საქმე მიჰყავთ წინ. ასეთი უზარმაზარი წარმოებები, როგორიც არის ვოლხოვსტროი, დნეპროსტროი, სვირსტროი, თურქესტანის გზა, ვოლგოდონი და მთელი რიგი ახალი უდიდესი ქარხნები, რომელთა ბედზე არის დამოკიდებული ტექნიკური ინტელიგენციის მთელი ფენების ბედი, არ შეიძლება დამთავრდეს ისე, რომ ამ ფენებზე არ მოახდინოს ერთგვარი კეთილსასურველი გავლენა. ეს მათთვის არის არა მარტო ლუკმა პურის საკითხი. ეს ამასთანავე არის სინდისის, შემოქმედების საქმე, რომელიც ბუნებრივად აახლოებს მათ მუშათა კლასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მე აღარაფერს არ ვამბობ სოფლის მშრომელი ინტელიგენციის, მეტადრე სოფლის მასწავლებლობის შესახებ, რომელმაც უკვე კარგა ხანია პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ და არ შეუძლია გულმხურვალედ არ მიეგებოს სასკოლო საქმის განვითარებას სოფლად. ამიტომ, ინტელიგენციის განსაზღვრულ წრეებში უკმაყოფილების ზრდასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ მშრომელი ინტელიგენციის დაკავშირებას მუშათა კლასთან. პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განაგრძოს ახალი ბურჟუაზიის იზოლაციის გეზი, გაამაგროს მუშათა კლასის კავშირი ქალაქისა და სოფლის მშრომელ საბჭოთა ინტელიგენციასთან.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინ აღმდეგ

ბიუროკრატიზმის შესახებ იმდენს ლაპარაკობენ, რომ საჭირო არ არის ამაზე სიტყვის გაგრძელება. რომ ბიუროკრატიზმის ელემენტები არსებობს სახელმწიფო, კოოპერატიულ და პარტიულ აპარატში, ამის შესახებ არავინ წამოგვედავება. რომ ბიუროკრატიზმის ელემენტებთან ბრძოლის აუცილებლობა ისეთი ამოცანაა, რომელიც მუდამ დასახული გვექნება, სანამ სახელმწიფო ხელისუფლება არსებობს, სანამ არსებობს სახელმწიფო,—ესეც ფაქტია. მაგრამ ზომის დაცვა მაინც საჭიროა. სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მიყვანა იქამდე, რომ გავაქარწყლოთ სახელმწიფო აპარატი, სახელი გაუტეხოთ სახელმწიფო აპარატს, ვეცადოთ მის დანგრევას, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ლენინიზმის წინააღმდეგ წავიდეთ, დავივიწყოთ, რომ ჩვენი აპარატი საბჭოთა აპარატია, რომელიც მთელ მსოფლიოში არსებულ ყველა სახელმწიფო აპარატთან შედარებით თავისი ტიპით უმაღლეს სახელმწიფო აპარატს წარმოადგენს. რა შეადგენს ჩვენი სახელმწიფო აპარატის ძალას? ის, რომ იგი საბჭოების საშუალებით აკავშირებს ხელისუფლებას მუშებისა და გლეხების მილიონიან მასებთან; ის, რომ საბჭოები ათეულ და ასეულ ათას მუშებისა და გლეხებისათვის მართვა-გამგეობის სკოლაა; ის, რომ სახელმწიფო აპარატი არ იმიჯნება ხალხის მილიონიან მასებისაგან, არამედ მათი შეუღლება ხდება უამრავი მასობრივი ორგანიზაციების, ყოველგვარი კომისიების, სექციების, თათბირების, დელეგატთა კრებებისა და სხვათა საშუალებით, რომლებიც საქმეს უადვილებენ საბჭოებს და, ამგვარად, ხელისუფლების ორგანოთა ყავარჯენს წარმოადგენენ.

რაშია ჩვენი სახელმწიფო აპარატის სუსტთე? იმაში, რომ სახელმწიფო აპარატში არის ბიუროკრატიული ელემენტები, რომლებიც აფუჭებენ და ამახინჯებენ მის მუშაობას. იმისათვის, რომ განვდევნოთ სახელმწიფო აპარატიდან ბიუროკრატიზმი, ხოლო მისი განდევნა არ შეიძლება 1 და 2 წლის განმავლობაში, საჭიროა სისტემატიურად ვაუმჯობესოთ ეს აპარატი, დავუახლოვოთ მასებს, შევავსოთ ახალი, მუშათა კლასისადმი ერთგული ხალხით, გარდავქმნათ ის კომუნიზმის პრინციპების მიხედვით, და არა დავშალოთ და დავარღვიოთ. ლენინი ათასჯერ მართალი იყო, როცა ამბობდა: „უაპარატოთ ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით; თუ არ ვაწარმოებთ სისტემატიური ბრძოლა აპარატის გასაუმჯობესებლად, ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზისის შექმნამდე“.

მე სიტყვას არ გავაგრძელებ იმ ნაკლოვანებათა შესახებ სახელმწიფო აპარატში, რომლებიც ისეც აშკარაა ყველასათვის. პირველ ყოვლისა მე მხედველობაში მაქვს საქმის გაჭიანურება. ჩემ ხელთ არის მთელი რიგი მასალები საქმის გაჭიანურების შესახებ, რომლებიც შეეხება მთელ რიგ სასამართლო, ადმინისტრატიულ, დამზღვევ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების დანაშაულებრივ დაუდევრობას. აი მაგალითად გლეხი, რომელიც 21-ჯერ გაემგზავრა ერთ დამზღვევ დაწესებულებაში, რომ აღედგინა სიმართლე, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწია. აი მეორე გლეხი—68 გლეხი, რომელმაც 600 ვერსი გაიარა ფეხით, რათა გამოერკვია საქმე სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებაში, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ გაიგო. აი კიდევ 56 წლის მოხუცი ქალი, რომელმაც სახალხო სასამართლოს გამოწვევით 500 ვერსი გაიარა ფეხით, ექვსას ვერსზე მეტი ეტლით, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია სიმართლეს. ასეთი ფაქტები აურაცხელია. მათი ჩამოთვლა არ ღირს. მაგრამ ეს სამარცხვინოა ჩვენთვის, ამხანაგებო. როგორ შეიძლება ასეთი საზიზღრობის მოთმენა. დაბოლოს ფაქტები სამსახურში დაქვეითებულთა შესახებ. დაწინაურებულ მუშებს გარდა არსებობს, თურმე, დაქვეითებულნი, რომელთაც უკანა რიგში აყენებენ თავისივე ამხანაგები არა მუშაობის უნარის უქონლობისათვის, არამედ კეთილსინდისიერებისა და პატიოსნებისათვის მუშაობაში. აი მაგალითად მუშა ზეინკალი—ინსტრუმენტების მკეთებელი, რომელიც წამოყენებული იყო განსაზღვრულ თანამდებობაზე ქარხანაში, როგორც ნიჭიერი და პატიოსანი კაცი. ის მუშაობს ერთ წელიწადს, ორ წელიწადს, მუშაობს პატიოსნად, ებრძვის უწესრიგობას და ქმნის წესრიგს. მაგრამ ამგვარი მუშაობით ის არღვევს ზოგიერთ „კომუნისტების“ „თბილ კომპანიის“ ინტერესებს და მათ მყუდროებას. და როგორ ფიქრობთ? „კომუნისტების“ თბილი კამპანია ღებულობს ყოველივე ზომებს მის დასაქვეითებლად და აღწევს მიზანს კიდეც. „მოისურვა, რომ ჩვენზე ჭკვიანი გამხდარიყო, არ გვაძლევ მშვიდობიანად ცხოვრების საშუალებას, მაშ გადადექი გზიდან, ძმობილო“. აი მეორე მუშა,—ესეც ზეინკალი, ბოლტების საჭრელ დაზგების ამწყობი. წამოყენებული იყო ქარხანაში განსაზღვრულ თანამდებობაზე. მუშაობს ენერგიულად და პატიოსნად. მაგრამ ასეთი მუშაობით არღვევს ზოგიერთების მყუდროებას და როგორ ფიქრობთ? პოულობენ შემთხვევას ამ „მოუსვენარ“ ამხანაგის თავიდან მოსაშორებლად. როგორის გრძნობით წავიდა ეს დაწინაურებული ამხანაგი? აი როგორით: „ყველგან, სადაც მე მნიშნავდნენ, მე ვცდილობდი გამემართლებინა დაწესებულების ნდობა. მაგრამ მე არასოდეს არ დავივიწყებ ამ დაწინაურებას, რომელმაც ასე ცუდი საქმე მიყო მე. მე ტალახში გამთითხნეს. ჩემი სურვილი რომ მზის სინათლეზე გამომეტანა ყველაფერი, სურვილადვე დარჩა. არც საქარხნო კომიტეტს, არც ქარხნის მმართველობას და არც უჯრედს არ სურდათ ჩემი მოსმენა. დაწინაურებისათვის მე უკვე მკვდარი ვარ. ოქროშიც, რომ ჩამსვან, მე მაინც არ წავალ“. („ტრუდ“ № 128 1927 წლ. 9 ივნ.), მაგრამ ეს ხომ სამარცხვინოა ჩვენთვის, ამხანაგებო. როგორ შეიძლება ასეთი სისაძაგლის მოთმენა. ჩვენი პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ იბრძოლოს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად და გახურებული შანთით ამოსწვას ჩვენ პრაქტიკიდან ისეთი სისაძაგლენი, რომელთა შესახებ მე ზემოთ მოგახსენებდით.

ლენინის ლოზუნგი კულტურულ რევოლიუციის შესახებ. საუკეთესო საშუალებას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ წარმოადგენს მუშების და გლეხების კულტურულ დონის აწევა. შეიძლება ვაგინოთ და ვლანძღოთ ბიუროკრატიზმი სახელმწიფო აპარატში, შეიძლება სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ბიუროკრატიზმი ჩვენს პრაქტიკაში, მაგრამ თუ მუშათა ფართო მასებში არ არის კულტურიანობის განსაზღვრული დონე, რომელიც ქმნის იმის შესაძლებლობას, სურვილს და უნარს, რომ სახელმწიფო აპარატს კონტროლი გაუწიოს ქვევიდან, თვით მუშათა მასების ძალებით, ბიუროკრატიზმი მაინც იცოცხლებს. ამიტომ მუშათა კლასის, მშრომელ მასების და გლეხობის კულტურული განვითარება არა მარტო წერა-კითხვის ცოდნის განვითარების მხრივ, თუმცა წერა-კითხვის ცოდნა წარმოადგენს ყოველივე კულტურიანობის საფუძველს, არამედ, უწინარეს ყოვლისა ქვეყნის მმართველობის საქმეში მონაწილეობის მიღების უნარის შეძენის მხრივ,—წარმოადგენს სახელმწიფო და ყოველ სხვა აპარატის გაუმჯობესების ძირითად ბერკეტს. ამაშია აზრი და მნიშვნელობა ლენინის ლოზუნგისა კულტურულ რევოლიუციის შესახებ. აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი 1922 წლის მარტში ჩვენი პარტიის მე-12 ყრილობის გახსნის წინ თავის წერილში ცეკას მიმართ ამხ. მოლოტოვის სახელზე: „მთავარი, რაც ჩვენ გვაკლია ეს არის კულტურიანობა და მმართველობის უნარი. ეკონომიურად და პოლიტიკურად ახალი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის იმის შესაძლებლობას, რომ საძირკველი ჩავუყაროთ სოციალისტურ ეკონომიკას. საქმე მხოლოდ პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის კულტურულ ძალებშია“. არ შეიძლება, ამხანაგებო, ლენინის ამ სიტყვების დავიწყება (ხმები: „მართალია“). აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა: გაძლიერებულ იქნას ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელ ფენების კულტურულ დონის ასაწევად.

როგორია პოლიტიკური ჯამი ჩვენი ქვეყნის შინაგან პოლიტიკურ მდგომარეობის ხაზით? ჯამი ისეთია, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე უფრო მტკიცე ხელისუფლებას მსოფლიოში არსებულ ყველა ხელისუფლებათაგან (მქუხარე ტაში), მაგრამ თუ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე უფრო მტკიცე ხელისუფლებას მსოფლიოში არსებულ ყველა ხელისუფლებათაგან, რომლის სიმტკიცე შეიძლება შეშურდეს ყოველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ დარგში ჩვენში ყველაფერი თავის რიგზეა, ეს ჩვენ არ შეგვიძლია და არ უნდა დავფაროთ, როგორც ბოლშევიკებმა. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვაქვს უმუშევრობა. ეს არის მინუსი, რომელიც ჩვენ უნდა დავძლიოთ, ან, ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა დავიყვანოთ მინიმუმამდე. მეორე, ჩვენ გვაქვს დეფექტები მუშათა საბინაო მშენებლობაში, საბინაო კრიზისი, რომელიც აგრეთვე ჩვენ უნდა დავძლიოთ ან, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ უახლოეს წლებში. ჩვენში ადგილი აქვს ანტისემიტიზმის ერთგვარ ჩანასახებს არა მარტო საშუალო ფენების განსაზღვრულ რიგებში, არამედ მუშათა განსაზღვრულ ნაწილშიაც, ჩვენი პარტიის ზოგიერთ წრეებშიაც კი. ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ,ამხანაგებო, მთელი ულმობელობით. ჩვენ გვაქვს კიდევ ისეთი მინუსი, როგორც ანტირელიგიურ ბრძოლის შესუსტება. დასასრულ ჩვენ გვაქვს საშინელი კულტურული ჩამორჩენილობა არა მარტო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არამედ მისი ვიწრო მნიშვნელობითაც, ელემენტარული წერა-კითხვის ცოდნის მხრივ, ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინარობის პროცენტი საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ მცირე არაა. ყველა ამ და ამის მზგავს მინუსებს, ამხანაგებო, უნდა ლიკვიდაცია გაუკეთდეს, თუ ჩვენ გვსურს წინსვლა ცოტად თუ ბევრად დაჩქარებული ტემპით.

რომ დავაბოლოვო ჩემი ანგარიშის ეს ნაწილი, ნება მიბოძეთ რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა რამოდენიმე ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დანიშვნის შესახებ საანგარიშო პერიოდში. მე არ შევეხები ამხ. რიკოვის დანიშვნას საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. აგრეთვე არ შევეხები სახალხო კომისრების მოადგილეთა დანიშვნას ს. მ. უ. საბჭოში, ვაჭრობის სახ. კომისარიატში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოში. მე მინდა შევეხო სამ დანიშვნას, რომლებიც დამახასიათებელი არიან. თქვენ იცით, რომ რ. ს. ფ. ს. რ: ს: მ: უ: საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. ლობოვი. ეს არის მუშა-მელითონე. თქვენ იცით, რომ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარედ კამენევის მაგიერ არჩეულია ამხ. უხანოვი—მუშა-მელითონე. თქვენ აგრეთვე იცით, რომ ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ზინოვიევის მაგიერ ამხ. კომაროვი, აგრეთვე მუშა-მელითონე. მაშასადამე ორივე დედა-ქალაქის „ლორდმერებად“ ჩვენში არიან მუშა-მელითონეები (ტაში). თქვენ იტყვით, რომ ამაში არის „ლითონიზაციის“ ტენდენცია. მე ვფიქრობ, რომ ამაში არაფერი არის ცუდი (ხმები: „პირიქით, ძალიან კარგია“). ვუსურვოთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ვუსურვოთ ლონდონს, ვუსურვოთ პარიზს, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს მოგვეწიონ ჩვენ და წამოაყენონ ლორდ-მერებად თავისი საკუთარი მელითონეები. (ტაში).

პარტია და ოპოზიცია

პარტიის მდგომარეობა

მე დაწვრილებით არ შევჩერდები, ამხანაგებო, ჩვენი პარტიის რიცხვობრივ, და იდეურ ზრდაზე, არ მოვიყვან ციფრებს, ვინაიდან ამის შესახებ დაწვრილებით მოგახსენებთ ამხ. კოსიორი. მე არ ვილაპარაკებ აგრეთვე ჩვენი პარტიის სოციალურ შემადგენლობაზე, ვინაიდან ამის შესახებ ამომწურავ ცნობებს მოგახსენებთ ამხ. კოსიორი თავის მოხსენებაში. მე მინდოდა რამოდენიმე სიტყვა მეთქვა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობითი მუშაობის გაფართოებაზე და ყოველმხრივ გაუმჯობესებაზე მეურნეობის დარგში ისევე, როგორც პოლიტიკის დარგში. იყო დრო, ამხანაგებო, ორი-სამი წლის წინეთ, როცა ამხანაგების ერთი ნაწილი, მგონი ტროცკის მეთაურობით (სიცილი. ხმები: „მგონია“) ჩვენს საგუბერნიო, საოლქო კომიტეტებს და ცეკას საყვედურობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ პარტიული ორგანიზაციები არ არიან კომპეტენტიური ორგანოები და ტყუილად ერევიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო საქმეებში. დიახ, იყო ასეთი დრო. ეხლა კი მგონია, არავის მოუბრუნდება ენა იმისათვის, რომ ამგვარი ბრალდება წამოისროლოს პარტორგანიზაციების მიმართ. რომ საგუბერნიო კომიტეტებმა და საოლქო კომიტეტებმა დაიპყრეს სამეურნეო ხელმძღვანელობის საქმე, რომ პარტორგანიზაციები სამეურნეო მშენებლობის სათავეში დგანან, და არა კუდში, ეს ისეთი აშკარა ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლია მხოლოდ ბრმას ან გაგიჟებულს. უკვე ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ ყრილობაზე დავსვით საკითხი სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიან გეგმის შესახებ, უკვე ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ პარტია ძალიან წინ წავიდა ჩვენი სამეურნეო მშენებლობის გეგმიანი ხელმძღვანელობის საქმეში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ზოგი ფიქრობს, რომ აქ არაფერია განსაკუთრებული რამ. არა, ამხანაგებო, ეს არის რაღაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი, რომელიც უნდა აღინიშნოს. ხანდახან ემყარებიან ამერიკის და გერმანიის სამეურნეო ორგანოებს, რომელნიც ვითომც ასევე გეგმიანი წესით უწევენ ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობას; არა, ამხანაგებო, ასეთი რამისათვის არ მიუღწევიათ და ვერც მიაღწევენ იქ, სანამ იქ არსებობს კაპიტალისტური წესები.

გეგმიანი წესით ხელმძღვანელობისათვის საჭიროა მრეწველობის სხვაგვარი, სოციალისტური და არა კაპიტალისტური სისტემა, საჭიროა უკიდურეს შემთხვევაში ნაციონალიზაცია-ქმნილი მრეწველობა, ნაციონალიზაცია-ქმნილი საკრედიტო სისტემა, ნაციონალიზაცია-ქმნილი მიწა, სოციალისტური კავშირი სოფელთან, მუშათა კლასის ხელისუფლება სახელმწიფოში და სხ. მართალია, მათაც აქვთ რაღაც გეგმის მსგავსი. მაგრამ ეს არის გეგმები, პროგნოზები, გეგმები—ჰიპოტეზები, რომელნიც არავისათვის არ არის სავალდებულო და რომელთა საფუძველზე შეუძლებელია ქვეყნის მეურნეობის ხელმძღვანელობა.

ჩვენში კი სხვაგვარი მდგომარეობაა. ჩვენი გეგმები არის არა გეგმები—პროგნოზები, არა გეგმები-ჰიპოტეზები, არამედ გეგმები-დირექტივები, რომელნიც სავალდებულოა ხელმძღვანელი ორგანოებისათვის, და რომელნიც განსაზღვრავენ ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას მომავალში მთელი ქვეყნის მაშტაბით. თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ აქ პრინციპიალური განსხვავება გვაქვს. აი, ამიტომ ვამბობ მე რომ თვით ის უბრალო ფაქტი, რომ ყრილობაზე დასმულია სამეურნეო განვითარების ხუთწლიანი გეგმა, ეს ფაქტიც კი ნიშნავს ჩვენი გეგმიანი ხელმძღვანელობითი მუშაობის გადიდებას. მე ვრცლად არ ვილაპარაკებ აგრეთვე შინაპარტიული დემოკრატიის ზრდაზე ჩვენს პარტიაში. მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ შინაპარტიული დემოკრატია, ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატია, და პარტიული მასების ნამდვილი აქტიობა ძლიერდება და ვითარდება. ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია პარტიაში? დემოკრატია ვისთვის? თუ დემოკრატია გვესმის ისე, რომ იგი რევოლიუციისაგან მოწყვეტილ ერთი მუჭა ინტელიგენტებს უნდა ანიჭებდეს დაუსრულებელი ლაყბობის თავისუფლებას და საკუთარ ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის უფლებას, ასეთი დემოკრატია ჩვენ არ გვესაჭიროება, ვინაიდან იგი არის დემოკრატია უმნიშვნელო უმცირესობისათვის, რომელიც უდიდესი უმრავლესობის ნება-სურვილს არღვევს. თუ კი დემოკრატიას გავიგებთ ისე, როგორც თავისუფლებას პარტიული მასებისათვის, რომ გადასწყვიტონ ჩვენი მშენებლობის საკითხები, გაძლიერდეს პარტიული მასების აქტიობა, მათი ჩაბმა პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში, და განვითარდეს მათში გრძნობა იმისა, რომ ისინი არიან ბატონ-პატრონი პარტიაში,—მაშინ ასეთი დემოკრატია ჩვენ გვაქვს, ეს ჩვენ გვესაჭიროება და ჩვენ მას შეურყევლად განვავითარებთ, მიუხედავად ყოველგვარი პირობებისა (ტაში).

სიტყვას არ გავაგრძელებ, ამხანაგებო, აგრეთვე იმის შესახებაც, რომ შინაპარტიულ დემოკრატიასთან ერთად კვალდაკვალ იზრდება აგრეთვე ხელმძღვანელობის კოლეგიალობაც. აიღეთ ჩვენი ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია. ისინი ერთად შეადგენენ ხელმძღვანელ ცენტრს რომელიც 200—250 ამხანაგისაგან შესდგება, რეგულიარულად იკრიბება და სწყვეტს ჩვენი მშენებლობის საკითხებს. ეს ერთ-ერთი უაღრესად დემოკრატიული და კოლეგიალურად მომქმედი ცენტრთაგანია, რომელიც კი ჩვენს პარტიას როდისმე ჰქონია. შედეგი? განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა უფრო და უფრო გადადის ვიწრო ზედა ჯგუფის ხელიდან ამ ფართო ცენტრის ხელში, რომელიც მეტად მჭიდროთ არის დაკავშირებული მშენებლობის ყველა დარგებთან და ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა რაიონთან. სიტყვას არ გავაგრძელებ აგრეთვე ჩვენი პარტიული კადრების ზრდის შესახებ. უდავოა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის ძველ კადრებს შეერთვნენ მაღლა ამავალი ახალი კადრები, რომლებიც უმთავრესად მუშებისაგან შესდგებიან. თუ წინეთ ჩვენს კადრებს ასობით და ათასობით ვითვლიდით ახლა ისინი ათეულ ათასობით უნდა დავითვალოთ. მე ვფიქრობ, რომ მთელ კავშირში ჩვენი პარტიული კადრები, რომლებიც უმთავრესად მუშებისაგან შესდგებიან, ახლა შეადგენენ არა ნაკლებ 100.000 კაცისა, თუ ანგარიშს დავიწყებთ ყველა ქვედა ორგანიზაციიდან — ცეხების ორგანიზაციებიდან და ავალთ მაღლობამდე. ეს არის ჩვენი პარტიის უდიდესი ზრდა. ეს არის ჩვენი საკადრო შემადგენლობის უდიდესი ზრდა. მისი იდეურ-ორგანიზაციული გამოცდილების ზრდა, მისი კომუნისტური კულტურის ზრდა.

ბოლოს, არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებ სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის მაგრამ რომელსაც საჭიროა პასუხი გავსცეთ. ეს საკითხია პარტიის ავტორიტეტის ზრდა ჩვენი ქვეყნის უპარტიო მუშათა შორის და მშრომელთა მასებში, მთელი მსოფლიოს მუშათა და დაჩაგრულ კლასთა შორის. ალბად, აღარავის ეჭვი აღარა აქვს. რომ ჩვენი პარტია მთელი მსოფლიოს მშრომელი მასებისთვის განთავისუფლების დროშათ იქცევა, ხოლო ბოლშევიკის სახელი—მუშათა კლასის საუკეთესო პირთა საპატიო სახელწოდებათ.

ჩვენი ნაკლოვანებანი

ასეთია, ამხანაგებო, საერთოდ ჩვენი მიღწევების სურათი პარტიული მშენებლობის დარგში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამხანაგებო, რომ ჩვენს პარტიას ნაკლი არა ჰქონდეს. ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ამ ნაკლთა შესახებ.

ავიღოთ, მაგალითად, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმე პარტიული ორგანიზაციების მხრით. ყველაფერი რიგიანად არის ამ დარგში, თუ არა? არა, ყველაფერი არა. ხშირად, არა მარტო ადგილებზე, არამედ ცენტრშიაც საკითხები სწყდება, ასე ვსთქვათ, საოჯახო წესით, შინაურულად. მაგ., ამა და ამ ორგანიზაციის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა—ივან ივანიჩმა ჩაიდინა, ვსთქვათ, ტლანქი შეცდომა და საქმე წაახდინა, მაგრამ ივან ფიოდოროვიჩმა არ მოისურვა მისი გაკრიტიკება, მისი შეცდომების გამომჟღავნება, მისი შეცდომების გამოსწორება. არ მოინდომა, რადგან არ სურს „მტრების გაიხარონ“. შეცდომა ჩაიდინეს საქმე წაახდინეს—დიდი რამე მომხდარა! განა რომელი ჩვენთაგანი არა სცდება? დღეს მას, ივან ფიოდოროვიჩს მე დავინდობ, ხვალ ის, ივან ივანიჩი მე დამინდობს, რადგან რა გარანტია მაქვს, რომ მეც არ შევცდები? ყველაფერი რიგიანად და წესიერათ არის. მშვიდობა და ხათრიობა სუფევს. უყურადღებოთ დატოვებული შეცდომა ჩვენი დიადი საქმის წახდენაა. „არაფერი უშავს. იქნებ როგორმე მოვაგვაროთ წახდენილი საქმეო“. აი ამხანაგებო, ზოგიერთი ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკის ჩვეულებრივი საქციელი. მაგრამ რას ნიშნავს ეს? თუ კი ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებიც ვაკრიტიკებთ მთელ ქვეყნიერებას, რომლებსაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ ზეცაზე იერიში მიგვაქვს,თუ კი ჩვენ ამა თუ იმ ამხანაგის მყუდროებისათვის ხელს ვიღებთ საკუთარი თავის კრიტიკაზე, განა აშკარა არ უნდა იყოს, რომ გარდა ჩვენი დიადი საქმის დაღუპვისა, აქედან რიგიანი არაფერი გამოვა (ხმები „მართალია“). (ტაში). მარქსი ამბობდა: პროლეტარული რევოლიუცია, სხვათაშორის, იმით განსხვავდება ყოველგვარ სხვა რევოლიუციისაგან, რომ ის თავის თავს თითონვე აკრიტიკებს და თავისი თავის გაკრიტიკებით ძლიერდებაო. მარქსის ეს სიტყვები მეტის-მეტად მნიშვნელოვანი მითითებაა. თუ ჩვენ, პროლეტარული რევოლიუციის წარმომადგენელნი, ჩვენს საკუთარ ნაკლზე თვალს დავხუჭავთ, თუ ჩვენ საკითხებს გადავწყვეტთ შინაურულად, საოჯახო წესით, ერთმანეთის შეცდომას ხელს წავაფარებთ და იარებს ჩვენი პარტიული ორგანიზმის შიგნით ჩავდენით, მაშინ ვიღა გაასწორებს ამ შეცდომებს, ამ ნაკლთ? განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ პროლეტარული რევოლიუციონერები აღარ ვიქნებით და უეჭველად დავიღუპებით, თუ ჩვენს წრეებში არ [illegible] ასეთ „ობივატელობას“, ასეთ შინაურულობას ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის დროს. განა აშკარა არ არის, რომ თუ ჩვენ ხელს ავიღებთ პატიოსან და დაურიდებელ თვითკრიტიკაზე, თუ ჩვენ უარს ვიტყვით ჩვენი შეცდომების პატიოსან და გულწრფელ გასწორებაზე, მაშინ ჩვენ ამით დავიხშობთ წინ წასაწევად, ჩვენი საქმის გასაუმჯობესებლად, ჩვენი საქმის ახალ-ახალი გამარჯვების მოსაპოებლად საჭირო გზას. ჩვენი განვითარება ხომ ისე არ მიიმართება, რომ ჩვენს მაღლა ასვლას არაფერი აბრკოლებდეს, ხელს არაფერი უშლიდეს.

არა, ამხანაგებო, ჩვენ გვყავს კლასები, ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობანი ჩვენი ქვეყნის შიგნით, ჩვენ გვაქვს აწმყო და მომავალი, ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობანი მათ შორის და არ შეგვიძლია წავიდეთ წინ დაუბრკოლებლად. ჩვენი წინსვლა სწარმოებს ბრძოლის, გზით, ამ წინააღმდეგობათა ძლევის, ამ წინააღმდეგობათა გამომჟღავნებისა და ლიკვიდაციის გზით. ჩვენ არასოდეს არ შეგვეძლება, სანამ კლასები არსებობენ, გვქონდეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეიძლება სთქვა: აი, მადლობა ღმერთს ეხლა ყველაფერი კარგად არის. ჩვენ ასეთი მდგომარეობა არასოდეს არ გვექნება, ამხანაგებო. ჩვენში ზოგი რამ კვდება ცხოვრებაში. მაგრამ ის, რაც კვდება, მას არ სურს მოკვდეს უბრალოდ, არამედ იბრძვის თავისი არსებობისათვის და იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს. ყოველთვის იბადება ახალი რამ ცხოვრებაში. მაგრამ ის, რაც იბადება, იბადება არა უბრალოდ, არამედ წრიპინებს და ყვირის, იცავს თავისი არსებობის უფლებას (ხმები: „სწორია“. ტაში). ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და ახლად წარმოშობილ ძალებს შორის—აი ჩვენი განვითარების საფუძველი. თუ ჩვენ აშკარად და სინდისიერად არ აღვნიშნავთ და არ გამოვააშკარავებთ,—როგორც ეს შეჰფერის ბოლშევიკებს.—ნაკლოვანებებს და შეცდომებს ჩვენს მუშაობაში, ამით ჩვენ გადავღობავთ წინსვლის გზას. ჩვენ კი გვსურს წინსვლა. და სწორედ იმიტომ, რომ გვსურს წინსვლა, ჩვენ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად უნდა დავისახოთ სინდისიერი რევოლიუციონური თვითკრიტიკა. უამისოდ არ არსებობს წინსვლა. უამისოდ არ არსებობს განვითარება. მაგრამ სწორედ ამ ხაზით ჩვენში ჯერ კიდევ მოიკოჭლებს საქმე. კიდევ მეტი, საკმაოა ზოგიერთი წარმატებანი რომ ჩვენ დავივიწყოთ ნაკლოვანებანი, დავმშვიდდეთ და ქედმაღლობა დავიწყოთ. საკმაოა ორი-სამი დიდი წარმატება და ჩვენ უკვე ვმედიდურობთ. კიდევ ორი-სამი დიდი წარმატება და ქედმაღლობას ვიწყებთ, ქუდებს მაღლა ვისვრით. მაგრამ შეცდომები რჩება, ნაკლოვანებები კვლავ არსებობს, ავადმყოფობა კვლავ რჩება ჩვენი პარტიული ორგანიზმის შიგნით.

მეორე ნაკლი. იგი იმდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრატორობის მეთოდი გადაგვაქვს პარტიაში და დაჯერების მეთოდის მაგივრად, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიაში, ჩვენ მივმართავთ ადმინისტრატორობის მეთოდს. ეს ნაკლი არა ნაკლებ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე პირველი ნაკლი. რატომ? იმიტომ, რომ ეს ქმნის საფრთხეს, რომ პარტიული ორგანიზაციები, რომელნიც თვითმომქმედი ორგანიზაციები არიან, შეიძლება გადაიქცენ საკანცელარიო დაწესებულებად. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენ გვყავს არა ნაკლებ 60.000 მეტად აქტიური მუშაკი, რომელნიც გაფანტული არიან ყველა სამეურნეო, კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებში და იბრძვიან იქ ბიუროკრატიზმს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ აქტიური მუშაკების ნაწილს, როცა იგი ებრძვის ბიუროკრატიზმს ამ დაწესებულებებში, ხანდახან თვითონაც ედება ბიუროკრატიზმის სენი და ეს სენი გადაგვაქვს პარტიულ ორგანიზაციებში. ეს დანაშაული კი არაა, ამხანაგებო, ჩვენი უბედურებაა, ვინაიდან სანამ არსებობს სახელმწიფო, ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება მცირე თუ დიდი ძალით. და სწორედ იმიტომ რომ ამ პროცესს ერთგვარი ფესვები აქვს ცხოვრებაში, სწორედ ამიტომ აუცილებელია შევიარაღდეთ ამ ნაკლოვანებასთან საბრძოლველად, გავაძლიეროთ პარტიული მასების აქტივობა, ჩავაბათ ისინი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხების გადაწყვეტაში და სისტემატიურად ვატაროთ შინაპარტიული დემოკრატია.

მესამე ნაკლი. ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მთელ რიგ პარტიულ ამხანაგებს სურთ იცურონ მდინარეების მიმართულებით დაუბრკოლებლად, უპერსპექტივოდ, მომავლის გაუთვალისწინებლად, ისე, რომ ირგვლივ იგრძნონ საზეიმო, სადღესასწაულო განწყობილება, რომ ყოველ დღე იმართებოდეს საზეიმო სხდომები, და ყველგან გაისმოდეს ტაში, რომ ყოველი ჩვენგანი რიგს გარეშე მოხდეს ყოველგვარი პრეზიდიუმების საპატიო წევრებად (სიცილი. ტაში). ეს თავშეუკავებელი სურვილი, რომ ყველგან იხილონ საზეიმო განწყობილება ეს ლტოლვა დემონსტრაციებისაკენ, ყოველგვარი საჭირო და არა საჭირო იუბილესადმი, ეს არის სურვილი იმისა, რომ იცურო, სანამ ხალისი გაქვს ცურვისა, და არ მიმოიხედო, თუ საითკენ მივყევართ ამას? (სიცილი. ტაში). ყოველივე ეს შეადგენს ჩვენი პარტიული ტაქტიკის მესამე ნაკლის არსებას, ჩვენი ნაკლოვანებების საფუძველს პარტიულ ყოფა-ცხოვრებაში. გინახავთ თუ არა თქვენ მენავე, რომელიც სინდისიერად უსვამს ნიჩაბს, მაგრამ ვერ ხედავს იმას, თუ საითკენ მიჰყავს იგი მდინარის დენას? მე ასეთი მენავეები მინახავს ენისეიში. ესენი არიან პატიოსანი დაუღალავი მენავეები. მაგრამ მათი უბედურება იმაშია, რომ ისინი ვერ ხედავენ, ან არ უნდათ დაინახონ ის, რომ შეიძლება ტალღამ მათი ნავი გაიტაცოს კლდისაკენ, სადაც მათ დაღუპვა მოელის. ასევე ემართება ზოგიერთ ჩვენს ამხანაგსაც. ისინი ნიჩაბს სინდისიერად უსვამენ, მიცურავენ კარგად დენის მიმართულებით, მაგრამ საითკენ მიაქანებს ეს დენა, მათ არ იციან და არც უნდათ იცოდენ. მუშაობა უპერსპექტივოდ, მუშაობა უსაჭეოდ,—აი, საითკენ მივყევართ ცურვას მხოლოდ და მხოლოდ დენის მიმართულებით. შედეგები კი როგორია? ეს შედეგები ცხადია: ჯერ მათ ედება ობი, შემდეგ ხუნდებიან, შემდეგ ვარდებიან ობივატელობის წუმპეში და ბოლოს ხდებიან უბრალო ობივატელებად. ეს კი არის ნამდვილი გადაგვარების გზა.

აი, ამხანაგებო, ზოგიერთ ნაკლოვანებანი ჩვენს პარტიულ პრაქტიკაში, ჩვენს პარტიულ ყოფა-ცხოვრებაში, რის შესახებაც მინდოდა რამოდენიმე მწარე სიტყვის თქმა. ეხლა კი ნება მომეცით გადავიდე ეგრედწოდებულ ოპოზიციასთან, ჩვენი დისკუსიის საკითხებზე.

დისკუსიის შედეგები

აქვს თუ არა რაიმე აზრი, რაიმე ღირებულება დისკუსიას? ზოგჯერ ამბობენ: „რა ჯანდაბისათვის გაბერეთ ეს დისკუსია, ვის ესაჭიროება ის. განა უკეთესი არ იქნებოდა გადაგვეწყვიტა სადავო საკითხები შინაური წესით და ქოხიდან ნაგავი გარეთ არ გამოგვეტანა“. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. დისკუსია ზოგჯერ აბსოლიუტურად აუცილებელია და უთუოდ სასარგებლოა. მთელი კითხვა იმაშია, თუ როგორია ეს დისკუსია. თუ დისკუსია მიმდინარეობს ამხანაგურ ფარგლებში, პარტიულ ფარგლებში, თუ ის მიზნად ისახავს მკაფიო თვითკრიტიკას, პარტიის დეფექტების კრიტიკას, თუ ის მაშასადამე, აუმჯობესებს ჩვენს საქმეს და აიარაღებს მუშათა კლასს, ასეთი დისკუსია საჭიროა და სასარგებლო. მაგრამ არის მეორენაირი დისკუსია, რომელიც მიზნად ისახავს არა ჩვენი საერთო საქმის გაუმჯობესებას, არამედ მის გაუარესებას არა პარტიის განმტკიცებას, არამედ მის დაშლას, ჩვეულებრივ ასეთი დისკუსია პროლეტარიატის შეიარაღებას კი არ იწვევს, არამედ მის განიარაღებას. ჩვენ ასეთი დისკუსია არ გვესაჭიროება (ხმები: „მართალია“, ტაში). როდესაც ოპოზიცია მოითხოვდა დისკუსიის გახსნას საკავშირო მასშტაბით სამი თვის წინად ყრილობის მოწვევამდე, ცეკას თეზისების შემუშავებამდე, ამ თეზისების გამოქვეყნებამდე, ის ცდილობდა თავზე მოეხვია ჩვენთვის ისეთი დისკუსია, რომელიც აუცილებლად გააადვილებდა ჩვენი მტრების საქმეს, მუშათა კლასის მტრების საქმეს, ჩვენი პარტიის მტრების საქმეს. სწორედ ამიტომ ცეკა წავიდა ოპოზიციის გეგმების წინააღმდეგ. და სწორედ იმიტომ, რომ ცეკა წავიდა ოპოზიციის გეგმების წინააღმდეგ, ჩვენ შევსძელით მიგვეცა დისკუსიისათვის სწორი მიმართულება, მიგვეცა მისთვის ბაზისი ცეკას თეზისების სახით. ახლა ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთოდ დისკუსიამ პლიუსი მოგვცა. რაც შეეხება ქოხიდან ნაგავის გარეთ გამოტანას, ეს არაფერია, ამხანაგებო. ჩვენ არასოდეს არ გვეშინოდა და არც შეგვეშინდება აშკარად გავაკრიტიკოთ ჩვენი თავი და ჩვენი შეცდომები მთელი პარტიის წინაშე. ბოლშევიზმის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას კრიტიკის არ ეშინია და თავის ნაკლის კრიტიკაში იკრებს ენერგიას შემდგომი წინმსვლელობისათვის. ამრიგად, ეხლანდელი დისკუსია არის ჩვენი პარტიის ძლიერების ნიშანი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ დიდ პარტიაში, განსაკუთრებით ისეთ პარტიაში, როგორც ჩვენი, რომელიც სდგას ხელისუფლების სათავეში, სადაც არის გლეხობისა და მოსამსახურე ელემენტების განსაზღვრული ნაწილი, განსაზღვრულ დროში გროვდება განსაზღვრული, ინდიფერენტული, პარტიის ტაქტიკისადმი ბრმულად განწყობილი ელემენტები, რომლებიც ხმას აძლევენ თვალ დახუჭული და მიჰყვებიან მიმდინარეობას. ასეთ ელემენტების დიდი რაოდენობა არის ბოროტება, რომლებსაც უნდა ვებრძოლოთ. ეს ელემენტები შეადგენენ ჩვენი პარტიის ჭაობს. დისკუსია არის აპელიაცია ამ ჭაობისადმი. მას მიმართავენ ოპოზიციონერები, რომ ჩამოაცილონ მას განსაზღვრული ნაწილი. და ისინი მართლაც ახერხებენ ამ ჭაობისათვის უარესი ნაწილის ჩამოცილებას. მიმართავს მას პარტიაც, რომ ჩამოაცილოს მას საუკეთესო ნაწილი და ჩააბას ის აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში. და ეს ჭაობი მართლაც ერკვევა ამ აპელიაციების შედეგად. მისი ერთი ნაწილი მიდის ოპოზიციასთან, მეორე კი პარტიასთან და

ამხ[illegible] შე[illegible]

[illegible] ოპოზიცი[illegible] ას მუშებს [illegible] ლი მანევ[illegible] დააბნიოს [illegible] ჯერ კი[illegible], ამხანაგებო, [illegible] ყრილობაზე [illegible] უნდა ვსთქვათ [illegible] კი ოპოზიციის [illegible]ობა; სრულ[illegible] [illegible] ალარ [illegible] [illegible]ება იმ ზომე[illegible] ამხ. [illegible] ცენტრ. [illegible]ციის წინა[illegible] 14 ნახ [illegible] იმის შესა[illegible] ლის გამ[illegible] გამორიცხულ [illegible]ები— ცეკას [illegible]ობიდან,—ამ[illegible] [illegible] რამოდენ. [illegible] პარტიამ. [illegible] პოლი[illegible] „5 დენს [illegible]ანელობს რო „ბ[illegible]ებს. [illegible] სახელმწ[illegible] სა და [illegible], ასეთმა რამ ს[illegible] [illegible]ეულგვარი სათვის [illegible] ლებებ[illegible] ბების [illegible] სახებ [illegible] ავრცელამიებ [illegible] -15 [illegible] ოპოზიციისათ[illegible] [illegible]ობა, [illegible] ახალ მანევრ[illegible] [illegible]ად, იყო 8 აგვ. [illegible]ვრები, მაგრამ მე[illegible]

[illegible]ვონია, რო ოპოზიციის ეს იმედები არ გამართლდება. კმარა ტროცკისტული მანევრები ეხლა საქმე ეხება არა დიპლომატიას; არამედ იხეთ ცდას, რომელიც მიმართული ჩვენი პარტიის საწინააღმდეგო ახალი პარტიის შექმნისაკენ, საქმე ეხება ტროცკისტულ შეხედულებებს, რომელნიც შეუთავსებელნი საკავშირო კომპარტიის (ბ) შეხედულებებიდან და პროგრამასთან და მაშასადამე შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიაში ყოფნასთან. იმ აღმაშფოთებელი ანტიპარტიული და ფაქტიურად ანტისაბჭოთა მუშაობის შემდეგ, რომელნიც განახორციელა ოპოზიციამ; არავითარი მანევრები არავითარი დიპლომატიისა რი სიცრუე და თვალთმაქცობა ვერ მოატყუებს პარტიას. პარტიამ მე-15 ყრილობაზე ყოველგვარი მერყეობის გარეშე უნდა უთხრას ოპოზიციას: არავითარი დაცვა თქვენი შეხედულებებისა, სრული უარყოფა თქვენი ტროცკისტული; მენშევიკური; კლემანსოსებური შეხედულებებისა სრული უარყოფა ყოველგვარი თქვენი მუშაობისა, სრული უარყოფა ყოველივე იმისა, რაც ძირს უთხრის პარ. რაც არღვევს პროლეტარიატის დიქტატურას. ვინ რჩება ანტიპარტიული ტროცკისტულ-მენშევიკური იდეოლოგიის ნიადაგზე, ვინ უყენებს პარტიას რაიმე პირობებს? პატარა, გაკოტრებულთა უბადრუკ ჯგუფს არავითარი პირობების წაყენება არ შეუძლია მსოფლიოში ძლიერი პროლეტარული კომუნისტური პარტიისათვის (მხურვალე ტაში).

კამენევი არ აღმოჩნდა დარბაზში

ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის შემდეგ, თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. კამენევს. მას რამოდენიმეჯერ იძახებენ, მაგრამ ის არ აღმოჩნდა დარბაზში. სიტყვა ეძლევა შემდეგ ორატორს ამხ. ჟდანოვს (ნიჟეგოროდის გუბერნია).

ჟდანოვის სიტყვა

[illegible]ს სწორი პოლი[illegible] [illegible]მოხს უკანასკნელ ორ [illegible]ლაკ,—წარმოადგენს [illegible]ბის ფართოდ გა[illegible] [illegible]თვალსაწინიერე[illegible] [illegible]ტიის გაწევითარე[illegible] [illegible]ზრდიამტკიცა მასების [illegible] კომიტეტისა და [illegible]ლობისადმი. პა[illegible] [illegible]ბითი: [illegible]ული იყოს, რომ [illegible] არა [illegible]უფაქსთან ერ[illegible] [illegible]იგი, [illegible] კომუყოჩობას [illegible]ჩქნებით. [illegible]ობის გამართ[illegible] [illegible]ამოცანა შემდეგი პე[illegible] [illegible]გაგრძელება პარტი[illegible] [illegible] პოლიტიკუ[illegible] [illegible]ადის განვითარე[illegible]ბაზე, ფართე პროლეტარულ მასების პოლიტიკური აქტივობის შემდგომ გაფართოვებაზე. მიღწევები, რომლებიც გვაქვს ცენტრალური კომიტეტის სწორი პოლიტიკის წყალობით არის საუკეთესო პასუხი ლენინის გზიდან გადახვეულ ოპოზიციის ყველა გამოსვლებზე. მე უნდა განვაცხადო, რომ ადგილობრივ მოიპოვება მრავალი დამამტკიცებელი საბუთი იმის, თუ როგორ იყენებს ოპოზიციას მესამე ძალა. ოპოზიციამ არ იცის, თუ რა უფსკრულისაკენ გვეწევა ის, მაგრამ მუშათა კლასი კარგად ხედავს ამას და ამიტომ დაუნდობლად ჰკრავს ხელს ოპოზიციონერებს. ჩვენ, ნიჟეგოროდელები, სავსებით ვიზიარებთ ამხ. სტალინის განცხადებას ოპოზიციის საკითხზე: ან ოპოზიციონერები უნდა დანებდენ პარტიას ან და მოშორდენ ჩვენს რიგებს.

ლო[illegible]ოვის განცხადება

[illegible] თავმჯდომა[illegible] [illegible]ბას და აც[illegible] [illegible], სხ, ამხ. რა[illegible] [illegible]ის ენევის, ევ[illegible] [illegible]რით მე მი[illegible] [illegible]მხოვთ მოგ[illegible] [illegible] ცეკას, ტელეგრამმა. [illegible] [illegible]ბობს არც [illegible]ებული სტა[illegible]ლინის სტენოგრამა და ამიტომ ზემოაღნიშნულ პირების თხოვნაზე, რომ მათ, გამონაკლისის სახით, მიეღოთ სტალინის შეუსწორებელი სტენოგრამა, მე უარი განუცხადე (ტაში. ხმები: „სწორია"). გარდა ამისა, მე შეუთვალე, რომ თუმცა მათ მიიღეს სათათბირო ხმის უფლება, ისინი მაინც არავითარ პრივილეგიური, თავად-აზნაურული მდგომარეობით არ სარგებლობენ ჩვენი ყრილობის შემადგენლობაში. (ტაში. ხმები: „სწორია, კმარა ამდენი მოთმინება").

[illegible]კოფიევის სიტყვა

[illegible] პროკოფიევი (მო[illegible] [illegible]თესოდ გამო[illegible] [illegible]კომიტეტის ხე[illegible] [illegible]ობს ამხ. პრო[illegible] [illegible] შეხედულებებს, [illegible] მარტო პარ[illegible] [illegible]მოებაში მომუ[illegible] [illegible] უპარტიო მუ[illegible] [illegible] ყველა ისინი [illegible] შეიცხავენ ოპო[illegible] [illegible] ოპოზიცია გვა[illegible] [illegible] მათ მგონიათ, [illegible]თერმიდორი მდგომარეობს იმაში, რომ მუშათა კლასი გალატაკებულ, ნახევრად მშიერ მდგომარეობიდან წარსულში გადადის უკეთეს მატერიალურ მდგომარეობაზე. ასეთ „გადაგვარებას" ჩვენ მხოლოდ მივესალმებით და ყოველთვის ხელს შეუწყობთ მას.

შემდეგ ამხ. პროკოფიევი აყენებს მასიური გამარტივებისა და პარტიაში მუშების მიღების დროს ზედმეტი ფორმალობის მოსპობის საკითხს, აგრეთვე საჭიროდ სთვლის ყურადღების მიქცევას სამქრო უჯრედებზე და მათი როლის გაძლიერებას. ამასთან ერთად ეს მოითხოვს მეტ ყურადღებას მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი.

[illegible]ჩეროვის სიტყვა

[illegible] რუმინეთის [illegible] ლია მორიგ [illegible] ნადადება მისც[illegible] გამოვიდა [illegible] ხმდენ ერთმანე[illegible]), რომე[illegible] კების გზით. [illegible]ზე. ამხ [illegible] ქარხნების [illegible] გილი ჰქონდა [illegible]ნას დავი[illegible] [illegible] მუშაობას, [illegible] საკითხზე [illegible] ყრილობამ უნდა სთქვას თავისი უკანასკნელი და გადამწყვეტი სიტყვა. რათაც არ უნდა დაჯდეს, ცხოვრებაში უნდა გატარდეს პარტიის გადაწყვეტილებები მთლიანობის შესახებ. ჩვენს პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ სულმოკლეთ და მოწუწუნეებს. ჩვენ უნდა ავამუშაოთ რკინის ცოცხი და გავგავოთ ყველაფერი, რაც კი გვიშლის მუშაობას.

[illegible] გარეშე [illegible] ხვ[illegible]

იკრამოვის სიტყვა

[illegible]ისტანი) ხაზგასმით აღ[illegible] [illegible]მიერ აღებული კურსი [illegible] მათ გაამართლა მ[illegible] [illegible] [illegible]აციის საკითხს მან [illegible] უკან [illegible]ჯინება ჩვენი მრე[illegible] [illegible]ეთა კავშირში არსე[illegible] [illegible]ნა კავშირი უნდა [illegible]ბას. [illegible]რთო ნედლეულისა[illegible] [illegible] სასოფლო მეურნე[illegible] [illegible]ეთი. ჩვენი ინდუსტ[illegible] [illegible] ებჯინება საგლეხო [illegible]ის პოლიტიკის ძი[illegible] [illegible]ირეწველობისა და ის [illegible] წარმოადგენს გლე[illegible] [illegible]თარების, მისი განსა[illegible] [illegible]ინდუსტრიასთან, ჩვენს [illegible]ხასთან მისი დაახლო[illegible] [illegible]აზრისით განსაკუთრე[illegible] [illegible]ს სოფლის მეურნეობის [illegible] კულტურების ისეთ [illegible] შუა აზია. [illegible]ობს,—განაგრძობს ამხ. იკრა[illegible] [illegible] მთელს საბჭოთა კავშირში [illegible]რდება კერძო კაპიტალი, [illegible]ობას არ ეტყობა ზრდა. [illegible] მოყვანა ჩვენი კავში[illegible] [illegible]სახებ, რომლებიც ყველ[illegible] [illegible]ეს ატარებენ, ე. ი. ნაცი[illegible] [illegible]რების შესახებ. რა ვი[illegible] [illegible]ფერენციაციის შესახებ [illegible] გვაქვს შუა აზიაში, [illegible] მე-14 ყრილობის შე[illegible] [illegible] ტერმიდორიანულ [illegible] შუა აზიაში ჩვენ [illegible] რეფორმა, ე. ი. [illegible] გავაუქმეთ ათასო[illegible] [illegible]მეობა. საბოლოოდ გა[illegible] [illegible], რომელთაც ჰქონ[illegible] [illegible] აღემატებოდა 7—8 [illegible]ედით ზედმეტს და [illegible] და ღარიბ გლეხობას. [illegible]მოეცენდა მარტო მოჯა[illegible] [illegible]ბულ მუშებს 120.000 [illegible] ლენინიზმმა ძირეუ[illegible] [illegible]ფლის სოციალური ხა[illegible] [illegible]წყობა რეფორმამდე ჩვენს [illegible]მიწაწყლო მეურნეობა, [illegible] 2.270-და, ყველა დანა[illegible] [illegible] [illegible]ურ მეურნეობათა ჯგუ[illegible] [illegible]პროცენტით—6 პროცენტი[illegible] [illegible]8 პროცენტამდე. კულა[illegible] [illegible] მოხდა საშუალო ჯგუ[illegible] [illegible]ტით, და სათ იზრდებ[illegible] [illegible] ოპოზიციის აზრი, რომ [illegible]არტიაში იზრდება და ხელთ [illegible]ები, რომ, მოკლებულია ყო[illegible] [illegible] [illegible] არა ჩვენში სოციალისტური [illegible] უზბეკისტანსაც აქვს მი[illegible] [illegible]დან შედარებით. თუ 1925 [illegible] ერთიანებდა დეხკანების [illegible] ეხლა კოოპერაციაში [illegible] მეურნეობათა 64 [illegible]ობა თითქმის მთლი[illegible] [illegible] შარშან კო[illegible] [illegible] აბრეშუმის 17 პრო[illegible] [illegible] პროცენტი. შარშან [illegible] ბუხარის ხაქადე [illegible]აში ძალიან სუსტი [illegible]საქმიდან მიიღო სამი [illegible] კოოპერაციამ ხელთ [illegible]0 ტყავის 64 პროცენტი [illegible] [illegible]ზედაც ოპოზიცია ეწე[illegible] [illegible]ეროვნული საკითხი, [illegible]რო შორის წავიდა, ვი[illegible] [illegible] სოციალ-დემოკრატები. [illegible]ზიულ ნაციონალის [illegible] თვალსაზრისზე, [illegible] რაკოვსკი [illegible]კონტროლო კომისიის [illegible] განაცხადა, რომ ცეკა [illegible]პრინციპით პოლი[illegible] [illegible] [illegible] პოლიტიკა თუ [illegible] მას. [illegible] წასვლა, [illegible] [illegible] გლეხ[illegible] [illegible] სხდომაზე ლი[illegible] ნადა[illegible] საბოლოოთ [illegible]ნა (აღს).

[illegible]ბიან. ამ მხრივ პარტია ატარებს სწორ პოლიტიკას; ჩვენ რასაკვირველია; ვ იცით; რომ ცალკე ოლქებსა და რესპუბლიკებში ესა თუ ის ამხანაგები ხშირად, ავიწყდებათ რა მათ ნაციონალური მომენტები, იჩენენ თვითმპყრობელურ მოვლინებს. მერე განა ჩვენ მათ თავზე ხელს უსვამთ? არა; ჩვენ მაშინვე ვსჯით მათ, თუ არ ვრიცხავთ პარტიიდან. ზინოვიევის მიერ წამოჭრილი ბრალდება ჩვენი კოლონიზატორობის შესახებ—არის ცილისწამება მთელ პარტიაზე.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ საბოლოოდ აღმოფხვრათ ეროვნული უთანასწორობა? პირველ ყოვლისა საჭიროა მეურნეობის ამაღლება. პირველ ყოვლისა საჭიროა ძველი წყობილებიდან მემკვიდრეობად დარჩენილ ეკონომიურ უთანასწორობის აღმოფხვრა კავშირის ცალკე ნაწილებს შორის; სწორ ხაზს ატარებს თუ არა პარტია ამ საკითხში? სავსებით სწორ ხაზს. ჩვენში, შუა აზიაში სასოფლო მეურნეობის ზრდა 1925—26 წ. უდრის 6,4 პროცენტს, ე. ი. მეურნეობა ჩვენში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კავშირის დანარჩენ ნაწილებში და მთელ კავშირში მთლიანად.

ოპოზიცია ამბობს: ეროვნულ საკითხში არაფერი არ კეთდებაო და სხ. მათ ავიწყდებათ, რომ ძველ, მე-12 ყრილობის გადაწყვეტილებებს, მე-4 ნაციონალური თათბირის გადაწყვეტილებებს—საერთოდ არ სჭირდებათ გადათვალიერება. თვით ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ეს გადაწყვეტილებები სავსებით სწორია, და პარტია ახორციელებს მათ.

შემდეგ ინტელიგენციის შესახებ. ინტელიგენცია ჩვენ ძალიან ცოტა გვყავს. განსაკუთრებით აღმოსავლეთ განაპირა მხარეებში. ინტელიგენცია ფრთხილად უნდა მოვეპყროთ. უკანასკნელ წლებში სწორი პოლიტიკის წყალობით, კულტურის სწრაფი ზრდის წყალობით ჩვენ შევქმენით ათასობით ახალი ინტელიგენტი, რომლებიც მტკიცედ მხარში უდგებიან საბჭოთა ხელისუფლებას. უფრო მეტი—ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილი მიჰყვება ჩვენს პარტიას. ამ ცოტა ხნის წინად შესდგა უზბეკისტანის ინტელიგენციის ყრილობა. ამ უპარტიო ყრილობაზე მოხვდა ორი პირი, რომლებიც ყველგან ილაშქრებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. როდესაც ისინი ყრილობაზე გამოჩნდენ, მათ უთხრეს: „უზბეკისტანის მშრომელ ინტელიგენციაში ადგილი არა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელი მასების წინააღმდეგი არიან", და ერთსულოვნად გარიცხეს ორივე. პარტიას რომ სწორად არ გადაეჭრა ეროვნული საკითხი, მაშინ ინტელიგენცია ჩვენ აღარ გამოგვყვებოდა, ის ჩვენი წინააღმდეგი იქნებოდა.

ეხლა ჩვენ რევიზიას კი არ უნდა უკეთებდეთ ლენინის მოძღვრებას ეროვნულ საკითხში,—ის ჭეშმარიტად სწორია და ამაში არც ერთ ბოლშევიკს არ ეპარება ეჭვი,—არამედ უნდა წავიდეთ წინ და შევუდგეთ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხების გადაწყვეტას. უნდა გავაღრმავოთ კლასობრივ ფენებად დაყოფა. ამჟამად ჩვენში ქრება ნაციონალური უკმაყოფილება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის მთლიანად არ გამქრალა. სამაგიეროდ ჩნდებიან სოციალურ-კლასობრივი საკითხები. ამჟამად პარტია უნდა შეუდგეს ამ საკითხების შესწავლას და საბჭოთა ხელისუფლების შემდგომ გაღრმავებას. უზბეკისტანში პარტია გაიზარდა ძირითადი მოსახლეობის — ღარიბი გლეხების, მოჯამაგირეთა და მუშების ხარჯზე. მოჯამაგირე და საშუალო გლეხი მისდევენ საბჭოთა ხელისუფლებას. არ ვიტყვი, რომ ჩვენ ყველგან გვაქვს სოციალიზმი, — ჩვენ ბევრი დეფექტები გვაქვს და საჭიროა მათი აღმოფხვრა. მაგრამ ეხლა კლასობრივ ფენებად დაყოფის გამო, პარტია ძლიერდება. ამ ორ წელში უზბეკისტანის ორგანიზაცია რამოდენიმე ათასი კაცით გაიზარდა. ეხლა პარტიამ უფრო მტკიცე კურსი უნდა აიღოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამ ახალგაზრდა კადრების განმტკიცებაზე. ეხლა საჭიროა ადგილობრივ პროლეტარიატის კადრების გაფართოვება და მაშინ ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენს ბოლშევიკურ ლენინურ ორგანიზაციას, რომელიც ღირსეულად მოიგერიებს ყველა თავდასხმებს და გამოსვლებს, ვის მხრივაც არ უნდა იყოს ის, და ნაციონალურ განაპირა მხარეებს წაიყვანს არა ინგლისელებთან, არა კაპიტალიზმისაკენ, არამედ სრულიად საკავშირო პროლეტ[illegible]ატის ხელმძღვანელობით წაიყვანს მათ ს[illegible]ზმისა და კომუნიზმის გამარჯვე[illegible] [illegible]ბის[illegible]

ამხ. შაფიევის სიტყვა

ამხ. შაფიევი (ქალი) მხურვალედ მიესალმა ყრილობას ბაშკირეთის მშრომელი ქალების სახელით.

ორატორი თავის სიტყვაში ვრცლად შეეხო ქალთა მუშაობას ჩამორჩენილ ეროვნულ რაიონებში. ამ საქმიანობის მთავარი ნაკლია სუსტი მუშაობა თემებში; მშრომელი ქალები საკმაოდ ვერ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საგრძნობი ნაკლი ემჩნევა აგრეთვე სასკოლო დარგსაც,—მასწავლებელნი ცოტანი არიან, საკმაო არ არის სახ. სახელმძღვანელოები. წერა-კითხვის უცოდინარ ქალთა პროცენტი მეტად დიდია.

ამხ. გაზას სიტყვა

ამხ. გაზა (ლენინგრადი) ამბობს:

— ოპოზიცია თავის დამარცხებას ხსნის მხოლოდ იმ რეჟიმით, რომელიც პარტიაში არსებობს. როდესაც ლენინგრადის ოპოზიციის შემდეგ გადარჩეულ იქნა ლენინგრადის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები, მუშაობიდან მოხსნილი ოპოზიციონერები ამბობდენ, რომ ეხლა ლენინგრადის მრეწველობას წესი აეგო. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ლენინგრადის მრეწველობას უმათოდაც საუცხოოდ შეეძლო ზრდა.

პუტილოვის ქარხნის პროგრამა ორი წლის განმავლობაში თითქმის ერთი-ორად გადიდდა. ქარხნის პროდუქციამ 19 მილიონ მანეთიდან 82 მილ. მანეთამდე იმატა. პუტილოველის ხელფასმა 106 მანეთამდე აიწია. მუშათა აქტივობა დღე-დღე გაძლიერდა. ჩვენ უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ შინაპარტიულ დემოკრატიის დარგში.

შემდეგ ამხ. გაზამ მოიყვანა რამოდენიმე ფაქტი, რაც ზინოვიევისა და ევდოკიმოვის მუშაობას ახასიათებს. უშედეგოდ დამთავრდა ყოველი მათი ცდა, რომ გავლენა მოეპოვებინათ ლენინგრადელ მუშებში. იმ მუშებმაც კი, რომლებიც პირველ ხანებში აგიტაციის გავლენას დაემორჩილენ, ხელი აიღეს თავის ოპოზიციონურ შეხედულებებზე, როცა მათში კარგად გაერკვენ.

პუტილოველი მუშები იმედოვნებენ, რომ მე-15 ყრილობა ბოლოს მოუღებს ოპოზიციას და ამით პარტიას გაანთავისუფლებს იმ დაბრკოლებისაგან, რომელიც აფერხებს მის მუშაობას.

ამხ. განტმანის სიტყვა

ამხ. განტმანი (ბელორუსია) ამბობს:

ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ ცეკას პოლიტიკის სისწორე ბელორუსიაში მუშაობის პრაქტიკით ბელორუსია ორ წელიწადში გაიზარდა მეურნეობის მხრით და კულტურულად. ავიღოთ თუნდაც „ოსინსტროი", რომლის საძირკვლის ჩაყრა ახლახან მოხდა. ეს ხომ მთელი რევოლუციაა ბელორუსიის სამეურნეო ცხოვრებაში.

ბელორუსის კომუნისტური პარტია საკავშირო კომპარტიის ძლიერი რაზმია. ამას გვიდასტურებს პარტიისადმი ნდობის ზრდა მუშათა შორის. ოქტომბრის წვევამ ჩვენ მოგვცა 8.000 მტკიცე კვალიფიკაციაქმნილი მუშა. ბელორუსის პარტიულ ორგანიზაციებს იმედი აქვთ, რომ მე-15 ყრილობა პარტიისათვის უზრუნველ ჰყოფს სადი საქმიანი მუშაობის პირობებს.

ამხ. მაზუროვის სიტყვა

ამხ მაზუროვი (შახტინსკის ოლქი) ახასიათებს თავისი ოლქის ცხოვრებიდან რამოდენიმე ფაქტს, რომელნიც ადასტურებენ პარტიის პოლიტიკის სისწორეს

— ჩვენ ვიწონებთ ცეკას პოლიტიკას უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ის აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას,—ამბობს ამხ. მაზუროვი.—ეს ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს მოვამზადოთ ჩვენი თავიცა და მსოფლიო პროლეტარიატიც მსოფლიო რევოლიუციისათვის.

ამხ მაზუროვი ლაპარაკობს სამეურნეო მიღწევების შესახებ და აღნიშნავს შახტინსკის ოლქში ქვანახშირის მრეწველობის ზრდას. 1914 წელს ამოღებული ქვანახშირის დონე უკან არის დატოვებული; 1914 წელს 50 მაღაროში ამოიღეს 104 მილიონი ფუთი, 1926 წელს კი მხოლოდ 26 მაღაროში ამოიღეს 186 მილიონი ფუთი მაღაროები მექანიზაციაქმნილია. საძირკველი ეყრება და შენდება ახალი კაპიტალური მაღაროები. საგრძნობად გაიზარდა მუშის ხელფასი. ამხ. მაზუროვი ყრილობის ყურადღებას აქცევს საბინაო საქმის მძიმე მდგომარეობას.

ამხ. მაზუროვის სიტყვის შემდეგ ყრილობის მუშაობა შეწყდა შემდეგ სხდომამდე, რომელიც გაიხსნება დეკემბრის 5-ს, დილის 10 საათზე.

5 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. მიხაილოვსკის სიტყვა

ამხ. მიხაილოვსკი (მოსკოვი) ეხება ოპოზიციის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის თავდაცვისადმი.

საბჭოთა რესპუბლიკაზე შეიარაღებული თავდასხმის შესაძლებლობა,—ამბობს იგი,—არ არის მოხსნილი ჩვენი პარტიის დღის წესრიგიდან. ოპოზიციამ ომის შესაძლებლობა, ისევე როგორც ოქტომბრის რევოლუცია, მიიღო შენიშვნით. ოპოზიცია ამბობდა: იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო, ყოველი მუშა, მოჯამაგირე, ღარიბი გლეხი, კულაკი, ბიუროკრატი, ნეპმანი არსებითად დასვამს საკითხს: როგორი ომია, რისი გულისათვის და როგორი საშუალებებით უნდა იქნეს წარმოებული ეს ომი, საკითხის ასეთი დასმა ქმნის ეჭვებს. ამ ეჭვებმა გავლენა იქონიეს უკანასკნელ საბანაკო შეკრებაზე. თადარიგის უფროსებს შორის აღმოჩნდენ ოპოზიციონერები, რომელნიც ამბობდენ, რომ როცა ომი იქნება, ჩვენ ჯერ ვნახავთ, თუ როგორი იქნება ეს ომი. ოპოზიცია ასე სწამლავს ჩვენი ახალგაზრდობის შეგნებას და ასუსტებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას. მუშაობა, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებს საზღვარ-გარედ, იწვევს არა ჩვენი კავშირის განმტკიცებას, არამედ მისი თავდაცვის უნარიანობის დასუსტებას.

შემდეგ ორატორი ეხება რა დისკუსიას, ამბობს:

ჩვენ პარტიას უნდოდა ჯანსაღი დისკუსია, ჯანსაღი კრიტიკა, და არა ის ავადმყოფური დისკუსია, რომელსაც იწვევდა ოპოზიცია. ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიციის იმედები გაცრუებულია. პარტია კვლავ ჯანსაღი და მტკიცე დარჩა, ხოლო ოპოზიციის ბელადები ავადმყოფ ხალხად გადაიქცა, მათ ყოველი სინამდვილე ყალბად ეჩვენება. როცა მოსკოვის აქტივი კამენევს და რაკოვსკის შეხვდა სტვენით. ისინი ხვნობდენ, რომ ეს არის არა ნამდვილი, არამედ ყალბი სტვენა, ოპოზიციის ბელადებისათვის გაუგებარია, თუ რატომ მოხდა, რომ როცა ისინი სწორი გზით მიდიოდენ, პარტია მათ ხელით ატარებდა, და როცა ისინი წავიდენ შემცდარი გზით, მათ დაუსტვინეს. მერე მათი ავადმყოფობა არის ძახილი კატასტროფაზე. კამენევი კატასტროფას ხედავს იმაში, რომ პარტიიდან გამორიცხეს ოპოზიციის ბელადები. მას არ ესმის, რომ ამაში არავითარი კატასტროფა არ არის პარტიისათვის, რომ პარტია ოპოზიციის ბელადების დაუხმარებლადაც წავა სწორი გზით, რომელიც ილიჩმა გვიჩვენა, წავა სოციალიზმის გზით.

ამხ. კრუპსკაიას სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. კრუპსკაია, რომელმაც სთქვა:—მე არ ვილაპარაკებ იმ უდიდეს პოლიტიკურ და ორგანიზაციულ შეცდომებზე, რომლებიც დაუშვა ოპოზიციამ. ამაზე საკმაო ითქმულა. მე ვფიქრობ ამ შეცდომების ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიციამ დაჰკარგა იმის ალღო, იმის შეგნება, რითაც სუნთქავს მუშათა კლასი, რითაც სუნთქავენ და სცოცხლობენ მუშათა კლასის მოწინავე ფენები. (მანუილსკი: „მართალია"). ოპოზიციამ დაჰკარგა იმ კოლოსალურ ამოცანების შეგრძნება, რომლებიც სდგას პარტიის წინაშე. ამაშია ოპოზიციის უბედურება, ეხლა ჩვენ გათიშვის ფაქტის წინაშე ვდგევართ. მე ვფიქრობ, რომ პარტია ამჟამად უკანასკნელ ხუთ წელიწადში იმდენად გაიზარდა, იმდენად გაიდგა ფესვები მასაში და იმდენად გამოხატავს იმას, რასაც გრძნობს და განიცდის მასა, რომ ამ მძიმე მომენტში პარტია (გამოტოვებულია). მაგრამ, რა თქმა უნდა, თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმაზე, რომ გათიშვის ფაქტი მაინც თვალის წინ გვაქვს და თუ პარტიას შეხვდა მძიმე მომენტის განცდა, და ასეთი მომენტი კი, რა თქმა უნდა, ბრძოლის პროცესში ცოტა არაა, ოპოზიციის უკვე დაბეჭდილი პლატფორმა შეიძლება გამოდგეს იმ ელემენტების შესაკავშირებლად, რომლებისთვისაც ძვირფასი არ არის ის, რისთვისაც იბრძვის პარტია. ეს სიძნელე, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდ ავიქონიოთ. 1909 წელში ვლადიმერ ილიჩი სწერდა იმის შესახებ, რომ როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ჯგუფთან, რომელიც შემდგარია სხვადასხვაგვარ ელემენტებისაგან, ას ჯგუფს არ შეუძლია გულწრფელად გამოვიდეს, მის გამოსვლებში ყოველთვის არის სიყალბე. და აი მე ვფიქრობ, რომ მთელმა რიგმა ყალბმა მტკიცებებმა, რომლებსაც აკეთებდა ოპოზიცია, გამოიწვია ის, რომ ოპოზიციას მიემხრენ ისეთი ელემენტები, რომლებიც მიათრევენ ოპოზიციას, ადევნებენ მას ისეთ შეცდომებს, რომლებიც ყოველივე საზღვარს სცილდება. თუ ჩვენ ეხლა შევხედავთ, არის თუ არა ამჟამად შესაძლებელი შეთანხმება პარტიასა და ოპოზიციის შორის, მე ვფიქრობ, რომ ამ შეთანხმებას არ შეიძლება ჰქონდეს ნიადაგი. როგორც მთლიანობას, ოპოზიციას არ შეუძლია შეუთანხმდეს პარტიას იმიტომ, რომ ის, (ე. ი. ოპოზიცია) შემდგარია მეტისმეტად სხვადასხვაგვარ ელემენტებისაგან. არ შეიძლება უარვყოთ, რომ ოპოზიციაში არიან ამხანაგები, რომლებიც ბუნდოვანად გრძნობენ თავის შეცდომებს, სურთ პარტიაში დაბრუნება პარტიასთან მუშაობა, მაგრამ არიან ისეთი ელემენტებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეიძლება მხოლოდ პარტიულობის ნიღაბის გაკეთება. ამრიგად ოპოზიცია, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს მთლიან, ერთნაირად მოაზროვნე ერთეულს და ამიტომ შეთანხმებას მასთან არ შეეძლება ექნეს რაიმე მნიშვნელობა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პარტიამ უნდა გაუადვილოს პარტიაში დაბრუნება ყველა იმ ელემენტებს რომლებიც გრძნობენ ოპოზიციის სიყალბეს, რომლებსაც სურთ პარტიასთან ერთად მუშაობა. პარტია ძლიერია, რა თქმა უნდა, არა თავისი გარეგნული მრავალრიცხოვნობით, არამედ ის ძლიერია თავის შინაგანი მთლიანობით, და რა თქმა უნდა, არ შეიძლება ლაპარაკი შინაგან მთლიანობაზე, როდესაც განსაზღვრული ნაწილი მხოლოდ აუცილებლობის გამო მუშაობს პარტიასთან ერთად. აქ საჭიროა შეხმატკბილება, შემჭიდროება. და ამჟამად ეს შეხმატკბილება, შინაგანი დისციპლინა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე, ვინაიდან ამჟამად პარტია სდგას მთელ რიგ უაღრესად დიდ პრობლემების წინაშე. ჩვენ ამჟამად პირისპირ მივადექით სოციალისტურ აღმშენებლობას. თუ ყურს დაუგდებთ იმას, რას ამბობენ მასები ყოველთვის დაინახავთ ახალ მიდგომას, სოციალისტურს, თავის შინაარსით, და მთელ რიგ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას ამ ამოცანების გადაჭრა, რა თქმა უნდა, შეიძლება მხოლოდ მწყობრი და შეთანხმებული მუშაობით.

ამ რამოდენიმე სიტყვის შემდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, მტკივნეული საკითხის შესახებ, მე მინდა შევჩერდე ერთ-ერთ იმ პრობლემაზე, რომელიც ამჟამად სდგას პარტიის წინაშე და რომელიც არ შეიძლება გადაიჭრას პარტიის აქტიურ მუშაობის გარეშე. აქ ბევრი ამხანაგები ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ მასებში შემჩნეულია უდიდესი კულტურული ზრდა, მისწრაფება ცოდნისადმი. ეს იცის თვითეულმა ჩვენთაგანმა, ეს სავსებით გასაგებია. სამეურნეო დარგში ჩვენ მივაღწიეთ განვითარების ისეთ დონეს, როდესაც შემდგომი სამეურნეო აღმშენებლობა მოითხოვს მასებისაგან ცოდნის ბევრად უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ეს მათ აქვს. სწორედ ამიტომ ვამჩნევთ მუშათა მასებში სწავლისადმი მისწრაფებას. თუ ჩვენ ავიღებთ სოფლის მეურნეობას, მისი წარმოების ახალი მეთოდები მოითხოვს ცოდნის ბევრად უფრო მაღალ დონეს. დასასრულ, საბჭოთა აღმშენებლობა, საბჭოების მუშაობის გაღრმავება, მასების შეკავშირება-საბჭოების საშუალებ[illegible] [illegible] ყოველივე ეს, ერთად აღებული, იწვევს იმ მისწრაფებას ცოდნისადმი, რომლებიც გვალაპარაკებს, რომ ჩვენ ვდგევართ კულტურული რევოლიუციის მიჯნაზე. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კულტურული რევოლიუცია შეიძლება მოხდეს საბჭოთა ხელისუფლების გარეშე, რომ მასას საბჭოთა ხელისუფლების დახმარების გარეშე შეუძლია მიიღოს ის ცოდნა; რომელიც მას ესაჭიროება, რომლებიც მას შეუძლია გამოიყენოს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. აქ საჭიროა უაღრესად დიდი დახმარება საბჭოთა ხელისუფლების მხრივ. მაგრამ თუ ჩვენ შევხედავთ როგორ მდგომარეობაშია ნამდვილად საქმე, დავინახავთ, რომ ჩვენ აქ ხშირად ყველაფერი თავის რიგზე არ გვაქვს. ჩვენში უაღრესად მტკივნეულ მდგომარეობაშია პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებათა ქსელის საქმე. ჩვენ ვიცით, რომ ისეთ გუბერნიაშიც კი, როგორიც ფსკოვის; ერთბაშად თავს იჩენს აზრი, რომ შემოკლებულ იქნას ბიბლიოთეკების რიცხვი, მთელ რიგ გუბერნიებში ჩვენ ვხედავთ სკოლების ქსელის შემცირებას, ზოგჯერ პირველ საფეხურის სკოლების ქსელსაც კი ამცირებენ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სასკოლო აღმშენებლობა მიმდინარეობს ნელი, ძველი ლიბერალური ტემპით; ცხოვრება კი ჩვენგან მოითხოვს სულ სხვას. ჩვენ ძლიერ ბევრი ვიმუშავეთ აპარატის შესამცირებლად, გვინდოდა ინსპექტორის საშუალებით დაგვეახლოვებინა ხელმძღვანელობა მასებთან, მაგრამ სანამ ინსპექტურა კიდევ მოუწყობელი რჩება; ის კომუნისტური გავლენა მუშაობაზე; რომელიც უნდა გამომდინარეობდეს საგანმანათლებლო აპარატისაგან: ჩვენ ჯერ არა გვაქვს.

ჩვენი კომუნისტური პარტიული გავლენა მასწავლებლებზე გაცილებით უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ. აქ საჭიროა დიდი მუშაობა, საჭიროა ის, რაზედაც ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიჩი, — მასწავლებლებს უნდა შთავბეროთ ჩვენი ენთუზიაზმი, ჩვენ კი სწორედ ამისათვის ვმუშაობთ. და ჩვენ ვხედავთ განწყობილების ერთგვარ შენელებას მასწავლებლებს შორის. აქ საჭიროა მედგარი, მტკიცე მუშაობა. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სამეურნეო მშენებლობაზე, ყველას ესმის კაპიტალური ხარჯების აუცილებლობა. ასევე, ჩვენი კულტურული მშენებლობაც არ შეიძლება განვითარდეს კაპიტალური ხარჯების გარეშე. მომჭირნეობა ამაზე, განსაკუთრებით მომჭირნეობა სახალხო განათლების პირველდაწყებითი ფორმებზე, დაუშვებელი არის. ამას ყოველი პარტიული ამხანაგი უნდა ებრძოლოს ყოველგვარი საშუალებით. ჩვენ არ შეგვიძლია აგრეთვე ისეთი ნელი ტემპით სიარული, როგორც მივდივართ სასკოლო მშენებლობის საქმეში. კულტურული მშენებლობის დარგში საჭიროა გარკვეული მორიგი ამოცანების წამოყენება და ცხოვრებაში გატარება პარტიის ძალებით ფართო მასების მონაწილეობით. მაგალითად, 1905 წლის გაწვეულთა შორის უფრო ნაკლებია წერა-კითხვის მცოდნენი, ვიდრე წინა წლის გაწვეულთა შორის. აქ, სამხედრო სამსახურში მყოფმა ამხანაგებმა სთქვან მართალია თუ არა ეს (ხმები: „მართალია"). მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს გვაიძულებს დავფიქრდეთ იმაზე, რომ ყველა მოზარდები 11-დან 18 წლამდე, გავატაროთ წერა-კითხვის წლიურ სკოლებში. ეს ეხლა შესაძლოა გავაკეთოთ როგორც ნივთიერი მხრივ, ისე ძალების მხრივ. მაგრამ აქ ნათელი ამოცანა უნდა იყოს დასახული, რომელიც შეიძლება იქნას გადაწყვეტილი ძალებით, საბჭოთა აპარატის ძალებით, მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობით.

არის ამოცანების მთელი რიგი. მაგალითად, სკოლების საკითხი საფაბრიკო - საქარხნო რაიონებში. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა არის მთელ რიგ რაიონებში. მთელ რიგ მუშათა რაიონებს არ აქვთ პირველი საფეხურის სკოლებიც კი, თუ არაფერს ვიტყვით შვიდწლედებზე, მაშინ როდესაც შვიდწლედი არის ის საფუძველი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს საფაბრიკო - საქარხნო სკოლა. დაბალ დონეზე მყოფი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ვერ იძლევა ისეთ შედეგებს, როგორიც უნდა მოგვცეს, ვერ იძლევა ისეთ კვალიფიციურ მუშებს, რომლებსაც მოითხოვს თანამედროვე მრეწველობა. და აი, მთელი რიგი ამოცანები უნდა განვიხილოთ ყოველ მხრივ. თებერვლისათვის განზრახულია პარტთათბირის მოწვევა განათლების საკითხზე. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სერიოზულად უნდა მოვემზადოთ ამ პარტთათბირისათვის. არ შეიძლება, რომ ეს პარტთათბირი გადაიქცეს დავად რ. ს. ფ. ს. რ. და უკრაინის შორის იმის შესახებ, თუ როდის უნდა იწყებოდეს პროფესიონალური განათლება; საჭიროა, რომ ამ პარტთათბირმა სრულიად გარკვეულად დასვას ყველა საჭირბოროტო საკითხები განათლების დარგში. კულტურული რევოლიუციის საკითხები, მასების ცოდნით შეიარაღების საკითხები სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი საკითხთაგანია. აი ის რაც მინდოდა მეთქვა ამ დარგში, რომე[illegible] (ხანგრძლივი ტა[illegible]).

ყრილობის დღიური

5 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 6 დეკემბერი. დეკემბრის 5-ს მე-15 პარტიული ყრილობის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მიხაილოვსკიმ (მოსკოვი), პოსტიშევმა (უკრაინა), გოლოშჩეკინმა (ყაზახსტანი), კრუპსკაიამ (მოსკოვი), პოზერნმა (ლენინგრადი), არტიუხინმა (მოსკოვი), რაკოვსკიმ, რუძუტაკმა, ანდრეევმა (მოსკოვი), რინდინმა (ურალი).

შემდეგ ყრილობას მიესალმენ სორმოვის სახელოსნოების, კანავინსკის მუშების, ნიკოლაევის მარტის სახელობის ქარხნის, კოსტრომის, ფეიქრების და მელითონეების მუშათა დელეგაციები. ამით დამთავრდა დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე კამათი განახლდა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მახარაძემ (საქართველო), კულიკოვმა (მოსკოვი), ჩაპლინმა (მოსკოვი), ევდოკიმოვმა, კიროვმა (ლენინგრადი), მიხალევმა (ტულა), სირცოვმა (ციმბირი), კამენევმა და რიკოვმა.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

6 დეკემბრის დილის სხდომა

6 დეკემბრის დილის სხდომას ხსნის ამხ. პეტროვსკი, რომელიც აცხადებს, რომ ყრილობაზე მოვიდენ დელეგატები ფაბრიკებისა და ქარხნების კოლექტივებიდან, მოჯამაგირეებიდან, წითელ-არმიელებიდან და გლეხებიდან.

ყრილობას ესალმებიან: გლეხები უკრაინის ოლქებიდან—პოლტავის და ურალის ოლქიდან, მოჯამაგირე ქალი კოვალენკო, ხერსონშჩინის მოჯამაგირეებისაგან—სასოფლო-სამეურნეო მუშა პოდობედოვი, კონსტანტინოვის ქარხნების მუშებისაგან— მუშა ნევსკი. ამხ. ბუხარინის სახელობის ქარხნის მუშებისაგან—მუშა-ქალი როდიონოვა. მესამე ინტერნაციონალის სახელობის საფეიქრო ფაბრიკის მუშებისაგან — მუშა ფედოროვი, დნეპროპეტროვსკის სახელოსნოების 100.000 მუშებისაგან — მუშა ვასილიევი, სადგურ ბოლოგოეს სახელოსნოებიდან— მუშა სტროჩკოვი, ზლატოუსტინის ქარხნებიდან — მუშა კუზმინი, „ტრიოხგორნი მანუფაქტურიდან"— კონდრატიევი და ჟურავლიევა. მოსკოვის გარნიზონის წარმომადგენელი—წითელარმიელი იუდინი და სხვ.

ყველა გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ უდიდეს მიღწევებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის დარგში, რომელიც პარტიის მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგი არის. მუშათა და გლეხთა მასები სრულ ნდობას უცხადებენ პარტიას და მოითხოვენ ყრილობისაგან გადამჭრელი ზომები მიიღოს ოპოზიციის წინააღმდეგ. დელეგატები ყრილობას უძღვნიან საჩუქრებს.

საპასუხო სიტყვა ყრილობის სახელით წარმოსთქვა ამხ. ჩუბარმა, რომლის სიტყვის შემდეგაც გაგრძელდა კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. მირზოიანმა, რადჩენკომ (უკრაინა). შლოვეშკომ (ლენინგრადი), რიუტინმა (მოსკოვი). ლეონოვმა (ჩრდილო - კავკასია), ტომსკიმ, მურალოვმა და კლავდია ნიკოლაევამ.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

ოპოზიცია სიცრუის ჭაობში

ცეკას ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში გამოვიდენ ოპოზიციის წარმომადგენელნი ამხ. კამენევის, რაკოვსკის და სხვა ოპოზიციონერების სახით, რომლებსაც პარტიის მე-15 ყრილობაზე მიეცათ სათათბირო ხმის უფლება. რითი გამოვიდენ ისინი?

თუ კი ვისმე ჰქონდა იმედი, რომ ოპოზიცია ქედს მოიხრიდა პარტიის უმაღლესი ორგანოს — ყრილობის წინაშე და სრული იდეური და ორგანიზაციული კაპიტულიაციის საშუალებით უზრუნველყოფდა პარტიაში დარჩენის შესაძლებლობას, — ეს იმედი არ გამართლდა

თავისი შეცდომების პატიოსანი აღსარების ნაცვლად, თავისი წარსულის გაკიცხვის მაგივრად, — ოპოზიციონერი ორატორები მე-15 ყრილობის ტრიბუნიდან ისევ ხლართავდენ მოსაწყენ და საზიზღარ სიცრუის ქსელს. ცხოვრებამ ვერაფერი ვერ ასწავლა ოპოზიციას და გაკვეთილი, რომელიც მათ მიიღეს პარტიისა და მუშათა კლასისაგან, სჩანს ამაოდ დაიკარგა მისთვის.

ოპოზიციის მთავარმა ორატორმა ყრილობაზე, ამხ. კამენევმა აღიარა, რომ ოპოზიციის წინაშე სდგას „საკითხი აირჩიოს ერთერთი ორ გზაში: „ერთი ამ გზათაგანია—მეორე პარტია". ეს არის პოლიტიკური და კლასიური გადაგვარების გზა და ამიტომ ჩვენი თანამოაზრეების ამ გზით წაყვანა არ შეგვიძლია და არც გვინდა".

ოპოზიციას, — ამბობდა ამხ. კამენევი, სურს დარჩეს პარტიაშიო. მიუხედავად ამისა, ამხ. კამენევის მთელი სიტყვა ისე, როგორც დანარჩენ ოპოზიციონერების გამოსვლები, მჭერმეტყველურად ეწინააღმდეგებოდა ამ განცხადებას.

ოპოზიციას თითქო „არ სურს" მეორე პარტია, მაგრამ მან მაინც შექმნა მეორე პარტია და აქამდე განაგრძობს იგი არსებობას. ასეთია ფაქტი, რომელიც აბათილებს ამხ. კამენევის „მშვიდობის მოყვარეობით" გამსჭვალულ განცხადებებს. ვისი სახელით გამოვიდენ ისინი ყრილობაზე, თუ არა იმ მეორე პარტიის სახელით, რომლის არსებობაც თითქოს მათ „არ სურთ". ადამიანებს, რომელთაც პატიოსნად სურთ პარტიაში დარჩენა, უნდა დაეწყოთ მეორე პარტიის ნამდვილი ლიკვიდაციით და შემდეგ ელაპარაკათ იმის შესახებ, რომ მათ მეორე პარტია „არ სურთ". რაკი ეს არა ქნა ოპოზიციამ, ამით კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ იგი კვლავ განაგრძობს მეორე პარტიის თვალსაზრისზე დგომას და აწარმოებს ლენინის პარტიის ძმართ წინანდელ მოტყუების პოლიტიკას.

ოპოზიციას „არ სურს" მეორე პარტია? მაგრამ გაკიცხეს თუ არა ამხ. კამენევმა და სხვა ორატორებმა ის ანტიპარტიული მეთოდები და შეხედულებები, რომლებსაც მიმართავდა და რომელსაც იცავდა (და იცავს) ტროცკის „მეორე პარტია"? გაკიცხეს თუ არა მათ ოპოზიციის ოქტომბრის საწინააღმდეგო გამოსვლა მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის და სხვა ქალაქების ქუჩებზე? გაკიცხეს თუ არა მათ ოპოზიციის ხელიხელ ჩაკიდებული გამოსვლა უპარტიო და ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ? დაანებეს თუ არა მათ თავი ლენინის პარტიის ტერმიდორის პარტიის სახელწოდებით მონათვლას? უკუაგდეს თუ არა მათ „კლემანსოსებური გადატრიალების" ტაქტიკა ომიანობის შემთხვევაში? არაფერი ამის მსგავსი არ სჩანდა ოპოზიციონერების წარმომადგენლების მიერ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებში. ყველა ამ საკითხებზე მათ პირში წყალი ჩაიგუბეს, ამის შემდეგ, გარდა ბრიყვისა, ვინ დაუჯერებს ოპოზიციას, რომ იგი მეორე პარტიის წინააღმდეგია.

ოპოზიციონერ ორატორებმა არა თუ გაჰკიცხეს უკვე ფაქტიურად არსებულ მეორე პარტიის შეხედულებები და მეთოდები, არამედ გამოიჩინეს ისეთი თავხედობა, რომ ყრილობას „მოთხოვნაც კი წაუყენეს პარტიიდან გამორიცხულ, პარტიაში მეორე პარტიის მოღვაწეთა დაბრუნების შესახებ, მათ შორის, პარტიაში ფიშელევების დაბრუნების შესახებ. რომელნიც დღეს ანტი - საბჭოთა მუშაობისათვის ციხეში სხედან. ისეთი სახის მიღება, თითქოს ხელში „მშვიდობის შტო" გიჭერია და ყრილობაზე ასეთი განცხადებებით მოსვლა, — ასეთი ქცევა შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს, რომელნიც ყელამდე სიცრუის ჭაობში ჩაძირულან. ოპოზიციის ასეთ ტაქტიკას, რასაკვირველია, არ შეეძლო არ გამოეწვია ყრილობის დელეგატების ერთსულოვანი იერიშები გამოუკლებლად.

ოპოზიცია ყრილობაზე მოვიდა იმ ორი [illegible]ის განმეორებით (უფრო უვარგისი სახით), რომელიც მან გააკეთა გასული წლის 16 ოქტომბერს და ა. წ. 8 აგვისტოს. ოპოზიციის სახელით ორატორებმა ყრილობას „აღუთქვეს" ფრაქციულობის სრული ლიკვიდაცია, მაგრამ ამავე დროს მათ აგრეთვე „აღუთქვეს" დაიცვან თავიანთი შეხედულებანი პარტიულ წესდების ფარგლებში. ჭეშმარიტად, უნდა დაჰკარგო რეალობის ყოველგვარი გრძნობა, რომ იმის შემდეგ, რაც მოხდა, კიდევ იმედი იქონიო, რომ პარტია მიიღებს ამ „პირობებს".

წარსული ორი განცხადების შემდეგ მოხვიდე ყრილობაზე იმ მიზნით, რომ გაიმეორო ფუჭი „დაპირებანი" „ფრაქციული მუშაობის შეწყვეტის შესახებ", ჭეშმარიტად ამისათვის საჭიროა შეხვიდე „პროფესიონალურ მატყუარას" როლში.

ოპოზიციის მიერ ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტის შესახებ ლაპარაკი ამჟამად უკვე აბსოლიუტურად საკმარისი არ არის. ოპოზიცია თავის განვითარებაში მივიდა ისეთ მენშევიკურ შეხედულებებამდე, რომელთა პროპაგანდას საზოგადოდ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლენინის პარტიის რიგებში.

პარტიის მე-10 ყრილობამ, რომელმაც ამხ. ლენინის წინადადებით ანარქო-სინდიკალისტური გადახრის გამო მუშათა ოპოზიციისათვის გაკიცხვის რეზოლიუცია შეიტანა, ოპოზიციის შეხედულებათა პროპაგანდა „შეუთავსებლად" სცნო საკავშირო კომპარტიის რიგებში ყოფნასთან.

დღევანდელი ოპოზიციის შეხედულებები ჩვენს პარტიაზე, როგორც „ანტიპროლეტარულზე", „ტერმიდორიანულზე" და სხვა, არსებითად მენშევიკური შეხედულებებია, რომელთა პროპაგანდა აგრეთვე შეუთავსებელი უნდა იქნეს საკავშირო კომპარტიაში ყოფნასთან, რადგან ეს პროპაგანდა პირდაპირ სამსახურს უწევს პროლეტარიატის კლასიურ მტრებს და ოპოზიციის შეხედულების მიმდევარნი მიყავს არა მარტო პარტიული და საბჭოთა ლეგალობის ფარგლების გადალახვამდე, არამედ ბრძოლამდე პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ოპოზიცია სიცრუეში ჩაიძირა. პოლიტიკური მატყუარობა გახდა ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი ტაქტიკური წესი.

ოპოზიციის ეს ტყუილი შემთხვევითი არაა. ამ ტყუილს ფესვები არა მარტო ოპოზიციის მომხრეთა პირად თვისებებში მარხია, არამედ ეს აიხსნება იმ წინააღმდეგობებით, რომლებშიაც გაება უიმედო ჩიხში მომწყვდეული ოპოზიცია.

ოპოზიციის შეხედულებები მიაქანებენ მას ანტი-საბჭოთა მოქმედებისაკენ და ბოლშევიკური პარტიის და მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მაგრამ ოპოზიციას ძალა არ ყოფნის აწარმოოს ეს ბრძოლა აშკარად. ეს წინააღმდეგობა ოპოზიციის მუდმივი პერმანენტული მატყუარობის წყაროა—პარტიის, მუშათა კლასის, საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის წინაშე. აქ არის ოპოზიციის გადაგვარების ერთ-ერთი მიზეზი, ოპოზიცია, რომელიც სპობს მუშათა მასსებისაკენ მიმავალ ყველა გზებს, რადგან ეს მასები ვერ ითმენენ და ვერ იწყნარებენ ტყუილს და ბოლოს და ბოლოს მუდამ აშკარავებენ მას.

ამხ. კამენევი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ოპოზიციის წინაშე დასმულია საკითხი აირჩიოს ერთ-ერთი ორ გზაშიო, თუმცა, მისი სიტყვებით, ოპოზიცია ამ დღეებში უკვე საბოლოოდ არჩევს დაადგეს მეორე გზას. იმ ამხანაგებს ოპოზიციიდან, რომელთაც გულწრფელად სურთ თავი დააღწიონ პოლიტიკური გადაგვარების ჩიხს, პარტია მზად არის დაეხმაროს. გადაგვარებისა და სიცრუის ჩიხიდან გამოსვლა მდგომარეობს იმაში, რომ უდავო ფაქტების წინაშე, მილიონიანი პარტიის და მუშათა კლასის აშკარად გამოხატულ ნებისყოფის წინაშე მათ პატიოსნად უნდა აღიარონ თავიანთი შეცდომები და უარი სთქვან იმ წვრილ-ბურჟუაზიულ შეხედულებებზე, რომელთაც ამ შეხედულების მატარებელნი მიყავთ პროლეტარულ დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლამდე. მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ მათ იოლად და თავისუფლად დააღწიონ თავი პარტიისა და მუშათა კლასის მოტყუებლად გაბმულ უღირსი სიცრუის ქსელს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაბრუნდენ ისინი ბოლშევიკურ რიგებში, რომელნიც შეუსვენებლად მუშაობენ სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად და სოციალიზმის საყოველთაო გამარჯვების მოსამზადებლად.

„პრავდა", 6 დეკემბერი.

პარტიული ცხოვრება

წინ ლენინიზმისაკენ

(ყოფ. ოპოზიციონერ კრიჩევსკის განცხადება)

მოსკოვი, 6 დეკემბერი. „პრავდა"-ში დაბეჭდილია ტროცკისტების ოპოზიციონურ ცენტრის ყოფილ წევრის კრიჩევსკის განცხადება ტროცკისტულ პარტიის მუშაობის შესახებ, შეტანილი კრიჩევსკის მიერ უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში.

განცხადებაში კრიჩევსკი (პარტიის წევრი 1917 წლიდან) სწერს: „ვსთხოვ უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას გადაათვალიეროს საქმე ჩემი გამორიცხვის შესახებ უკრაინის კომპარტიიდან და, თუ შესაძლოა, აღმადგინოს მე პარტიის წევრის უფლებებში. ის ამბები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ უკანასკნელ დროს პარტიის ცხოვრებაში, მაიძულებენ მე მივმართო ცენტრალურ საკონტროლო კომისიას ამ განცხადებით. 1927 წლის ნოემბერში მე გამორიცხული ვიყავი პარტიიდან ფრაქციულ მუშაობისათვის, კერძოთ იმისათვის, რომ მე შევეცადე უპარტიო პირის დახმარებით დამებეჭდა ოპოზიციის პლატფორმა და მიმართვა პარტიის წევრებისადმი. უკეთესად რა ანალიზს უკანასკნელ ამბებს პარტიის ცხოვრებაში და ოპოზიციის ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ, მე ვრწმუნდები, რომ ის გზა, რომელიც ჩვენ, ოპოზიციონერებმა, ავირჩიეთ და ვახორციელებთ, არამც თუ ტაქტიკურად არ არის სწორი, არამედ პირდაპირ საზიანო და დამღუპველია პარტიისათვის. არაბოლშევიკურ მეთოდებზე აგებულ ბრძოლის ლოღიკით გატაცებული ოპოზიცია პარტიის შიგნით ბრძოლიდან თანდათან გადადის იმაზე, რომ ჯერ მიმართავს უპარტიო მასებს და შემდეგ პირდაპირ რაზმავს ორგანიზაციულად უპარტიო მასებს პარტიის წინააღმდეგ. ეს უკვე ფაქტიურად არამც თუ არღვევს პარტიის მთლიანობას და ასუსტებს მის ავტორიტეტს, არამედ ძირს უთხრის პროლეტარიატის დიქტატურას და ნიადაგს უმზადებს სამოქალაქო ომს. თვითეულმა ოპოზიციონერმა დაკვირვებით უნდა გადაავლოს თვალი პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპებს.

დავიწყეთ რა 1926 წელს წრეების და ფრაქციების მოწყობა, რითაც ვისახავდით, თითქოს, ერთად-ერთ მიზანს—დისკუსიის მომზადებას—ჩვენ თანდათან პრაქტიკულად მივედით იმამდის, რომ დღევანდელი დღის წესრიგში სდგას საკითხი უპარტიოთა ორგანიზაციულად გაერთიანების შესახებ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, მეორე პარტიის შექმნის შესახებ".

იძლევა რა შემდეგ ცნობებს იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებდა, კრიჩევსკი თავის განცხადებას ამთავრებს ასე:

„ოპოზიციის გზას ცეკას ხაზის გამოსწორების მაგიერ მივყავართ პარტიის გათიშვისაკენ, სამოქალაქო ომისკენ, პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ.

მიმართავ რა ამ განცხადებით უკრაინის კომპარტიის ცეკას, ამავე დროს მოუწოდებ ჩემს ყოფილ ამხანაგ ოპოზიციონერებს შეიგნონ შექმნილი მდგომარეობა. დაბრუნდენ პარტიაში და მასთან ერთად განაგრძონ ლენინის მიერ დაწყებული საქმე".

ოპოზიციამ სასტიკი დამარცხება იწვნია

(დისკუსიის შედეგები საქ. კომპარტიაში)

დასრულდა საქ. კომპარტიის ორგანიზაციებში 4 ნოემბრიდან დაწყებული დისკუსია საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მიერ მე-15 ყრილობისათვის შემუშავებულ თეზისების გარშემო.

მთელი თვის განმავლობაში ორგანიზაციები გულმოდგინედ სწავლობდენ და ამუშავებდენ ცეკას თეზისებს.

ოპოზიციონერები გაჰყვიროდენ, რომ დისკუსია არ მიმდინარეობს სწორად, ისინი მოითხოვდენ თანამოხსენებებს.

წინააღმდეგ ოპოზიციონერების ჩხავილისა მათ კამათის დროს არ „ახრჩობდენ" 10 წუთის რეგლამენტით. ყველგან ოპოზიციონერებს დამატებით ეძლეოდათ 10, 20 და 40 წუთიც.

რას ისმენდა პარტია ოპოზიციონერებისაგან? ის მოწმე იყო ან უიმედო ხეტიალის ოპოზიციონური თეორიის ჯურღმულებში ან და კომუნისტისათვის დაუშვებელ გამოსვლებისა პარტიის მიმართ.

პარტია ისმენდა ისეთ საძაგელ განცხადებებს, როგორც ეს ჩაიდინა ვინმე დენიაგამ, მან სთქვა რომ „ცეკას ხელები გასვრილია ჩინელ მუშების სისხლში" (თბილისის ორგანიზაციის საბანკო უჯრედების კრება), პარტია ისმენდა ოპოზიციისაგან ასეთ განცხადებებს: „პარტია—„ეს მენშევიკებიაო" (ოპოზიციონერი კაპალიშვილი, მთავარ სახელოსნოების სავაგონო სამქროს უჯრედი), რომ „ნიკოლოზის დროს მუშებს ჯამაგირი მეტი ჰქონდათ, ხოლო მუშაობა ნაკლებიო" (ოპოზიციონერი ვერულაშვილი, სავაგონო სამქროს უჯრედი), რომ საქ. კომ. პარ. (ბ) ახლახან დასრულებული მე-5 ყრილობა „მენშევიკურია" (ოპოზიციონერი ჩეჩელაშვილი, ა.-კ. სახ. ვაჭრობის ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის და შრომის სახ. კომისარიატის უჯრედი).

განა პარტიას შეეძლო დამშვიდებით ესმინა ასეთი რამ, ასეთი სიტყვები, რომლებიც შეეფერის მილიუკოვებს, აბრამოვიჩებს და არა იმ ხალხს, რომლებსაც ჯიბეში უდევს საქ. კომ. პარ. (ბ) პარტბილეთი და ჰყოფნით გამბედაობა, თავხედობა უწოდონ თავის თავს „ბოლშევიკ-ლენინელის" სახელი.

პარტიის წესდების და ეთიკის გათელვაში ოპოზიციონერები მივიდნენ უკიდურეს წერტილამდე.

ზოგიერთი ოპოზიციონერის გამოსვლის ძირითადი თეზისი იყო—შვიდი საათის სამუშაო დღე და საგადასახადო პოლიტიკა გლეხობის მიმართ.

ოპოზიციონერებმა სთქვეს, რომ „7 საათის სამუშაო დღე—არის მოწყალებაო", რომ „7 საათის სამუშაო დღე—არის ანკესი, რომელზედაც პარტიას უნდა წამოაგოს მუშა და პირში ბურთი ჩასჩაროსო" და სხვ.

ოპოზიციონერებმა აგრეთვე სთქვეს, „კარგი, რომ გლეხობის 35 პროცენტი განთავისუფლებულია გადასახადისაგან, მაგრამ საჭიროა, რომ ამ გადასახადისაგან განთავისუფლდეს 50 პროცენტი". რომ „პარტიის პოლიტიკის წყალობით, პურის მარაგის 60 პროც. კულაკის ხელშია მოქცეული" და სხვადასხვა.

პარტიას სასტიკ პასუხს აძლევდენ მუშები კომუნისტები. ამხ. ანდრიანოვი (თბილისის სადგურის საორთქმავლო დეპოს მუშა) თავის გამოსვლაში აღნიშნავს, რომ მას ხშირად უხდება გასტროლიორ-ოპოზიციონერების ყბედობის მოსმენა.

„მათზე ნაკლებ არ ვკითხულობდით და ვსწავლობდით ლენინს,—ამბობს ამხ. ანდრიანოვი,—ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ჩვენ, მუშებმა, არ ვარჩევთ საკითხებს. დაე, მოვიდნენ და ერთი ნახონ, თუ როგორ ვარკვევთ ჩვენ საკითხებს და როგორ აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას ვეწევით. ოპოზიციას დაავიწყდა ლენინი და ტროცკისთან ერთად მიჰკედლია მენშევიკებს. მილიონიანი პარტია ღირსეულ პასუხს მოგცემთ თქვენ, ოპოზიციონერებო,—ვინაიდან თქვენ დაბრმავებული ხართ"-ო.

დისკუსიამ საქართველოს კომპარტიის 14 სხვადასხვა ორგანიზაციაში ასეთი შედეგი მოგვცა:

„თეზისი ხუთწლიანი გეგმის შესახებ გაირჩა 537 უჯრედში. კრებებს დაესწრო პარტიის 17.864 წევრი და კანდიდატი. კამათში მონაწილეობა მიიღო 1,588 კაცმა (100 პროც.). მათგან ცეკას ხაზის დასაცავად გამოვიდა 1402 (88,3), ხოლო წინააღმდეგ 186 (11,7) კაცი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 15,974 (100 პროც.) მათგან ცეკას ხაზს ხმა მისცა **15.624** (97,8), წინააღმდეგ **266** (1,7), თავი შეიკავა **84** კაცმა (0,5).

თეზისი სოფლად მუშაობის შესახებ გაირჩა 532 უჯრედში. კრებებს დაესწრო 17.642 პარტწევრი და კანდიდატი. კამათში მონაწილეობა მიიღო 1.479 კაცმა (100 პროც.), ცეკას ხაზის დასაცავად გამოვიდა 1315 კაცი (88,9 პროც.), წინააღმდეგ 164 (11,1 პროც.). კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 15.824 კაცმა (100 პროც.), ცეკას ხაზს ხმა მისცა **15.498** კაცმა (98,0 პროც.), წინააღმდეგ **259** (1,6 პროც.), თავი შეიკავა [illegible] კაცმა (0,4 პროც.).

უჯრედების 95 პროც. მეტმა რეზოლიუციები ერთხმად მიიღო, რომლებშიაც იწონებენ ცეკას თეზისებს, მხოლოდ უჯრედების უმნიშვნელო რიცხვმა რეზოლიუციები მიიღო ხმების დიდი უმრავლესობით.

ოპოზიციამ თავისი რეზოლიუციები წარადგინა 3 უჯრედში, მაგრამ მიიღო სულ 20 ხმა.

ეს ციფრები—საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმის, რომ პარტია მტკიცედ დგას თავის—ლენინის პოზიციებზე და რომ ამ ლენინის პოზიციებს მას ვერავინ დაათმობინებს.

ა. ჟალნი.

კომკავშირი ოპოზიციის წინააღმდეგ

მედგრათ ვიდგომებით ლენინიზმის სადარაჯოზე

(სამტრედია)

კომკავშირის ქალაქის უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ამხ. სოკრატ მერკვილაძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისების შესახებ მე-15 პარტყრილობისათვის. კრებას დაესწრო სამასი კაცი. მოხსენების დასრულების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ოპოზიციონური ბლოკი მიზნად ისახავს პარტიისა და კომკავშირის გათიშვას და ლენინურ კომკავშირის ტროცკიზმის დროშის ქვეშ დარაზმვას. ოპოზიცია აქ სასტიკად ტყუვდება. ფრაქციონერ-დეზორგანიზატორებს, რომელნიც ასცდენ ლენინიზმის გზას და ოპორტუნიზმის ჭაობისაკენ ეწევიან პარტიას, კომკავშირი არასოდეს არ გაჰყვება თან. ის მუდამ იყო და დარჩება ლენინურ პარტიის ერთგული, ის მედგრათ იდგომება ლენინიზმის სადარაჯოზე.

კერძოთ სამტრედიის კომკავშირი მუდამ იდგა პარტიის გვერდით და მის ერთგულ მომავალ თაობას წარმოადგენდა. სამტრედიის კომკავშირი არასოდეს არ გაჰყვება ბურჟუაზიის ლაქია-ოპოზიციონერებს. ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ დავიცვათ ლენინიზმის სწორი ხაზი და ოქტომბრის მონაპოვარი მშრომელთა მასის საკეთილდღეოდ".

ერთხმად ოპოზიციის წინააღმდეგ

(ფოთი)

ამას წინად აქ შესდგა კომკავშირის ქალაქის უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ოპოზიციის უკანასკნელ გამოსვლის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა თბილისიდან ჩამოსულ ამხ. კუპრაძემ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათამდე ამხანაგმა. ორატორები სასტიკად გმობდენ ოპოზიციის მუშაობას და აცხადებდენ, რომ კომკავშირი ჭირშიაც და ლხინშიაც პარტიასთან დარჩებაო.

რეზოლიუციაში, რომელიც კრებამ ერთხმად მიიღო მოხსენების გარშემო სხვათა შორის ნათქვამია:

„ფოთის საქალაქო უჯრედების წევრთა საერთო კრება გმობს ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას და თუ კი ვინმე გაბედავს კომკავშირში ასეთი მუშაობის გაგრძელებას, ჩვენი ორგანიზაცია გახურებული შანთით ამოსწვავს მას თავის რიგებიდან. კომკავშირი არავის მისცემს ახალგაზრდობის სახელით ვაჭრობის უფლებას".

(სურამი)

კომკავშირის სურამის ორგანიზ. საერთო კრებას დაესწრო 120 კაცი. კრებამ მოისმინა ამხ. შერაზის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისების შესახებ, რომლის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციაში კრება მთლიანად იწონებს და უერთდება ცეკას თეზისებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შესახებ. კრება მოითხოვს, რათა ოპოზიციის წინააღმდეგ დაუნდობელი ზომები იქნას მიღებული.

კრება ერთსულოვნად იწონებს ზინოვიევ-ტროცკის და მათ ადგილობრივ მიმდევრების (ცინცაძე-ოკუჯავა-ვირაპის და სხვების პარტიიდან გამორიცხვას".

ვგმობთ ოპოზიციას

ჩვენ ქვემორე ამაზე ხელის მომწერნი ხიდისთავის ორგანიზაციის კომუნისტურ პარტიის წევრებმა გაუკეთეთ რა ჯამი ოპოზიციის მიერ წარმოებულ მუშაობას, მივედით იმ დასკვნამდის, რომ ოპოზიციის გამთიშველ ფრაქციონულ მუშაობის ლოღიკური დასკვნა არის მეორე ანტილენინური პარტიის შექმნა, რასაც ჩვენ ლენინელები ვერ შევურიგდებით.

ჩვენი პარტია ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას. პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელ პარტიისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს რკინისებური სიმტკიცე და რიგების მთლიანობა—ოპოზიცია კი თავის გამთიშველ მუშაობით საფრთხეს უმზადებს პარტიის მთლიანობას—ოპოზიციას თავისი „მემარცხენე" ლოზუნგებით, რომლის ქვეშაც იმალება უკიდურესი მემარჯვენე საქმეები, შეცდომაში შეჰყავს ზოგიერთი პარტიის წევრები. ოპოზიციის ბელადების დემაგოგიურმა სიტყვებმა პარტიის გარდაქმნის, შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ და სხვამ ჩვენ შეგვიყვანა შეცდომაში.

ვაცხადებთ, რომ ჩვენი ხელმოწერა ოპოზიციის დოკუმენტზე არის აღებული მოტყუებით. ჩვენ გვეუბნებოდენ: მოაწერეთ ხელი დოკუმენტს, რომელიც მოითხოვს პარტიის მთლიანობასო. ოპოზიცია დღეს ჩვენი ხელმოწერით სარგებლობს ანტი-პარტიულ მუშაობისათვის. ამიტომ ვხსნით და ვაბათილებთ ჩვენი ხელისმოწერას ოპოზიციის პლატფორმაზე, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ლენინიზმთან მთლიანად და სავსებით ვუერთდებით და ვესალმებით გურიის ძველ ბოლშევიკების ამხ. მიხაკო მკურნალის, ერასტი ჩიგოგიძის და ალექსანდრე მგელაძის დეკლარაციას ა. წ. 24 ოქტომბრიდან ოპოზიციის დაგმობის შესახებ.

1. **ლადიმერ ი. ლომთათიძე,** სტაჟი 1913 წლიდან პ. ბ. № 0854575;
2. **სოლომონ ლომთათიძე** სტაჟი 1919 წლიდან პ. ბ. № 0854579;
3. **ანანია ლომთათიძე** სტაჟი 1926 წლიდან, პ. ბ. № 0854545.

ამრიგად ეს ჯგუფი სწყვეტს თავის არსებობას, როგორც ჯგუფი. ჩვენი პარტიული განვითარების საერთო ბალანსში ჩვენ გვაქვს პლიუსი. ეხლანდელი დისკუსიის შედეგად ჯგუფი ჩვენში შემცირდა, ან მან სავსებით შესწყვიტა, ან სწყვეტს არსებობას. ამაშია დისკუსიის პლიუსი.

დისკუსიის შედეგები? შედეგები ცნობილია. დღევანდლამდე პარტიის სასარგებლოდ ხმა მიუცია 725.000 ამხანაგს, ოპოზიციისათვის—4.000-ზე ცოტა მეტს. აი შედეგები. ოპოზიციონერები განგაშობდენ ჩვენს შესახებ, რომ ცეკა მოსწყდა პარტიას, პარტია მოსწყდა კლასს და რომ მათ, ოპოზიციონერებს უთუოდ ემხრობა პარტიის წევრთა 99 პროცენტი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციას ერთი პროცენტიც კი არ მიემხრო. ასეთია დისკუსიის საბოლოო შედეგი. როგორ მოხდა, რომ მთელმა პარტიამ მთლიანად და მასთან ერთად მუშათა კლასმა ასე შეაქცია ზურგი ოპოზიციას. ოპოზიციას ხომ სათავეში ცნობილი პირები უდგან, რომელთაც აქვს თვითრეკლამის უნარი (ხმები: „მართალია"), ისეთი პირები, რომლებიც მაინც და მაინც არ არიან ძლიერ თავდაბლები (ტაში), რომლებსაც შეუძლიათ თავის ქება, საქონლის კარგად ჩვენება. ეს იმიტომ მოხდა, რომ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციის ხელმძღვანელი ჯგუფი წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტების ჯგუფია, რომელიც მოწყვეტილია ცხოვრებას, მოწყვეტილია რევოლუციას, მოწყვეტილია პარტიას და მუშათა კლასს (ხმები: „მართალია", ტაში). აი ცოტა ხნის წინად მე ვლაპარაკობდი ჩვენი მუშაობის წარმატებების შესახებ, ჩვენი მიღწევების შესახებ მრეწველობის დარგში, ვაჭრობის დარგში, მეურნეობის დარგში, საგარეო პოლიტიკის დარგში. მაგრამ ოპოზიციას არა აქვს საქმე ამ მიღწევებთან. ის მათ ვერ ხედავს, ვინაიდან არ სურს მათი დანახვა, არ სურს მათი დანახვა ნაწილობრივ თავისი უვიცობის გამო და ნაწილობრივ ცხოვრებიდან მოწყვეტილ ინტელიგენტების ცნობილ ჯიუტობის გამო.

ძირითადი წინააღმდეგობანი პარტიასა და ოპოზიციას შორის

თქვენ იკითხავთ, რაში მდგომარეობს ბოლოს და ბოლოს უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის, რა საკითხებს ეხება ეს უთანხმოება? ყველა საკითხებს, ამხანაგებო (ხმა: მართალია"). ამას წინად მე წავიკითხე განცხადება ერთ-ერთი მოსკოველი უპარტიო მუშის, რომელიც შედის, თუ უკვე შევიდა, პარტიაში, აი როგორ ახასიათებს ის პარტიასა და ოპოზიციას შორის არსებულ უთანხმოებებს: „წინად ჩვენ ვკითხულობდით, რაშია უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის. ეხლა კი ძნელი სათქმელია რაში ეთანხმება ოპოზიცია პარტიას". (სიცილი ტაში) აი როგორ მოკლედ და მოხდენილად გამოსთქვამენ თავის აზრს ზოგჯერ მუშები. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე უფრო მოხდენილი, ყველაზე უფრო სწორი დახასიათება ოპოზიციის დამოკიდებულებისა პარტიისადმი. მისი იდეოლოგიის პროგრამის და ტაქტიკისადმი. სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიცია არის ჯგუფი თავისი იდეოლოგიით, თავისი პროგრამით, თავისი ტაქტიკით და თავისი საორგანიზაციო პრინციპებით. ყველაფერი, რაც საჭიროა ახალი პარტიისათვის, ყველაფერი ეს აქვს ოპოზიციას, აკლია მხოლოდ „წვრილმანი", აკლია ძალა (სიცილი, ტაში). მე შემეძლო დამესახელებია შვიდი ძირითადი საკითხი, რომლებშიაც არსებობს უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის.

1. საკითხი ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ. მე არ მოვიყვან დოკუმენტებს და ოპოზიციის განცხადებებს ამ საკითხის გარშემო. ისინი ყველასათვის ცნობილია და მათი განმეორება ზედმეტად მიმაჩნია. ყველასათვის აშკარაა, რომ ოპოზიცია უარყოფს ძლევამოსილ სოციალისტურ აღმშენებლობის შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში. ასეთი შესაძლებლობის უარყოფით კი ის პირდაპირ და აშკარად გადადის მენშევიკების პოზიციაზე. ოპოზიციის ასეთი შეხედულება ამ საკითხზე ახალი არ არის ოპოზიციის ეხლანდელ ხელმძღვანელთათვის. ასეთ შეხედულებას ადგენ კამენევი და ზინოვიევი როცა ისინი მიდიოდენ ოქტომბრის აჯანყების წინააღმდეგ. ისინი მაშინ პირდაპირ ამბობდენ, რომ აჯანყებით ჩვენ მივდივართ დაღუპვისაკენ, რომ საჭიროა დაუცადოთ დამფუძნებელ კრებას, რომ სოციალიზმის პირობები არ მომწიფებულა და არც მალე მომწიფდებაო. ასეთსავე შეხედულებას ეყრდნობოდა ტროცკი, როცა ის მიდიოდა აჯანყებაზე, ვინაიდან ის პირდაპირ ამბობდა, რომ თუ დასავლეთიდან ძლევამოსილმა პროლეტარულმა რევოლუციამ ამ მოგვისწრო თავის დროზე, სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ რევოლუციონური რუსეთი გაუძლებს კონსერვატიულ ევროპას იერიშებსო.

სინამდვილეში, როგორ მიდიოდენ მაშინ აჯანყებაზე კამენევი და ზინოვიევი ერთის მხრივ, ტროცკი მეორეს მხრივ, ლენინი პარტიასთან ერთად მესამე მხრივ? ეს მეტად საინტერესო საკითხია რომლის შესახებ არ იქნებოდა ზედმეტი რამოდენიმე სიტყვის თქმა. თქვენ იცით, რომ კამენევი და ზინოვიევი ჯოხის გავლენით მიდიოდენ აჯანყებაზე, ლენინი მათ მიერეკებოდა ჯოხით, ემუქრებოდა პარტიიდან გამორიცხვით (სიცილი, ტაში). და ისინი იძულებული იყვნენ წაჩანჩალებულიყვნენ აჯანყებაზე (სიცილი, ტაში). ტროცკი აჯანყებაზე ნებაყოფლობით მიდიოდა. მაგრამ მიდიოდა არა პირდაპირ, არამედ „მცირე შენიშვნით", რომელიც ჯერ კიდევ მაშინ აახლოვებდა მას კამენევთან და ზინოვიევთან. საინტერესოა, რომ სწორედ ოქტომბრის წინ 1917 წლ. ივნისში ტროცკიმ საჭიროდ ხ.ნო გამოეცა ლენინგრადში თავისი ძველი ბროშურა „ზავის პროგრამა", რითაც მას სურდა ეთქვა, რომ აჯანყებაზე ის მიდის საკუთარი დროშით. რას ამბობს ის ამ ბროშურაში? იქ ტროცკი ეკამათება ლენინს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ლენინის ამ აზრს შემცდარად სთვლის და ამტკიცებს, რომ ძალა უფლების დაპყრობა საჭირო იქნება, მაგრამ თუ ვერ მოგვასწრო დახმარებამ დასავლეთ ევროპის გამარჯვებულ მუშების მხრით, უიმედოა იმის ფიქრი, რომ რევოლუციონური რუსეთი გაუძლებს კონსერვატიულ ევროპის იერიშებს ხოლო ვისაც არ სწამს ტროცკის კრიტიკა, ის თურმე დაავადებულ-არა ნაციონალური შეზღუდულობით. აი, ადგილი ტროცკის ბროშურიდან:

„ჩვენ არ უცდით სხვებს, ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე, სრული რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა გაძლიერებს ბრძოლას სხვა ქვეყნებში, ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ იმედია იმის ფიქრი —როგორც ამას მოწმობს ისტორიის გამოცდილებაც და თეორიტიული მოსაზრებებიც— რომ, მაგალითად, რევოლუციონური რუსეთი შეძლებს კონსერვატიულ ევროპასთან გამკლავებას. სოციალური რევოლუციის პერსპექტივის ნაციონალურ ჩარჩოებში მოქცევა ნიშნავს იმ ნაციონალური შეზღუდულობის მსხვერპლად გახდომას, რომელიც ახასიათებს სოციალ-პატრიოტიზმს".

აი, ამხანაგებო, ტროცკისტული „მცირე შენიშვნა", რომელიც გვიჩვენებს, თუ რაზეა დამყარებული ტროცკის ბლოკი ზინოვიევ-კამენევთან. როგორ მიდიოდა ლენინი აჯანყებაზე, როგორ მიდიოდა პარტია? ასეთივე „მცირე შენიშვნით"? არა, ლენინი და მისი პარტია აჯანყებაზე მიდიოდა ყოველგვარ შენიშვნის გარეშე. აი ადგილი ლენინის ერთ-ერთი შესანიშნავ წერილიდან „პროლეტ. რევოლუც. სამხედრო პროგრამა", რომელიც გამოქვეყნებულ იქნა საზღვარგარეთ 1917 წლის სექტემბერში:

„ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმი სრულიადაც არ ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ყველა ომები უცებ მოისპობა. პირიქით, იგი ომების შესაძლებლობას გულისხმობს. კაპიტალიზმის განვითარება მეტად არათანაბრად ხდება სხვადასხვა ქვეყნებში. სხვანაირად არც შეიძლება საქონლის წარმოების დროს. აქედან აუცილებელი დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია ერთდროულად გაიმარჯვოს ყველა ქვეყნებში. იგი პირველად გაიმარჯვებს ერთ ან რამოდენიმე ქვეყანაში, დანარჩენი ქვეყნები რამოდენიმე ხნის განმავლობაში დარჩებიან ბურჟუაზიულ და წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად. ამან უნდა გამოიწვიოს არა მარტო შეხლა-შემოხლა, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფება ძლევამოსილი პროლეტარიატის სოციალისტურ სახელმწიფოს დანგრევისაკენ. ასეთ შემთხვევებში ომი ჩვენის მხრით იქნებოდა კანონიერი და სამართლიანი. ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისათვის, ომი სხვა ქვეყნების განსათავისუფლებლად ბურჟუაზიისაგან" (ლენინი. პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა. ლენინის ინსტიტუტის კრებული. გამოცემა მეორე, გვერდი 7).

თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ არ გვაქვს სრულიად სხვაგვარი თვალსაზრისი, ტროცკი აჯანყებისაკენ მიდიოდა. შენიშვნით,—რომელიც მას აახლოვებდა კამენევთან და ზინოვიევთან,—და ამტკიცებდა, რომ პროლეტარული ხელისუფლება თავის თავად არ შეიძლება იყოს რაღაც განსაკუთრებული რამ, თუ თავის დროზე არ იქნა მიღებული დახმარება გარედან, ლენინი კი, პირიქით, აჯანყებისაკენ მიდიოდა ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, და ამტკიცებდა, რომ პროლეტარული ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს ბაზა იმისათვის, რომ სხვა ქვეყნების პროლეტარებს დავეხმაროთ ბურჟუაზიის მონობისაგან განთავისუფლებაშიო. აი, როგორ მიდიოდენ ბოლშევიკები ოქტომბრის აჯანყებისაკენ, და აი, რატომ მოხდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ტროცკიმ, კამენევმა და ზინოვიევმა საერთო ენა გამონახეს. ჩვენ შეგვეძლო დიალოგის ფორმით გადმოგვეცა საუბარი ტროცკისა ერთის მხრით და კამენევისა და ზინოვიევის შორის მეორეს მხრით, საუბარი ოპოზიციონური ბლოკის შექმნის დროს. კამენევი და ზინოვიევი ეუბნებიან ტროცკის: „აი ხედავთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩვენ ბოლოს და ბოლოს მართალი გამოვდექით, როცა ვსთქვით რომ არ უნდა მოგვეხდინა ოქტომბრის აჯანყება, რომ უნდა დაგვეცადა დამფუძნებელი კრებისათვის და სხ. ეხლა ყველამ ხედავენ, რომ ჩვენი ქვეყანა გადაგვარებას განიცდის რომ ხელისუფლება გადაგვარების გზაზეა, რომ ჩვენ მივდივართ დაღუპვისაკენ და არავითარი სოციალიზმი არ დამყარდება. არ უნდა მოგვეხდინა აჯანყება, თქვენ კი აჯანყებაზე ნებაყოფლობით წახვედით. თქვენ დიდი შეცდომა დაუშვით".

ტროცკი მათ უპასუხებს: „არა, ძვირფასო კოლეგებო, თქვენ არ ხართ მართალი ჩემს მიმართ. მართალია, აჯანყებაზე წავედი, მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ გეთქვათ, თუ როგორ წავედი. მე ხომ აჯანყებისაკენ მივდიოდი არა პირდაპირ, არამედ შენიშვნებით (საერთო სიცილი) და რამდენადაც ეხლა გამოირკვა, რომ დახმარებას გარედან არ უნდა ველოდეთ, ცხადია, რომ საქმე დაღუპვისაკენ მიდის, როგორც თავის დროზე ვიწინასწარმეტყველე „ზავის პროგრამა"-ში.

ზინოვიევი და კამენევი უპასუხებენ: „ეს თითქმის მართალია. ჩვენ დაგვავიწყდა შენიშვნა. ეხლა ცხადია, რომ ჩვენი ბლოკი იდეურად დასაბუთებულია". (საერთო სიცილი, ტაში). აი, როგორ ჩამოყალიბდა ის თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობის შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში. რას ნიშნავს ეს თვალსაზრისი? იგი ნიშნავს კაპიტულიაციას. ვის წინაშე? ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე. კიდევ ვის წინაშე? მსოფლიო ბურჟუაზიის წინაშე. სადღა არის მემარცხენე ფრაზები, სად გაქრა რევოლუციონური ჟესტიკულიაცია? ყოველივე ეს სავსებით გაცამტვერდა. კარგად შეარხიეთ ჩვენი ოპოზიცია, ჩამოაშორეთ მას რევოლუციონური ფრაზეოლოგია და თქვენ დაინახავთ, რომ მის სიღრმეში ზის კაპიტულიანტობა. (ტაში).

2. საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

გვაქვს თუ არა ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა? საკითხი რამდენადმე უცნაურია. (სიცილი). მაგრამ ოპოზიცია მაინც სვამს ამ საკითხს ყოველ თავის განცხადებაში. ოპოზიცია ამბობს, რომ ჩვენ გვაქვს ტერმიდორიანული გადაგვარება. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თითქოს ჩვენ არ გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურა, რომ ჩვენში იღუპება, უკან მიდის ეკონომიკაც და პოლიტიკაც, და ჩვენ თითქოს მივდივართ არა სოციალიზმისაკენ, არამედ კაპიტალიზმისაკენ. ყოველივე ეს უცნაურ და ცოტათიდნად სულელური რამ არის. მაგრამ ოპოზიცია მაინც თავის აზრს იცავს დაჟინებით. აი, ამხანაგებო, კიდევ ერთი განმასხვავებელი აზრი ამაზე ემყარება ტროცკის ცნობილი თეზისი კლემანსოს შესახებ. თუ ხელისუფლება გადაგვარდა, ან გადაგვარების გზაზეა, მაშინ განა ღირს მისი დანდობა და დაცვა? ცხადია, რომ არა. თუ კი ხელსაყრელი პირობები დადგება ასეთ ხელისუფლების ჩამოგდებისათვის, ვსთქვათ, თუ მტერი 80 კილომეტრის მანძილზე მოუახლოვდება მოსკოვს, განა ცხადი არ არის, რომ ასეთი მდგომარეობა გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ აღიგავოს ეს ხელისუფლება და მის ადგილას დამყარდეს ახალ კლემანსოსებური, ე. ი. ტროცკისტული ხელისუფლება. ცხადია, რომ აქ არაფერი არ არის ლენინური. ეს არის პირწავარდნილი მენშევიზმი. ოპოზიცია მენშევიზმამდე მივიდა.

3. საკითხი მუშათა და საშუალო გლეხთა ბლოკის შესახებ. ოპოზიცია ყოველთვის მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ასეთი ბლოკის იდეისადმი. ოპოზიციის პლატფორმა, მისი კონტრთეზისები მნიშვნელოვანია არა იმდენად იმით, თუ რა სწერია იქ, არამედ უფრო იმით, თუ რის დამალვას ცდილობს ოპოზიცია მუშათა კლასისაგან, მაგრამ აი, აღმოჩნდა ერთი ადამიანი, ი. ნ. სმირნოვი, ოპოზიციის ერთ-ერთი ბელადთაგანი, რომელმაც გაბედა ეთქვა სიმართლე ოპოზიციაზე. და რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ ჩვენ თურმე ვიღუპებით, და თუ გადარჩენა გვინდა, კავშირი უნდა გავსწყვიტოთ საშუალო გლეხობასთან. ეს დიდად გონიერი აზრი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ნათელია. აქაც ყველასათვის დასანახად გამოჩნდა მენშევიკური ყურები.

4. საკითხი ჩვენი რევოლუციის ხასიათის შესახებ. თუ უარვყოფთ სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში, თუ უარვყოფთ პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას, მუშათა კლასისა და გლეხობის ბლოკის აუცილებლობას, მაშინ რაღა რჩება ჩვენი რევოლუციიდან, მისი სოციალისტური ხასიათიდან. ცხადია, რომ არაფერი, სრულიად არაფერი. პროლეტარიატმა ხელთ იგდო ძალაუფლება, ბოლომდე მიიყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია, გლეხობას ეხლა აღარ ესაჭიროება რევოლუცია, ვინაიდან მან უკვე მიიღო მიწა, და, მაშასადამე, პროლეტარიატს შეუძლია წავიდეს და გაუწმინდოს გზა სხვა კლასებს. აი, ასეთია ოპოზიციის თვალსაზრისი. აი, ჩვენი ოპოზიციის კაპიტულიანტობის ყველა ფესვები ტყუილად კი არ აქებს მას აბრამოვიჩი.

5. საკითხი ლენინის თვალსაზრისის შესახებ კოლონიალური რევოლუციების ხელმძღვანელობის დროს. ლენინი გამოდიოდა იმ განსხვავებიდან, რომელიც არსებობს იმპერიალისტურ და ჩაგრულ ქვეყნებს შორის, კომუნიზმის იმ პოლიტიკასა, რომელიც წარმოებულ უნდა იქნას იმპერიალისტურ ქვეყნებში, და იმ კომუნიზმის პოლიტიკის შორის, რომელიც წარმოებულ უნდა იქნას კოლონიალურ ქვეყნებში. გამოდიოდა რა ამ განსხვავებიდან, ლენინი ჯერ კიდევ ომის დროს ამბობდა, რომ სამშობლოს დაცვის იდეა, რომელიც მიუღებელი და კონტრ-რევოლუციონურია კომუნიზმისათვის იმპერიალიზმის ქვეყნებში, სრულიად მისაღები და სამართლიანია ჩაგრულ ქვეყნებში, რომელნიც ომს აწარმოებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ იგი განსაზღვრულ სტადიაში, განსაზღვრულ ვადაში, შესაძლებლად სცნობდა ბლოკს და კავშირსაც კი ეროვნულ ბურჟუაზიასთან კოლონიალურ ქვეყნებში, თუ კი ის ომს აწარმოებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუ კი ეს ხელს არ უშლის კომუნისტებს, რომ მუშები და ღარიბი გლეხები აღზარდონ კომუნიზმის ნიადაგზე. ოპოზიციის დანაშაული აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი საბოლოოდ სწყვეტს კავშირს ლენინის თვალსაზრისთან და ექანება მეორე ინტერნაციონალის თვალსაზრისისაკენ, რომელიც აცხადებს, რომ არ არის მიზანშეწონილი მხარის დაჭერა იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმოებული რევოლუციონური ომებისათვის კოლონიალურ ქვეყნებში. სწორედ ამით აიხსნება ის [illegible] მარცხი, რომელიც ოპოზიციამ განიცადა ჩინეთის რევოლუციის საკითხში. აი, კიდევ ერთი უთანხმოება, აზრთა სხვაობა.

6. მთლიანი ფრონტის ტაქტიკის საკითხი მუშათა მსოფლიო მოძრაობაში. ოპოზიციის შეცდომას აქაც ის შეადგენს, რომ ის კავშირს სწყვეტს ლენინის ტაქტიკასთან იმ საკითხზე, რომელიც შეეხება მუშათა კლასის მილიონიან მასების თანდათან კომუნიზმის მხარეზე გადმოყვანას. კომუნიზმი მუშათა კლასის მილიონიანი მასების გულს მოინადირებს არა მარტო იმით, რომ პარტია სწორ პოლიტიკას აწარმოებს. პარტიის სწორი პოლიტიკა დიდი საქმეა, მაგრამ მარტო ეს სრულებითაც არა კმარა. მუშათა კლასის მილიონიანი მასები რომ კომუნიზმის მხარეს გადმოვიდენ, ამისათვის საჭიროა, რათა მასებმა საკუთარი გამოცდილებით თვითონ დარწმუნდენ კომუნიზმის პოლიტიკის სისწორეში. მასების დარწმუნებისათვის კი საჭიროა დრო, ამისათვის საჭიროა პარტიის მოხერხებული, მარჯვე მუშაობა, რათა მასები ჩვენს პოზიციებს დავუახლოვოთ, პარტიის მოხერხებული და მარჯვე მუშაობა მილიონიანი მასების დასარწმუნებლად, რომ პარტიის პოლიტიკა სწორია. ჩვენ მართალნი ვიყავით ჯერ კიდევ 1917 წელს, რადგან ჩვენ ვიცოდით, რომ საქმე შეეხებოდა ბურჟუაზიის დამხობას და საბჭოთა წყობილების დამყარებას. მაგრამ ჩვენ მაშინ მუშათა კლასის ფართო მასებს აჯანყებისაკენ არ მოუწოდებდით. რატომ? იმიტომ, რომ მასებს ჯერ კიდევ საშუალება არ ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ჩვენი მართლაც სწორი პოლიტიკა შეუმცდარი იყო. როდესაც რევოლუციის ძირითად საკითხებში ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა საბოლოოდ სირცხვილი სჭამეს, როდესაც მასები დარწმუნდენ ჩვენი პოლიტიკის სისწორეში, მხოლოდ მაშინ გაუძღვით მასებს აჯანყებისაკენ.

და სწორედ იმიტომ, რომ დროზე გავუძღვით მასებს აჯანყებისაკენ, ჩვენ მაშინ გამარჯვება მოვიპოვეთ. აი სად არის მოქცეული მთლიანი ფრონტის იდეათა ფესვები. მთლიანი ფრონტის ტაქტიკა სწორედ იმიტომ ამუშავ- ლენინმა, რომ კომუნიზმის მხარეზე გადასვლა გაადვილებია კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის მილიონიანი მასებისათვის, რომლებიც მოწამლულნი იყვნენ სოციალ-დემოკრატიული შემთანხმებლობის ყალბი აზრებით. ოპოზიციის შეცდომება იმაში მდგომარეობს რომ ის ხელაღებით უარყოფს ამ ტაქტიკას. ერთ დროს ამ ტაქტიკით გატაცებული, სულელურად და უგნურად გატაცებული, ოპოზიცია კეთილსინდისიერად ეგებებოდა ინგლისის გენერალურ საბჭოსთან შეთანხმების საქმეს და ეგონა, რომ ეს შეთანხმება წარმოადგენს „მშვიდობიანობის ერთ-ერთ მეტად სერიოზულ გარანტიას, ინტერვენციის წინააღმდეგ ერთ-ერთ მეტად სერიოზულ გარანტიას", ერთ-ერთ სერიოზულ საშუალებას, რომ რეფორმიზმი ევროპაში უვნებელი გამხდარიყო, (იხ. ზინოვიევის მოხსენება საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობაზე).

მაგრამ ოპოზიციას მწარედ გაუცრუვდა იმედი, რომ პერსელებისა და ხიკსების შემწეობით რეფორმიზმს უვნებლად გახდიდა; ამიტომ ოპოზიცია მეორე უკიდურესობისაკენ დაექანა და ხელაღებით უარყოფს მთლიანი ფრონტის ტაქტიკის იდეას. აი, ამხანაგებო, კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც აშკარავებს ოპოზიციის სრულ დაცილებას მთლიანი ფრონტის ლენინურ ტაქტიკისაგან.

7. ლენინურ პარტიულობისა და ლენინურ მთლიანობის საკითხი საკავშირო კომპარტიაში და კომინტერნში. აი ოპოზიცია ხელაღებით სწყვეტს კავშირს ლენინურ ორგანიზაციულ თვალსაზრისთან და დგება მეორე პარტიის ორგანიზაციის გზაზე, ახალი ინტერნაციონალის ორგანიზაციის გზაზე.

აი შვიდი ძირითადი საკითხი, რომელნიც იმას მეტყველებენ, რომ ყველა ამ საკითხში ოპოზიცია მენშევიზმისაკენ დაექანა. შეიძლება თუ არა, რომ ოპოზიციის ასეთი მენშევიკური შეხედულებანი შევუთავსოთ ჩვენი პარტიის იდეოლოგიას, ჩვენი პარტიის პროგრამას, მის ტაქტიკას, კომინტერნის ტაქტიკას და ლენინიზმის ორგანიზაციულ თვალსაზრისს? არც ერთ წუთს და არავითარ შემთხვევაში.

თქვენ იტყვით: როგორ მოხერხდა ასეთი ოპოზიციის წარმოშობა ჩვენს პარტიაში? სად არის მოქცეული მისი სოციალური ფესვები? მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციის სოციალური ფესვები ჩამარხულია ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენების განადგურების ფაქტში, ჩვენი განვითარების პირობებში, იმ ფაქტში, რომ ეს ფენები უკმაყოფილონი არიან პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, ჩამარხულია ამ ფენების იმ მისწრაფებაში, რომ შეიცვალოს ეს რეჟიმი, „გააუმჯობესონ" იგი ბურჟუაზიული დემოკრატიის დამყარების გზით. მე უკვე ვსთქვი, რომ ჩვენს წინ წაწევას, ჩვენი მრეწველობის ზრდას, მეურნეობის სოციალისტური ხვედრითი წონის ზრდას შედეგად ის მოჰყვა, რომ წვრილი ბურჟუაზიის, მეტადრე, ქალაქის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი გაღარიბდა და იღუპება. ოპოზიცია ამ ფენების დრტვინვასა და უკმაყოფილებას გამოხატავს პროლეტარული რევოლუციის რეჟიმის მიმართ, აი სად არის მოქცეული ოპოზიციის სოციალური ფესვები. შემდეგ რა უნდა მოხდეს? როგორ უნდა მოვექცეთ ოპოზიციას?

ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდე, მე მინდა გიამბოთ ერთი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ სცადა კამენევმა ტროცკისთან ერთად მუშაობა, ეს ძალიან საინტერესო საკითხია. მით უმეტეს, რომ ის ერთგვარ გასაღებს მოგვცემს, რათა სწორად მივუდგეთ დასმულ საკითხს. 1910 წელს, საზღვარგარეთ, ჩვენი ცეკას პლენუმი იყო. პლენუმი მსჯელობდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების, კერძოდ ტროცკის, ურთიერთობის შესახებ, (ჩვენ მაშინ მენშევიკებთან ერთად საერთო პარტიის ნაწილს წარმოვადგენდით და ჩვენს თავს ფრაქციას უწოდებდით). პლენუმი წინააღმდეგ ლენინის აზრისა მომხრე იყო მენშევიკებთან შერიგებისა, და, მაშასადამე, ტროცკისთანაც. ლენინი უმცირესობაში დარჩა. კამენევი? კამენევმა იკისრა ამ თანამშრომლობის განხორციელება ლენინის თანხმობით, ვინაიდან ლენინს საქმით უნდოდა დაემტკიცებია კამენევისათვის, რომ ტროცკისთან თანამშრომლობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ—მავნებელი და შეუწყნარებელი. ყური დაუგდეთ, თუ რას გვიამბობს ამის შესახებ კამენევი:

„1910 წელს ჩვენი ფრაქციის უმრავლესობამ სცადა მორიგება და შეთანხმება ტროცკისთან. ვლადიმერ ილიჩი ამ ცდას მკაცრად უარყოფდა; თითქოს ჩემი დასჯა სდომებოდეს იმის გამო, რომ მე დაჟინებით ვცდილობდი ტროცკისთან შეთანხმებას, ლენინი მოითხოვდა, რომ ცენტრალურ კომიტეტს მე გავეგზავნე თავის წარმომადგენლად ტროცკის გაზეთის რედაქციაში.

1910 წლის შემოდგომიდან ამ რედაქციაში რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ვლადიმერ ილიჩი მართალი იყო, როდესაც უარყოფითად უცქეროდა ჩემს „შემარიგებელ" ხაზს, და მისი თანხმობით მე გამოვედი ტროცკის ორგანოდან. მაშინდელი ჩვენი ურთიერთობის გაწყვეტა ტროცკისთან აღინიშნა მთელი რიგი მკაცრი წერილებით პარტიის ცენტრალურ ორგანოში. სწორედ მაშინ ვლადიმერ ილიჩმა მომცა მე წინადადება დამეწერა ბროშურა, რომელსაც ჯამი უნდა გაეკეთებინა ჩვენი უთანხმოებისათვის ლიკვიდატორებთან, მენშევიკებთან და ტროცკისთან: „თქვენ მოახდინეთ ანტი-ბოლშევიკური ჯგუფების ყველაზე უფრო მემარცხენე (ტროცკისტულ) ფრთასთან შეთანხმების ცდა თქვენ დარწმუნდით შეთანხმების შეუძლებლობაში და თქვენვე უნდა დასწეროთ საბოლოო ბროშურა, რომელიც ყველაფერ ამის ჯამს გაუკეთებსო, მეუბნებოდა მე ვლადიმერ ილიჩი. ბუნებრივია, რომ ვლადიმერ ილიჩი მოითხოვდა, რომ სწორედ ბოლშევიზმისა და იმის ურთიერთობაში, რასაც ჩვენ მაშინ ვუწოდებდით ტროცკიზმს, ყველაფერი ბოლომდე თქმულიყო". (კამენევის წინასიტყვაობა მის ბროშურისათვის: „ორი პარტია". 1924 წლის მაისი). რა შედეგები გამოვიდა აქედან? მოუსმინეთ შემდეგ: „ტროცკისთან საერთო მუშაობის ცდამ,—შემიძლია ვთქვა, ჩემ მიერ გულწრფელად მოხდენილმა ცდამ, რასაც მოწმობს ამჟამად ტროცკის მიერ გამოყენებული წერილები და კერძო საუბრები, დაამტკიცა, რომ შემარიგებლობა შეურჩეველად ეშვება ლიკვიდატორობის დაცვისაკენ და გადაჭრით სდგება უკანასკნელის მხარეზე". (კამენევი „ორი პარტია", 1911 წ. გვ. 136). და შემდეგ: „ო, რომ გამარჯვება მოეპოვებია ტროცკიზმს, როგორია განწყობილება შეიქმნებოდა პარტიაში, როგორი გასაქანი მიეცემოდა ლიკვიდატორობას, ოტზოვიზმს და პარტიის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა მიმდინარეობას!" (გვ. 143).

აი, ამხანაგებო, ტროცკისთან საერთო მუშაობის ცდა (ხმა: „საგულისხმო ცდა"). ამ ცდის შედეგები გამოხატა მაშინ ამხ. კამენევმა სპეციალურ ბროშურაში, რომელიც გამოვიდა 1911 წ. სათაურით „ორი პარტია". მე ეჭვი არ შემდის იმაში, რომ ამ ბროშურამ დიდი სარგებლობა მოუტანა ყველა იმ ამხანაგებს, რომლებსაც კიდევ ჰქონდა რაიმე ილუზიები ტროცკისთან თანამშრომლობის შესახებ. და აი მე მაქვს ასეთი კითხვა: ხომ არ ცდის ამხ. კამენევი დასწეროს კიდევ ერთი ბროშურა აგრეთვე სათაურით „ორი პარტია" ტროცკისთან თანამშრომლობის მისი ეხლანდელი ცდის შესახებ? (საერთო სიცილი. ტაში). შეიძლება ეს უსარგებლო არ იქნებოდა, რა თქმა უნდა, მე ვერ მივცემ ამხ. კამენევს იმის გარანტიას, რომ ტროცკი ახლაც ისე, როგორც მაშინ, არ გამოიყენებს მის წერილებს და ინტიმურ საუბრებს მის წინააღმდეგ (საერთო სიცილი). მაგრამ საეჭვოა, რომ ღირდეს ამისათვის შეშინება. ყოველ შემთხვევაში აქ საჭიროა არჩევანი: ან იმის შიში, რომ ტროცკი გამოიყენებს კამენევის წერილებს და აქვეყნოდ გამოიტანს მის საიდუმლო საუბრებს ტროცკისთან და მაშინ პარტიის გარედ დარჩენის საფრთხე, ან ყოველივე შიშის უკუგდება და პარტიაში დარჩენა. ასე სდგას ახლა საკითხი, ამხანაგებო, ან ერთი, ან მეორე.

ამბობენ, რომ ოპოზიციას განზრახვა აქვს წარმოუდგინოს ყრილობას რაღაც განცხადება იმის შესახებ, რომ ის, ოპოზიცია ემორჩილება და დაემორჩილება პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს (ხმა: „ისე, როგორც 1926 წლის ოქტომბერში"), დაშლის თავის ფრაქციას („ჩვენ ეს ორჯერ მოვისმინეთ") და დაიცავს თავის შეხედულებებს, რომლებსაც ის არ უარყოფს (ხმები: „არა, სჯობია ისევ თითონ ჩვენ დავშლით"), პარტიის წესდების ფარგლებში (ხმა: „შენიშვნებით, ჩვენ რეზინის ფარგლები კი არა გვაქვს"). მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ აქედან არაფერი არ გამოვა (ხმები: „მართალია". ხანგრძლივი ტაში).

ჩვენც გვაქვს განცხადების ერთგვარი ცდა (ტაში), ერთგვარი ცდა ორი განცხადებისა 1926 წლის 16 ოქტომბრის და 1927 წლის აგვისტოს განცხადების ცდა (ხმა: „მართალია"). რა ნაყოფი გამოიღო ამ ცდამ? თუმცა მე არ ვაპირობ დავსწერო ბროშურა „ორი პარტია" მაგრამ ნებას ვაძლევ თავს განვაცხადო, რომ ამ ცდებმა მოგვცეს უაღრესად უარყოფითი შედეგები (ხმა: „მართალია")—პარტიის მოტყუება ორჯერ, პარტიული დისციპლინის შესუსტება ორჯერ. რა საბუთით შეუძლია ეხლა ოპოზიციას მოითხოვოს ჩვენგან, რომ ჩვენ—დიდი პარტიის ყრილობამ ლენინის პარტიის ყრილობამ—ასეთი ცდის შემდეგ სიტყვიერად დაუჯეროთ მათ (ხმა: „ეს სისულელე იქნებოდა. ვინც დაუჯერებს, იმას მოხვდება). ამბობდენ, რომ ისინი სვამენ აგრეთვე საკითხს პარტიიდან გამორიცხულთა პარტიაში უკან მიღების შესახებ (ხმა: „აღარ გაუვათ, დეე წავიდენ მენშევიკურ ჭაობში"). მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ესეც აღარ გაუვათ (ხანგრძლივი ტაში). რატომ გამორიცხა პარტიამ თავის რიგებიდან ტროცკი და ზინოვიევი? იმიტომ, რომ ისინი ოპოზიციის მეთაური საქმის ორგანიზატორები არიან (ხმები: „მართალია"), იმიტომ, რომ მათ მიზნად დაისახეს პარტიის კანონების დარღვევა, იმიტომ, რომ მათ თავი გამოიდეს—ვერ გაბედავენ ხელის ხლებასო, იმიტომ, რომ მათ მოინდომეს პარტიაში თავადური მდგომარეობის შექმნა თავისთვის. განა ჩვენ გვინდა, რომ პარტიაში იყვნენ თავადები პრივილეგიებით და გლეხები, ამ პრივილეგიებს მოკლებულნი? ნუ თუ ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებიც ძირფესვიანად ვსპობთ თავადაზნაურულ წოდებას, ეხლა მოვისდომებთ ამ წოდების აღდგენას ჩვენს პარტიაში? (ტაში). ჩვენ გვეკითხებიან, რატომ გამორიცხეთ პარტიიდან ტროცკი და ზინოვიევი? იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდა პარტიაში თავადები, იმიტომ, რომ ჩვენს პარტიაში ერთი კანონია, და პარტიის ყველა წევრნი თანასწორუფლებიანნი არიან, (ხმები: „მართალია". ხანგრძლივი ტაში). თუ ოპოზიციას უნდა ჩვენს პარტიაში ცხოვრება, მაშინ ის უნდა დაემორჩილოს პარტიის ნებას, მის კანონებს, მის მითითებებს ულაპარაკოდ და ყოველგვარ პირობის გარეშე. არ უნდა ეს—დეე წავიდეს, სადაც მის გულს სურს (ხმები: „სწორეა". ტაში). ახალი შეღავათიანი კანონები ოპოზიციისათვის ჩვენ არ გვინდა და არც შევქმნით ასეთ კანონებს (ტაში), ჩვენ გვეკითხებიან პირობების შესახებ. ჩვენი პირობა ერთია: ოპოზიცია უნდა განიარაღდეს მთლიანად და სავსებით როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად. (ხმები: „სწორეა". ხანგრძლივი ტაში), მან საჯაროდ და პატიოსნად მთელი მსოფლიოს წინაშე უნდა დაჰგმოს თავისი ანტიბოლშევიკური შეხედულებები (ხმები: „სწორეა". ხანგრძლივი ტაში), მან საჯაროდ და პატიოსნად მთელი მსოფლიოს წინაშე უნდა დაჰგმოს ყველა მის მიერ დაშვებული შეცდომები, შეცდომები, რომლებიც გადაიქცენ პარტიის წინააღმდეგ მიმართულ ბოროტმოქმედებად. მან უნდა გადმოგვცეს თავისი უჯრედები, რომ პარტიას შეეძლოს მათი ძირფესვიანად დაშლა (ხმები: „სწორეა", ხანგრძლივი ტაში). ან ასე, ან არა და გავიდენ პარტიიდან. არ გავლენ, გავაგდებთ. ასეა საქმე ოპოზიციასთან, ამხანაგებო.

საერთო შედეგები

მე ვათავებ ამხანაგებო. როგორია საანგარიშო პერიოდის საერთო შედეგები? შედეგები ასეთია:

1) მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, მიუხედავად „დიდი სახელმწიფოთა" ბურჟუაზიის პროვოკაციული გამოსვლებისა, ჩვენ მაინც შევინარჩუნეთ მშვიდობიანობა მეზობელ სახელმწიფოებთან.

2) მიუხედავად აურაცხელ წინააღმდეგობებისა, მიუხედავად მოსყიდულ ბურჟუაზიულ პრესის მიერ გადმონთხეულ ზღვა ცილისწამებისა, ჩვენ მაინც განვამტკიცეთ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის კავშირი იმპერიალისტურ ქვეყნების და კოლონიების მუშებთან.

3) მსოფლიოს ყოველ ნაწილში მილიონიან მშრომელ მასებში ჩვენ გავაძლიერეთ პროლეტარული დიქტატურის ავტორიტეტი.

4) ჩვენ, როგორც პარტია, დავეხმარეთ კომინტერნს და მის სექციებს თავის გავლენის გაძლიერებაში დედამიწის ყველა ქვეყნებში.

5) ჩვენ მოვიმოქმედეთ ყველაფერი, რაც კი შეუძლია ერთ ქვეყანას მსოფლიო რევოლუციონური მოძრაობის განვითარებისა და დაჩქარებისათვის.

6) ჩვენ ავამაღლეთ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია, მისი განვითარება ავიყვანეთ სარეკორდო ტემპამდე, განვამტკიცეთ მისი ჰეგემონია მთელ სახალხო მეურნეობაში.

7) სოციალისტური ინდუსტრია ჩვენ მჭიდროდ დავაკავშირეთ გლეხურ მეურნეობასთან.

8) ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით ჩვენ განვამტკიცეთ მუშათა კლასის კავშირი საშუალო გლეხობასთან.

9) მიუხედავად საერთაშორისო მტრული გარემოცვისა, ჩვენს ქვეყანაში ჩვენ მაინც განვამტკიცეთ პროლეტარიატის დიქტატურა, რითაც დავანახვეთ ყველა ქვეყნის მუშებს, რომ პროლეტარიატს შეუძლია არა მარტო კაპიტალიზმის დანგრევა, არამედ სოციალიზმის აშენებაც.

ჩვენ განვამტკიცეთ პარტია, დავიცავით ლენინიზმი და გავანადგურეთ ოპოზიცია.

ასეთია საერთო ჯამი. როგორი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ აქედან? მხოლოდ ერთი: ჩვენ ვდგევართ სწორ გზაზე, ჩვენი პარტიის პოლიტიკა სწორია (ხმები: „მართალია". ტაში), ხოლო აქედან გამოდის, რომ—გავყვებით რა ამ გზას, აუცილებლად მივალთ სოციალიზმის გამარჯვებამდე ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის გამარჯვებამდე ყველა ქვეყნებში (ხანგრძლივი ტაში). ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ გზაზე აღარ გვექნება სიძნელეები. სიძნელეები იქნება. მაგრამ ჩვენ არ გვაშინებენ ისინი, ვინაიდან ჩვენ ვართ რევოლუციის ცეცხლში გამობრძმედილი ბოლშევიკები. სიძნელეები გვექნება. მაგრამ ჩვენ მათ დავძლევთ, ისე როგორც დღემდე ვძლევდით, ვინაიდან ჩვენ ვართ ბოლშევიკები ლენინის რკინის პარტიაში გამოჭედილნი იმისათვის, რომ ვებრძოლოთ სიძნელეებს და ვძლიოთ ისინი და არა ვიწუწუნოთ და ცრემლები ვღვაროთ. და აი სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ბოლშევიკები, ჩვენ ნამდვილად გავიმარჯვებთ.

ამხანაგებო! წინ—კომუნიზმის გამარჯვებისაკენ ჩვენს ქვეყანაში, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მთელს მსოფლიოში (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველა ფეხზე დგება და ოვაციებს უმართავს ამხ. სტალინს. მღერიან „ინტერნაციონალს").

კამათი საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ანგარიშის გარშემო

4 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. უგლანოვის სიტყვა

ამხანაგებო! თავის მოხსენებაში ამხ. სტალინმა, დაახასიათა მსოფლიო კაპიტალიზმის მდგომარეობა, თანამედროვე კაპიტალიზმის მდგომარეობა მან შეადარა დახეულ, წვრილი ძაფით, ნაჭრებით დაკერებულ პერანგს. ამ ძაფის პირველ შეხებისთანავე მსოფლიო კაპიტალიზმის „პერანგი" დაიშლება. საერთაშორისო ცხოვრების უკანასკნელი ორი წლის ამბები სავსებით ადასტურებენ ასეთ დახასიათებას. თუ ვინ მოსწევს პირველად ამ ძაფს—ჩემბერლენი, პუანკარე, მუსოლინი თუ პილსუდსკი—ამის თქმა ძნელია, ყოველ შემთხვევაში ეს ჩვენთვის ერთი და იგივე არაა. ვინც არ უნდა მოსწიოს, უდავოა, რომ ეს გამოიწვევს ან შეჯახებას მსოფლიო კაპიტალისტური ბურჟუაზიის სხვადასხვა კოალიციების შორის ან სამხედრო გალაშქრებას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ კომუნისტების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მობილიზაცია უყონ და დარაზმონ საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა ძალები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადასაქცევად და ბურჟუაზიის დასამხობად. ამხ. სტალინის მიერ დასმული მეორე საკითხი შეეხება ურთიერთობის გამწვავებას მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის. უკანასკნელი ორი წლის ამბებმა მიგვიყვანეს ურთიერთობის გამწვავებამდე კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირის შორის და ეს გარემოება გარკვევით მოითხოვს ჩვენგან ამ საკითხის ხელახლად დასმას.

ცეკას ერთ-ერთ პლენუმზე ამხ. კამენევი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ჩვენ გავფლანგეთ მორალური კაპიტალი ჩვენს საგარეო პოლიტიკაში.

კამენევს ამით უნდა ეთქვა, რომ ჩვენი დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასთან გაუარესდა. ევროპის ბურჟუაზია, ევროპის და რუსეთის სოციალ-დემოკრატია ფიქრობენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, ჩვენ აუცილებლად წავიდოდით კაპიტალიზმის რესტავრაციის გზით. ეს არ მოხდა და ამიტომ ბურჟუაზია საკითხს აყენებს ახლად. უფრო აღვირაწყვეტილი იმპერიალისტური ჯგუფი საბჭოთა კავშირს ემუქრება ხიშტით. ამიტომ ლაპარაკი მორალური კაპიტალის გაფლანგვაზე იმ დროს, როცა ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის ძლიერ ზრდას და ევროპის პროლეტარიატისა და ჩაგრული ერების მხრით სიმპატიის არაჩვეულებრივ ზრდას საბჭოთა კავშირისადმი,—ასეთი ლაპარაკი წარმოადგენს უიმედო პოლიტიკურ აბდაუბდას, ქათმის სიბრმავეს და კლასთა ურთიერთობის ურთულესი მექანიკის სრულ გაუმჯობესებას. ჩვენ გავფლანგეთ მორალური კაპიტალი ბურჟუაზიის თვალში, სამაგიეროდ გავხდით დასაყრდენ ბაზად პროლეტარიატის ბრძოლებისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატია ყველაზე მეტად გაჰყვირის წითელ იმპერიალიზმზე.

ჩვენი ოპოზიციონერები გაჰყვირიან ჩვენი ტერმიდორიანული გადაგვარების შესახებ. ამით ისინი წყალს უსხამენ ევროპის სოციალ-დემოკრატიის წისქვილზე და გზას უღობავენ ევროპის მუშათა კლასის წინსვლას, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს რწმენა და იმედი სოციალ-დემოკრატიისა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიციის ეს პოლიტიკური აბდა-უბდა თანამიმდევრობით და გადაჭრით აღმოვფხვრათ.

ამხ. სტალინმა დასვა აგრეთვე საკითხი საერთაშორისო პროლეტარიატის გამემარცხენების პროცესის შესახებ. ამას სრული სიცხადით ადასტურებენ საერთაშორისო ცხოვრების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამბები.

არა შემცირება და პოლიტიკური მწუხრი, როგორც ამას ამტკიცებს ტროცკისტული ოპოზიცია, არამედ კლასიური ძლევამოსილობის და კლასიური შეურიგებლობის განვითარება, აი რა იხატება და იზრდება საერთაშორისო პროლეტარიატის რიგებში. პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატიურად წასწიოს წინ და ასწიოს უფრო დიდ სიმაღლეზე ეს საერთაშორისო პროცესი. ამ თვალსაზრისით კომუნისტური ინტერნაციონალის და ჩვენი ძმური კომუნისტური პარტიების მუშაობა ღირსია სერიოზული ყურადღებისა. კომინტერნის მამოძრავებელ ღვედათ უნდა გახდეს პროფინტერნი და მისი მუშაობა. ჩემის აზრით პროფკავშირების მუშაობას პროფინტერნის საშუალებით ამჟამად უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ახლა შემდეგი საკითხი. ოპოზიცია ჩვენს პარტიას ბრალს სდებდა იმაში, თითქოს ჩვენ ვაწარმოებდეთ ნაციონალურ შეზღუდულობის პოლიტიკას. ოპოზიციონერები ივიწყებენ და თვალებს ხუჭავენ საერთაშორისო სოლიდარობის ნამდვილ ცხოველმყოფელ მებრძოლ პოლიტიკის ისეთ ფაქტებზე, რომელსაც ანხორციელებს პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი. პროლეტარიატის კლასიური საერთაშორისო სოლიდარობის ისტორიული მაგალითია ის დახმარება, რომელიც ჩვენ აღმოუჩინეთ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ინგლისის პროლეტარიატს, განა ეს არ არის კლასიური საერთაშორისო სოლიდარობის ისტორიული ნიმუში? და განა ის დახმარება ხელმძღვანელობის სახით რომელსაც ჩვენ უწევთ კოლონიალურ რევოლუციონურ მოძრაობას და ჩინეთის რევოლუციას, არ არის ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალური პოლიტიკის ნიმუშები? ჩვენ სავსებით დამშვიდებულად და სუფთა სინიდისით შეგვიძლია განვაცხადოთ რევოლუციონურ პროლეტარიატის წინაშე, რომ ჩვენ უარვყოფთ ამ სიცრუეს და და ცილისწამებას, ამ უთავბოლო აბდაუბდას, ჩვენი ოპოზიციის ამ მენშევიკურ-ბაუერულ [illegible], როდესაც ის გვაბრალებს ჩვენ ნაციონალურ შეზღუდულობის პოლიტიკის წარმოებას. (ტაში).

რამოდენიმე სიტყვა სოციალისტური მშენებლობის შესახებ. მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებებმა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ თავისი კონკრეტიული გამოხატულება ჰპოვეს უკანასკნელ ორ წელში მე-14 ყრილობის შემდეგ. უდავოა, რომ ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ ჩვენი მრეწველობის გაშლის საქმეში, უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ ჩვენს კაპიტალურ მშენებლობაში. ჩვენს მომავალ მუშაობას აუცილებლად თან დაჰყვება მთელი რიგი სიძნელეები. რამდენადაც უფრო ძლიერად გავიშლებით, იმდენად უფრო დაიჭიმება ჩვენი დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. თავის-თავად იგულისხმება, რომ მომავალ მუშაობაში ჩვენ უმთავრესად საკუთარ ძალას უნდა დავეყრდნოთ. ვეყრდნობით რა საკუთარ ძალას, შემდეგში ჩვენს წინ დგება ერთ-ერთი უდიდესი სამეურნეო საკითხი—წარმოების რაციონალიზაციისა და 7 საათის სამუშაო დღის ცხოვრებაში გატარების საკითხი. ჩვენ ადგილიდან დავძარით ეს საკითხი. ამ საკითხზე პარტიასა და მუშათა კლასს უკვე შემუშავებული აქვს საკუთარი აზრი. ახლა დგება კონკრეტიული ამოცანა—როგორ განვახორციელოთ. ეს უდიდესი ღონისძიება, შვიდი საათის სამუშაო დღის გატარება როგორ დაუკავშიროთ ყველა ჩვენს ღონისძიებებს წარმოების რაციონალიზაციის დარგში.

ამჟამად ამ საკითხზე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცოტა პრაქტიკული ნაბიჯია გადადგმული. დროც მაინც ცოტა გვქონდა, ოპოზიციას მოუნდით, მნიშვნელოვან საკითხს ჩვენი მეურნეობის რაციონალიზაციის საქმეში წარმოადგენს ელექტროფიკაციის საკითხი. ჩვენ დაგვჭირდება ამ საკითხის ხელახლა დაყენება მეორე ათწლედში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მე ვიტყვი ჩვენი ცენტრალურ-სამრეწველო რაიონისა და მოსკოვის გუბერნიის შესახებ. გადავხედოთ ჩვენი მოსკოვის მრეწველობას, სადაც ჩაბმულია ასი ათასობით მუშა, რომლებიც უდიდესი ენერგიით მუშაობენ. მოსკოვის მრეწველობაში ჩვენ განვიცდით ელექტროენერგიის ნაკლებობას.

ჩვენ იძულებული ვართ შევცვალოთ სამუშაო დღის ცხრილი და გადავიდეთ ერთი საათით ადრე მუშაობაზე, რასაც მეტად მძიმე ცვლილებები შეაქვს მუშების ცხოვრებაში, ეს საკითხის ერთი მხარე. საკითხის უმთავრესი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ გიგანტურია ინდუსტრიის განვითარებისა და მისი ამაღლების პერსპექტივები და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ელექტრომშენებლობის გაფართოების საკითხი,

შემდეგ ამხ. უგლანოვი გადადის ჩვენი სოციალისტური მშენებლობის შეფასებაზე ოპოზიციის მიერ და ამბობს:

— ოპოზიციამ დაიწყო რა გაუბედავი ნაბიჯებით, დაიწყო რა მე-14 ყრილობიდან სოციალიზმის მშენებლობაში რწმენის დაკარგვით მე-15 ყრილობისათვის უკვე სავსებით უარჰყო ჩვენი სახელმწიფოს მუშური ხასიათი. მე-15 ყრილობაზე ოპოზიცია მოვიდა რწმენით ჩვენი პარტიისა და ჩვენი პოლიტიკის ტერმიდორიანული გადაგვარების შესახებ. ოპოზიციამ არა თუ დაიწყო ჩვენი მუშაობისათვის ხელის შეშლა, არამედ დაიწყო კიდეც ბრძოლა ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ, იმ პოლიტიკის, რომელიც მიმართულია სოციალისტური მშენებლობის განვითარებისაკენ. ამით არსებითად ოპოზიცია მივიდა იქამდე, რომ მას მეტი აღარაფერი დარჩენია რა: ან, როგორც ამხ. სტალინმა დასვა საკითხი, უსიტყვოდ იდეურად და ორგანიზაციულად დანებდეს პარტიას ან და, ამხანაგებო, ოპოზიციიდან, დაიწყო მუშაობა პოლიტიკური და იდეური კოოპერაციის შესადგენად ევროპის სოციალ-დემოკრატიასთან, ოტო ბაუერთან (ხმები: „მართალია, სწორია").

— ამხ. კოსიორმა,—განაგრძობს ამხ. უგლანოვი,—თავის მოხსენებაში ბევრი ილაპარაკა პროლეტარული დემოკრატიისა და პროფკავშირების მუშაობის შესახებ. მე მის სიტყვას შევავსებ პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის შეფასებით ქვედაფენებში. მე მხედველობაში მაქვს თუნდაც მოსკოვის პროფორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ 1.800,000 წევრს. უკანასკნელ წლებში ჩვენ აქ დიდი მიღწევები გვაქვს. პროფესიონალურ კავშირების საგუბერნიო ყრილობებზე მოსკოვში დელეგატების 70 პროცენტს უშუალოდ წარმოებიდან ვირჩევთ; ჩვენს საგუბერნიო გაერთიანებებში დაზგის მუშების რიცხვი აღწევს 60—40 პროცენტს. უკვე რამდენიმე წელია, რაც სამეურნეო ორგანოებთან პროფკავშირები ყოველწლობით იწვევენ სამეურნეო კონფერენციებს. ნახევარ მილ. მეტი კაცი მონაწილეობს კონფერენციების მუშაობაში. ამას უდიდესი ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვს.

დასასრულ ამხ. უგლანოვი შეჩერდა შინაპარტიულ მდგომარეობაზე.

—შეეხო რა შინაპარტიულ საქმეებს, ამხ. სტალინმა ილაპარაკა ხელმძღვანელ მიმართ. მნიშვნელობაზე. ეს სავსებით სწორია. ხელმძღვანელობის მიმართულება სწყვეტს ყველაფერს. არა კუდში ჩანჩალით, არამედ წინ გაძღოლა არა მდინარეობისათვის თავის მიცემა, არამედ წინსვლა, დაფიქრება იმაზე, თუ საით მიდიხარ. ამაში მე სავსებით ვეთანხმები ამხ. სტალინს. ამხ. სტალინმა კიდევ სთქვა, რომ ჩვენ დღესაც გვაქვს საკითხების საარტელო, ოჯახური გადაწყვეტის საშუალება. დიახ, გვაქვს; მაგრამ მე მაინც უნდა ვთქვა, რომ ეხლა საკითხების არტელის წესით გადაჭრა გაცილებით შესუსტდა იმიტომ, რომ განმტკიცდენ ხელმძღვანელი კადრები, მუშაობა გაუმჯობესდა, საარტელო კონკლამობა შენელდა.

ჩვენ კარგ გუნებაზე ვართ. მივაღწიეთ რა წარმატებებს, [illegible] მოვიგერიეთ რა ოპოზიცია, ეხლა ჩვენ მეთხუთმეტე ყრილობაზე გულდარხეინად მედიდურად ვგრძნობ თავს. მაგრამ ჩვენ დღეობის მდგომარეობასთან ერთად ვიმყოფებით მობილიზაციის მუშათა ბრძოლის მდგომარეობაში. ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ პარტია, რომ ჩვენ არ დაუშვებთ ხელებს და მოსკოვიდან არ გამოუშვებთ, თქვენთან არც ერთ ოპოზიციონერ ბელურას. (ტაში).

— დაბოლოს, ამხანაგებო, უკანასკნელი, ოპოზიციამ თავის უკანასკნელ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს 31 ტროცკისტი და რომელიც მათ შემოიტანეს ამ ორი კვირის წინად, აცხადებს, რომ ის გადაჭრით ილაშქრებს ისეთი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია მეორე პარტიის შექმნისაკენ. მე კი შემიძლია გიჩვენოთ წინააღმდეგი—მე ხელთ მაქვს ოპოზიციის ყოველდღიური ბიულეტენები 27 ნოემბრამდე, რომლებიც მიძღვნილია უმთავრესად შინაპარტიული ცხოვრების საკითხებისადმი, ცალკე ორგანიზაციების კრიტიკისადმი, ცენტრალური კომიტეტის დარბევისა და მისი პოლიტიკისადმი. მაშ რა არის ეს? იქნებ სთქვათ, რომ ეს არ არის მეორე პარტიის ორგანიზაცია?! უკაცრავად. ჩვენ მრავალ წელს ვებრძოდით მენშევიკებს და ვიცით, თუ რა არის ფრაქცია, რა არის პარტია. ამ თვალსაზრისით ოპოზიციის ეს გაიძვერული ნაშრომი არავითარ ყურადღებას არ უნდა იპყრობდეს ჩვენს მხრივ (ტაში). სრულიად არავითარ ყურადღებას. მე ვფიქრობ, რომ იმ ოპოზიციონერებს, რომლებმაც პარტიის ყრილობამდე მოახერხეს ჩვენი პარტიის რიგებში დარჩენა, შეუძლიათ დარჩენ მასში მე-15 ყრილობის შემდეგაც, მხოლოდ, როგორც ამხ. სტალინმა სთქვა, სრული იდეური და ორგანიზაციული კაპიტულიაციის პირობით. ხოლო რაც შეეხება იმათ, ვინც უკვე პარტიიდან გამორიცხული არიან, ჩემის აზრით, რამდენიც არ უნდა იფიცონ მათ,—ამაში მხარს მიჭერენ მოსკოველი ამხანაგებიც,—ისინი დიდხანს უნდა გავაჩეროთ პარტიის კარს გარეთ (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. კაგანოვიჩის სიტყვა

ძირითადი კრიტერია პარტიის საქმიანობის შეფასებაში ყოველთვის იყო ჩვენს გზაზე წამოჭრილ სიძნელეებისა და საფრთხეთა წარმატებითი დაძლევა. მნიშვნელოვნად იქნა შემოწმებული ჩვენი ცეკასი და ჩვენი პარტიის საერთაშორისო, სამეურნეო, პოლიტიკური და შინაპარტიული ხაზი, ცეკამ და პარტიამ ბრწყინვალედ დაიჭირეს ეს გამოცდა. ავიღოთ მთავარი საკითხი—ომის საფრთხე. უკანასკნელი ორი წელი იყო გართულებისა და სიძნელეების წლებში ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაში. ომის საფრთხე განსაკუთრებით გაიზარდა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის მომენტში. პარტიის წინაშე წამოიჭრა საპასუხისმგებლო ამოცანა—არ დაბნეულიყო და გართულებულ პირობებში ეწარმოებინა ლენინის პოლიტიკა, ცალკე იმპერიალისტურ ბანაკებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა მოხერხებულად გამოყენების პოლიტიკა და გაეხანგრძლივებია შესვენება, რომელიც ჩვენ მივიღეთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გაფართოვებისათვის. გაუმკლავდა თუ არა ჩვენი პარტია და ცეკა ამ ძირითად ამოცანას? ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევიან ობიექტიური ფაქტები: ჩვენ მოვახერხეთ მშვიდობიანობის შენარჩუნება, ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაში აღმოცენებულ სიძნელეთა შესუსტება და ფართო მასების დარაზმვა მსოფლიოში პირველი სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვისა და დაცვის ლოზუნგის გარშემო. პარტიამ ეს მოახერხა არა თუ ოპოზიციის დაუხმარებლად, არამედ ამ ოპოზიციის მხრივ აქტიური წინააღმდეგობის პირობებშიც. ამასთან უნდა ვთქვა, რომ ყველაზე სამარცხვინო ოპოზიციის პოლიტიკურ დაცემაში არის ტროცკისტული, კლემანსისტური პოზიცია, რომელიც ოპოზიციონურმა ბლოკმა დაიჭირა საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და დაცვის საქმეში (ტაში).

ჩვენი ცეკას უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან დროზე მოახერხა ამ დაჩირქებული იარის გამორწყვა, ყალბ მემარცხენე ფრაზების გამოაშკარავება მთელ მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე, და იმის დამტკიცება, რომ ამ ფრაზების ქვეშ იმალება ნამდვილი ოპორტუნიზმი, რომელიც მიმართულია მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მიუხედავად სიძნელეებისა ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაში, დღევანდელ პერიოდისათვის ჩვენ დიპლომატიურად და პოლიტიკურად მომაგრებულნი ვართ. ამას წინად მე პირადათ დავიარე ათი განაპირა ოლქი და გაუზვიადებლად უნდა ვთქვა, რომ მასები მტკიცედ არიან განწყობილი და მზად არიან შეასრულონ ყველაფერი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და გამტკიცებისათვის,

ამნაირად ჩვენი პოლიტიკის, ცეკას ხაზის პირველი შემოწმება ამბების მსვლელობით ჩვენ დავიჭირეთ და დავიჭირეთ საკმაოდ დამაკმაყოფილებლად. ომის გადადება არის ჩვენი პარტიისა და ცეკას უდიდესი მიღწევა უკანასკნელ ხანებში. ცეკას პოლიტიკის შემოწმება ჩვენს წინაშე წამოჭრილ ომის საფრთხით მთლიანად მოწმობს ჩვენი პოლიტიკისა და ტაქტიკის სისწორეს და ცხოველმყოფელობას. თუ ავიღებთ ობიექტიურ ფაქტებს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის დარგიდან, დავინახავთ, რომ ჩვენ ბრწყინვალედ დავიჭირეთ გამოცდა. უკანასკნელი ორი წელი იყო ჩვენი მეურნეობის ყველაზე ნორმალური, ყველაზე ჯანსაღი განვითარების, უკრიზისო და უგაჭირვებო წლები.

უკრაინაში ჩვენ ყველაზე უფრო ნათლად ვხედავთ მეურნეობის სოციალისტური ელემენტებისა და ინდუსტრიალიზაციის ზრდას. მძიმე ინდუსტრიის საერთო განვითარება უკანასკნელ წლებში გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ და ეწევა მსუბუქი მრეწველობის ზრდას. ცხადია, რომ ეს ზრდა ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლითონის, თუჯის, ფოლადის წარმოების დარგში ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია ომამდე არსებულ დონემდე. ჩვენს შემდგომ მშენებლობაში კაპიტალური მშენებლობა უნდა მივმართოთ არა სიფართოვის მხრივ—სხვადასხვა წვრილ წარმოებებისაკენ, არამედ მბრძანებელ მაღლობებისაკენ—ჩვენი უდიდესი ქარხნებისა, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობისაკენ.

როგორც არ უნდა შეეცადოს ოპოზიცია დახატოს საქმის ვითარება ისე, რომ თითქოს ჩვენ კრიზისი გვაქვს ჩვენს მეურნეობაში,—ამბობს შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი,—ჩვენ სავსებით გარკვეულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სწორედ უკრიზისობა არის პასუხი ცენტრალური კომიტეტის მოქმედების მეორე მეტად მნიშვნელოვან შემოწმებაზე. ჩვენ ბევრი სიძნელენი და წინააღმდეგობანი გვაქვს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის დარგშიაც. მაგრამ მით უფრო დანაშაულებრივია ოპოზიციის გახრწნილი მოქმედება, რომელიც სიტყვით იცავს ინდუსტრიალიზაციას, საქმით კი ძირს უთხრის პარტიის მუშაობას იმ სიძნელეთა გადასალახავად, რომელნიც ხანდახან შედეგი არის ჩვენი უცოდინარობის, როგორც სისწორით გამოსთქვა აქ ამხ. სტალინმა. პარტიამ გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ორ ფრონტზე: ერთის მხრით ბრძოლა ოპოზიციასთან და მის გამხრწნელ პესიმიზმთან, რწმენის ქონლობასთან და წუწუნთან, მეორეს მხრით ბრძოლა ჩვენს უკულტურობასთან, ბიუროკრატიზმთან, მუშაობის უცოდინარობასთან. ამისათვის ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მასების მობილიზაციისათვის, მასების დარაზმვისათვის ტეხნიკის განვითარების, მუშაობის მეთოდების გაუმჯობესების, მეურნეობის საერთო აღორძინების მნიშვნელოვანი ამოცანების ირგვლივ. რაციონალიზაციისა და მასების კულტურული დონის აწევის საკითხები ეხლანდელ პირობებში გადამწყვეტი არის. ლენინი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ჩვენი პარტიის უმთავრესი ყურადღების საგნად ხდიდა მასების კულტურული დონის აწევის საკითხს. ოპოზიციის უდიდესი შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ესმის ამ უდიდესი საკითხის მნიშვნელობა. იმის მაგივრად, რომ დაეხმაროს პარტიას მასების კულტურული განვითარების საქმეში, ოპოზიცია სცდილობს ჩირქი მოსცხოს და ჩაშალოს ეს ჩვენი უმთავრესი მუშაობა.

მაგრამ ჩვენ არ უნდა გაგვიტაცოს ჩვენმა მიღწევებმა, იმიტომ, რომ ჩვენი მუშაობის ზრდასთან და გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება მასების მოთხოვნილებანი. ყოველი გაცდენილი საათი ქმნის საფრთხეს იმისა, რომ შეიძლება დისპროპორცია წარმოიშვას მასების მოთხოვნილებებსა და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შორის. ამიტომ ჩვენ ეხლა მთელი ყურადღება უნდა მივაქციოთ ლოზუნგს: „უფრო ახლოს ფართო მასებთან". ეს ლოზუნგი ჩვენ კონკრეტიული შინაარსით უნდა შევავსოთ.

ჩვენი პარტიის და ცეკას მოქმედების მესამე მნიშვნელოვანი შეფასება არის დამოკიდებულება, რომელიც მუშებმა გამოიჩინეს ოპოზიციისა და პარტიის მიმართ. ოპოზიციონერები სცდილობენ ჩირქი მოსცხონ ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ამ პროლეტარულ, მუშურ შეფასებას: ისინი ამბობენ, რომ თითქოს მუშები კარგად ვერ გაერკვენ უთანხმოების საკითხებში. ეს არის ინტელიგენტური, ფილისტერული მსჯელობა და მას არავითარი ფასი არ აქვს, ვინაიდან ეს მსჯელობა ვერ ითვალისწინებს იმას, რომ მუშათა მასებს აქვთ თავისი კლასობრივი კრიტერიუმი, კლასობრივი პროლეტარული ალღო, რითაც ისინი ხვდებიან, თუ სად არის ცარიელი ფრაზები, რომელნიც წვრილბურჟუაზიულ არსებას ფარავენ. ოპოზიციონერების შემცდარი ტაქტიკით, მათი მუშაობის ცუდი ორგანიზაციით. მათი დამარცხება არის წვრილბურჟუაზიული დემოკრატების დამარცხება, რომელნიც შეეცადენ განეხორციელებიათ თავისი გავლენა პროლეტარიატზე, ჩამოეშორებიათ ეს პროლეტარიატი მისი პროლეტარული პარტიისაგან. ეს მათ ვერ შესძლეს. პროლეტარიატი თავის პარტიასთან დარჩა, ოპოზიციის ყველა ცილისწამებათა საპასუხოდ, პროლეტარიატის პარტიის გათიშვის ცდის საპასუხოდ პროლეტარიატმა თავისი წრიდან გამოჰყო 70.000 საუკეთესო მოწინავე პროლეტარი. მხოლოდ ასე შეეძლო ეპასუხნა მუშათა კლასს, რომელმაც შეამოწმა ჩვენი პარტიის მოქმედება. ასე ხდება ყოველთვის: მუშათა კლასი, უჭერს რა მხარს პარტიას მის ბრძოლაში გამხრწნელი მოქმედების წინააღმდეგ, გახრწნის გზაზე შემდგარ ელემენტებს ყოველთვის სცვლის თავისი საუკეთესო წარმომადგენლებით.

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი ეხება რა შინაპარტიული რეჟიმის და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს, ამბობს: „რასაკვირველია ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ბიუროკრატიზმი, ეს ბიუროკრატიზმი აძნელებს ჩვენს ბრძოლას კულტურული დონის ასაწევად, აბრკოლებს ჩვენს სამეურნეო მშენებლობას.

პარტია ფართო ფრონტით უტევს ამ უარყოფით მხარეებს, ებრძვის მათ, თანდათან აღწევს მეტად სერიოზულ წარმატებებს. და როგორც ყველაფერში, სწორედ აქაც ოპოზიცია ხელს უშლის ამ მუშაობას; რას ნიშნავს მაგალითად, ოპოზიციის ცდა ჩირქი მოსცხოს ჩვენი უდიდესი მნიშვნელობის მუშაობას საბჭოების გამოცოცხლებლად, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორი არის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში? იგივეა ჩვენი პარტიული აპარატის მიმართაც. რასაკვირველია, ჩვენ აქ გვაქვს სერიოზული ნაკლულოვანებანი. მართალია ამხ. სტალინი, რომ ჩვენ ეხლა კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატ. თვითკმაყოფილებასთან. მაგრამ პარტია იბრძვის და იბრძოლებს ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად. ოპოზიცია კი, იმის მაგივრად, რომ დაეხმაროს პარტიას ამ საქმეში, ჩვენი ნამდვილი ნაკლულოვანებების ცალკე ფაქტებს იყენებს იმისათვის, რომ ჩირქი მოსცხოს მთელ არსებულ რეჟიმს, პარტიული რეჟიმისათვის ჩირქის მოცხებით ოპოზიცია ძირს უთხრის პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმს, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ბოლშევიკური პარტიის რეჟიმთან, პროლეტარიატის დიქტატურის ხერხემალთან. მე არ შევჩერდები ოპოზიციის გამთიშავი მოქმედების და ამღვრევ ბრძოლის ყველა მომენტებ ლოდ უკრაინის მაგალითებით თუ როგორ ვითარდებოდა მე-14 ყრილობის შემდეგ. იქ, უკრ ვიევის და კამენევის მომხრენი იყო. სამაგიეროდ იქ გვყავდა ტ ჯგუფი თავისი „ძველი ტრადიცი ზიცია დიდ იმედებს ამყარებდა კ ოდესშინაზე. ოპოზიციონერებს, ა ქონდათ, რომ ვინაიდან იქ ბევრია რჟუაზია, ამიტომ შესძლებდენ გა ებას, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ბურჟუაზიის გარდა არის კიდევ პროლეტარიატი და გამოცდილი ორგანიზაციები. ყველა სხვა შიაც ოპოზიციას არავითარი საყ საყრდენი არ ქონდა. როგორ მოიქცა კოვსკი, როცა კრებამ არ მისცა შუალება? მან მიმართა უცხოელთა ციებს, რომელთა შორისაც იყვნენ დემოკრატები და უპარტიოები შევიკებთან და ანარქისტებთან ერთად ხარკოვის პროლეტარიატის საუკეთ ლის გახრწნა. მაგრამ ამ ამხანაგების პროლეტარებმა ისეთივე პასუხი გორც სხვა ქარხნების მუშებმა თავისი ბედი სცადა ზაპოროჟეში გარდა ოპოზიციონერთა პატარა კოვსკიმ ვერაფრის გაკეთება ვერ დნეპროპეტროვსკის და ზაპოროჟ ტარიესი [illegible] პასუხი [illegible] პარტია, რ გაბედა დონბასში [illegible] და ეს [illegible] დაციების შედეგად [illegible] ნაწილი ოპოზიციასთან, მეორე კ პარტიასთან და

ყრილობის დარბ

სამშაბათი, 6 დეკემ

კამენევმა დღეს სთქვა, რომ ოპოზიციას აქვს ორი გზა. ან მეორე პარტიის შექმნა, ან სრული დამორჩილება პარტიისადმი. მაგრამ მთელი მისი სიტყვა ამტკიცებს, რომ იდეურად განიარაღება მათ, ოპოზიციონერებს, არ სურს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეორე გზა, პარტიაში დაბრუნების გზა, უარყოფილია.

საინტერესოა, რომ ოპოზიციონერმა მურალოვმა, რომელიც დღეს გამოვიდა, ერთი სიტყვაც აღარ სთქვა ოპოზიციის სურვილის შესახებ, რომ დაემორჩილოს პარტიას. მთელი მისი სიტყვა, რომელიც მას მალე შეაწყვეტინეს, იყო ყრილობის აბუჩად აგდება.

რის შესახებ ლაპარაკობდა ის? — ბევრი უბედურება მოხდაო იმიტომ, რომ ყრილობა არ შეიკრიბა, პარტიის პოლიტიკა არ იყო სწორიო. პარტია სავსებით არ იყო ჩაბმული ყველა საკითხების განხილვაშიო. ორი წელიწადი სწარმოებდა ცალმხრივი დისკუსია, ჭეშმარიტება იფარებოდაო. ოპოზიციის ყველა წინადადებებს იხილავდენ, როგორც დემაგოგიას, ოპოზიციას ცილს სწამებდენ, მას უწოდებდენ მენშევიკების აგენტებს და სხვ.

მართლაც, გაკოტრებული ოპოზიცია წარსდგა ყრილობის სამსჯავროს წინაშე. კამენევი დაიძრა უკან დახევის გზებს, მურალოვს კი იყო სითამამე, რომ თავი კი არ დაეცვა, არამედ ხელახლა დასხმოდა თავს პარტიას. ეს გამოსვლა ამტკიცებს, რომ ოპოზიციის ლიდერებმა დასწყვიტეს საბოლოოდ გასწყვიტონ კავშირი პარტიასთან. უეჭველია, რომ ეს კეთდება ტროცკის დირექტივით, რომელმაც თითონ საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი პარტიასთან.

ნიკოლაევამ განაცხადა, რომ ოპოზიცია მას ცილს სწამებს, როდესაც ამტკიცებს, რომ ის სავსებით არ ჩამოშორებია ოპოზიციას. მინინის მერყევ ოპოზიციას,—განაცხადა მან,— შეუძლია ჩემი მიიყვანოს ის, მინინი ოპოზიციასთან, როგორც ეს დაემართა ზალუცკის.

საინტერესო სიტყვით გამოვიდა ამხ. ტომსკი. რაკოვსკის სიტყვამ,—სთქვა ამხ. ტომსკიმ, მოაგონა მძიმე შთაბეჭდილება. ის ცილს სწამებდა ევროპის მუშებსო.

გუშინ მიღებულ იქნა 16-ის ჯგუფის (საპრონოვის მომხრეების) განცხადება. ეს არის იმ პირების ჯგუფი, რომლებიც საბოლოოდ ჩამოშორდენ პარტიას, მათთან პარტია სიტყვას არ გააგრძელებს.

ზინოვიევი და სხვები მე-14 ყრილობაზე ეყრდნობოდენ ლენინგრადის ორგანიზაციას და გამოდიოდენ, როგორც ტროცკის მოწინააღმდეგენი, მე-15 ყრილობაზე კი, როდესაც მათ არაფერი აღარ დარჩენიათ ლენინგრადში, ისინი გამოდიან ტროცკიზმის მომხრეებათ.

ამხ. მინინის სიტყვის საპასუხოდ, ამხ. ტომსკიმ სთქვა: „დაიხიეთ პირდაპირ, უბუფეროდ არა უკან მე-14 ყრილობისაკენ, არამედ წინ—მე-15 ყრილობისაკენ. ამხ. ტომსკიმ გამოააშკარავა ლენინგრადის მუშების ყალბი თანაგრძნობა ოპოზიციისადმი. კიდევ ერთი ასეთი თანაგრძნობა, და ამხ. ევდოკიმოვისაგან აღარაფერი დარჩება რა.

ოპოზიციის ახალი დოკუმენტი (განცხადება ყრილობისადმი) იყოფა ორ ნაწილად. ერთი—მშვიდობიანობისათვის, მეორე— გვინდა შევინარჩუნოთ ომის შესაძლებლობა. ოპოზიციას შრომა განაწილებული აქვს: როდესაც საჭიროა თეთრი რაშით გამოსვლა— გამოდის ტროცკი, როდესაც საჭიროა ცრემლი—გამოდის ზინოვიევი, როდესაც საჭიროა ზავზე ლაპარაკი —გამოდის კამენევი. ოპოზიცია ისე იქცევა, როგორც თურქესტანელი ბასმაჩები. ზამთარში, როდესაც ბრძოლა გაჭირდა, დამარცხების შემდეგ მივიდნენ ხელისუფლებასთან და ეუბნებიან: ეხლა ჩვენ თქვენთან ვართ, ოღონდ იარაღი შეგვინახეთო. ხოლო ხელსაყრელ შემთხვევაში ბასმაჩები ისევ გამოდიოდენ ხელისუფლების წინააღმდეგ. თქვენ გინდათ ჩვენი პურით კუჭი მოიძღოთ— ამბობს ამხ. ტომსკი,—არა ეს არ გაგივათ. ოპოზიცია მოითხოვს ამნისტიას, მოითხოვს მთელი არა სასიამოვნო ბარგის (რუტფიშერი, მასლოვი, ფიშელევი, ოსოვსკი და სხვ.) უკან, პარტიაში დაბრუნებას, სამაგიეროდ ჰკიცხავენ პარტიის 2 წლის პოლიტიკას. დაკარგული შვილი უბრუნდება მამას. მაგრამ არც ერთი იგავი არ ამბობს, რომ მამას მიეღოს შვილი, როდესაც უკანასკნელს თან მოეყოლოს ყოველგვარი სიბინძურე. პარტიას აქვს შეხედულებათა ერთი სისტემა, ოპოზიციას მეორე— სოციალ-დემოკრატიული. ან მოდით პარტიაში, მაშინ უნდა გამოემშვიდობოთ შეხედულებათა თქვენს სისტემას, სოციალ-დემოკრატიული ბარგი უნდა დასტოვოთ პარტიის კარს გარეთ, ან და მოშორდით პარტიას.

ოპოზიციის საქციელი ოქტომბრის ზეიმზე—პარტიული ღალატია. როდესაც თავის განცხადებაში ოპოზიცია ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ უპარტიოების წინაშე ობიექტიურად უნდა გადაიშალოს ორივე თვალსაზრისი, ამით ის ფაქტიურად მიმართავს უპარტიოებს. თუ ოპოზიცია გაჰყვა ამ გზას, მაშინ ის პირველხარისხოვნად იქნება დასამარებული. წარსულ [illegible] უშველის. გორკ [illegible] მი: წარსულის ე [illegible] ლო.

თქვენი შეხედ [illegible] ტროცკიზმი, ჩვე [illegible] რჩით—ან ერთი [illegible] იქნება თქვენ რ [illegible] თან და უთხრათ [illegible] შევატოვებთ თან [illegible] გაპატიებთ.

თქვენ გავსინჯ [illegible] ნდა მუშაობა. თქ [illegible] რტია ვერ დაივი [illegible]

ოპოზიციონერ [illegible] ვის [illegible] ზე წავიდ [illegible] დარ [illegible] ვის ლოზუნგის არსებ [illegible] რით, იწვევს შიშს: ხა [illegible] ჩვენ ამ ლოზუნგს [illegible] ჟო. ბუხარინის აზრით [illegible] მდგომარეობა საშიშ [illegible] ისროლა სიცრუე იმის [illegible] თუმცა ამხ. სტალინის [illegible] ფერი იყო ნათქვამი [illegible] შესახებ. მანაც, სან [illegible] რად, აურია და დაამ [illegible] ტიის შემადგენლობის [illegible] რიგების ციფრები. თუ [illegible] ნაირია საერთო მაშ [illegible] ვიდა ტრიბუნიდან, [illegible] ლობის ტრიბუნიდან. [illegible] სი სხვა კოლეგები კავ [illegible] რტიასთან. ყრილობა [illegible] წყობილი. ყრილ [illegible] დემოკრატიულ [illegible] ოატიული პროპაგ [illegible] პარტიის შიგნით.

კამათი დამთავ [illegible] იაროსლავსკის სი [illegible]

ხვალ დილით მ [illegible] ანგარიშის მომხს [illegible] სიტყვები.

გაუკეთოთ ჯ [illegible] ნას, რომლებიც [illegible] ცია, რომელიც [illegible] ბრალს სდებდა პარტ [illegible] და მას „რევოლუცი [illegible] რთავდა ანტი-საბ [illegible] ოქტომბრის რევოლ [illegible] თავის დღესასწაულ [illegible] ყობდა მეორე პარტი [illegible] იქნება განადგურებული [illegible] უკუგდებული პარტი [illegible] ხის მიერ. იგი მე-15 [illegible] მოხნდა გატეხილი ტ [illegible] ცლის წინაშე. მან ვე [illegible] სის მოწყობა მე-15 [illegible] ივი ყრილობაზე მო [illegible] ებში დანით.

ვინც იზიარებს [illegible] იდეას და შეხედ [illegible] მათ დაცვას, მას [illegible] შორო კომპარ [illegible]

ასეთია ყრი [illegible] წყობილება [illegible] მისი გადა [illegible] თუ განს [illegible] ლადების [illegible] დეს არ [illegible] საცოდავებ [illegible] ღებით საკით [illegible] სულსა და გულ [illegible] ასეთი პასუხი გ [illegible] ლებზე უარს არ [illegible] კვლავ დავიცავთ ჩვენ [illegible] პარტიის წესდების ფ [illegible] ჯერ სიტყვა და შემდეგ [illegible] ვასრულებთ თუ არაო".

ოპოზიციამ გადასწყვი [illegible] და მისი უკან დახევის ას [illegible] რის პარტიიდან ჩამოშო [illegible]

პარტიის უბრალო წ [illegible] რჩიონ ორში ერთი: ან კუ [illegible] ვნონ გაკოტრებულ ბელად [illegible] შნავს პირდაპირ გზას მენ [illegible] ან გასწყვიტონ იდეური დ [illegible] ციული კავშირი ოპოზიცი [illegible]

მეორე გზა არის ბოლშე [illegible]

ეს ერთი დასკვნა.

მე-15 ყრილობაზე ტრო [illegible] მსხვერპლი ირთხელ კიდევ [illegible] ნინიზმს. ტროცკი ბრძოლ [illegible] ნინთან 1917 წელში. ტრ [illegible] ლით მიდის ლენინური პ [illegible] წელში, რომ არასოდეს [illegible] დეს უკან.

ეს არის ტროცკიზმის [illegible] კრახი ჩვენს პარტიაში. ტრ [illegible] თავისი ადგილი უჭირავს [illegible] ტროცკი კვლავ მივიდა მენშ [illegible]

ეს მეორე დასკვნა.

ოპოზიცია ორი წელი სპ [illegible] რტიას. ორი წელი შლიდა [illegible] მუშათა კლასის შემოქმედებ [illegible] ბას.

მე-15 ყრილობა ბოლოს ბერე [illegible] სამაგლობას. ოპოზიციის მო [illegible] ზღვარი ედება.

ეს მესამე დასკვნა.

აი, სამი შედეგი, რომელი [illegible] გამოვიყვანოთ ყრილობის [illegible] გვაბის, სულისკვეთების მიხედვ [illegible] ხსენებათა ირგვლივ გამართ [illegible] თის დამთავრების შემდეგ.

(ტელეფონით მოსკოვ

ამხ. ლიტვინოვის შეხვედრა ჩემბერლენ-ბრიან-შტრეზემანთან

შეკითხვები თემთა პალატაში საბჭოთა წინადადებათა შესახებ ჟენევაში

გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია

ჟენევის კონფერენციის შემდეგ

ამხ. ლიტვინოვის შეხვედრა ჩემბერლენთან

ჟენევა, 5 დეკემბერი. 5 დეკემბერს, 14 ნახ საათზე ორივე მხარის სურვილის გამორკვევის შემდეგ მოხდა ლიტვინოვისა და ჩემბერლენის შეხვედრა.

შეხვედრის შემდეგ, მათი თანხმობით, გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის ცნობა:

„5 დეკემბერს ნასადილევს სასტუმრო „ბო რივაჟ“-ში მოხდა ლიტვინოვისა და ჩემბერლენის შეხვედრა. შეხვედრამ საშუალება მისცა მათ ერთმანეთისათვის გაეზიარებიათ თავისი შეხედულებები ინგლისის და საბჭ. მთავრობების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მაგრამ საუბარის დროს ვერ იქნა გამონახული ნიადაგი შეთანხმებისათვის“.

ამხ. ლიტვინოვის შეხვედრა ბრიანთან

ჟენევა, 5 დეკემბერი. 4 დეკემბერს საღამოს 5 საათზე ამხ. ლიტვინოვმა ინახულა ბრიანი. საუბარში, რომელმაც გასტანა ერთ საათს, განხილულ იქნა ყველა ის საკითხები, რომელნიც აინტერესებდენ ორივე მხარეს. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ლიტვინოვმა კმაყოფილება გამოსთქვა შეხვედრის შედეგებით.

ბრიანის განცხადება

ჟენევა, 6 დეკემბერი. ლიტვინოვთან საუბრის დროს ბრიანმა განაცხადა, რომ ის საბოლოოდ მოწესრიგებულად სთვლის რაკოვსკის ინციდენტთან დაკავშირებით გამოწვეულ გაუგებრობებს და ურთიერთობის ჩაშლაზე ლაპარაკიც კი შეუძლებლად მიაჩნია. შემდეგ მან განაცხადა, რომ საბჭოთა ახალი ელჩის პარიზში ჩამოსვლისთანავე განახლებული იქნება მოლაპარაკება ვალებისა, კრედიტებისა და აგრეთვე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის განხილვის დროს ორივე მოსაუბრემ საჭიროდ აღიარა, რომ ბოლო მოეღოს ომის მდგომარეობას ლიტვასა და პოლონეთს შორის.

საუბარი შეეხებოდა აგრეთვე საერთაშორისო ხასიათის საკითხებსაც. (ადს)

მუშათა მიტინგის რეზოლიუცია

ჟენევა, 5 დეკემბერი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბორმინგამის სექციის მდივანმა ლიტვინოვის სახელზე გაგზავნა ასლი რეზოლიუციის, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული ბირმინგამში გამართულ მიტინგზე. რეზოლიუციაში ნათქვამია: **დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბირმინგამის სექციის წევრების კრება ესალმება რუსეთის დელეგაციას ჟენევის კონფერენციაზე და მთლიანად ეთანხმება მის გამოსვლას განიარაღების კონფერენციაზე საერთაშორისო ზავის სასარგებლოთ** (ადს).

ლიტვინოვის გამგზავრება

ჟენევა, 6 დეკემბერი. 6 დეკემბერს ამხ. ლიტვინოვი ჟენევიდან ბერლინით გაემგზავრა მოსკოვში (ადს).

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 5 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: „თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის წევრმა ჯონსტონმა შეიტანა შეკითხვა: იხილავს თუ არა მთავრობა რუსების წინადადებებს საერთო განიარაღების შესახებ? შემდეგ ჯონსტონი შეეკითხა: შეუძლია თუ არა მთავრობას დაადასტუროს, რომ ინგლისის დელეგატები ჟენევაში არ იქნებიან ვალდებულნი უარყონ რუსების წინადადებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ წინადადებების თემთა პალატაში გარჩევამდე?

ბოლდუინმა თავის პასუხში განაცხადა, რომ მოსამზადებელმა კომისიამ გადასწყვიტა განსაზღვროს თავისი მუშაობა ეხლანდელ სესიაზე მხოლოთ უშიშროების კომისიის მოწყობით, რის გამო საკითხი ინგლისის წარმოადგენლებისათვის ჟენევაში ინსტრუქციის გაგზავნაზე არ წამოჭრილა. „რაც შეეხება რუსების წინადადებებს—სთქვა შემდეგ ბოლდუინმა—ისინი არ იქნა შეფასებული კომისიის მიერ, როგორც პოლიტიკური ხასიათის მქონე და რომელთაც შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა. ამასთან დაკავშირებით არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენს მათი გარჩევა თემთა პალატაში“.

მუშათა პარტიის წევრი კენვორთი შეეკითხა: მართალია თუ არა, რომ რუსეთმა მიიღო თავის თავზე ინიციატივა განიარაღდეს ერთი წლის განმავლობაში თუ ინგლისი გაჰყვა მის მაგალითს, განვიარაღდებით თუ არა 4 წლის განმავლობაში?

ბოლდუინმა უპასუხა, რომ ოფიციალური დოკუმენტები ამის შესახებ ლონდონში ჯერ არ არის მიღებული. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჟენევა, 6 დეკემბერი. **ერთა ლიგის საბჭოს სესია გაიხსნა 5 დეკემბერს დილით.** პირველ სხდომაზე ირჩეოდა მეორე ხარისხოვანი საკითხები. უნგრეთ-რუმინეთის დავის განხილვა გადადებულია მორიგ სესიაზე, მასთან საბჭომ წინადადება მისცა ორივე მხარეს შეეთანხმონ ერთმანეთს უშუალო მოლაპარაკების გზით. დღის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა ცალკე სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრების შეხვედრებს. მოლაპარაკების ცენტრში კვლავ იდგა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი. ლიტვის საჩივარის გარჩევა, ალბათ, გადაეცემა კომისიას; საბჭოს პლენუმი კი განიხილავს საერთოთ, პოლონეთ-ლიტვის დამოუკიდებლობის საკითხს.

პილსუდსკის ჟენევაში მოელიან 8 ან 9 დეკემბრისათვის (ადს).

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

გარეშე საქმეთა მინისტრების შეხვედრა ამხ. ლიტვინოვთან

ჟენევა, 6 დეკემბერი. ჩემბერლენთან საუბრის შემდეგ ლიტვინოვმა მიიღო ვოლდემარასი და შემდეგ კი ინახულა ზალესკი. როგორც წინა შეხვედრის დროს, ლიტვინოვი არწმუნებდა ვოლდემარასს, რომ საჭიროა შეწყვეტილ იქნას საომარი მდგომარეობა ლიტვასა და პოლონეთს შორის. რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენას ამ [illegible] შორის, ლიტვინოვმა განუცხადა ვოლდემარასს და ზალესკის, რომ ის არ შედის ამ საკითხის განხილვაში, რომელიც უშუალოდ შეეხება მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთსა და ლიტვას. ლიტვინოვმა განუცხადა, ორივე მინისტრს, რომ საბჭოთა მთავრობისათვის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია მშვიდობიანობის დარღვევის ყოველივე საბაბის მოსპობა.

ხანგრძლივ საუბარში ზალესკისთან ლიტვინოვმა ხაზი გაუსვა საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან ნაბიჯებს, ლიტვის ტერიტორიული დამოუკიდებლობის მნიშვნელობას ყოველი მთავრობის დროს, აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას მშვიდობიანობის საქმისათვის.

ზალესკისთან საუბრის დროს მოხსენებული იყო აგრეთვე მოლაპარაკება საგარანტიო და სავაჭრო ხელშეკრულებების შესახებ. ზალესკიმ გააკეთა ულრულსად დამამშვიდებელი განცხადებები პოლონეთის პოლიტიკის შესახებ. (ადს)

ამხ. ლიტვინოვის საუბარი შტრეზემანთან

ჟენევა, 5 დეკემბერი. ლიტვინოვისა და შტრეზემანის საუბარი 4 დეკემბერს უმთავრესად შეეხებოდა პოლონეთ ლიტვის კონფლიქტს და ამ ორ სახელმწიფოს შორის ომის მდგომარეობის მოსპობის აუცილებლობას. საუბარი ატარებდა მეტად გულწრფელ და მეგობრულ ხასიათს. ლიტვინოვმა განავითარა ის თვალსაზრისი, რომელიც გამოთქმულია საბჭოთა მთავრობის მიმართვაში პოლონეთსა და ლიტვისადმი. საუბარში გამოირკვა პრინციპიალურ უთანხმოებათა უქონლობა ამ საკითხში გერმანიისა და საბჭოთა მთავრობებს შორის. (ადს).

პოლონეთის სანაპირო ჯარების გაძლიერება

კოვნო, 5 დეკემბერი. „ეხო“-ს გადმოცემით, ორანის, ოლკენიკის და მარცინკანცის რაიონში პოლონეთი აძლიერებს სანაპირო ჯარებს.

სადგურ ორანში მოვიდა პოლონეთის სანაპირო ორი რაზმი. ღამით ისინი მიუახლოვდენ სადემარკაციო ხაზს. ვილკომირის რაიონში პოლონეთის მხრიდან ისმოდა თოფების სროლა.

„ლეტუვას“ გადმოცემით ორანაში მოვიდა პოლონეთის ბატალიონი; მოტანილია ტყვიები და ხელის ყუმბარები; პოზნანიდან ელიან კავალერიას.

ამტკიცებენ, რომ 15 დეკემბერს უნდა მოხდეს რაღაც ახალი ამბები (ადს)

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი

ვარშავა, 5 დეკემბერი. გაზეთ „ექსპრეს პორანის“ ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ზალესკისთან საუბარში ბრიანმა განაცხადა, რომ ერთა ლიგის მიერ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის წარმატებით გადაჭრა ლიგისათვის არის „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი“. (ადს).

„წითელი საფრთხე“

რიგა, 5 დეკემბერი. ლატვიის ბურჟუაზიული პრესის ცნობით, პროფკავშირების მემარცხენე მოღვაწეთა გაჩხრეკა და დაპატიმრება გამოწვეულია **მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის აქტივობის გაძლიერებით, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირიდან მუშათა დელეგაციის დაბრუნების შემდეგ.**

ერთ-ერთი ბურჟუაზიული გაზეთი სწერს: „სახლში დაბრუნების შემდეგ ჩვენმა მემარცხენეებმა დაიწყეს საბჭოთა რეჟიმის ქება და აშკარად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ლატვიაში არსებული წესწყობილებით“. (ადს).

კრიზისი რუმინეთში

ვენა, 5 დეკემბერი. როგორც ბუქარესტიდან იტყობინებიან, რუმინეთის პრემიერმა ვინტილა ბრატიანუმ, ნაციონალურ-გლეხთა პარტიის მოთხოვნით გადასცა უკანასკნელს ლიბერალური პარტიის წინადადება კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ. წინადადებაში აღნიშნულია, რომ ლიბერალური პარტია აუცილებლათ სთვლის შეუთანხმდეს მეორე პოლიტიკურ პარტიას განსაზღვრულ საფუძველზე.

ნაციონალურ - გლეხთა პარტიის აღმასკომის სხდომაზე ლიბერალების წინადადება საბოლოოთ უარყოფილ იქნა (ადს).

ჩან-კაი-ში თათბირობს

თათბირი ჩან-კაი-შისთან

შანხაი, 5 დეკემბერი. ჩან-კაი-შის ბინაზე იმართებოდა გომინდანის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრთა ჯგუფის მოსამზადებელი თათბირები ცეკასა და ც. ს. კ. პლენუმისათვის. თათბირებზე გადაწყდა შეიქმნას განსაკუთრებული ტრიბუნალი ნანკინში მომხდარ დახვრეტების საქმის გასარჩევად, მოიხსნას თანამდებობიდან დროებით 10 კაცი, რომელთაც დახვრეტაში მონაწილეობა ბრალდებათ და დათხოვნილ იქნას საგანგებო კომიტეტი. (ადს).

პარლამენტის არჩევნები

პოლონეთში

ვარშავა, 5 დეკემბერი. გამოქვეყნებულია პრეზიდენტის დეკრეტი, რომლის ძალით სეიმის არჩევნები დანიშნულია 4 მარტისათვის, სენატის არჩევნები კი 11 მარტს. (ადს).

ხოლერის ეპიდემია

ბენგალიაში

ლონდონი, 6 დეკემბერი. როგორც კალკუტიდან იტყობინებიან, ბენგალიაში მძვინვარებს ხოლერის ეპიდემია. კვირაში იხოცება 200 კაცამდე (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირების ყრილობა

ოსლო, 5 დეკემბერი. გაიხსნა ნორვეგიის პროფკავშირების ყრილობა.

საბჭოთა პროფკავშირების მისალმება

საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წარმომადგენლის ეფრეინოვის გამოსვლას მთელი ყრილობა შეხვდა მხურვალე ტაშით. ეფრეინოვმა აღნიშნა, რომ გაძლიერდა კავშირი რუსეთის და ინგლისის მუშებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ჩაიშალა ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი, აღნიშნა აგრეთვე, რომ დაარსდა ნორვეგია-ფინეთ-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი და ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა მუშაობის განვითარება ამ მიმართულებით.

კომუნისტების მოწვევა ყრილობაზე

ნორვეგიის მუშათა პარტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს ყრილობის მუშაობაში, გამოსთქვა თავისი გაკვირვება იმის გამო, რომ ნორვეგიის კომპარტიის წარმომადგენლები არ ღებულობენ მონაწილეობას ყრილობის მუშაობაში და შემოიტანა წინადადება, რათა ისინი მოწვეულიყვნენ ყრილობაზე, როგორც სტუმრები.

მიუხედავათ ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარის ოლსენის სასტიკი პროტესტისა, ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით დაადგინა მოიწვიოს ყრილობაზე კომპარტიის წარმომადგენლები.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულია ორი კომუნისტი. კომუნისტები არჩეული არიან აგრეთვე ყრილობის სამდივნოში და ყრილობის ყველა კომისიებში.

საპროტესტო რეზოლიუცია

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სასტიკ პროტესტს უცხადებს მთავრობას იმის გამო, რომ მან უარი სთქვა ნორვეგიაში შესასვლელი ვიზის გაცემაზე საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯ. **იაგლომისათვის.**

კრიზისი გერმანიის რკინის მრეწველობაში

ბერლინი, 5 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„რკინის მრეწველობაში წარმოების მოსალოდნელ შეჩერებასთან დაკავშირებით, დიუსელდორფიდან იუწყებიან, რომ რეინ-ვესტფალიის სამრეწველო რაიონის რკინის დამმუშავებელმა მსხვილმა ქარხნებმა განაცხადეს, რომ 1928 წ. 1 იანვრიდან შესწყვეტენ წარმოებას. წარმოების შეჩერებას იმით ასაბუთებენ, რომ პროფკავშირების გადაჭარბებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება მრეწველობის ამ დარგებში შეუძლებლად გახდის რკინის ხელსაწყოების დამუშავებას. იუწყებიან, რომ თუჯისა და ფოლადის ჩამომსხმელმა მსხვილმა კონცერნებმა თავიანთი ლითონის მადანის უცხოელ მიმწოდებლებს წინადადება მისცეს შეაჩერონ მადნის გამოგზავნა დეკემბრის განმავლობაში, ხოლო 1 იანვრიდან სრულიად შესწყვიტონ“.

სპარსეთის პრესა

ოქტომბრის ათი წლის თავის გამო

თეირანი, 5 დეკემბერი. გაზეთი „ტუფანი“ განაგრძობს აღფრთოვანებულ წერილების მოთავსებას ოქტომბრის ზეიმის შესახებ მოსკოვში და აქვეყნებს ამხ. სტალინის, ბუხარინის და კლარა ცეტკინის წერილებს. (ადს).

რემედასის ინგლისურ სექციის დემონსტრაცია

ლონდონი, 5 დეკემბერი, რემედასის ინგლისური სექციის მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. თავმჯდომარეობდა **ლოუტერი**—ოქტომბრის ზეიმზე დამსწრე ინგლისის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე. ორატორთა შორის გამოვიდნენ კუკი და ინგლისის მუშათა დელეგაციის წევრები, რომლებიც მოითხოვდნენ იმ მუშების განთავისუფლებას, რომლებიც კიდევ იტანჯებიან ციხეებში საყოველთაო გაფიცვაში მონაწილეობის გამო. (ადს).

კომუნისტების დევნა

პარიზი, 6 დეკემბერი. „იუმანიტე“-ს რედაქტორებს თორიეს, ფერას, გეის მისაჯეს ორი წლის ციხე თვითეულს და 1.000 ფრანკი ჯარიმა. მარტის, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ მიმართულ წერილისათვის, მიესაჯა ორი თვის ციხე და 100 ფრანკი ჯარიმა. (ადს)

კასპიის ზღვის ყინულებში

ასტრახანი, 5 დეკემბერი. ყინულებში ჩარჩენილთა გადარჩენას ყინვა აძნელებს.

ზელენგის რაიონიდან იტყობინებიან, რომ დღევანდლამდე არ გამოცხადებულა 1.000-და მეთევზე. კრასნოიარსკის რაიონის 10 სოფლიდან უკვალოდ დაიკარგა 41 ნავი 112 მეთევზით. ჯერ-ჯერობით დაბრუნდა მხოლოდ 10 კაცი. „ბრიანსკის კონცხზე“ ზღვამ ნაპირზე გამორიყა „სახთევზტრესტის“ სამი მოტორიანი ნავი. „სუეტკინის კონცხზე“ ზღვამ ნაპირზე გამორიყა ხომალდი 5.000 ფუთი ტვირთით. ქალაქში კვლავ ფეხით მოდიან გადარჩენილი მეთევზეთა ჯგუფები. მოელიან მთავრობისაგან გამოგზავნილ აეროპლანებს.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ამხ. კუიბიშევის და ტომსკის ხელმოწერით გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა ყველა სამეურნეო და პროფ. ორგანიზაციებისადმი.

„საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო,—ნათქვამია მიმართვაში,—კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა ვადაზე დადებისათვის და ზედმეტი დავისა თუ კონფლიქტების თავიდან აცილებისათვის საჭიროდ სთვლიან მიუთითონ შემდეგზე: კოლქტ. ხელშეკრულებათა ხელახლა დადება უნდა ხდებოდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივების ფარგლებში, ადგილობრივმა ორგანოებმა არ უნდა გამოსცენ არავითარი სხვა დამატებითი დირექტივები, რომლებიც ეწინააღმდეგება ან ამახინჯებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს საერთო დირექტივების შინაარსსა და აზრს.

შეთანხმება მომატებათა 80 მილიონიან ფონდის განაწილების შესახებ, რომელიც მიღწეულია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს შორის, აგრეთვე სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარ სამმართველოებსა და სათანადო კავშირების ც. კ. შორის, აუცილებლად უნდა შესრულდეს ადგილებზე, გადახვევა არ უნდა მოხდეს არც შემცირებისა და არც გადიდების მხრივ; უნდა შესრულდეს აგრეთვე ხელფასის გადიდება, თუ შრომის ნაყოფიერება გაიზრდება იმ რაოდენობით, რომელიც ნავარაუდევია სამრეწველო საფინანსო გეგმების მიხედვით. ეს შემატება შეეხება საბჭოთა კავშირის მთელ მრეწველობას, რომელიც საკავშ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს გეგმის მიხედვით მუშაობს. ამ მრეწველობას არ უნდა მოეთხოვოს ხელფასის გადიდება, რამდენადაც ეს გათვალისწინებული არ არის მრეწველობის ამა თუ იმ დარგის სამრეწველო-საფინანსო გეგმით“. (ადს).

შრომის ჰიგიენის ინსტიტუტი

ლენინგრადი, 6 დეკემბერი. მოხდა შრომის ჰიგიენის და უშიშროების ტეხნიკის ინსტიტუტის საზეიმო გახსნა. ინსტიტუტის ამოცანას შეადგენს მუშების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე შრომის პროცესების გავლენის შესწავლა. ლენინგრადის დიდ საწარმოო დაწესებულებებში ინსტიტუტი უკვე შეუდგა შრომის პირობების შესწავლას ზოგიერთ ცეხებში (ადს).

ყირიმის სეისმური

სადგური

სევასტოპოლი, 6 დეკემბერი. ყირიმის სამხრეთი სანაპიროები მალე სეისმური სადგურებით მოიფინება. სევასტოპოლში [illegible] შენდება უახლოესი, მეტად მგრძნობიარე აპარატებით მოწყობილი მძლავრი სადგური. (ადს).

ირაკლი წერეთელი „გასტროლზე“ სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 5 დეკემბერი. 5 დეკემბერს სოციალ-დემოკრატებმა მოაწყვეს წერეთლის „საგასტროლო“ გამოსვლა. მიუხედავათ გაძლიერებული აგიტაციისა, სტოკჰოლმის ფილარმონიის დარბაზში, სადაც გამოდიოდა წერეთელი შეიკრიბენ მხოლოდ შვეციის სოციალ-დემოკრატიის მოღვაწენი და ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

წერეთლის გამოსვლა მიმართული იყო საბჭოთა კავშირის და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

წერეთელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბოლშევიკების პოლიტიკა ხელს უწყობს კულაკებს ღარიბ გლეხთა ხარჯზე“ და რომ ბოლშევიკებმა „კაპიტალიზმის მოსპობის მაგიერ, შექმნეს კაპიტალიზმის უფრო პრიმიტიული, უფრო სასტიკი ფორმა, რომელიც რუსეთის მუშების უმოწყალო ექსპლოატაციას ეწევა“.

„ამის შესახებ,—სთქვა წერეთელმა,—ლაპარაკობთ არა მარტო ჩვენ, ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი, არამედ თვით ყველაზე უფრო ცნობილი ბოლშევიკური ბელადები—ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვ.“.

თავისი გამოსვლის ნაწილი წერეთელმა უძღვნა „ბოლშევიკების ძალადობას საქართველოზე“ და მოუწოდა სოციალ-დემოკრატებს შემოკრბენ [illegible] სოციალისტური ინტერვენციის ლოზუნგის გარშემო“.

ფილარმონიის შენობის შესასვლელთან კომუნისტები ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებიც ამხილებდნენ წერეთელს, როგორც სოციალ-შოვინისტს და როგორც კერენსკის მთავრობის ერთ-ერთ მინისტრს, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ლენინგრადის მუშების დახვრეტისათვის 1917 წ. ივლისში. (ადს).

ი. წერეთელი „ოპოზიციონერი“

ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობის მხილების დროს პარტიას თავის ავტორიტეტული კონფერენციების და ყრილობების სახით არა ერთხელ განუცხადებია, თუ როგორ გადაგვარდა ოპოზიცია იდეურათ და მოექცა ის ტროცკისტულ - მენშევიკურ ჭაობში. ტროცკის ტიპის „ასპროცენტიანი“ ლენინელები ვერ ინელებდენ, როცა პარტია ამ მწარე სინამდვილეს მათ თვალეში ახლიდა. პარტიის ამ მამხილებელ მუშაობაზე, ოპოზიცია ახალ დემაგოგიურ „მემარცხენე“ ლოზუნგებით უპასუხებდა. მაგრამ საქმე ხომ მარტო ლოზუნგებში არაა. სინამდვილე, მიუხედავად ოპოზიციის ყოველგვარ ცდისა, ჩვეულებრივად დაუნდობელი აღმოჩნდა. ჩვენ ყოველდღიურათ ვღებულობდით ოპოზიციის მენშევიკური ბუნების დამადასტურებელ ახალსა და ახალ ფაქტებს.

პროლეტარიატს ზოგჯერ დიდი სამსახურს უწევენ ის მრავალი ჯურის მტრები, რომელნიც მას გარს ახვევიან ისინი თავიანთ დაუფარავი სიხარულით მუშათა კლასის ამა თუ იმ მარცხის გამო, უადვილებენ მას სწორი გზის გაგნებას. ასე მოხდა ოპოზიციის უკანასკნელ გამოსვლების დროსაც. ის ფაქტი, რომ ემიგრანტული ჭაობის ყველა ბაყაყები ერთხმად აყაყანდენ და ამ ჭაობის წერილუკებმა ხოტბა-დიდება შეასხეს საკავშირო კომუნისტური პარტიის ოპოზიციას, მეტყველურად მოწმობს იმის შესახებ, თუ ვის საქმეს აკეთებს ტროცკიზმის დროშის ქვეშ დარაზმული ელემენტები.

ოპოზიცია მიუხედავად თავისი მყვირალა „მემარცხენე“ ფრაზებისა, რეაქციას ემსახურება. ამიტომაა, რომ, როცა კითხულობ ანტი-ბოლშევიკურ ლიტერატურას, ასე ძნელია იმის გამოცნობა, პირწავარდნილ შავრაზმელის, მის მსახურ მენშევიკების, თუ ტროცკისტულ ოპოზიციის კალამს ეკუთვნის ის. ჩვენ მოვიყვანთ აქ რამოდენიმე ციტატას

„ბოლშევიკების პოლიტიკა ხელს უწყობს კულაკობის ზრდას ღარიბ გლეხკაცობის ხარჯზე“.. ბოლშევიკებმა „კაპიტალიზმის მოსპობის ნაცვლად შექმნეს იმავე კაპიტალიზმის უფრო პრიმიტიული და უფრო მკაცრი ფორმა რომელიც წარმოადგენს რუსეთის მუშების სასტიკ ექსპლოატაციას“. აი, ციტატები, რომელსაც მკითხველი გაეცნობა ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში სტოკჰოლმიდან გადმოცემულ დეპეშაში. ამ სიტყვების ავტორია ცნობილი სოციალ-გაიძვერა, ქართულ მენშევიკების „ოქროპირი“ ი. წერეთელი. მსგავსება, როგორც ხედავთ, იმდენათ დიდია, რომ ძნელი გამოსაცნობია ვინ ვის მოჰპარა ეს ჩვეულებრივი, ასჯერ გადაღეჭილი და გაცვეთილი ინსინუაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ: წერეთელმა ტროცკისტებს, თუ ტროცკისტებმა წერეთელს.

ჩვენ ვფიქრობთ, არც ერთმა და არც მეორემ. სრულიად გასაგებია, რომ ერთი და იმავე მისწრაფების ხალხს, ერთი და იგივე აზრები იბადება. ეს ბუნების ჩვეულებრივი კანონია, რომლის მსხვერპლიც გახდა ტროცკიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებული ზინოვიევ - კამენევ-პრეობრაჟენსკის და სხვათა ჯგუფები საბჭოთა კავშირში, ხოლო რუტ-ფიშერ-კაც-სუვარინები საზღვარგარეთ.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მოულოცოთ ოპოზიციას, რომელიც ჯერ კიდევ ამოფარებია ლენინიზმის სახელს ახალ თანამგზავრების პოვნა ისტორიის სანაგვეში გადაყრილ ქართველ მენშევიკების სახით. კომუნისტური პარტია კი, უხედავად ოპოზიციის ისტერიული კივილისა, ჩვენი გადაგვარების შესახებ, ტკიცე ნაბიჯით წავა წინ მისი უკვდავი ბელადის ლენინის მიერ დასახულ ბოლშევიკური გზით.

X.

ფიოდორ სოლოგუბის გარდაცვალება

ლენინგრადი, 6 დეკემბერი. დეკემბრის 5-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის და დიდი ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი ფეოდორ სოლოგუბი.

ფეოდორ სოლოგუბი

ფ. სოლოგუბი (ნამდვილი გვარი—ტეტერნიკოვი, დაიბადა 1863 წელს) იყო რუსული სიმბოლიზმის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, რუსულ ლიტერატურაში ის ცნობილი, როგორც ბელეტრისტი—მრავალ მოთხრობებისა და რომანების ავტორი („ნავი ჩარი“, „პატარა ეშმაკი“, „მძიმე სიზმრები“, „სიკვდილის ისარი“, „ცეცხლოვანი წრე“, „გველების შელოცველი“ და სხვა). და როგორც პოეტი ლირიკოსი მისი რომანების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მათში მეტის ხტად გაპრანჭული რიტორიული სტილით მოთხრობილია ჩვეულებრივი, დაუჯერებელი მელოდრამატიული ამბები. სოლოგუბის მიერ შექმნილი სიმბოლოები სავსებით განყენებულნი და სინამდვილის მოწყვეტილნი არიან. ისინი უფრო მკრთალ სქემებს წარმოადგენენ, რომელნიც უძლურნი არიან მკითხველში გამოიწვიონ ცოცხალი სახეები მისი ტიპები უსიცოცხლო ლანდებია, რომელნიც რეალურ ყოფას გადაღმა მოძრაობენ.

სოლოგუბის შემოქმედების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს მისი რომანი, „პატარა ეშმაკი“, სადაც მან შესძლო ერთადერთი ხორცსხმული სიმბოლოს შექმნა რომანის მთავარი გმირის პერედონოვის სახით. პერედონოვი წარმოადგენს დევნის მანიით შეპყრობილ პატალოგიურ ტიპს, რომელიც წარმოშვა და აღზარდა რევოლუციის წინ რუსეთში არსებულმა „ობივატელშჩინამ“ და მომაბეზრებელმა მეშჩანურმა წვრილმანობამ დანარჩენ რომანებში ეხვდებით „ტლანქი და ლატაკი“ ყოფა-ცხოვრების დეტალებს, მაგრამ ეს დეტალები გარეგნული აქსესუარი და დეკორატიული ფონია ცხოვრებისაგან დაშორებულ მკვდარ მარიონეტების კომედიის გასათამაშებლად.

სოლოგუბის მხატვრული შემოქმედება საზოგადოებრივ რეაქციის ნაყოფია, სადაც უკანასკნელი ადგილი უჭირავს უხეშ ეროტიკას. თუ მას მივუმატებთ მისი რომანების დამახასიათებელ მისტიკას, ყოველგვარ „ლიტურგიებსა“ და „მისტერიებს“, მივიღებთ სოლოგუბის მოსაწყენ უსიცოცხლო რომანტიკას.

სოლოგუბის ლირიკა გაცილებით უფრო მაღლა სდგას მის მხატვრულ პროზაზე. მისი ნიჭი ლირიკაში იძლევა უაღრესად დახვეწილ სუბიექტურ განწყობილებებს, რომელიც ამჟღავნებს გარდამავალი ეპოქის მოქანცულ ადამიანის ფსიქიკას. მის ლირიკულ ლექსებში ყველაზე აშკარად და სრულყოფით არის მოცემული მისი შემოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძველი და იმ თაობის ადამიანების დახასიათება, რომელსაც მწერალი ეკუთვნოდა. ერთ-ერთ ლექსში პოეტი თავისთავზე და თავის თანამოკალმეებზე ამბობს შემდეგს:

„ჩვენ ვართ გულგრილნი არას მდომელნი.
სიცოცხლეს, სიკვდილს ვხვდებით ერთგვარად,
უკეთეს მერმისს აღარ მოველით“.

ამ სიტყვებით პოეტმა გამოხატა თავისი კლასის განწირული სულისკვეთება და თავის შემოქმედებასაც გაცილებით უფრო ადრე დაუსვა წერტილი, ვიდრე იგი ხორციელად მოკვდებოდა.

ლი

უცხოელ დელეგატების გამგზავრება

გუშინ თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრენ გერმანიის მუშათა დელეგაციის წევრი, მწერალი და ჟურნალისტი ა. **ვერნერი** და ლატვიის მუშათა დელეგაციის წევრი, პოეტი და ჟურნალისტი მ. პიენზონი.

აღნიშნული პირები საბჭოთა კავშირში ჩამოყვნენ ოქტ. ზეიმის დღესასწაულზე დასასწრებად ჩამოსულ გერმანიის და ლატვიის მუშათა დელეგაციებს.

დელეგაციების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ა. ვერნერმა და მ. პიენზონმა განიზრახეს საბჭოთა რესპუბლიკებში მოგზაურობა საბჭოთა აღმშენებლობის და მუშების ცხოვრების გასაცნობად.

თბილისში მათ დაათვალიერეს მთელი რიგი წარმოება დაწესებულებები, სადაც ეცნობოდნენ წარმოების პროცესებს და მუშების შრომის პირობებს.

გამგზავრების წინ ა. ვერნერმა და მ. პიენზონმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარეს საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები:

— საქართველოს შესახებ ჩვენ ბევრი გვსმენია საზღვარგარეთ. იქაური ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა ათასგვარ სიყალბეს და ცილისწამებას ავრცელებს თქვენი ქვეყნის შესახებ. ჩვენ გადავწყვიტეთ ჩამოვსულიყავით აქ და საკუთარი თვალით გვენახა ყველაფერი.

ის, რისი დათვალიერებაც ჩვენ მოვასწარით სამი დღის განმავლობაში, ამტკიცებს, რომ საქართველოს მუშათა კლასი უდიდეს შემოქმედებით მუშაობაშია ჩაბმული. ამისი საუცხოვო ილუსტრაციაა ზაჰესი, რომელიც საძირკველს ჩაუყრის თქვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

წარმოებების დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ მრეწველობა სწრაფად იზრდება, ჩქარი ტემპით ვითარდება ახალი აღმშენებლობა. იზრდება შრომის ნაყოფიერება, ყველაფერი ეს კი დამამტკიცებელია იმის, რომ მუშების კეთილდღეობას მტკიცე საფუძველი ეყრება.

თქვენ დიდი მიღწევები გაქვთ კულტურის ფრონტზეც, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და ახალი სკოლების და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების გახსნა უდიდესი ნაბიჯია წინ. ამ მხრივ საქართველოში ფართო მუშაობაა გაჩაღებული.

ამიერ-კავკ. საგადასახადო მუშაკთა მე-3 თათბირი

პირველი სხდომა

5 დეკემბერს დილით ამიერ-კავკ. ფინსახკომში გაიხსნა ამიერ-კავკ. საგადასახადო მუშაკთა მესამე თათბირი.

თათბირი გახსნა ამიერ-კავკ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს უფროსმა ამხ. **დავიდოვმა**. პრეზიდიუმში არჩეული არიან ამიერ-კავკ. უძველესი საგადასახადო მუშაკი, აზერბეიჯანის ფინსახკომის კოლეგიის წევრი ამხ. ზირე და ა.-კ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს კონსულტანტი ამხ. **ბურიშონოვი**.

ამიერ-კავკ. ფინსახკომის სახელით თათბირს მიესალმა ამიერ-კავკ. ფინანსთა კომისარი ამხ. **გუსეინოვი**, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა:

— ამჟამად საგადასახადო მუშაკების წინაშე სდგას მნიშვნელოვანი ამოცანა—სახელმწიფოს კლასიური პოლიტიკის გაიორციელება. კლასიური პოლიტიკის ამოცანას კი შეადგენს ბრძოლა სოციალიზმის საწინააღმდეგო ელემენტებთან ჩვენს მეურნეობაში.

შემდეგ ამხ. გუსეინოვი თათბირის ყურადღებას მიაქცევს იმ დეფექტებზე საგადასახადო საქმეში, რომელთა აღმოსაფხვრელადაც თათბირმა უნდა გამონახოს სათანადო ზომები.

პირველი ჩვენი ამოცანაა—ამბობს ამხ. გუსეინოვი—გავამარტივოთ და გავაუმჯობესოთ საგადასახადო აპარატი, რომელიც მთლიანად უნდა დაუმორჩილოთ რესპუბლიკანურ ფინსახკომებს.

მეორე ამოცანაა—ბრძოლა ცალკე საგადასახადო მუშაკების ბოროტმოქმედებებთან, რომლებსაც აქა-იქ აქვს ადგილი. ამ ამოცანების შესრულება შეიძლება შეკავშირებული მუშაობით, რომელსაც ყოველის მხრივ ხელი უნდა შევუწყოთ.

ამხ. გუსეინოვის შემდეგ თათბირს მიესალმენ საქართველოს ფინსახკომის სახელით ამხ. [illegible] აზერბეიჯანის ფინსახკომის სახელით ამხ. [illegible] და სომხეთის ფინსახკომის სახელით ამხ. [illegible]. თათბირმა მისასალმებელი დეპეშა მიიღო აგრეთვე რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისარ ამხ. **მილიუტინისაგან**.

მეორე სხდომა

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამიერ-კავკასიის ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს უფროსის ამხ. **დავიდოვის** ვრცელი მოხსენება: „საგადასახადო კამპანიების გატარების შედეგები ამიერ-კავკასიაში 1926—27 წ. და პერსპექტივები 1927—28 წელში“. ამას გარდა იმავე სხდომაზე მოსმენილი იქნა აზერბეიჯანის ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს უფროსის ამხ. **სადიხოვის** მოხსენება საგადასახადო კამპანიების გატარების შესახებ აზერბეიჯანში.

ამხ. დავიდოვმა თავის მოხსენებაში დაწვრილებით გააშუქა მთელი საგადასახადო მუშაობა ამიერ-კავკასიაში, მისი მიღწევები და ნაკლულოვანებანი.

ამხ. დავიდოვმა თავის მოხსენებაში ჩამოთვალა ის ღონისძიებებიც, რომელთა გატარებასაც საჭიროთ სთვლის ამიერ-კავკ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველო საგადასახადო მუშაობის ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

თანამომხსენებელი ამხ. სადიხოვი შეეხო საგადასახადო მუშაობას აზერბეიჯანში.

კამათი აღნიშნულ მოხსენების გარშემო გადატანილია შემდეგ სხდომაზე.

ამიერ-კავკასიის კულტთათბირი

პირველი სხდომა

გუშინ დილით ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა კულტთათბირი, რომელსაც ესწრებიან საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის პროფსაბჭოების და ა. კ. რკინის გზელთა პროფკავშირის კულტ-განყოფილებათა გამგეები.

პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები კულტმუშაობის შესახებ ეროვნულ უმცირესობათა შორის. საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილების გამგემ ამხ. ალ. ფირალიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქართველოში საერთო მუშათა კლუბების გარდა არის კლუბები სპეციალურად ეროვნულ უმცირესობისათვის; ავტონომიურ რესპუბლიკებში ეროვნული უმცირესობანი ჩაბმული არიან საერთო საკავშირო კულტურულ მუშაობაში.

ეროვნულ უმცირესობათა მიერ გამოყოფილ მუშაკებს დათმობილი აქვთ ადგილები კლუბების გამგეობებში. სუსტადაა დაყენებული წიგნების გამოცემა ეროვნულ ენებზე.

აზერბეიჯანის კულტგანყოფილების წარმომადგენელმა ამხ. შახბახოვმა წამოაყენა საკითხი პროფსაბჭოების საგამომცემლო განყოფილებების გაუქმების შესახებ, რადგან წიგნების გამოცემაზე დიდი თანხა იხარჯება კულტფონდიდან მაშინ როდესაც ამ წიგნების გამოცემა შეუძლია სახელმწიფო გამომცემლობას.

სომხეთის წარმომადგენელმა ამხ. პეტროსიანმა აღნიშნა, რომ სომხეთის სახელგამს შვიდი წლის განმავლობაში არც ერთი წიგნი არ გამოუცია პროფმოძრაობის ისტორიიდან; ასეთ პირობებში აუცილებელია საგამომცემლო განყოფილების დატოვება პროფსაბჭოსთან.

დასასრულ, მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის კულტგანყოფილების წარმომადგენლის ამხ. აბდულაევის მოხსენება კულტმუშაობის შესახებ რკინის გზელთა შორის, რის შემდეგაც დაიწყო კამათი.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდენ ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავეების ნაკლებობას და საჭიროთ სთვლიდენ კურსების გახსნას ა. კ. პროფსაბჭოსთან ასეთ მუშაკების მოსამზადებლად.

მეორე სხდომა

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა მომხსენებლების საბოლოო სიტყვები.

ამხ. ფირალიშვილი საჭიროთ სთვლის დატოვებული იქნეს პროფსაბჭოებთან საგამომცემლო განყოფილებები და გაძლიერებული იქნეს წიგნების გამოცემა ეროვნული უმცირესობათა ენებზე. აუცილებელია კულტმუშაობის გაძლიერება ეროვნულ უმცირესობათა შორის, რისთვისაც ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო მუშაკების მომზადებას.

სომხეთის წარმომადგენელიც საჭიროთ სთვლის საგამომცემლო განყოფილების შენარჩუნებას: ამასთანავე მას საჭიროთ მიაჩნია რესპუბლიკანური პროფსაბჭოების მიერ გამოცემულ წიგნების გავრცელება დაევალოს „ზაკკნიგას“, რომელსაც სათანადო კონტროლი უნდა გაეწიოს ამ დარგში.

დასასრულ, მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგის ამხ. პოდოლსკის მოხსენება პროფგანათლების შესახებ.

თათბირი ხე-ტყის ექსპორტის შესახებ

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ს. მ. უ. ს. საწარმოო - საგეგმო განყოფილებასთან შესდგა საგანგებო თათბირი საქართველოს უცხოეთში ხე-ტყის მასალის გატანის საკითხის შესასწავლად. თათბირს დაესწრნენ საექსპორტო ორგანიზაციების, ტყის მრეწველობის ტრესტის და სხვა დაინტერესებულ ორგანოთა წარმომადგენლები.

თათბირზე გაეცნენ უცხოეთის ქვეყნების ტყის მასალის ბაზრების მდგომარეობას. გამოირკვა, რომ უცხოეთის ბაზარზე ძვირფასი ხე-ტყის მასალები შემოაქვთ უმთავრესად ამერიკიდან და სხვა შორეულ ქვეყნებიდან. ეს ხე-ტყე თავისი ხარისხით ხშირად ჩამორჩება საქართველოში არსებულ ხე-ტყის მასალებს. მიუხედავად ამისა ბაზარზე ამ მასალებს (ევროპის ქვეყნებში მაგალითად) მაინც დიდი ფასი აქვს. ამჟამად დასმულია საკითხი, რომ საქართველოდან გაძლიერებული იქნეს ძვირფასი ხე-ტყის მასალების ექსპორტი. ერთის მხრივ ამ მასალაზე ჩვენში არაა ძალიან დიდი მოთხოვნილება და მეორეს მხრივ ამით შესამჩნევად იქნება გაფართოებული ჩვენი საექსპორტო შესაძლებლობანი.

აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგური

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა შემსწავლელ-შემმოწმებელმა სპეციალურმა კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. აღნიშნული კომისია, რომელშიაც შედიოდნენ სპეციალისტი-ელექტროტეხნიკოსები, საგვირაბო საქმეთა მცოდნენი, გეოლოგები, და ჰიდრო-ტეხნიკოსები გაგზავნილი იყო სადგურის სამშენებლო სამუშაოთა დასათვალიერებლად.

სპეციალურმა კომისიამ სამუშაოთა დათვალიერებას მოახმარა 4 დღე და შეკრიბა ყველა საჭირო მასალები, ხოლო შემდეგ ეს მასალები დამუშავებული იქნა თბილისში. კომისიამ შეიმუშავა ტეხნიკური ხასიათის მითითებანი, რა სახელმძღვანელოთ გაეგზავნება აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველოს.

X.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ეპიდემიის მოძრაობა

უკანასკნელი დღეების განმავლობაში, ეპიდემიასთან მებრძოლი საგანგებო სამეულის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელათ ეპიდემიამ ქალაქის ფარგლებში საგრძნობლად იკლო. მარტო 3 დეკემბრის განმავლობაში ქალაქში ადგილი ჰქონდა ქუნთრუშით დაავადების 6 შემთხვევას და დიფტერიტით—1 შემთხვევა. 4 დეკემბერს კი ავათ გახდა ქუნთრუშით—2 და დიფტერიტით—1 ბავშვი.

ეპიდემია არ ვრცელდება პროვინციაში

ჯანსახკომში მიღებული ცნობები, რომ ამჟამად პროვინციაში ეპიდემიის გავრცელების საფრთხე არ არსებობს.

მიუხედავათ იმისა, პროვინციის უმთავრეს ქალაქებში მაინც მიღებულია ზომები ეპიდემიასთან წინასწარ საბრძოლველათ.

ქრონიკა

საზღვარგარეთ გაგზავნილთა შესახებ

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ის მოქალაქენი, რომლებსაც თავიანთ ხარჯზე საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნილი ჰყავთ შვილები, ან ნათესავები, უნდა გატარდენ რეგისტრაციაში განათლების კომისარიატში ერთი კვირის განმავლობაში.

რეგისტრაციისათვის შემოღებულია სპეციალური სარეგისტრაციო ფურცელი, რომლის შიღება შეიძლება იქვე. იმ მოქალაქეთ, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში, აეკრძალებათ ფულის გადაგზავნა საზღვარგარეთ.

7 საათის სამუშაო დღის გასატარებლად

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა კავშირებს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებასთან ერთად მიიღონ ზომები, რათა 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასვლა ჩატარებული იქნეს ფრთხილად, საკითხის წინასწარ შესწავლით ყველა კავშირებში, რომლებსაც ევალებათ დაამუშაონ აღნიშნული საკითხი ერთი თვის განმავლობაში.

შრომის გმირები

შრომის გმირების განცხადებების განსახილველად და სათანადო ორგანოებისათვის წინადადების დასამზადებლად საქართველოს პროფსაბჭოსთან გამოყოფილია მუდმივი კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. ხვედელიძე (თავმჯდომარე). **მაჩაიძე, გოზალოვი, ათოევი, [illegible] და ვაშაკიძე.**

თათბირი ა.-კ. საგეგმო კომისიაში

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაადგინა 1928 წლის იანვრის დასაწყისში ა.-კ. საგეგმო კომისიასთან მოწვეული იქნეს სპეციალური თათბირი, რომელზედაც განხილული უნდა იქნეს სახელმწიფო ფონდის ტყეებიდან მერქნის გაცემის საკითხი.

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებს დაევალა შეადგინონ არა უგვიანეს 1928 წლის 1 აპრილისა პროექტი ინსტრუქციისა, რომელიც უნდა აწესრიგებდეს მერქანის გაცემას.

ექიმთა ყრილობა

მიმდინარე წლის 14 დეკემბრისათვის თბილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს ექიმთა ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: კავშირის ც. გ. ანგარიში, ექიმთა ც. გ. ანგარიში, ექიმთა სექციის რესპუბლიკანურ ბიუროს ანგარიში, კულტმუშაობა ექიმთა შორის, ჯანსახკომატის მოხსენება, მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და რესპუბლიკანურ ბიუროს არჩევნები.

საფთიაქო მუშაკთა ყრილობა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნეს 18 დეკემბერს საფთიაქო მუშაკთა ყრილობა შემდეგი დღის წესრიგით:

კავშირის ც. გ. ანგარიში, საფთიაქო მუშაკთა შორის კულტმუშაობის წარმოების შესახებ, ჯანმრთელობის სახკომატის ფარმაცევტულ განყოფილების ანგარიში, სექციის ბიუროს და სრულიად საკავშირო ყრილობაზე დელეგატების არჩევა.

აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

12 დეკემბრისათვის მოწვეულია ადგილობრივ აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება აღმასკომების ახალი დებულება და მომავალ საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები.

ხის დასამუშავებელი ცენტრალური ქარხანა

ცენტრალური ხის დასამუშავებელი ქარხანა, რომლის საფუძვლიანი გადაკეთება დაიწყო გასულ წელს ბათომში, თანდათან ეწყობა. გეგმის თანახმად ერთ-ერთი მთავარი სამქროთაგანი იქნება კასრების საკეთებელი განყოფილება. ამჟამად სწარმოებს ამ სამქროს მოწყობა ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. ქარხნის გამგეობამ მიიღო უფლება საზღვარგარეთიდან გამოიწეროს საუკეთესო დაზგები. გამოწერილ დაზგების და ამ სამქროს სხვა მოწყობილობის ღირებულება 250 ათასს მანეთს აღწევს. ქარხნის დანარჩენი სამქროები კაი ხანია ამუშავებულნი არიან. ხე-ტყის სახერხი განყოფილება ყოველთვიურად ამზადებს 23-25 ათას კუბიკ. ვერშოკ სამშენებლო მასალას. ეს განყოფილება უმთავრესად ამზადებს ფანერს. შეკეთებით ქარხანა უზრუნველყოფილია ერთი წლის განმავლობაში.

სოფლის და ტყის მეურნეობის სპეციალისტთა ყრილობა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეული იყოს ა. წ. 12 დეკემბერს სოფლის და ტყის მეურნეობის სპეციალისტთა ყრილობა შემდეგი დღის წესრიგით:

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ც. გ. მოხსენება, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ინჟ.-ტეხ. სექციის მოხსენება, ამავე სექციის ანგარიში მისი მუშაობის და მომავალი ამოცანების შესახებ, სპეციალისტების ურთიერთ დამხმარე სალაროს შესახებ, საქ. მიწათმოქმედების სახკომატის მოხსენება და არჩევნები.

თათბირი ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატში

დღეს დილით ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატში შესდგება რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების სატარიფო-საეკონომიო განყოფილებათა გამგეების თათბირი.

თათბირზე განხილული იქნება საკითხი ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების შესახებ.

ახალმფლობელთა ეკონომიური მდგომარეობის გამოკვლევა

თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილება საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან შეთანხმებით შეუდგა ახალ მფლობელთა ეკონომიური მდგომარეობის გამოკვლევას.

გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ უვლიან სახლის პატრონები სახლებს და რამდენს ხარჯავენ ქირიდან შემოსულ თანხებიდან სახლების შესაკეთებლად და სხვ.

სამთო მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში საქართველოს ს.მ.უ.ს. წარმომადგენლის მონაწილეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ამიერ-კავკასიის სამთო მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის შესახებ.

თათბირმა დაადგინა უახლოეს დროში გასატან საქონლის სიაში შეტანილი იქნეს გლაუბერის მარილი, ინფუზორიტი და ლიტოგრაფიული ქვა. საქართველოს ს.მ.უ.ს. ცნობებით, ლიტოგრაფიული ქვის (ალგეთის) დამზადება იმდენად მოუწესრიგებულია, რომ ამჟამად მთელი საბჭოთა კავშირი ამ ქვას ხმარობს. განზრახულია საზღვარგარეთ გაიგზავნოს ლიტოგრაფიული ქვის საცდელი პარტია.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

განათლების კომისარიატთან არსებულ მცირეწლოვან დამნაშავეთა კომისიაში ნოემბრის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 14 ბავშვი, მათ შორის 7 ქალი. 2 ბავშვი გადაგზავნილი იქნა საბავშვო სახლში, 6 ბავშვი დაუბრუნდა მშობლებს და ნათესავებს. დანარჩენი—[illegible] აღრიცხვაზე.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის უფასო ბილეთები.** თბ. აღმასკომმა დაავალა თავის წარმოებებში მომუშავეთ, რომლებიც ორი ვერსით დაშორებულნი არიან წარმოებებს, მისცეს ტრამვაის უფასო ბილეთები.

◆ **ალბულაღის დამწვარ საბავშვო სახლის** აღსადგენად განათლების განყოფილებას გადაეცა 32.000 მანეთი.

◆ **სამხედრო დაწესებულებების შენობების** და სამხედრო პირთა ბინების შესაკეთებლად გადადებულია 15.000 მანეთი.

ჯანსახკომში

◆ **სოცჰიგიენის ინსტიტუტთან გაიხსნა** საჩვენებელი მუზეუმი.

◆ ვენერიულ სნებების წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად ჯანსახკომმა გადაწყვიტა ბათომში მოიწვიოს სრ. საქართველოს ვენეროლოგთა 1-ლი კონფერენცია.

◆ **ახალი სავადმყოფო.** მარტყოფში გაიხსნა ახალი სავადმყოფო.

◆ **სამოსამართლო ექსპერტი ექიმების შტატი** მაზრებში გადიდებული იქნა 10 ექიმით.

სხვადასხვა

◆ **სამკურნალო მცენარეები.** ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა სამკურნალო მცენარეების დამზადებას საზღვარგარეთ გასატანად.

სასამართლო

ვისი ბრალია

ინჟინერი რისი ინჟინერია, თუ მან არ იცის სად რა შეიძლება გაკეთდეს, თუ მან არ იცის როგორ ჩაუყაროს შენობას საძირკველი, თუ მან არ იცის, რომ როცა ქვევიდან გორას თხრას დაუწყებ და განთხარს არ გამაგრებ, ზევიდან გორი მოშვავდება და მოსალოდნელია ხიფათი.

სწორედ ეს უბრალო წინდახედულობა, არ გამოიჩინა ინჟინერმა ივანე პონდოევმა.

თბილისში გუდოვიჩის და ეკუოვის ქუჩების კუთხეში სახელმწიფო ბანკის თანამშრომლებისათვის შენდება სახლი ამ სახლის აგება დაიკისრა ინჟინერმა ივანე პონდოევმა.

საძირკველის ჩასაყრელად საჭირო იყო გორაკის გადათხრა და ნიადაგის გასწორება. ინჟინერმა პონდოევმა მიუსია მუშები გორაკს და დაუწყო თხრა.

მუშებმა თხარეს, თხარეს და ძირი გამოუთხარეს გორაკს.

ინჟინერი დასეირნობს და ათვალიერებს. სამუშაოების ხელმძღვანელად დანიშნული ჰყავს სპეციალური „ზედამხედველი“ სარქის კაზაროვი.

რათ უნდა ფაკულტეტის გათავება იმის ცოდნას, რომ კლდეს, რომ ძირი გამოუთხარო ჩამოინგრევა!

ეს ასეც მოხდა. ა.-წ. 30 ივლისს, როდესაც მუშა **სარქისიანი** [illegible] მუშაობდა მიწა ჩამოინგრა და ქვეშ მოჰყვა უკანასკნელი

სარქისიანი დასახიჩრებულია. მოტეხილი აქვს მარჯვენა მხარი და ფეხი. დაკარგული აქვს შრომის უნარი.

აქ ერთი გარემოებაა კიდევ მხედველობაში მისაღები; ეს უბედური შემთხვევა ინჟ. პონდოევმა და ზედამხედველმა კაზაროვმა „ნამუსად“ შეინახეს.

ინჟ. პონდოევი და ზედამხედველი კაზაროვი პასუხისგებაში არიან მიცემული.

ისინი თავს არ სცნობენ დამნაშავედ.

საქმე გაირჩევა 9 დეკემბერს.

გერ.

ერთი ურემი შეშა და ერთი კაცის სიცოცხლე

ეს ამბავი მოხდა მანგლისის რაიონში ა.-წ. 21 ივლისს.

შემთხვევას წინ უძღოდა დავა ერთი ურემი შეშის გარშემო.

გლეხს იგორ ალექსანდრესძე დანილოვს გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისში წამოეღო გასასყიდად ერთი ურემი შეშა.

ამის ნებართვა მას არ ჰქონდა. ტყის მცველი გლადიშევი აფრთხილებდა მას, რომ უნებართვოთ არ წაეღო შეშა.

დანილოვმა ყურიც არ ათხოვა გაფრთხილებას.

თუ არ მომცემთ ნებართვას, მე უნებართვოთ წავიღებო, — უთხრა დანილოვმა ტყის მცველს.

— ჯერ ერთი, მე ნებართვის გაცემა არ შეკითხება და გარდა ამისა, შენ არ მოგეცემა ნებართვა, როგორც მეორე კატეგორიის გლეხს, — უთხრა ტყის მცველმა გლადიშევმა.

— მე მაინც წავიღებ, — სთქვა დანილოვმა და წავიდა.

ამავე ღამეს 12 საათზე დანილოვმა დატვირთა ურემი შეშით და გამოუდგა თბილისისაკენ.

სოფ. პრიუტს რომ მიუახლოვდა, მას შემოხვდა ტყის მცველი გლადიშევი, რომელმაც წინადადება მისცა უკანვე დაბრუნებულიყო.

მეურმემ უყურადღებოდ დასტოვა ტყის მცველის წინადადება. გადაარტყა ხარებს სახრე და გაუჩქარა ურემს.

ტყის მცველი გადაუდგა ხარებს წინ და გააჩერა ურემი.

ირგვლივ ისეთი სიბნელეა, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანს.

დანილოვმა ჩუმად გადმოიღო ურმიდან ცული, მიეპარა გლადიშევს და ჩაარტყა თავში.

ტყის მცველი მოწყვეტით დაეცა მიწაზე. დანილოვმა წაქცეულს კიდევ რამდენიმეჯერ დაარტყა ცული და მოკლა.

მოკლული დასტოვა გზაზე და თვითონ თავისი ურმით გამოუდგა თბილისისაკენ. ხუთი ვერსის გავლის შემდეგ, მან მოიფიქრა, რომ საჭირო იყო მოკლულის გვამის დამალვა.

მაშინ გადატვირთა ურემი, დაბრუნდა უკან, დასდო მოკლულის გვამი ურემზე და სადღაც მორს გადააგდო.

მკვლელი შეიპყრეს.

საქმე გაირჩა სასამართლოს სესიამ ამხ. ლაზხის თავმჯდომარეობით.

იგორ დანილოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით, როგორც გლეხს. სასჯელი შეუმცირდა 8 წლამდე. მსჯავრდადებულს შეეფარდა უკანასკნელი ამნისტია.

ერთი დაუსრულებელი საჩივრის გამო

იუსტიციის დარგში მომუშავეებს ხშირად საყვედურობენ ბიუროკრატიზმში, საქმის გაჭიანურებაში, ოფიციალობაში და სხვა ამგვარ ცოდვებში. იმას კი უშვებენ მხედველობიდან რომ [illegible] მუშაობა [illegible] [illegible] არ უნდა მოქცეული იყოს ჩვენი კანონი, მისი ოფიციალურ ელემენტებისაგან [illegible] შეუძლებელია, ხოლო ეს უკანასკნელი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მათგან [illegible] ამ შესაძლებლობით, რის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს:

1915 წლის ნოემბერში ჭიათურის რაიონის მცხოვრებმა კონსტანტინე ელენტმა იყიდა ამავე რაიონის მცხ. იაკობ კავთელაძისაგან [illegible] მანქანა. ელენტმა მაშინვე ანგარიში ვერ გაუსწორა გამყიდველს და მათ შორის ატყდა დავა. 1918 წელში მოქ. კავთელაძემ საქმე გაასაჩივრა სასამართლოში, ხოლო 1919 წლის 25 სექტემბერს მხარეები მორიგდენ და დასდვეს ხელწერილი, რომ დავა მანქანის შესახებ მათ შორის ამოწურულია.

მიუხედავად ამისა 1920 წლის იანვარში მილიციამ ადმინისტრატიული წესით ჩამოართვა მანქანა ელენტს და დაუბრუნა მის პირვანდელ პატრონს. „ასეთი უსამართლო მოქმედებაზ“ ელენტმა აცნობა უმაღლეს ხელისუფლებას. რომელმაც წერილობითი წინადადება მისცა თემის მილიციას მანქანა დაებრუნებია ელენტისათვის. თემი არ დაემორჩილა ცენტრს და ელენტი იძულებული შეიქნა აღეძრა საქმე სასამართლოში. რომელმაც იმავე 1920 წ. 4 მარტის გადაწყვეტილებით მანქანა სცნო მოძიებლის საკუთრებად. მოპასუხე კავთელაძე არ დაეთანხმა ასეთ გადაწყვეტილებას და ის გაასაჩივრა მომრიგებელ მოსამართლეების სამაზრო ყრილობაზე. მაგრამ აქ მოუსწრო საქართველოს გასაბჭოებამ და ყრილობას აპელაციის განხილვა აღარ დასცალდა.

ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1922 წლის 6 მარტს მოქ. ელენტს ისევ შეაქვს ძიებითი განცხადება ახლა უკვე ჭიათურის უბნის სახალხო სასამართლოში. იმავე წლის 26 ივნისს საქმე დაინიშნა გასახილველად, მაგრამ მოწმეების გამოუცხადებლობის გამო გადაიდო სხვა დროისათვის, 17 აგვისტოს ისევ გადაიდო. 20 სექტემბერს კიდევ გადაიდო, ხოლო იმავე სექტემბრის 28 დაბოლავდა (?) ელენტის სასარგებლოდ: კავთელაძეს უნდა მიეცა მისთვის სადაო მანქანა ან მისი ღირებულება 6.000.000 მანეთი ბონით. მოქ. კავთელაძე გულს არ იტეხს და გადააქვს კასაციური საჩივარი ოლქის სასამართლოში. რომელმაც 1924 წლის 31 მარტის დადგენილებით დაადასტურა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

გავიდა სამი წელი და მიმდინარე წლის აგვისტოში მოქ. კავთელაძეს შეაქვს ვრცელი განცხადება სრ. საქ. ცაკში. ცაკმა განცხადება გადაუგზავნა რესპუბლიკის პროკურორს, რესპუბლიკის პროკურორმა მაზრის პროკურორს.

ამრიგად, დღიდან ამ დავის წარმოშობისა განვლო თორმეტმა წელმა. დასრულდა იმპერიალისტური ომი, მოხდა ერთი რევოლიუცია, მეორე რევოლიუცია, დასრულდა სამოქალაქო ომი, აშენდა ზაჰესი, დაიწყო რიონჰესი და ამ საქმის დასასრული დღესაც არა სჩანს. ვინ არის ამაში დამნაშავე?

სადაო მანქანა, რომელიც ინახება ჭიათურის უბ. სახ. სასამართლოში, არის დაძველებული, დაჟანგული და არავითარ ღირებულებას აღარ წარმოადგენს და თუ ის კიდევ დავის საგანია, მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი გაიტანოს მოდავე მხარემ.

თ. შავიშვილი.

მუშკორთა საყურადღებოთ

დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბის სალექციო დარბაზში შესდგება პირველი რაიონის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისა და ყველა გაზეთების მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას მოხსენება სარედაქციო კოლეგიების გადარჩევისა და მომავალი ამოცანების შესახებ.

შემთხვევები

მხეცი ქმარი

ამ რამოდენიმე ხნის წინად 45 წლის პეტროს კირაკოსიანცმა (მცხოვრები ვერცხლის ქუჩა № 32) ცოლად შეირთო 22 წლის ქალი ნოემ.

კირაკოსიანცი ყოველდღიურათ ლოთობდა და ოჯახურ მოთხოვნილებას ყურადღებას არ აქცევდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ კირაკოსიანცი სცემდა ქალს და აწიოკებდა მას.

გუშინ დღისით, როცა ნოემ კირაკოსიანცი სადილს ამზადებდა, მასთან მივიდა ქმარი და უბრძანა—გაეწმინდა მისთვის პალტო.

ქალმა უპასუხა, რომ მის დავალებას შეასრულებს სადილის დამზადების შემდეგ.

ეს სიტყვები იწყინა კირაკოსიანცმა, განრისხდა და წამოავლო ხელი სუფრის დანას და სიკვდილით დაემუქრა ცოლს.

შიშისაგან თავზარდაცემული ქალი გავარდა ოთახიდან სამზარეულოში და ემუდარებოდა ქმარს თავი დაენებებია მისთვის.

გამხეცებული კირაკოსიანცი შევარდა სამზარეულოში და ხუთჯერ წიხლი ჩასცა მუცელში რვა თვის ფეხმძიმე ცოლს.

კირაკოსიანცის მოქმედების შედეგათ მოხდა ის, რომ მის ცოლს მოსწყდა მუცელი და იშვა მკვდარი ბავშვი. მიღებული ზომებით ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით პეტროს კირაკოსიანცმა ბავშვის გვამი ჩაფლა ორთაჭალის ბაღში.

გუშინ, საღამოს, სისხლის სამართლის მილიციამ კირაკოსიანცი დააპატიმრა

ბავშვის გვამი ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის.

გამოძიება გრძელდება.

ვერ მოასწრო

ქვემო-ერწოს თემში, სოფ. ქვემო-ნოქალაქევში მცხოვრებმა ელენე პეტრეს ასულმა ურთმელაშვილმა შინაური წამლების საშუალებით განიზრახა მუცლის მოშლა, მაგრამ დროზე მიუსწრეს და განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ამის შემდეგ მან თოკი ჩამოაბა ხეზე და უნდოდა თავი ჩამოეხრჩო, მაგრამ გადაარჩინეს.

ქურდი მილიციელი

გუშინწინ საღამოს, მე-9-ე სამილიციო რაიონის უნცროსმა მილიციელმა თომა ლაზარის ძე კაპკაჭაშვილმა მის გვერდში მძინარე მე-7-ე სამილიციო რაიონის უნცროს მილიციელ ალექსანდრე სალარაძეს მოჰპარა 34 მანეთი.

— **ტანსაცმელის მოპარვა.** 5 დეკემბერს, ყოფ. ფეოდოსიევის ქ. № 4 ვერა გრიბნევას ბინიდან მოიპარეს 195 მანეთის ტანთსაცმელი.

— **კარების შემტვრევის** საშუალებით გაქურდეს მიხეილ ტვერსკის ეკლესია. წაიღეს ვერცხლის ხატები 930 მანეთად ღირებული.

— **მუშაკის** საერთო საცხოვრებელ ბინიდან მოწაფე ზაქ. ზუბიევს მოჰპარეს 50 მანეთის ტანთსაცმელი.

— **ფანჯრის გატეხის** საშუალებით გაქურდეს მარიამ ჭეშმარიტოვის ბინა (თელეთის ქ. № 5). წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— **ეკლესიის გაქურდვა.** 5 დეკემბერს, გაქურდეს ფერისცვალების ქუჩაზე მდებარე ეკლესია. წაიღეს ხალიჩები.

— **ქურდობა.** გუშინწინ გაქურდეს რ. ფარსადანოვის ბინა (კონსტანტინოვის ქ. № 17). მოიპარეს 120 მანეთის ნივთები.

— **უმუშევართა სასადილოდან** (მადათოვის კუნძული № 3) მოიპარეს 24 მანეთი ფულად.

— **ბოქლომის გატეხის** საშუალებით გაქურდეს მიხ. მიქელიანცის ბინა (კლარა ცეტკინის ქუჩა № 65). წაიღეს 40 მანეთის ნივთები.

— **გუშინ** პისარევის ქ. № 7 ილია გრძელიშვილის ბინიდან მოიპარეს 50 მანეთის საოჯახო ნივთები.

— **მუშკოოპში** მოქ. გოგობერიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 230 მანეთი.

— **ჯიბგირი.** მილიციამ დააპატიმრა ახმედ ახმანისძე ახმედოვი, რომელსაც ბრალდება ჯიბგირობა.

— **გუშინწინ** გაქურდეს აბესალომ ფურცელაძის ბინა.

(ბრიგადირის ქუჩა ნომერი 6) მოიპარეს 150 მანეთის ნივთები.

— **დარაბას გაქურდვა.** გუშინ გაქურდეს ნატალია მარგველაშვილის დარაბა.

— **დაპატიმრებულია** ჯიბგირი დავით თეიმურაზის ძე ბარასტოვი.

— **მცირეწლოვანი ქურდი.** გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მცირეწლოვანი ქურდი ივანე ალექსანდრესძე რაგოზინი.

— **ერთი წყვილი ტუფლის** მოპარვისათვის დააპატიმრეს ცოლაკ ნალაკის ძე ნახრატოვი.

— **ქურდის შეპყრობა.** გუშინწინ ქურდობისათვის დააპატიმრეს ივანე ვასილისძე პუშკინი.

— **ქურდი ქალი.** 5 დეკემბერს, დააპატიმრეს ფეოდოსია დავითის ასული ფრიჩე, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

— **სისტემატიური ქურდობისათვის** დააპატიმრეს ეკატერინე ივანეს ასული რასშუკინა.

◆ **ხანძარი.** კვირას, 4 დეკემბერს, მოქ. ხუციშვილის სახლს (განჩარნის ქუჩა № 60) გაუჩნდა ხანძარი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

◆ **ტანთსაცმელის მოპარვა.** 4 დეკემბერს, რიყის ქ. № 55, ანა გალიცინის ბინიდან მოიპარეს 40 მანეთის ტანთსაცმელი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით, გაქურდეს ნიკ. ცქიფურიშვილის საპარიკმახერო (ეორეისის ქ. № 10), მოიპარეს 200 მანეთის ხელსაწყოები.

◆ **დაპატიმრებულია** კოსტა ესესძე არაბული, რომელსაც ბრალდება ჯიბგირობა.

ბრძოლა მათხოვრობასთან

გუშინ განახლდა უპატრონო ბავშვების თავმოყრა და მათი დაბინავება საბავშვო ბაღებში და კოლექტივებში.

„ბავშვთა მეგობრების საზოგადოების“ ცნობით, უკანასკნელი კვირის განმავლობაში უპატრონო ბავშვების მათხოვრობასთან მებრძოლმა კომისიამ დააპატიმრა 17 მათხოვარი ბავშვი. დაპატიმრებული ბავშვების მშობლები დაუყოვნებლივ დაიბარეს სათანადო კომისარიატებში და ჩამოართვეს მათ ხელწერილები, რომ შემდეგში აღარ გაუშვებენ ბავშვებს ქალაქში სამათხოვროდ.

17 ბავშვიდან სრულიად უპატრონო აღმოჩნდა 4 ბავშვი, რომლებიც გაიგზავნენ ალბულაღის საბავშვო ახალშენში.

ფაკირების და გიპნოტიზიორების „საიდუმლოებანი“

ხალხის ფართო მასებში, ყოველთვის დიდ ინტერესს და განცვიფრებას იწვევენ სხვადასხვა ფაკირები, გიპნოტიზიორები. სხვისი აზრების „მკითხავები“ და სხ. ასეთ ადამიანებს ბევრი თვლის „ზეკაცებათ“, „ჯადოქრებათ“, აწერენ მათ არაბუნებრივ ძალასა და თვისებებს.

რეფლექსოლოგიისა და ჰიპნოტიზმის მეცნიერულ საფუძვლებთან გაუცნობელ ადამიანში არ შეიძლება განცვიფრება არ გამოიწვიოს ასეთმა ნომრებმა სხვადასხვა გიპნოტიზიორთა და ფაკირების პროგრამიდან, როგორიც არის ტანში ასეული ნემსის ჩხვლეტა ისე, რომ სისხლი არ წამოვიდეს, უშიშრად შესვლა კალიაში, რომელშიაც ზის ლომი, ცოცხლად დამარხვა და სხვ.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა ამ ცდებში არაფერი „ჯადოსნური“ არ არის. ყველაფერს მეცნიერული საფუძველი და განმარტება აქვს. ჩვენ გვინდა მკითხველებს გავაცნოთ ერთი ასეთი „ჯადოქარი“, რომელიც წინააღმდეგ სხვადასხვა შარლატნებისა, თავის ცდებს არავითარ „ზებუნებრივ“ ძალას არ აწერს, არამედ მეცნიერულად ასაბუთებს.

ეს არის ექიმი **ტარა-ბეი,** რომლის შესახებაც გვიამბობს მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნი უნივერსიტეტის მასწავლებელი ექ. ბ. კ. გინდცე ჟურნ. „ისკრა“-ს № 10-ში.

ტარა-ბეი დაიბადა ფაკირების ოჯახში. მამისაგან შეისწავლა ფაკირების ხელობის საიდუმლოებანი. შემდეგ დაამთავრა სტამბოლის უმაღლესი საექიმო სკოლა და 1919 წ. დაარსა საზოგადოება „სინათლე“—ფაკირიზმის შესასწავლად და ამ მოვლენების მეცნიერულად გამოყენების მეთოდების დასამუშავებლად.

ტარა-ბეი თავისი საჯარო გამოსვლებს არ ხვევს რაიმე „სასწაულთმოქმედების“ ან „ჯადოქრობის“ სამოსელში. ყოველი გამოსვლის დროს ის, როგორც ექიმი, მეცნიერულად უსაბუთებს საზოგადოებას, ყველა იმ ცდებს, რომლებსაც ახდენს იმისათვის, რომ ტარა - ბეის ცდები უფრო ნათელი შეიქნეს, საჭიროა გავეცნოთ თავის და ყელის სისხლსადენ მილებს.



აქ მოყვანილ სურათზე ნაჩვენებია ძილის საერთო არტერია, რომელიც სისხლით ჰკვებავს კისერსა და თავს. იქვე იყოფა ძილის შინაგან და გარეთა არტერიებათ. პირველს აქვს განშტოება სახეზე, პირის ღრუში, ცხვირში, საყლაპავში. ყურადღებას იპყრობს გარეთა ყბის არტერია და ზედაპირის საფეთქელის არტერია. ძილის შინაგანი არტერია მიდის თავის ქალას მიდამოში და უმთავრესად ჰკვებავს ტვინს, გრძნობიერების უმაღლეს ცენტრებს. თვით სახელწოდება—„ძილის არტერიები“ წარმოიშვა იქედან, რომ მათზე ხელის დაჭერა იწვევს ძილის მსგავს მოვლენას.

ტარა-ბეი თითებს აჭერს ამ სისხლსადენ მილებს: დიდი თითი აწვება ძილის საერთო არტერიას, საჩვენებელი თითი—საფეთქელის ზედაპირის არტერიას, ნეკი—ყბის გარეთა არტერიას. რამოდენიმე წამის შემდეგ ექიმი-ფაკირი უგრძნობოთ ეცემა მიწაზე. ამის შემდეგ მას აწვენენ სპეციალურად დამაგრებულ ცელებზე. გულზე ადებენ ლოდს, რომელსაც შემდეგ ჩაქუჩის [illegible] დარტყმით ამტვრევენ. ტარა-ბეის კი სძინავს. შემდეგ მას აღვიძებენ. იგი აცხადებს, რომ არაფერი არ უგრძნია, რადგან მისმა სხეულმა განსაზღვრული დროით დაჰკარგა ტკივილის შეგრძნობის ყოველგვარი უნარი. ამის დასამტკიცებლად ტარა-ბეი იღებს გრძელ ნემსს, იყრის ყბაში და უჩვენებს აუდიტორიას, წინადადებას აძლევს ექიმებს კიდევ გაუყარონ ნემსი ხელში, თითებში, მკლავში.

ამის შემდეგ იგი წვება ფიცარზე, რომლის ზედა-პირი დაფარულია წვეტიან ლურსმნებით. ტარა-ბეის გულზე დგება კაცი.

ტარა-ბეი არაფერს გრძნობს. როცა მას აყენებენ, ზურგზე მოსჩანს სისხლის ღარები.

ამის შემდეგ ტარა-ბეი იღებს დანას, იყრის ყორყში, რამოდენიმეჯერ გადაატრიალებს დანას და წვეთი სისხლი არ მოდის. ტარა-ბეი აცხადებს, რომ მას შეუძლია გააჩეროს სისხლის დენა.

როგორ შვება ყველაფერ ამას ტარა-ბეი?—თვითშთაგონებით, თვითჰიპნოზით. ძილის არტერიებზე ხელის დაჭერით, ტარა-ბეი ასუსტებს ტვინის წინა ნახევარ-სფეროების კანის კვებას სისხლით, ასუსტებს ამ ნერვიული ცენტრების მოქმედებას და თვითშთაგონებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ჰიპნოზის ზეგავლენით ადამიანის კუნთები იკუმშებიან და რჩებიან ამ დაჭიმულ მდგომარეობაში. ასეთ მდგომარეობაში გადადიან მთელი სხეულის ყველა კუნთები და მაშინ სხეული შეშდება, როგორც ფიცარი. მედიცინა ასეთ მდგომარეობას უწოდებს კატალეპსიას. კატალეპსიის გამოწვევა, ამრიგად შეიძლება ხელოვნურადაც.

ჰიპნოზის დროს (და მის შემდეგაც) ისე შეიძლება შეცვალოს გრძნობის ორგანოების მუშაობა, რომ გრძნობიერება უაღრესად დაჩლუნგდეს ან ავიდეს უმაღლეს წერტილზე, როცა ჰიპნოზის ქვეშ მყოფნი ამჩნევენ და გრძნობენ ისეთ რამეებს, რაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში მიუწვდომელია.

დასასრულს აღსანიშნავია ტარა-ბეის პროგრამის უკანასკნელი ნომერი: სცენაზე გაკეთებულია სილის გორაკი, რომელსაც თხრიან კუბოს ჩასადებათ. ტარა-ბეი დგება ამ „საფლავის“ პირზე, ისევ უჭერს ხელს ძილის არტერიებს და უგრძნობლად ეცემა თავის თანაშემწეების ხელებზე. მას აწვენენ კუბოში, რომელსაც ზევიდან აყრიან სილას. 7—8 წუთის შემდეგ კუბოს იღებენ, ხსნიან სახურავს. ტარა-ბეი ისევ უგრძნობოთ არის. პულსიც კი არ სცემს. სრული ათი წუთის შემდეგ (ამდენი ხნის განმავლობაში უნდა ყოფილიყო „მკვდარი“ ტარა-ბეი ექიმებთან შეთანხმებით), ტარა-ბეი დგება კუბოდან, ვითომ არაფერი მომხდარა. მეცნიერებაში ამ მოვლენას უწოდებენ ანაბიოზს (სიცოცხლის აღდგენას ვითომ მკვდარ ორგანიზმში) ანაბიოზი არ წარმოადგენს რაიმე „სასწაულთმოქმედებას“ და კარგათ არის შესწავლილი მეცნიერების მიერ (ავიღოთ თუ გინდ ცხოველების ძილი ზამთრობით).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტარა-ბეის, ტორამას და სხვ. მსგავს „ჯადოქრების“ მთელი „ჯადოქრობა“ აიხსნება იმით. რომ მათ კარგად აქვს შესწავლილი ჰიპნოზისა და თვითშთაგონების ხერხები.

რაც შეეხება თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულ „ჰიპნოტიზიორ“ ტო-რამას, მის შესახებ ჩვენი მკითხველები წაიკითხავენ ჯანსახკომის ცნობას, რომლიდანაც დაინახავენ, რომ ტორამას „ცდებს“ არავითარი კავშირი არა აქვს მეცნიერულ ცდებთან.

ნ—ი.

ჯანსახკომის განცხადება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში ტო-რამას შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს შემდეგი:

— ამჟამად თბილისში საგასტროლოთ ჩამოსულ ტო-რამას არაფერი საერთო არა აქვს მეცნიერულ გიპნოტიზმთან, როგორც განსაზღვრულ დისციპლინასთან. ფსიქიატრების და სათანადო სპეციალისტების დასკვნით იგი უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ჩვეულებრივ ცირკის მუშაკათ, რომელიც ახერხებს სხვადასხვა ცირკის სანახაობათა ხასიათის ტრიუკების კეთებას. ჯანსახკომის წარმომადგენლების ოფიციალურ წინადადებაზე, რომ მას გიპნოტიზმით დაეძინებია უბრალო მეცხვარის ძაღლი—ტო-რამამ უარი განაცხადა და მოითხოვა ნილოსიდან ამოყვანილი ნიანგის ჩვენება, რომელსაც თითქოს იგი დაიმორჩილებდა. მაგრამ ვინაიდან თბილისში ძალიან ძნელია ცოცხალი მოშინაურებული ნიანგის შოვნა, ამიტომ ტო-რამას ცდებსაც ადგილი არ ექნებოდა.

ტო-რამას ნამდვილი გვარი არის არტურ შტეიერი, ის ჩეხიის ქვეშევრდომია და გერმანიაში ცნობილი ყოფილა მხოლოდ, როგორც ცირკის მუშაკი. ამავე დროს თბილისში მიღებულია ცნობები გერმანიიდან, სადაც ტო-რამას ყოფილი იმპრესარიო წინადადებას იძლევა, თუ ეს საჭიროთ იქნა გაიმეოროს ყველა ის ნომრები, რომლითაც ტო-რამა გამოდის ცირკის რამა „ცდებს“ ახდენს მხოლოდ მოშინაურებულ არენაზე. ცნობებიდან აშკარავდება, რომ ტო- და გაწვრთნილი ცხოველებზე.

ყველა ამის გამო ჯანსახკომი აცხადებს, რომ ტო-რამას ცდები არაა ღირსი რაიმე სერიოზული ყურადღების და იგი უნდა ჩაითვალოს გარეული ცხოველების მხოლოდ კარგ მომთვინიერებლად.

სურნელოვან მცენარეთა პლანტაციები

აფხაზეთის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო ინჟენერ ზელინსკისთან, რომლის ძალით უკანასკნელს იჯარით ეძლევა შვიდი დესეტინა მიწა დრანდის რაიონში სურნელოვან მცენარეულობის გასაშენებლად და გადასაქაჩავ ქარხნის მოსაწყობად.

იჯარის ვადათ დაწესებულია შვიდი წელიწადი. ინჟენერი ზელინსკი მიზნათ ისახავს აგრეთვე სურნელოვან მცენარეების კულტურის გავრცელებას გლეხთა შორის, რომ გადასაქაჩავი ქარხანა უზრუნველყოს საჭირო ნედლი მასალით.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი განზრახული აქვს სურნელოვან მცენარეთა მოშენება ფართოდ დააყენოს აფხაზეთში.

ახალი ნავთსადგური

როგორც ჩვენს გაზეთში იყო ცნობა,—ამიერკავკასიის ნავთსადგურების განყოფილება მიმდინარე წელს სოხუმში აგებს ახალ ნავთსადგურს ამჟამად ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულია. აგებულია დამხმარე შენობები, საწყობები, სამჭედლო, სადურგლო და სხვა სახელოსნოები. ამ დღეებში ნოვოროსიისკიდან სოხუმში ჩამოიტანებენ 2 ათას ბოჩკა ცემენტს და 10 ათას ფუთ რკინას ნავთსადგურის მშენებლობის საჭიროებისათვის. ამ მასალის მიღებისთანავე დაიწყება სამშენებლო მუშაობა ნავთსადგურის ასაგებათ. ნავთსადგურის სამშენებლო გეგმით მიმდინარე წელს შესრულებული უნდა იქნეს მთელი სამუშაოების 40 პროცენტი რისთვისაც წელს გადადებულია 250 ათასი მანეთი. ამ თანხიდან პირველი რიგის სამუშაოების ჩასატარებლად უკვე გაღებულია 100 ათასი მანეთი ამასთანავე ნავთსადგურის სამმართველო შეუდგა მუშაობას თავის სამყოფი შენობის აღსადგენად, რისთვის გადადებულია თორმეტი ათასი მან.

ნედლეულის დამზადება

ა-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დავალებით სამრეწველო ნედლეულის სამმართველომ შეიმუშავა ცხრილი ხელშეკრულებების დადებისა ყოველგვარ სასოფლო - სამეურნეო ნედლეულზე.

ამ ცხრილის მიხედვით ყველა დაწესებულებებს და სავაჭრო ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ ნედლეულის დასამზადებლად ხელშეკრულებები დასდონ შემდეგ ვადებში:

ბამბაზე და კანაფზე—დეკემბერში და იანვარში, გაზაფხულის მატყლზე და აბრეშუმის პარკზე — არა უგვიანეს მარტისა, შემოდგომის მატყლზე — ივლისში, ბეწვეული — აგვისტოში და სექტემბერში, თამბაქო — არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. ნედლი ტყავი და ნედლი ნაწლავები — არა უგვიანეს აგვისტოსა, სამკურნალო ბალახები — მარტი და აპრილი.

ამავე დროს ყველა დაწესებულებები და ორგანიზაციები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სათანადო კრედიტებით.

ხელოვნება

„თემინიატი“

(ქართული სექტორი)

ახლად გახსნილ მინიატურისა და ატრაქციონის თეატრში ქართულმა სექტორმაც დაიწყო მუშაობა.

ამ სექტორის პირველი ნომრები იმ მხრივ იყო საყურადღებო, რომ გამოირკვა: შესაძლებელი იქნება ამ სექტორის არსებობა თუ-კი მას ეყოლება გამოცდილი ხელმძღვანელი. პირველ ნომრებს რამოდენიმედ ემჩნეოდა ასეთი ხელმძღვანელობა.

არაფრით გამართლდება და არც უნდა გამეორდეს დაწესებულების ხელმძღვანელთა უადგილო დასახელებანი და წინასწარ გაუთვალისწინებელი, მოუფიქრებელი გამოთქმები. ასეთი „თვითნებობა“ თავიდანვე უნდა აიკვეთოს, რომ ბალაგანის სახე არ მიიღოს ახლად დაწყებულმა სატირ-თეატრმა.

მთავარი ძირი, რომლის გარშემოც უნდა განვითარდეს თვითეული სცენა და ატრაქციონი, სიუჟეტი კი არ არის, ან და გმირთა პიროვნება, არამედ—იდეის საერთო ხასიათი და თემის მთლიანობაა. თემა მრავალია: (მორალის, სქესობრივი დამოკიდებულების, ალკოჰოლის მუშათა და სხ.), ამ თემების ტრაქტოვკა და გაღრმავება ახალ სინტეტიურ ფორმებში,—აი, მიზანი საბჭოთა სატირისა და კომედიის.

თემინიატის ხელმძღვანელებს ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ და ამ ძნელ საქმის ნაყოფიერებისათვის ახალ - ახალი ძალების მოწვევა უნდა გახშირონ.

აღსანიშნავია გ. ხონელის თავდადებული მუშაობა ამ თეატრისათვის და ზოგიერთ ახალგაზრდა მსახიობების, განსაკუთრებით ქალების, რომლებმაც მოიცილეს ტრადიციული შეხედულება ესტრადის თეატრის შესახებ და გადასდგეს გაბედული ნაბიჯი.

ბ. ვ.

თეატრი სენაკში

სათეატრო და საგანმანათლებლო მუშაობას სენაკში უმთავრესად ეწევა ადგილობრივი პროფბიურო, რომელსაც დიდ დახმარებას უწევს სამაზრო აღმასკომი. პროფბიუროს განკარგულებაში იმყოფება ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა კლუბი, სადაც წარმოდგენების გარდა ხშირად იმართება საღამოები, კინოები, ლექციები, მოხსენებები და სხვა.

დრამწრის გარდა კლუბთან არსებობს აგრეთვე მომღერალთა გუნდი ლოტბარ რ. შელეგიას მეთაურობით. გუნდი ყოველ ორ კვირაში მართავს კონცერტებს. რეპერტუარი შერეულია. უფრო კი დასავლეთ საქართველოს ხალხურ ჰანგებს ასრულებენ.

დრამწრე შედგენილია ადგილობრივ სცენის მოყვარეებთან და მუშაობს როგორც კოლექტივი. კოლექტივში ირიცხება 18 კაცი. დასის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს მსახიობ დავ. ჩარკვიანს. სეზონი გაიხსნა ორშაბათს 24 ნოემბერს, წარმოდგენილ იქნა შ. დადიანის პიესა „მზის ამოსვლამდე“. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. აუდიტორია შედგებოდა მუშა - მოსამსახურეებისა და მოწაფეებისაგან.

მიმდინარე სეზონის რეპერტუარში შეტანილია ყველა ის პიესები, რომელიც გასულ სეზონში დაიდგა: „გეგეჭკორი“, „ძველი ტერორისტი“, „მამა-ჯალათი“, „მზის ამოსვლამდე“, „კაი გრახკ“ და სხვ. გარდა ამისა განზრახულია ახალ პიესების შეძენა და აგრეთვე დასის გაძლიერება პროფესიონალ მსახიობთა მოწვევით.

მარტო ადგილობრივად მუშაობით არ ამოიწურება სენაკის კლუბის დასის მუშაობა. დასს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მთელი რიგი წარმოდგენები ჩაატაროს სოფლებში: მარტვილში, ბანძაში, ნაქალაქევში, აბაშაში და სხ.

ვ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მუშათა ახალ კლუბში** 10 დეკემბერს გაიმართება გარმონისტების შეჯიბრი.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს მეორედ წარმოდგენილი იქნება „ლეილა“.

◆ **მ. პოლიაკინის კონცერტი.** კონსერვატორიის დარბაზში დღეს გაიმართება ცნობილ პიანისტის მ. პოლიაკინის კონცერტი.

◆ **„შეამბოხენი“.** პროლეტ. დრამ. სახელოსნო დღეს წითელ - არმიელთა კლუბში დადგამს ი. ვაკელის პიესას: „შეამბოხენი“. დადგმა დ. კობახიძის.

◆ **მუშათა თეატრში ქართული** დრამწრის პირველ დღეს წარმოდგენილი იქნება პრემიერა: „დიდების გამყიდველნი“. დადგმა სულიაშვილის.

◆ **„რევიზორი“.** მუშათა ახალ კლუბში დღეს რუსული დრამა დგამს: „რევიზორს“.

— **ხვალ,** ხუთშაბათს 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მთავარ პოლიტიკური განათლების სამმართველოში, შესდგება სოფლად სამხატვრო მუშაობის საბჭოს სხდომა. მოწვეულია არიან შემდეგი ამხანაგები: ამაღლობელი, დუდუჩავა, შ. ბუხნიკაშვილი, ვაკელი იონა, ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ჭიაურელი მიხ.; გარიკი ვახტანგი; თოიძე მოსე, კობახიძე, გოგაძე მიხ.; თავაძე შალვა,; მერკვილაძე გ.; ფარცხალაძე ალ.; კავსაძე, ერთაწმინდელი სეზთან გოგიაშვილი მიხ. და კიკნაძე ივანე.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება სომხური წარმოდგენა.

კინო

„კაცი და ლივრეა“

(კინო-წარმოება „უფა“)

რეჟ. მურნაუ

ამ სურათმა დიდი ქება დაიმსახურა ევროპაში. ჩვენი ეკრანზე მისი მნახველი ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ ევროპის „ცნობილი“ და „მხატვრული“ დადგმებს არაფრით არ ჩამორჩება საბჭოთა კინო-ნაწარმოები, თუნდაც საშუალო ხარისხის.

საერთაშორისო ოტელის ხანაში შესულ მეკარეს აქვეითებენ და მოხუცისათვის შესაფერ თანამდებობაზე გადაჰყავთ. მას ერთმევა უფლება ლივრეის (მეკარის სამოსი) ტარებისა. აქედან იწყება მოხუცის სულიერი ტანჯვა. საკუთარი ოჯახიც აღარ იღებს მოხუცს, რადგან მას ლივრეია ჩამოართვეს. თავდება იმით რომ საპირფარეშოში გადაყვანილი მეკარე შემთხვევით მილიონერი ხდება და სულიერი სიმშვიდეც უბრუნდება.

სურათი გროტესკის ხაზებში ვითარდება მაგრამ რეალისტური და პირობითი მოვლენების ფანტასტიკასთან დაკავშირება უკარგავს შინაარსს.

იქ. სადაც ყველაფერი ფულით იზომება, ლივრეიას გახდა ნიშნავს შემოსავლიან ადგილის დაკარგვას და უფულო ადამიანი-კი არარას. ეს გასაგებია.

ლოთი გამოლეული ადამიანი ქუჩაში რომ არ ამოაგდის ოტელის ნუვორიშებმა, ეს არ ეგუება არც მათ ცივ ანგარიშიანობის მორალს და არც სურათის დაწყებას.

მოხუცის ფიზიკური უღონობა ბუნებრივი მოვლენაა, მხოლოდ მისი ტანჯვა (ფსიქოლოგიური) უფრო ამ სურათის არასაიმედო იდეოლოგიას ამჟღავნებს, ვიდრე მოხუცისადმი სიბრალულს

ბოლოს მოხუცის უეცარი გამდიდრება, ლიკოებას დაიწყება და მისი ბატონური ქცევა,—უფრო კაპიტალიზმის ქებაა, ვიდრე კაპიტალიზმით შექმნილ მონობის დაგმობა.

გერმანული ფსიქოლოგიზმის ამერიკანული დაბოლოება ამ სურათში, უფრო სახუმარო ფილმის შთაბეჭდილებას ჰქმნის და მთელ ყურადღებას დადგმა აზიდავს.

ექვსივე მოქმედება უწარწეროდ ვითარდება. ეს ცდაა პრობლემის გადასაჭრელად.

კარგად არის გაკეთებული სინათლის და ჩრდილის ვარიაციები დღე და ღამის ილიუზიის შესაქმნელად.

კიდევ უკეთესია „ქორიკანაობის“ სცენები.

რეჟისორი დიდ დახელოვნებას იჩენს ფოტო ობიექტის დაკავშირებაში აქტიორის თამაშთან.

ემილ იანინგსის თამაში ლივრეიით და უამისოდ იმდენად საყურადღებოა, რომ სურათის უშინაარსობას ფარავს ნაწილობრივ

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ უშინაარსობა საშუალებას აძლევს რეჟისორს, მთელი ყურადღება მოახმაროს კინო-ტექნიკას და კინო-მასალას.

მ. გ—ნი.

დღეს კინოებში

— **აპოლოში** — „კაცი და ლივრეა“.
— **არფასტოში** — „პოეტი და მეფე“.
— **სოლეიში** — „ატლანტიდა“.
— **დარბაზში** — „ბუკ-რაველის თავგადასავალი“.

ბრძოლა უმუშევრობასთან

უკანასკნელ ხანებში უმუშევართა მთავარ წყაროს წარმოადგენს სოფელი, საიდანაც დიდძალი უკვალიფიკაციო მუშა-ხელი აწვება ქალაქის ბაზარს. ეს მდგომარეობა იძულებულს ხდის შრომის სახკომსარიატს გამოითხოვოს სათანადო ორგანოებიდან უფრო მეტი კრედიტი საზოგადოებრივი სამუშაოების და შრომის კოლექტივების მოსაწყობად.

საზოგადოებრივი სამუშაოების და კოლექტივების მოწყობის მიზანი არის არაკვალიფიციურ მუშების, უმთავრესად გლეხებისათვის, დროებითი სამუშაოების გაჩენა.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე და შრომის კოლექტივებში ჩაბმული იქნებიან მცირე ადგილ - მამულიანი და უადგილ-მამულო გლეხები.

მიმდინარე სამეურნეო წელსაც განზრახულია შრომის კოლექტივების მოწყობა შინამრეწველობის სხვადასხვა დარგებში. მატყლის კარგი მოსავალი საშუალებას იძლევა მოეწყოს მაუდის წარმოება, ნოხების ქსოვა, წინდების წარმოება, ყაბალახების, ქუდების და სხვა ქსოვილ საქონლის დამზადება.

განზრახულია კოლექტიური მებოსტნეობის და მებაღეობის მოწყობა, რაც საკმარისს ხელფასს მისცემს იქ დაბანდებულ მუშა-ხელს, თუ სათანადო სიმაღლეზე იქნა დაყენებული მებაღეობის და მებოსტნეობის პროდუქტების გაზიდვა ჩვენი რესპუბლიკის გარეთ.

რკინისგზებზე

პასუხისგებაში მიცემა

ა-კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებულ შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიის დადგენილებით, სამმართველოს წესით პასუხისგებაში მიცემული ბაქოს მეორე სადგურის მეისრე ჰოშიევი.

ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო მოშიევმა გააჩინა ხანძარი, რომლის დროსაც დაშავდა მეორე მეისრე რომანოვი, ხოლო გზას მოუვიდა 1.206 მანეთის ზარალი.

თბილისის საქარხნო - საფ. შეგირდობის სკოლა

მიმდინარე საბიუჯეტო წელს რკინის გზების ცენტრალურმა სამმართველომ თბილისის რკინისგზელთა საქარხნო - საფაბრიკო სკოლის შენობის დასამთავრებლად გადასდო 75.000 მანეთი.

სტუდენტები—სტიპენდიანტები

ცენტრალური სატრანსპორტო განათლების სამმართველომ სტუდენტ — სტიპენდიატების რიცხვი ა-კ. რკინის გზების სამშენებლო და სატრანსპორტო ტექნიკუმებში 23-დან გაადიდა 43 -მდე.

ბრძანებების შემცირება

რკინის გზებზე ადგილი აქვს შემთხვევებს როდესაც ხელახლა სცემენ გზათა კომისარიატის მიერ გამოცემულ ბრძანებებს.

გზათა კომისარიატმა ყველა გზებს და მათ შორის ამ-კავკასიასაც წინადადება მისცა შესწყვიტონ ცენტრში გამოცემულ ბრძანებების ხელახლად გამოცემა.

ამიერიდან ყველა ბრძანებები, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა მთელი სარკინისგზო ქსელისათვის გამოიცემა გზათა კომისარიატში და დაეგზავნება მხოლოდ გზის იმ აგენტებს, რომელთაც ისინი უშუალოდ ეხებიან.

ეს ღონისძიება გზებს მისცემს საგრძნობ მომჭირნეობას ხარჯებში.

მონადირეობა

ვინაიდან აქამდი გამომუშავებული არ არის ნადირობის პროდუქტების გამოყენების წესები, ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა დაევალოს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებს, რათა სამი თვის განმავლობაში გამომუშავებული იქნეს კოდექსი კანონებისა ნადირობის შესახებ და შემუშავებული იქნეს ღონისძიებები ძვირფას ნადირის დასაცავად და სანიმუშო სანადირო მეურნეობების მოსაწყობად.

ამასთანავე დამუშავებული უნდა იქნეს საკითხი რაციონალური ბრძოლის წარმოების შესახებ იმ მტაცებლებთან, რომლებიც ზიანს აყენებენ სანადირო მეურნეობებს. რესპუბლიკებმა უნდა მიიღონ აგრეთვე ზომები სწორად დაყენებულ სანადირო მეურნეობების დაცვის იდეის გასავრცელებლად და ნადირობის პროდუქტების გამოსაყენებლად.

დასასრულ, დამუშავებული უნდა იქნეს საკითხი იმ თანხების გამონახვის შესახებ, რომლებიც საჭიროა სანადირო მეურნეობების სწორ ნიადაგზე დასაყენებლად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალა ერთი თვის განმავლობაში დამუშავოს საკითხი მისაღები პუნქტის მოწყობის შესახებ. სადაც ჩაბარებული უნდა იქნეს ბეწვეული და სანადირო მრეწველობის სხვა პროდუქტები.

ავიაქიმში

ზუგდიდის ორგანიზაცია

ამ დღეებში დამთავრდა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ზუგდიდის ორგანიზაციის მეორე კონფერენცია. კონფერენციის გახსნაზე ამხ. წილოსანმა გააკეთა მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მნიშვნელობისა და ამოცანებზე. შემდეგ მოსმენილ იქნა ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ჯანაშიას საანგარიშო მოხსენება.

ზუგდიდის ორგანიზაცია ამჟამად აერთიანებს 69 უჯრედს 2.745 წევრით. ორგანიზაცია ღებულობს ზომებს, რომ წევრები ჩააბას პრაქტიკულ საქმიანობაში. დამყარებულია კავშირი სხვადასხვა საზოგადოებრივ. პროფესიონალურ და სამხედრო ორგანიზაციებთან.

ორგანიზაციას მოწყობილი აქვს თავდაცვა-ავიაქიმის კუთხეები. ჩამოყალიბებულია [illegible] და სასპორტო წრეები.

კონფერენციის გახსნის წინ ჩატარებულ იქნა შეჯიბრი სროლაში. გამარჯვებულებს მიეცათ საჩუქრები.

ავიაქიმი მთაში

„თავდაცვის კვირეულის“-ს შემდეგ, რომელიც დიდი წარმატებით ჩატარდა ჩეჩნეთში, [illegible] გაიზარდა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედები და წევრთა რიცხვი. ჩეჩნეთის მშრომელი ახალგაზრდობა დიდი ხალისით ეწერება სასროლო და სასპორტო წრეებში და ეწევა აქტიურ მუშაობას. ბევრს წრეში მუშაობენ ახალგაზრდა ქალებიც.

საცდელი სადგური

მიწად-მოქმედების სახ.კომის. საცდელ სადგურებს შორის ყველაზე წარმატებით მუშაობს ურიათუბნის საცდელი სადგური,რომელიც მოთავსებულია ამას წინად სპეციალურად აგებულ ორსართულიან შენობაში. სადგური მთავარ დანიშნულებას შეადგენს უშუალო დახმარების აღმოჩენა იმ მევენახეებისათვის, რომლებიც თავიანთი ვენახების აღდგენაზე მუშაობენ. ამჟამად სადგურის მუშაობა ფართოდ არის დაყენებული: სადგურმა დაამთავრა კახეთის სხვადასხვა რაიონების ნიადაგის შესწავლა და ეხლა ადგენს კახეთის ნიადაგის ქარტას. ჩვეულებრივ სადგური შემდეგი წესით მუშაობს: გლეხებს სადგურზე მიაქვთ იმ რაიონის ნიადაგის ნიმუშები, სადაც ვენახები აქვთ გაშენებული; სადგური წერილობით აძლევს მათ რჩევა-დარიგებას, თუ რომელი ჯიშის ვაზის გაშენება იქნება უფრო ხელსაყრელი მათ მიერ სანიმუშოდ წარმოდგენილ ნიადაგზე; სადგურთან მოწყობილია ამერიკული ვაზების საკოლექციო სანერგე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა იმ საკითხის გამორკვევაში.თუ რომელი ჯიშის ვაზის გაშენება უფრო ხელსაყრელია ამა თუ იმ ნიადაგზე. სადგურს აქვს აგრეთვე საკუთარი ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ფიტო პათოლოგიური კაბინეტები, რომლებიც იკვლევენ და სწავლობენ ვაზების ავადმყოფობას და ამუშავებენ მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს სადგურის ძველი ვენახი იძლევა დიდ მასალას სხვადასხვა სამეცნიერო დაკვირვებისათვის.

სადგურს გამოწერილი აქვს ახალი მოწყობილობა ლაბორატორიებში და კაბინეტებისათვის. ამჟამად სადგური იკვლევს ამერიკული და ადგილობრივი ვაზების გამძლეობას ფილოქსერასთან ბრძოლაში. სადგურს დიდი სახელი აქვს მოპოვებული მთელ კახეთში.

ფართლეულობის ბაზარი

ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობის შესახებ საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებაში განაცხადეს შემდეგი:

ნოემბრის თვეში ფართლეულობის საბითუმო ბაზარზე მეტად გაცხოველებული მდგომარეობა იყო დიდი მოთხოვნილება საქონლისა; თითქმის ყველა ჯგუფებზე დაკმაყოფილებული რჩებოდა; ფასები მტკიცეა.

საწვრილმანო ვაჭრობაც მეტად გაცხოველებულია; მყიდველებით დატვირთულია არა მარტო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების საწვრილმანო მაღაზიები, არამედ კოოპერატიული და კერძო მაღაზიებიც. დიდი მოთხოვნილებაა ყოველგვარ ქსოვილებზე, განსაკუთრებით საზამთროზე.

ბამბეული ქსოვილების გარდა დიდი მოთხოვნილებაა საზამთრო საქსოვლზე, რომელიც [illegible] რაოდენობით იშოვება ბაზარზე. ფართო მოთხოვნილებაა მაუდზე და კამვოლის საქონელზე. ნაკლებათ იშოვება თხელი მაუდი და [illegible] მატყლის ქსოვილები. განყოფილება თითქმის სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას კამვოლის საქონელზე.

საკმაოთ გაცხოველებულია სელის ქსოვილებით ვაჭრობაც, დიდი მოთხოვნილებაა უმთავრესად თეთრ ტილოზე, რავენდუხზე და სარჩულის ქსოვილებზე.

საწვრილმანო საქონლის შერჩევა სრულიად დამაკმაყოფილებელია.

კლიენტების დიდ ნაწილს, როგორც წინათ, შეადგენენ კოოპერატივები.

ფიზკულტურა

ჯანმრთელობის გამორკვევა

საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიუროს გადაწყვეტილი აქვს ამ ახლო ხანში ჩაატაროს პროფკავშირის წევრ-მოვარჯიშეთა ფსიქო-ფიზიკური გამოკვლევა, რომლის მიზანია მოვარჯიშეთა ფსიქო-ფიზიკურად შემოწმება და მიღებულ შედეგების თანახმად, მათთვის შესაფერისი რჩევა-დარიგების მიცემა.

ფიზკულტურის წრეების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ

პროფკავშირთა ფიზკულტურის წრეების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით, 9 დეკემბრიდან დაიწყება (ლენინის სახ. პირველ სასპორტო დარბაზში) პროფკავშირთა ფ. კ. წრეების ხელმძღვანელთა მეცადინეობა. მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ერთხელ—პარასკეობით.

მბეჭდავთა კავშირში

ფიზკულტურის წრეების მუშაობა მბეჭდავთა კავშირის კლუბში წელს უფრო შენელებულია. ვინემ შარშან. კავშირთან არსებობს 6 წრე, მათ შორის ტანვარჯიშის —3, ძალოსნობის—1 და ფეხბურთელთა —2. წრეებში ჩაბმულ მოვარჯიშეთა რაოდენობა ამჟამად აღწევს 86 კაცს.

რაც შეეხება სამხედრო წრეების მუშაობას, მას დიდი წინსვლა ეტყობა. სასროლო-ტაქტიკურ წრეებში ჩაბმულია 150 კაცამდე. მეცადინეობა კარგათ მიმდინარეობს.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 7 დეკემბერი

დღეს, 7 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—რუსულ ენაზე.
ციტრუსოვან კულტურების განვითარების პერსპექტივები საქართველოში—ქართულ ენაზე.
როგორ დავიცვათ თავი ტიფისაგან—სომხურ ენაზე.
საუბარი ბიოლოგიაზე ქართულ ენაზე.
წითელარმიელთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.
ობსერვატორიის ცნობა.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.
ამიერ- კავკ. დეპ. სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

რადიო-მოყვარულთა საყურადღებოთ

ამ.-კავკ. კავშირ-გამგეობის სამმართველოს რადიო-სექციაში მიღებულ ცნობებით, 9, 10, 11 და 12 დეკემბერს, საღამოს 8—9 საათზე შორეულ აღმოსავლეთის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში არსებული რადიო მაუწყებელი სადგური (ეხლახან აშენეს ხაბაროვსკში) მოახდენს პირველ გამოსაცდელ გადაცემას. გადაცემა იწარმოებს მთელი საბჭოთა კავშირისა და დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე.

აღნიშნულ დროისათვის რადიო მოყვარულთა საზოგადოებას საშუალება ეძლევა მოისმინოს შორეულ აღმოსავლეთიდან გადმოცემული პირველი რადიო-კონცერტი.

მეცნიერება და ტექნიკა

ელექტრონის [illegible] მანქანა

ამერიკაში გამოიგონეს ელექტრონის [illegible] ყველაფერ იმას, რაც ჩვეულებრივ მანქანაზე კეთდება ხელით, ახალ მანქანაში ელექტრონის საშუალებით კეთდება. ასე მაგალითად, ელექტრონის მოტორს მოძრაობაში მოჰყავს ასოების საბეჭდი წერტილები და სხვ. იმის წყალობით, რომ ასეთ მანქანაზე მუშაობის დროს უმნიშვნელო ენერგია იხარჯება, მისი მუშაობის ნაყოფიერება მეტად დიდია. ელექტრონის მანქანაზე მუშაობის დროს წამში შეიძლება 400—500 ასოს დაბეჭდვა. გარდა ამისა, ელექტრონის მანქანა შესაძლებლად ხდის მემანქანის ენერგიის და ჯანმრთელობის დაზოგვას. ცდებით დამტკიცდა, რომ ელექტრონის მანქანაზე ბეჭდვის დროს მემანქანე ხარჯავს 50-ჯერ ნაკლებ ენერგიას, ვინემ ჩვეულებრივ მანქანაზე. განსაკუთრებით დიდია ენერგიის ეკონომია დიდძალ ასლების გადაღების დროს.

დედამიწის აგებულობა

გამოკვლევებმა, რომელთაც აწარმოებდნენ ამერიკელი მეცნიერები დედამიწის აგებულობის გამოსარკვევად, დაამტკიცეს, რომ დედამიწის ქერქის სისქე უდრის 90 კილომეტრს. ამ სიღრმეს იქით იწყება ე. წ. „დედამიწის გული“, რომელიც შესდგება უფრო მკვრივ მასალებიდან, ვიდრე ქერქი. ქერქსა და დედამიწის ქერქის საზღვარზე ხდება ერთგვარი პროცესი, რომელიც დედამიწის ზედაპირზე იწვევს შედარებით სუსტ თუ ძლიერ რყევას. როგორც მგრძნობიარე სეისმოგრაფები ამტკიცებენ, ეს რყევა განუწყვეტლივ ხდება. ზოგჯერ რყევა დიდი ძალის არის და ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მიწისძვრებს.

დედამიწის ქერქის მიმოქცევა

ამერიკელმა გეოლოგებმა ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოარკვიეს შემდეგი შესანიშნავი ფაქტი: დედამიწის ქერქი, მსგავსად ოკეანებისა და ზღვებისა განიცდის მიმოქცევას. ეს აიხსნება იმით, რომ დედამიწის ქერქი, რომელიც უფრო მსუბუქი მასალებიდან შესდგება, ვიდრე „დედამიწის გული“ თითქო სცურავს უკანასკნელის ზედაპირზე. დედამიწის ქერქის მიმოქცევას, რაც გამოიხატება დედამიწის ზედაპირის პერიოდულ აწევა - დაწევაში, აღნიშნავენ მხოლოდ სპეციალური მგრძნობიარე ხელსაწყოები.

„ელექტრონის თვალი“

შეერთებულ შტატების სამხედრო უწყება აწარმოებს ცდებს ინჟ. ბერდის მიერ გამოგონებულ „ელექტრონის თვალზე“, რომელიც შესაძლებლად ხდის ზღვაზე გემის აღმოჩენას მიუხედავად სქელი ნისლისა.

ბერდის მანქანა საჭირო მიმართულებით გზავნის რადიო - ტალღებს. თუ ამ სხივებს გზაში შეხვდება დაბრკოლება, მაგ. გემი, მანქანა იმ წამსვე აღნიშნავს ამას შეხვედრილი დაბრკოლების სიმკვრივისა და სიდიდის შესახებ შესაფერი ხმის მოცემით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კო .მპარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში **შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

პრეზიდიუმის ყველა წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქართვ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **არსრაიკომის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება** იტყობინება, რომ დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის ქალთა კუთხის შენობაში შესდგება ქართული ჯგუფის ქალთა სადელეგატო კრება. რუსული ჯგუფის კრება კი შესდგება მე-82-რე შრომის სკოლის შენობაში (ტატიანოვის ქ. 2).

საქართ. კ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **არსრაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** იტყობინება, რომ დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში (ლენინის კუთხე) მოწვეულია თათბირი აგიტპროპ-კოლისიებისა, აგიტპროპორგანიზაციებისა, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისა და მუშკორებისა.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისია სთხოვს ამხ. ვლ. მელ. ძე მაღლაფერიძეს გამოცხადდეს 7 ან 8 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24. (მესამე სართული, ოთახი ნომერი 13).

საქართვ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა **ერთიან პარტიულ დღის,** პარასკევს 9 დეკემბერს, კომ-უჯრედების კრებებზე დასმული იქნას შემდეგი საკითხები:

1) უჯრედების ბიუროების მოხსენება პარტსწავლის მდგომარეობის შესახებ (იქ, სადაც ჯერ არ ჩატარებულა).

2) კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების ანგარიში (კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების ხელ-ახალი გადარჩევის გამო).

საქართვ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** სააღრიცხვო ქვეგანყოფილებაში ამხ. ჩანაწიძესთან იწვევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს:

სპირიდონ მუზაშვილი, ალექსი მიხაილოვი, პეტრე საკაევი, სერგო კასოევი, ალექსი ბოჟიკოვი; პავლე აფანასიევი, ივანე სახნოვი, ლეონიდ ოაგინ, გრიგოლ ბრეგვაძე, დიმიტრი დავიდოვი, მიხეილ გრეესიუკი; კარაპეტ ასმარიანი, სოლომონ მართიაშვილი, ლაზარე, ტერ-ოსიპოვი, ვასილ შენგელია, შალვა მახარაძე, ალექსანდრე ანდღულაძე, ალექსანდრე ხარკოვი და მისაკ მინასიანი.

საქართვ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანათლებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ირაკლი კნირაშნიძეს გამოცხადდეს დღეს, 7 დეკემბერს, დილის 10 საათზე ზემო აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 54).

საქართვ. ახ. ლ.-კ.-კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს ახ. ლ.-კ.-კ. თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტში (რუსთაველის პროსპ. № 21. მესამე სართული, შესავალი ეზოდან) მოწვეულია მე-14-ტე მოწვევის მერვე პლენუმი.

თბ. კომ. ყველა წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

პედაგოგიურ ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე. დღის წესრიგში: ბიუროს ანგარიში, ბიუროს არჩევნები და მიმდინარე საკითხები. უჯრედის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად. კრება შესდგება სტუდენტთა კლუბში.

აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე უნივერსიტეტის კლუბში. დღის წესრიგში: ბიუროს ანგარიში, ბიუროს არჩევნები და მიმდინარე საკითხები. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებული შვილები: სონა, მაშო, ევა, ნინა და სიძეები: ლოლაშვილი, ბარამიძე, პოლიფორთოვი და რაჟდენ ჯღამაძე, და მაკა მირინაშვილი, რძალი ანეტა ბაბალაშვილისა თავისი შვილებით: თამარა, ლიზა და ნინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დეკემბრის 6 დილის 8 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ანა ბაბალაშვილისა

გამოსვენება 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, კურსანტის ქუჩა, № 2.
692

სახელმწიფო ოპერა
დღეს, ოთხშაბათს, 7 დეკემბერს ორიგინალური ქართული ოპერა **ლეილა** მუსიკა ბიქტორ დოლიძის მონაწ. კრასნიცკაია, ბლანკმანი, ქუმსიაშვილი, ინაშვილი, შარაშიძე. დირიჟორობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი.
ხუთშაბათს, 8 დეკემბერს კარმენი.
პარასკევს, 9 დეკემბერს პრემიერა ახალი დადგმა [illegible] სცენებით სევილიელი დალაქი.
ნ. 311 1—1

ცირკი „კოლოს“
ტელ. 16—67
სამშაბათს, 6-ს, ოთხშაბათს 7-ს, ხუთშაბათს, 8-ს და პარასკევს 9 დეკემბერს გრანდიოზული სანახაობანი 3 განყოფ 14 №№ დამსხ. მსახიობთა ძმ. ტანტების მონაწილეობით. გრძელდება საქვეყნოდ ცნობილ გიპნოტიზიორის ტო-რამას (თავისი მხეცებით) გასტროლი. ყველამ უნდა ნახოს ტო-რამა. დასაწყისი 8½ საათზე. სალარო 12-დან 2 საათ. და 5 საათიდან.
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.
ნ 306 4—1

„თემინიატი“
ყოფ. მუსიკ ხოლი
რუსთაველის გ. ნომერი 23
ნ. 321 1-1
მინიატიურის და ატრაქციონის თეატრი
ოთხშაბათს. 7 დეკემბერს, 1927 წ.
ქართული სექტორის წარმოდგენა.
„თემინიატი“, „ნაგაზი“, „ტელეფონთან“, ბალეტი, რომანსები. ატრაქც. კოლომენსკი. მთავარი რეჟისორი: გიორგი ხონელი. დასაწყისი 1-ლი სეანსის 8 საათზე, მე-2 სეანსის 10 საათზე.

მუშათა თეატრი
ნ. 313 1-1
ქართული დრამა
დღეს ოთხშაბათს, 7 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება.
პრემიერა
დიდების გამყიდველნი
დადგმა რეჟ. გრ. სულიაშვილისა.

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
არაჩვეულებრივი წარმატება.—ჩვენება მეორე კვირა „კაცი და ლივრეა“
არაჩვეულებრივი წარმატების გამო - მესამე კვირაშიც გაგრძელებულია ჩვენება სურათის „პოეტი და მეფე“
გრანდიოზული და ფეერიული სურათი: „ატლანტიდა“. პიერ ბენუას განთქმული რომანის მიხედვით.
„ბუკ-რაველის თავგადასავალი“ მესამე და მეოთხე სერია.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქუჩ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 11 დეკემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში ნ. 135

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ი. ტლაშაძე
ამით აცხადებს, რომ ის 15 დეკემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ადგილობრივ ქ გორში ორჯონიკიძის ქუჩაზე ალექსანდრე და ივანე ქილეხსაშვილების დაუმთავრებელ შენობას გადატანით შეფასებული (400) ოთხასი მან. ალექსანდრა ლემანის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახ. ალ. საქ. ოლქ. აღმას. ფურცლის 17 აგვისტოს 1927 წ № 29224. ნ. 314

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1)

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის
ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. [illegible] 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ქვ. 288

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
სალამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში. კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყოლონოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით [illegible] მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის ნ. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 6 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—6 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25-

ს. ა. დიშელი
დაამთავრა
სილამაზის ინსტიტუტი
პარიზსა და ბერლინში. ელექტრო-ვიბრო-მასაჟი - სინათლით, ორთქლით, კოსმეტიური, ვაპორიზაცია,—სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, ჭორფლს, საოფლების გადიდებას და სხ. საპიორის ქ. № 22. 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კ[illegible]
იღებს 11-დან 3 და 6 დან 8-დე კოსმეტიური მასაჟი და პირისახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინისა) 25 -1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6 —7ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 1—25

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 11, მოცემული დუქნის განათლების მუშაკთა კავშირის მიერ, პარასკევა დგებუაძის სახელზე, ჩ. გ. 693

დაიკარგა ს. ა. ლ. კ. კ. ზუგდიდის ორგანიზაციის წევრობის მთლიანი ბილეთი № 40669 იასონ იოსების ძე ვათუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 310

დაიკარგა პროფკავშირის „რაბისის“ საწევრო წიგნაკი № 96046—ვარლამ ალექსის-ძე რუხაძის სახელზე, ჩ. გ. 691

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 998, გაცემული ჩოხატაურის სამხედრო მაგიდის მიერ, ივანე ერისტოვის-ძე მარდალეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 694

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა,კამოს ქ. № 68